


აღმოსავლეთმცოდნეობა

Контрольный экземпляр



თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
ИЗДАТЕЛЬСТВО ТБИЛИССКОГО УНИВЕРСИТЕТА
TBILISI UNIVERSITY PRESS

ТРУДЫ ТБИЛИССКОГО УНИВЕРСИТЕТА
PROCEEDINGS OF TBILISI UNIVERSITY
T. 186 V.



ВОСТОКОВЕДЕНИЕ
ORIENTAL STUDIES

აღმოსავლეთმცოდნეობა

სარედაქციო კოლეგია


ვ. გაბაშვილი, დ. კაციტაძე, დ. კობიძე, ვ. კოტეტიშვილი, ალ. ლეკიაშვილი
კ. ფალავა, გ. ფუთურძე, ი. შილაკაძე, კ. წერეთელი, ნ. ჯანაშია, ს. ჯიქია.

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

В. Н. Габашвили, Н. Н. Джанашиа, С. С. Джикия, Д. В. Кацитадзе,
Д. И. Кобидзе, В. В. Котетивили, А. С. Лекиашвили, К. К. Пагава,
Г. В. Путуридзе, И. И. Шилакадзе, К. Г. Церетели.

EDITORIAL BOARD

V. Gabashvili, N. Janashia, S. Jikia, D. Katsitadze, D. Kobidze,
V. Kotetishvili, A. Lekiasvili, K. Paghava, G. Puturidze, I. Shilakadze, K. Tsereteli.



აღმოსავლური ფილოლოგია

ერთი ფონეტიკური კანონზომიერებისათვის ძარბულში*

სმარბი ჯიჰია

აღმოსავლურ (არაბული, თურქული, სპარსული) ენათაგან ნასესხებ სიტყვათა ერთი ნაწილი ქართულში იჩენს ფრიად ნიშანდობლივ ფონეტიკურ თავისებურებას, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: ნასესხები აღმოსავლური სიტყვის ანლაუტის $d \text{ ან } t$ დენტალი და უშუალოდ მომდევნო არალაბიალური $a \parallel \ddot{x} \parallel e \parallel i \parallel 1$ ხმოვნიანი კომპლექსი ქართულად გვაძლევს $d \text{ ან } t // \text{ტ} + o$ კომპლექსს, ე. ი., $d \parallel t + a \parallel \ddot{x} \parallel e \parallel i \parallel 1 \rightarrow d // \text{თ} / \text{ტ} + o$. განვიხილოთ შესაბამისი საილუსტრაციო მასალა: 1. დოლენჯი, დოლენჯა, თოლენჯი, დილენჯი ← თურქ., $dilenci \parallel tilenci$ 'მათხოვარი', 'გლახა' (dilen-თურქულში 'თხოვა' ზმნის ფუძე + $ilci$ აფიქსი); ეს ფუძე თურქ. ენებში ყრუ თავკიდურითაც არის ცნობილი = $tilen \rightarrow tilenci$. ქართულში სესხებისას თითქმის ყველგან $di \parallel ti$ - კომპლექსები დო-//თო-ს გვაძლევენ.

$Dilenci \parallel tilenci$ 'მათხოვარი', 'გლახა' ადამიანთა საკუთარ სახელად იხმარებოდა (შდრ. ქართული პერსონული სახელები ასეთივე მნიშვნელობის მქონე ფუძიდან: გლახა, გლახუა, გლახუნა → მგრ. ვახუ, ვახუნია) და სხვა თურქულ ანთროპონიმებთან ერთად (თენგიზი 'ზღვა', ასლანი 'ლომი', ყაფლანი 'ვეფხვი' და სხვ.) დოლენჯიც გადმოვიდა ქართულში ჯერ პერსონულ, ხოლო შემდეგ გვარის სახელად (თურქული წარმომავლობის ანთროპონიმები ქართულში შეისწავლა მ. ჯიქიამ ([1], გვ. 216). „ესეები [ადგილ-მამული] დოლენჯი შვილებს დოლენჯის, ვიგსა და იოთამს იობისათვის მიეცათ“ ([2], გვ. 395) და სხვაგანაც ბევრჯერ). აქედან ჩანს, რომ თურქულიდან ნასესხები ეს სახელი ქართველებს ჯერ მამაკაცთა საკუთარ სახელად გამოუყენებიათ, შემდეგ ამ სახელის საფუძველზე გაჩენილა გვარის სახელიც — დოლენჯიშვილი. დოლენჯის კინობითი ფორმის დოლენჯასაგანაც გვაქვს ნაწარმოები გვარის სახელი დოლენჯაშვილი ([3], გვ. 4), დოლენჯიშვილები აღმ. საქართველოში, კერძოდ გურჯაანში, და სხვაგანაც საკმაოდ ბევრი არიან.

შესაძლებელია ამავე თურქული სიტყვიდან მოდიოდეს თოლენჯი სოფლის სახელი თიანეთის რაიონში (სიმონიანთხევის სასოფლო საბჭო) ([4], გვ. 57). როგორც ითქვამს, თურქულ ენებში სახვებით ბუნებრივია $dilenci$ -დილენჯის ფონეტიკურ ვარიანტად გვქონდეს $tilenci$ -თილენჯი-ც. ti -ს თო-დ ვადაქართულების

* წაკითხულია მოხსენებად საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო სესიაზე 1973 წლის 12 ივნისს (იხ. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო სესია. 12—13 ივნისი, 1973 წელი. მუშაობის გეგმა. თბილისი, 1973).

შედგად თოლენჯი სახელად სოფელსაც შეიძლებოდა დარქმეოდა. ასეთი (მათხოვარ) მნიშვნელობის მქონე სიტყვა სოფლის სახელად სხვაგანაც არსებობს ტურბული. წულუკიძის რაიონია სოფელ მათხოჯის სახელში აქც. შ. მძმს გურმა ექვმიუტანლად დაადგინა კოლხური (ზანური) ძირისა და მორფოლოგიური აღნაგობის სიტყვა მათხოვრის, მთხოველის მნიშვნელობით ([5], გვ. 335). მათხოვარ სახელით სოფელი არსებულა აგრეთვე სამცხე-საათაბაგოში: Dilenci köy (დილენჯი ქოი) 'მათხოვართ სოფელი' ([6], გვ. 574).

უცვლელი ფორმით დილენჯი სიტყვა აღმოჩნდა გურულ დიალექტში შესაბამისი სემანტიკური გადახრით: „დილენჯი 'ზარმაცი', 'გაურჯელი'“ ([7], გვ. 24).

უფრო ადრე გურული მეტყველებისათვის დილენჯი სიტყვა ფიქსირებული აქვს ვუკ. ბერიძეს: „დილენჯი 'მოუხეშავი', 'გაუთლელი'“ ([8], გვ. 11).

2. თოხუმი ← თურქ. takım (تاکيم) 'კომპლექტი', 'მოწყობილობა', çay takımı 'ჩაის ჭურჭელი', yazı takımı 'საწერი მოწყობილობა', iki yatak takımı 'ორი ხელი ლოგინი' ([9], გვ. 787, [10], გვ. 867, [11], გვ. 688) და სხვ. ქართულში, კერძოდ, ქაზიყურ მეტყველებაში თოხუმი იხმარება 'კომპლექტის' მნიშვნელობით: „სამი თოხუმი ფეხსაცმელი“, „ხარაზებში მიღებული სათვალავი ერთეულია ერთი ჯგუფი ფეხსაცმლისათვის, რომელიც შეიცავს №№ 19-31, ე. ი. 11 წყვილს“ ([12], IV, გვ. 353, 481; [13], გვ. 77). თოხუმი (დენტალი თ-ს მომდევნო ა-ს ლაბიალიზებული ფორმა — ta- → თო) ქართულში იხმარება თახუმ-თან ერთად ([12], IV, გვ. 353, 481; [13], გვ. 77). თახუმ-ი თურქულიდან ან აზერბაიჯანულიდან შემოსული დიალექტური ფორმისაა:

თურქულიდან შემოსული ეს თოხუმ-ი (← დიალექტ. taxum) არ უნდა აერიოთ სპარსულ تاخت თოხუმ სიტყვაში, რომელიც ქართულად 'თესლს', 'ჯილაგს', 'ჩამომავლობას' აღნიშნავს ([12], IV გვ. 481; [14], გვ. 152).

3. დოგანაგი || დოღანაგი ([13], გვ. 63—64; [12], III, გვ. 1216; [8], გვ. 11; [15] გვ. 211) ← თურქ. დიალექტური degenek || dāğānāk ([16], გვ. 1400), აზერბაიჯანულ дэјəнəк [← დიალექტური дəкəнəк ([17], გვ. 125), 'ჯოხი', 'კეტი', 'ხელკეტი'. თურქულიდან ან აზერბაიჯანულიდან ნასესხები დოგანაგ/დოღანაგ სიტყვის ქართული ფონეტიკური ტრანსფორმაცია სავსებით კანონზომიერია. ნასესხები სიტყვის ანლაუტის (დენტალი + არალაბიალური (dā || de) კომპლექსი გადმოცემულია (დენტალი + ლაბიალური) დო- მარცვლით, ხოლო მომდევნო მარცვლები მ — ქართულისათვის კანონზომიერი ა ხმოვნით (მდრ. აზ-ლი eəhəp → ქ. საარი, თურქ. həğbə → ქ. 'აბგა', ორდაგ ← ördäk ([18], გვ. 95) და სხვ. დოღანაგ სიტყვის ვარიანტში გ-ს გასპირანტებაც ქართულ ნიადაგზე უნდა იყოს მომხდარი.

თურქულსა და აზერბაიჯანულში dāğānāk საერთოდ 'ჯოხს', 'ხელკეტს' ნიშნავს. ქართულში კი დავიწროებულია სიტყვის მნიშვნელობა და იგი ნიშნავს „ტყავის მოქნა-გამოყვანაზე სახმარ კაბიან ჯოხს“ ([13], გვ. 64; [12], III, გვ. 1216). იმერეთშიაც მხოლოდ სპეციალიზებული მნიშვნელობა აქვს: „ბოხობი ქუდის სახელავი ჯოხი“. ვ. ბერიძეს ამ სიტყვასთან შესადარებლად მოტანილი აქვს (სომხური დამწერლობითაც) დაღანაკი, რომელიც, ვფიქრობთ, სომხურშიც თურქული ენებიდან უნდა იყოს ნასესხები ([8], გვ. 11).

4. თორნე || თონე ← არაბ. تونر || taunūr 'Backofen' ([19], გვ. 87). გარდა იმისა, რომ არაბულის ta- მარცვლით დაწყებულმა სიტყვამ ქართულში თო- მოგვცა, შეიკვალა აგრეთვე საერთოდ მისი ფონეტიკური აღნაგობაც: მოხდა ნ და რ-ს მეტათეზისი, სიტყვის მეორე ვარიანტში რ სავსებით გამოვიარდა, ხოლო

სიტყვის ორთავე ვარიანტის ბოლოში გაჩნდა ე სმოვანი. თურქულსა და აზერ-
ბაიჯანულშიც შეცვლილია ეს სიტყვა: tandur || tandır და тѣндур ([9], გვ. 834;
[17], გვ. 333) არაბული ორი n თანხმოვნის დისიმილაციით (თუმცა n თანხმოვნის
ნის შემდეგ d დენტალის გაჩენაც ხშირია: შდრ. ირან. پندیر → აზერბ. пендир
'ყველი'). შესაძლებელია ეს სიტყვა ქართულში სხვა რომელიმე ენის (მაგალითად,
სპარსულის ან ერთ-ერთი არაბული დიალექტის) გზით შემოვიდა. შემსედინ
საში tanur-ს სპარსულიდან მომდინარედ და შემდეგ არაბიზებულ სიტყვად მიიჩ-
ნევს ([10], გვ. 446), მაგრამ ta- → თო-უთუოდ ქართულის ნიადაგზე უნდა იყოს
მომხდარი.

5. დოსტაქარი ← სპ. دستار-დასთქარ. „დოსტაქარი იგივეა, რაც დას-
ტაქარი—ქორუჯი, ... დოსტაქრობს, დოსტაქრობა, დოსტაქრულ“ ([12], III, გვ.
734, 1214,). სპარსულიდან ეს სიტყვა თავდაპირველად შემოსული უნდა იყოს
დასთაქარ-ის ფორმით. ასეა ეს სიტყვა რუსთაველთან ([20], გვ. 298), ს.-ს.
ორბელიანთან—„წყლულის მკურნალი, ჯარა“ (→ არაბ. (جُر) მაგრამ შემდგომ
ხანებში, განსაკუთრებით ჩვენი დროისათვის გაბატონდა დ თანხმოვნის მომდევნო
ხმოვნის გალაბილიზებული ფორმით—დოსტაქარი. ასე იყო სახალხო-სასაუბ-
როსა და სალიტერატურო ენაში. თბილისის უნივერსიტეტის დაარსების შემდეგ
სპეციალურ დისციპლინებში ტერმინების დადგენისას საბოლოოდ მიიღეს კვლავ
ძველი დასტაქარი. მაგრამ კანონზომიერად გადასხვაფერებულ „დოსტაქარს“
ისე მტკიცედ ჰქონდა ფეხი გამდგარი, რომ კვლავ „დოსტაქარი“ იხმარებოდა და
„ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ საჭირო გახდა გაფრთხილება:
„[დოსტაქარი კი არა] დასტაქარი [დოსტაქრობა, დოსტაქრობს, დოსტაქ-
რული კი არა] დასტაქრობა, დასტაქრობს, დასტაქრული“ ([21], გვ. 390).

6. შემდეგი მაგალითია თოქალთო, სიტყვა, რომლის თავკიდური თო-
მარცვალი მიღებულია tākalti ან teğelti ნასესხები სიტყვისაგან. ეს სიტყვა
ქართულში რამდენიმე ვარიანტით გვაქვს. „ქართული ენის განმარტებით ლექსი-
კონში“ ასე წერია: „თოქალთო (სპარს. თქაღლთუ)—ცხენის ზურგზე (უნაგირის
ქვეშ, საოფლეზე) დასაფენი სქელი (ჩვეულებრივ ტყავადაკრული) ქეჩა. [ტაიქს]
ეფინა თოქალთოდ ვეფხვის ტყავი (ნ. ლორთქიფანიძე)“ ([12], IV, გვ. 477;
[22], გვ. 235), „თექალთო იგივეა, რაც თოქალთო“ ([22], გვ. 385), „ქართუ-
ლი ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ გვაქვს—თოქალთო (||თაქალთო)
([21], გვ. 435). თითქმის ასეთივე ფორმებია ქართულ დიალექტებში—თექალთო-ე,
თიქალთო-ე, თექალთო, თოქალთო ([15], გვ. 247, 249). კუთხეების მიხედვით ეს
ვარიანტები უფრო დაზუსტებით ჩამოთვლილი აქვს ისტორიკოსს დიმ. ბაქრაძეს:
„ქართლ-კახეთისათვის—თექალთო, ხოლო იმერეთ-გურიასა და აჭარა-ქობულეთი-
სათვის—თოქალთო“ ([23], გვ. 166).

სპარსულ-რუსულ ლექსიკონებში თოქალთო სიტყვა تکتل - tākaltu ფორ-
მითაა წარმოდგენილი ([14], გვ. 177; [24], გვ. 391; [25], გვ. 129). ქართული
თოქალთო || თექალთო თავისი ფონეტიკური აღნაგობით ახლოსაა სპარსულთან
და ამდენად შეიძლება დაეუშვათ, რომ ეგ სიტყვა ქართულში სპარსულის მეშვეო-
ბით უნდა იყოს შემოსული (რა თქმა უნდა, იმის გათვალისწინებით, რომ პირვე-
ლი მარცვლის ხმოვანი ქართულ ნიადაგზეა ლაბიალიზებული).


თოქალთო სიტყვის სპარსულ-ქართული ფონეტიკური ვარიანტები რამ-
დენადმე იმის საფუძველსაც კი იძლევა, რომ tākalt-i თურქული წარმომავლობის
ძირებისაგან წარმოქმნილ სიტყვად ვცნობ. საქმე ისაა, რომ tākalti-ში შეიძლება
იყოს tākā || teke სიტყვა, რომელიც თურქულში არაბულიდან ნასესხები tākā-

და ნიშნავს, სხვათა შორის, 'ბალიშს', 'საყრდენს' ([9], გვ. 1021; [35], გვ. 370), სიტყვის მეორე ნაწილი კი თურქული დამხმარე სიტყვა *alt* 'ქვეშ', 'ქვემოთ' (ნიშნავს იყოს. ამრიგად, ჩვენ გვექნება *tākā* ან *teke*+*alt*-ი, რომელიც ნიშნავს 'სხვაგვარის) ბალიშის ქვემო (დასაფენი)' და ეს არის სწორედ თოქალთო. *tekealt* კომპოზიტმა დროთა განმავლობაში, საფიქრებელია, მოგვცა *tekealt*→*tekelti* სიტყვა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა, რომ *alt* დამხმარე სიტყვითაა წარმოდგენილი ანალოგიური სიტყვა აზერბაიჯანულში: *jəhər altı* ([17], გვ. 194) 'подсдельник', 'чепрак' ([26], გვ. 868), *потник* ([26], გვ. 309). ამ ჩვენი ჰიპოთეზის სასარგებლოდ ლაპარაკობს აგრეთვე ის ფაქტიც, რომ როგორც სპარსულ *tākāltu*||*takālti*'-ში, ისე ქართულ თაქალთო||თოქალთო-ში *teke*||*tākā* სიტყვისეული სრულფასოვანი ქ(k) ყრუ თანხმოვანი გვაქვს. მაგრამ თითქმის ყველა თურქი ლექსიკოგრაფის, მათ შორის შემსედინნ სანშის მიერ მოწოდებული ამ სიტყვის დაწერილობა *tekelti*-ს აქ წარმოდგენილ ეტიმოლოგიას მიანცდამინც მხარს არ უჭერს. ეს დაწერილობა (და, ალბათ, წარმოთქმაც *تکتی*||*teğelti*→*teğelti*'-ა ([10], გვ. 430; [28], გვ. 3785; [11], გვ. 707). შემსედინნ სანშის *teğelti* სიტყვა დაკავშირებული აქვს *تگت* -*tegel*||*teğel*||*teyel*-თან, რაც 'ლამბს' ნიშნავს. *teğellemek* 'ლამბვა'→*teğelti* 'ნალამბი(?)', 'დალამბული(?)'. თოქალთოს ქეჩაც, შემსედინნ სანშის მიხედვით, დაბამული ჩასაცემლივით ილამბებოდა და *teğelti teğellemek* (ახლა-*teyellemek*) 'ლამბვა' ზმნის ფუძიდან წარმოქმნილ სიტყვად მიაჩნია ([10], გვ. 430). აქ შეიძლება დაისვას საკითხი: თუ სიტყვის ამოსავალია *tegel*-||*teğel*-||*teyel*- 'ლამბვა' ზმნის ფუძე, რომლის ყველა ვარიანტში მეღერი ფ თანხმოვანი გვაქვს, რას უნდა გამოეწვია ქართულსა და სპარსულ (თოქალთო||*tākāltu*) სიტყვებში გ-ს გაყრუება და ისიც ხაოვნებს შორის. ეს ძნელი ასახსნელია. ნაკლებად მოსალოდნელია, მაგრამ შეუძლებელიც არ იქნებოდა გვევარაუდა აქ ძველი *تکتی* სიტყვის გააზრიანება *teğelti*||*teğelti* სიტყვად.

ამრიგად, ჩვენში თოქალთოდ შემოსულ, სპარსულში თექელთოდ გაფორმებულ სიტყვას თურქული *teke*(||*tekke*+*alt*-ი უდევს საფუძვლად თუ *teğellemek*||*teğellemek*→*teğelti* ჯერ კიდევ დადგენილად ვერ ჩათვლება. საჭიროა დაიძებნოს უფრო ძველი და თავდაპირველი ფორმები ამ სიტყვისა ან მისი კომპონენტებისა. არ არის მართებულო, რომ ზოგიერთი ირანელი ლექსიკოგრაფი (მაგალითად, ნაფისი, მ. მონინი და სხვ.) *tākāltu*-ს სპარსულ სიტყვად მიიჩნევენ (სპარსულად თოქალთოს *نامآدزین*||*nāmādzin* ჰქვია ([24], II, გვ. 665). თურქულად (ოსმალურად) თვლის მას ვ. რადლოვი ([9], გვ. 1021), აგრეთვე G. Doerfer-ი ([27], გვ. 531), თუმცა ამ უკანასკნელს სიტყვა მონღოლურიდან ნასესხებად მიაჩნია თურქულში.

7. თოლმაჯი←თურქ. *tilmaç*||*dilmaç*. „თოლმაჯი [თურქ. თილმაჩ] ძვ. თარჯიმანი... [ოფიცერმა] თოლმაჯის შემწეობით შეატყობინა, ა. ყაზბ.“ ([12], IV, გვ. 471). „თუმცა თოლმაჯად (-თარჯიმნად) ირიცხებოდა, მაგრამ საქმიოთ-კი დიდი ბატონის ბაზიერობას აღასრულებდა. (ა. ყაზბ.“ ([12], I, გვ. 950). ქართულში ეს სიტყვა თოლმაჩ ფორმითაც არის: „თოლმაჩი—მთარგმნელი“ ([22], გვ. 234). ცნობილია, რომ თურქულ ენებში *til*||*dil*—'ენა', ხოლო *maç* სიტყვის წარმომქმნელი აფიქსია, ამ შემთხვევაში პროფესიის, საქმიანობის აღმნიშვნელი სიტყვისა (შდრ. თურქული *siğirtmaç*→*siğir* 'ძროხა', 'ხარი' +(t)maç 'მსხვილი რქოსანი საქონლის მწყემსი').

ამრიგად, ქართულში ნასესხებ თოლმაჯ||თოლმაჩ სიტყვაშიც დასტურდება თურქული *tilmaç*-ის *ti*-მარცვლის უეჭველ თოდ გადმოსვლა. მაგრამ აქ საინტე-



რესო აღინიშნოს, რომ მოცემული თურქული სიტყვა ასეთივე ფონეტიკური თავისებურებით (თავიადური ti-||di-, მარცვალი→to-||do-) ფრიად გავრცელებულია ზოგიერთ სხვა ენაშიც, მათ შორის, ევროპულ ენებშიც. აქ საინტერესო იქნება პროფ. ნ. დმიტრიევის შრომიდან მოვიტანოთ ის ადგილი, სადაც ჩამოთვლილია tilmaç სიტყვის სხვადასხვა თურქულ ენაში ჩამოყალიბებული ვარიანტები, აგრეთვე ევროპული ენების მონაცემები:

Толмач (IV, 729). У Ибн-Муханны tilmaç, в «Codex Cumanicus» тилмаç, алт. тилмеш, тат. телмач, азерб. дилмандж, тур. dilmaç, туркм. дилмач, якут. тылбас (ср. также венг. tolmaçs, рум. tâlmacin. нем. Dolmetsch). Слово восходит к корню тил|тел|дил 'язык' и означает 'переводчик', 'истолкователь' ([29], гл. 547).

ფრიად ცნობილია თურქოლოგმა, უნგრელმა აკადემიკოსმა ი. ნემეთმა ვრცელი გამოკვლევა უძღვნა თოლმაჩ სიტყვას ([30], 1-8). ამ მეტად საინტერესო ნაშრომში მოცემულია ვრცელი ისტორია სიტყვისა, უარყოფილია უმართებულო შეხედულებები ამ სიტყვის წარმომავლობის შესახებ, ეჭვიმუტანლად გარკვეულია, თუ თურქულ ენათა რომელი ჯგუფიდან უნდა გავრცელებულიყო თოლმაჩ სიტყვა და სხვ. გამოკვლევაში მოცემულია აგრეთვე ზუსტი ცნობები ამ სიტყვის ფონეტიკური აღნაგობის შესახებ სხვადასხვა თურქულ ენაში. ავტორი, სხვათა შორის, ადგენს, რომ დასავლურ-ყივჩაყური ჯგუფის თვით თურქულ ენებში ამ სიტყვის პირველ მარცვალში ბაგისმიერი ხმოვნებიანი ვარიანტებიც მოიპოვება. მაგალითად, პაჭანიურში—tulmaç, ყუმანურში—tolmaç, ყარაიმულში აგრეთვე tolmaç ([30], გვ. 2). საესებით შესაძლებელია, რა თქმა უნდა, რომ ეს სიტყვა ბაგისმიერი ხმოვნით გადასულიყო რუსულსა და სხვა არათურქულ ენებში სწორედ ამ დასავლურ-ყივჩაყური თურქული ენებიდან. ამდენად რუსულსა და სხვა ევროპულ ენებში „ტოლმაჩ“ (ე. ი. ო-ნიანი) ფორმა რაიმე ფონეტიკური ფაქტორის შედეგი არ არის.

აქ წარმოდგენილი ფონეტიკური თავისებურების (ti-||di-→to-||do-) შესაბამისად კი თურქულ tilmaç-ს ქართულში სწორედ თოლმაჯ-||თოლმაჩი უნდა მოეცა და ასეც არის. საქმე ისაა, რომ ისტორიული და გეოგრაფიული თვალსაზრისითაც ნაკლებად მოსალოდნელია, რომ თოლმაჯ|თოლმაჩ სიტყვა ო-ნიანი ფორმით შემოსულიყო ქართულში დასავლურ-ყივჩაყურ ჯგუფში შემავალი რომელიმე თურქული ენიდან. ქართველებთან უშუალო კონტაქტის მქონე თურქული ტომები ანატოლიელი (ყოფილი ოსმალო) თურქები, აზერბაიჯანელები და ყარაჩა-მალყარები. ქართველებთან გამეზობლებულ ამ ტომთა არც ერთ ენაში ო-ნიანი ფორმა არ არის: ყარაჩაულ-მალყარულია—ТЫЛМАЧ ([31], გვ. 406, 628), თურქეთის თურქული - dilmaç ([11], გვ. 202) და აზერბაიჯანული—ДИЛМАЧ ([17], გვ. 132). ამდენად შეიძლება ვთქვათ, რომ ქართულის მიერ უთუოდ ყარაჩაული ენიდან სესხებისას მოხდა ТЫ-→то-(ТЫЛМАЧ→тоლმაჩი||თოლმაჯი). ამასთანავე ერთად ირკვევა ისიც, რომ ხეცსა და, საერთოდ, მთაში ყარაჩაულ-თურქულიდან შემოსულა თოლმაჯ სიტყვა. მას ხმარობს ალ. ყაზბეგი (მაგალითები ის. აქვე ზემოთ). აქ, სხვათაშორის, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მოხეური კილოსათვის დადასტურებულ თოლმაჯს 'თარჯიმანი', მოენე', ამხსნელის' მნიშვნელობა უფრო ექნება, ვიდრე 'თვალმარჯვესი' ([15], გვ. 25). თოლმარჯვე||თვალმარჯვე თოლმაჯად არ უნდა გამარტივებულიყო.

ამასთანავე ერთად აქვე უნდა ითქვას, რომ tilmaç სიტყვის აქ მოთხრობილი თავდაცისავლის ფონზე არ შეიძლება დავეთანხმოთ „შაპ-ნამე ანუ მეფეთა

წიგნში“ (თბ. 1916, გვ. 856) გამოთქმულ მოსაზრებას, რომ „თილამაჯი — تيلاماجي — მთარგმნელი, თარჯიმანი... სპარსულ-თათრულშიაც ნასესხებია ვერძნულ-ლითვან, შეად. Dolmetscher“. თოლმაჩ-თილმაჩ-დილმაჩ-ის თურქული წარმოშობა დიდი ხანია საყოველთაოდ აღიარებულად მიიჩნევა.

ta → to-ს მაგალითები კიდევ შეიძლება მოიტანოს კაცმა, მაგალითად, „ტო. პანჩა — ლაზჩა ფიშთოვიენ დო თურქჩა ტოპანჩა (‘ტოპანჩა ლაზურად ფიშტოა და თურქულად ტოპანჩა’) ([32], გვ. 50). ტოფანჩა აქ თურქ. tabanca-ა (‘დამბანა’), რომლის ta- მარცვალი ლაზურში ტო-დ არის წარმოდგენილი.

აქ მოტანილი მაგალითებით, როგორც ვხედავთ, დასტურდება ანლატში დენტალი თანხმოვნების მომდევნო არაბაგისმიერი ხმოვნების გაბაგისმიერება ქართულში. ამ მიმართულებით რომ სპეციალური კვლევა წარიმართოს, შეიძლება ასეთი მასალა მეტიც დაიძებნოს და ამ ფონეტიკური თავისებურებების არეც გაფართოვდეს და მან თავი იჩინოს არა მარტო დენტალ თანხმოვნებთან. მაგალითად, რ. მეკლანთან ჩვენ გვაქვს „გომეში s. გამეში“ ([33], გვ. 135), „საფირი, — რონი (gr) Saphiron“ → „სოფირი s. საფირი“ ([33], გვ. 424, 451) და სხვ.

აქ წარმოდგენილ ფონეტიკურ თავისებურებასთან დაკავშირებით შეიძლება მოვიტანოთ აგრეთვე მაგალითების მთელი რიგი, სადაც ამავე ხასიათის ფონეტიკური ზოგენა ვლინდება, მაგრამ ჩვენ მანც, ყოველი შემთხვევისათვის, ცალკე გამოყავით ასეთები, რადგანაც აქ შეიძლება ლაბიალიზაცია შეპირობებული იყოს პოზიციურად: დოვლათი ([12], III, გვ. 1203 || → არაბ. دولت || davlat → თურქ. devlet, მაგრამ აზერბაიჯანულში — dövlät. აზერბაიჯანულისათვის დამახასიათებელია v თანხმოვნის წინ ღია ხმოვნის გაბაგისმიერება. თ. av ‘ნადირობა’ → აზ. ov, თ. tavşan ‘კურდღელი’ → აზ. dovşan. ასევეა თ. dövlät → devlet აზ. dövlät. მაგრამ ქართულში ეს კანონი არ მოქმედებს და ამდენად, ვფიქრობთ, აქაც da → do-უნდა შედიოდეს ძალაში. დიალექტებში დოლათი-ც გვაქვს ([34], გვ. 141). ფშაურსა და სხევსურულში დავლათიცაა ([12], III, გვ. 303) და დავლა-ც იგივე სიტყვაა ([15], გვ. 171). ასეთივე ვითარებაა დოვრან || დორან სიტყვასთან → არაბ. ادوار || davran ([35], გვ. 570) → თურქ. devran ([11], გვ. 197), აზერბ. дөвран ([36], გვ. 157), ‘ეპოქა’, ‘პერიოდი’, ‘ბედი’, ‘ბედ-ილბალი’, ‘განგება’, ‘ბედნიერი ცხოვრება’ და სხვ. ([12], III, გვ. 1204, 1213). ქართულშია დოვრანი და (გ-ს რედუქციითაც) დორანი ‘ბედი’, ‘ილბალი’ („დორანში ჩავარდება — კარგი ბედი მოუვა“), „დო[რ]ანი დაეცემა = ბედი ეწევა, ბედში ჩავარდება (გამდიდრდება)“ ([12], III, გვ. 285).

განხილულ ფონეტიკურ მოვლენაზე მსჯელობისას მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოებაც, რომ იმავე ენებიდან ნასესხებ და ისეთივე ფონეტიკური აღნაგობის მქონე სიტყვათა მთელ რიგში ეს წესი არ ვლინდება (მაგალითად: დავთარი, ტავარჯუხი, ტამარი ტამაზლუხი ([12], III, გვ. 300; VI, გვ. 1234, 1240), თადარიჭი, თავაზი, თაბახი და სხვ. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს წესი დამახასიათებელი იყო გარკვეული ენობრივი კოლექტივისათვის და, შეიძლება, ენათა კონტაქტების გარკვეული პერიოდისათვის.

სანტერესოა აგრეთვე ისიც, რომ და- → დო- თავს იჩენს ხოლმე ზოგჯერ თვით ქართველურ ენათა და დიალექტთა ურთიერთმიმართებაშიც. მაგალითად, „დოჩხაური“... (გურ.) — დიდი ცეცხლი. „ივანემ... ისეთი «დოჩხაური» დაანთო, რომ ერთი საყენის სიმალღეზე აღიოდა ალი (ე. ნინოშვილი)“ ([12], III, გვ. 1218). ცხადია, რომ დოჩხაური გურულში შეხიზნული მეგრული დაჩხირ (= ცეცხლი) სიტყვაა, რომლის თავკიდური და- მარცვალი გურულში დო-დ არის წარმო-

დგენილი (ზღრ. აგრეთვე „დოჩხაური“ — კარგად დანთებული ცეცხლი. აქვე ცეცხლი სწორეთ კაი დოჩხაურია [Ср. мингр. დოჩხირი огонь (137), გვ. 18). ასევე: ზ. აჭარული „ტაკვეცი — ოდნავ მოღუნული მსხვილთავე კეტე იქვე გვხვდება ტოკვეცის ფორმით ([15], II, გვ. 117, 126), ტაში → ტოში (ხევსურ., ფშ., ა. შანიძე, ვაჟა-ფშ. მც. ლექსიკონი ([15], II, გვ. 128).

ამრიგად, აღმოსავლურ ენათაგან ნასესხებ რიგ სიტყვათა პირველი მარცვლის $t||d+a||\ddot{a}||e||i$ ქართულში გადმოდის თ||ტ||დ+ო-დ. ასეთი ტიპის ზოგი ნასესხები სიტყვა ქართულ ენასა და მის დიალექტებში იხმარება ეტიმონისეული ან ტრანსფორმირებული ფორმით (დასტაქარი||დოსტაქარი, დავლათი||დოვლათი და სხვ.). ხსენებული ფონეტიკური მოვლენა აღინიშნება აგრეთვე თვით ქართულ და ქართველურ სიტყვებშიც (დაჩხირი → დოჩხაური, ტაში → ტოში). მოტანილია რამდენიმე მაგალითი, როდესაც მსგავსი ფონეტიკური მოვლენა თავს იჩენს აგრეთვე არადენტალურ თანხმოვნებთანაც (გამეში → გომეში).

საილუსტრაციო მასალა, შეიძლება ითქვას, შემთხვევითი ხასიათისა იმდენად, რამდენადაც მე ამ მხრით სპეციალური ძიება არ მიწარმოებია. ეს ის მასალაა, რომელიც მე ჩემს პრაქტიკაში შემხვდა და აღვნიშნე. ამ მიმართულებით სპეციალური მუშაობის წარმართვა, ვფიქრობთ, უფრო გაამრავლებს შესაბამის მასალებს, რაც ფონეტიკის სპეციალისტებს მეტ საშუალებას მისცემს მოვლენის მეცნიერული საფუძვლების დასადგენად. აღნიშნული კანონზომიერების შესწავლის გაღრმავებას მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე მომავალ ეტიმოლოგიურ ძიებათათვის ქართულსა და ქართველურ ენებში.

თურქოლოგიის კათედრა

ლიტერატურა

1. მ. ჯიქია, თურქული წარმოშობის ანთროპონიმები ქართულში, აღმოსავლური ფილოლოგია, III, თბილისი, 1973.
2. საქართველოს სიძველენი, ტ. II, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, თბილისი, 1909.
3. „კომუნისტი“, ვაზეთი, 6, X, 1967.
4. საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, თბილისი, 1966.
5. შ. ძიძიგური, მეგრული სუფიქსის კვალი ქართულში, იმერულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, თბილისი, 1946.
6. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, III, თბილისი, 1958.
7. ქართველურ ენათა ლექსიკა, I, გ. შარაშიძე, გურული ლექსიკონი, თბილისი, 1-38.
8. ვ. ბერიძე, სიტყვის-კონა, იმერულ და რაჭულ თქმათა, პეტერბურგი, 1912.
9. В. В. Радлов, Опыт словаря тюркских наречий, III, С.-Петербург, 1911.
10. 1317 'شامی . قاموس ترکی . در سعادت'
11. М. А. Гакау, Türkçe Sözlük, Ankara, 1966.
12. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I, თბილისი, 1950, ტ. III, თბილისი, 1953, ტ. IV, თბილისი, 1955.
13. სტ. მენთეშაშვილი, ქიზიურთი ლექსიკონი, თბილისი, 1943.
14. М. А. Гаффаров, Персидско-русский словарь, I, Москва, 1974.
15. ალ. ლლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, I, თბილისი, 1974, II, თბილისი, 1975.
16. Türkiye'de Halk Ağzından Derleme Sözlüğü, IV, Ankara, 1969.
17. X. A. Азизбеков, Азербайджанско-русский словарь, Баку, 1965.
18. ც. აბულაძე, ს.-ს. ორბელიანის ლექსიკონის სიტყვანის თურქული თარგმანები, თბილისი, 1968.
19. H. Wehr, Arabisches Wörterbuch, Leipzig, 1956.
20. იუსტ. აბულაძე, რუსთველ-აგური ნაშრომებო, გამოსცა ი. მეგრელიძე, თბილისი, 1967.

- 21 ვ. თოფურია და ივ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბილისი, 1968.
22. ალ. ნეიმანი, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბილისი, 1961.
23. Дм. Бакрадзе, Археологическое путешествие по Гурии и Адчаре, СПб., 1878.
24. Персидско-русский словарь, под редакцией Р. Я. Рубинчика, I, Москва, 1970.
25. Б. В. Миллер, Персидско-русский словарь, Москва, 1953.
26. Русско-азербайджанский словарь, II, Баку, 1959.
27. G. Doerfer, Türkische und mongolische Elemente im Neupersischen, II, Wiesbaden, 1965.
28. XIII Yüzyıldan beri Türkiye Türkçesiyle Yazılmış Kitaplardan Toplanan Tanıklarıyla Tarama Sözlüğü, V. Ankara. 1971.
29. Н. К. Дмитриев, О тюркских элементах русского словаря. Строй тюркских языков, Москва. 1962.
30. J. Nemeth, Zur Geschichte des Wortes *tolmac* 'Dolmetscher', Acta Orientalia Hung, т. VIII, Fasc. I, Budapest, 1958.
31. Русско-карачаево-балкарский словарь, Москва, 1965.
32. ა. რ. ხიჭობავა, ქანურის გრამატიკული ანალიზი ტექსტებითურთ, თბილისი, 1936.
33. R. Meckelein, Georgisch-deutsches Wörterbuch, Berlin u. Leipzig, 1928.
34. ქ. ძოწენიძე, ზემოაშურული ლექსიკონი, თბილისი, 1974.
35. Л. Будагов, Сравнительный словарь турецко-татарских наречий, т. I, СПб., 1869.
36. Эрб ва фарс сөzləri лүғəти, Бақы, 1968.
37. ილია ქეთხია, სიტყვის-კონა, სპბ., 1910.

С. С. ДЖИКИА

ОБ ОДНОЙ ФОНЕТИЧЕСКОЙ ЗАКОНОМЕРНОСТИ В ГРУЗИНСКОМ

Резюме

В статье прослежена характерная фонетическая особенность, проявляющаяся в заимствованиях из восточных (турецкого, персидского, арабского) языков в грузинском. В заимствованных словах, имеющих в анлауте дентальные *t*, *d* с нелabiальным гласным *a*, *ä*, *e*, *i*, первые слоги трансформируются в *to-*, *do-* (тур. *dilenci* → დოლენჯი — *dolenci*, арабск. *tannur* → თორნე — *torne*, перс. دستکار → *dästkar* → დოსტაქარი — *dostakari* и др.)

S. JIKIA

ON A CERTAIN PHONETIC REGULARITY IN GEORGIAN

Summary

The paper deals with a characteristic phonetic peculiarity observed in loan words from Oriental (Turkish, Persian, Arabic) languages in Georgian.

In loan words containing the dental *t*, *d* with the unrounded vowels *a*, *ä*, *e*, *i* in anlaut the initial syllables become transformed into *to-*, *do-* (Turk. *dilenci* → დოლენჯი — *dolenci*, Arabic. *tannur* → თორნე — *torne*, Pers. دستکار → *dästkar* → დოსტაქარი — *dostakari*, etc.).

რიტმის საკითხი ალ-’ურმავეს ტრაქტატში

ენიკო ანთიძე

კლასიკური არაბული პოეზია და მუსიკა ერთმანეთთან განუყოფელ კავშირშია. ძველი პოეტები მუსიკოს-შემსრულებლებიც იყვნენ. პოეზიისა და მუსიკის ერთიანობას მისი ძირითადი კომპონენტი რიტმი (al—’iqā’) განაპირობებდა. იგი საფუძველია როგორც ლექსის, ასევე მუსიკალური ნაწარმოების. როგორც დ. გინცბურგი აღნიშნავს, არაბული პოეზია წარმოადგენს არაბული ენის შინაგანი წყობის თავისებურებათა ბრწყინვალე შეხამებას მუსიკასთან ბუნებრივ რიტმზე დაყრდნობით ([1], გვ. 97).

არაბულ მუსიკათმცოდნეობაში VII საუკუნის მეორე ნახევრისათვის რიტმი საბოლოოდ ჩამოყალიბებულია. IX-X სს-ში შეინიშნება მუსიკალური რიტმის მრავალფეროვნება. H. G. Farmar-ის მიხედვით, რიტმთა რაოდენობა XVI საუკუნისათვის 30-მდე აღწევს ([2], გვ. 451).

არაბებს უკავშირდება რიტმული მუსიკის შეტანა დასავლეთ ევროპაში (VIII-X სს). ამ პერიოდის ევროპულ მუსიკალურ ლიტერატურაში დადასტურებული ახალი ტერმინი hocketus, hoquetus, ეჭვგარეშეა არაბული ’iqā’āt-ის სახეცვლილება. იმ დროს, როდესაც არაბები რ გრძლიობას იცნობდნენ, ევროპული მუსიკის თეორიაში მხოლოდ ორი სახეობა longa და brevis დასტურდება ([3], გვ. 17).

რიტმების მრავალფეროვნებასა და მათ დამუშავებას ეძღვნება სხვადასხვა პერიოდის არაბ ავტორთა ფუნდამენტური ნაშრომები: ალ-ხალილი (გარდ. 791 წ.) — كتاب الإيقاع, ალ-ქინდი (გარდ. დაახლ. 874 წ.) — رساله في الإيقاع, ალ-ჭარზბი (X ს.) — كتاب في أمصاء الإيقاع, იბნ-სინა (XI ს.) — رسالة الموسيقى, ალ-’ურმავენი (XIII ს.) — كتاب الشرفية და სხვა.

რიტმს არაბი მუსიკის თეორეტიკოსები სხვადასხვაგვარად განმარტავენ. იბნ-სინას ინტერპრეტაციით რიტმი წარმოადგენს დროის პერიოდის განსაზღვრულ გაზომვას. თუ იგი აქლერდება, რიტმი მელოდიურია, ხოლო როდესაც იგი მოწყესრიგებულ ენას ქმნის, რიტმი პოეტურია ([4] გვ. 33).

’იხვან საფსს წარმომადგენელთა თქმით სიმღერა მელოდიისაგან შედგება, მელოდია ბგერებისაგან, ბგერები კი რიტმში აისახება ([4], გვ. 33).

მუსიკალური რიტმებს ეძღვნება XIII ს-ის არაბი ავტორის ალ-’ურმავენი ტრაქტატის “ كتاب الادوار ”, XIII თავი.

ავტორი გვაძლევს რიტმის შემდეგ დეფინიციას: რიტმი დარტყმითა ერთობლიობაა, რომელთა შორის განსაზღვრული დროის პერიოდებია. მათ აქვთ თანაბარი სიდიდის წრეები. დროის პერიოდებისა და წრეების თანატოლობა ბუნებრივი საზომით მიიღწევა განსაკუთრებულ წერტილებში. ამასთანავე ხაზი ვაესმის კავშირს ლექსითწყობასა და მუსიკალურ რიტმებს შორის: „ისევე, როგორც პოეზიის

მეტრის განსხვავებული ფორმები და განსხვავებული ზომები, მუსიკალური რიტმებიც საჭიროებენ მეტრულ საზომს“.

არაბულ მუსიკათმცოდნეობაში საკმაოდ დიდი ხნის წინათ იყო დამკვიდრებული მუსიკალური რიტმის საზომის უმცირესი ერთეული. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს ალ-ფარაბის სიტყვები: „მისი საზომი უნდა იყოს დროის უმცირესი პერიოდი ტონების დასაწყისებს შორის“ ([5], გვ. 127).


ალ-’ურმაგნსთან რიტმული ყალიბი მოცემულია წრეებში (da’irat), რომელთა დროის პერიოდები თანაბარია. წრეს ქმნის დარტყმათა გარკვეული რაოდენობა, ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან: ზოგი მათგანი ძლიერია, ზოგი—არა. ავტორის აზრით, „რიტმულ წრეთა დროის პერიოდების თანატოლებისათვის აუცილებელია ოდენობა, რომლითაც იგი გაიზომება; ამას ქმნის ძლიერი დარტყმა, რომელიც მონაცვლეობს ბუნებრივად და არ მიიღწევა ნაძალადევად და მონდომებით“.

რიტმული კომპონენტი, რომელიც წრეს ქმნის, ოთხი სახისაა. მათთვის ავტორი შემდეგ ნიშნებს იყენებს: საკილ — $\bar{\top}$, .. ხაჭიჭ — ب ვათად — ج , მცირე ჭავსილი — د .

არაბულ პოეზიაში მიღებულ f’1 ძირიდან ნაწარმოები მნემონიკების მსგავსად, მუსიკალური რიტმების გადმოსაცემად თეორიულ პრაქტიკაში მიმართავენ tan ძირისაგან ნაწარმოებ მნემონიკებს. ალ-’ურმაგნ არ მსჯელობს უმცირესი რიტმული ერთეულების შესახებ; წინამორბედ ავტორებთან კი შემდეგი ვითარებაა:


იბნ-სინა და ალ-ფარაბი მუსიკალური რიტმის უმცირეს ერთეულად ta-ს მიიჩნევენ, რასაც უნდა ეწოდოს „მარტივი დრო“. მას აღარებენ პერიოდს ტრელის ორ მეზობელ ბეგრას შორის (როდესაც მათ შორის სხვა ბეგრის ჩამატება შეუძლებელია); იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი პულსაციის ჩამატება შეიძლება, გვაქვს „რთულ-მარტივი დრო“, ორი პულსაციის ჩამატებისას „მარტივ-რთული დრო“, სამისა კი „რთული დრო“. ეს უკანასკნელი არის ყველაზე გრძელი პერიოდი (რიტმული ერთეული), რომელიც ადამიანს შეუძლია აღიქვას ([4] გვ. 36).

თუ დავუშვებთ, რომ მოკლე მარცვალს შეესაბამება მერვედი გრძლიობის ნოტა, ხოლო გრძელს მეოთხედი გრძლიობისა, მივიღებთ შემდეგ სურათს:




ამ შემთხვევაში ზემოხსენებული რიტმების ოთხი ტიპი შემდეგნაირად გამოისახება:


1) 'ასბაბ საკილ:



2) 'ასბაბ ხაჭიჭ:




3) 'ავთად:



4) ჭივწილ სურათი:

ta-na-nan ta-na-nan ta-na-nan ta-na-nan
 5 — — — — — — — — — —
 —A —A —| —A —A —| —A —A —| —A —A —|



ამასთან დაკავშირებით ტრაქტატში ვკითხულობთ: „შენთვის გასაგებია, რომ 'ასბან სიკვლის დარტყმათა შორის დროის პერიოდები მოკლეა, ვიდრე 'ასბან ხიჭაჭის დარტყმათა შორის; ხოლო დროის პერიოდი, რომელიც 'ავთანის დარტყმათა შორისაა, მოკლეა ჭივწილის, ვათადების დარტყმათა შორის დროის პერიოდებზე, მაშინ როდესაც იგი გრძელია, ვიდრე 'ასბან ხიჭაჭის დარტყმათა შორის დროის პერიოდები“.

ალ-ურმავეს შეპირისპირების საფუძველზე წამოაყენა შემდეგი დებულებები:
 1. დროის პერიოდი, რომელშიც 8 'ასბან სიკვლი წარმოითქმის, უდრის პერიოდს, რომელშიც 4 ჭივწილა წარმოითქმის. მისი თქმით, როდესაც ორი ადამიანი ერთდროულად იწყებს რიტმულ წრეებს და იცავს დროის პერიოდების აღნიშნულ მიმართებას, მომდევნო წრის დაწყებისას მათი პირველი დარტყმები ერთმანეთს დაემთხვევა. შესაბამისი სქემა ასეთი სახისაა:

$$8\bar{I} = 4\bar{C}$$

ta - na ta - na ta - na ta - na ta - na ta - na ta - na ta - na =
 —A —A —A —A —A —A —A —A —A —A —A —A —A —A —A —A =
 = ta - na - nan ta - na - nan ta - na - nan ta - na - nan
 = —A —A —| —A —A —| —A —A —| —A —A —|

2. პერიოდი, რომელშიც წარმოითქმის 4 'ავთანი და ერთი ჭივწილა უდრის პერიოდს, რომელშიც 4 ჭივწილა ან 8 საბაბი წარმოითქმის.

$$4\bar{J} + \bar{C} = 4\bar{C}$$

ta - nan ta - nan ta - nan ta - nan + ta - na - nan =
 —A —| —A —| —A —| —A —| + —A —A —| =
 = ta - na - nan ta - na - nan ta - na - nan ta - na - nan
 = —A —A —| —A —A —| —A —A —| —A —A —|

რიტმული კომპონენტების შემდეგ ალ-ურმავე ეხება რიტმულ წრეებს ('advāru d-darb). განიხილავს ყველაზე მეტად გავრცელებულ რიტმულ წრეებს: 1) I საკილი ('at-taqīlu l'-avval), 2) II საკილი (at-taqīlu t-tānī) 3) ხაჭიწი საკილი (hafifut-taqīl), 4) რამალი ('ar-ramal), 5) ჰაზაჯი (al-hazağj).

I საკილს წრესთან დაკავშირებით ავტორი აყალიბებს შემდეგ დებულებებს:


1. ამ წრის ყოველი პერიოდი უდრის საკილის 8-ჯერ წარმოითქმის პერიოდს. პულსაციათა რაოდენობა არის 16.

2. ჭივწილს ყოველ პირველ დარტყმას შეესაბამება საკილის დარტყმა და დარტყმა (რადგანაც —| = —A—A).

3. 1 და 11 დარტყმათა ინტერვალი უდრის 11 და 111 დარტყმათა ინტერ-

ვალს, რადგანაც ყოველი მათგანი \neq პერიოდს წარმოადგენს (ta-nan). ასევე III და IV, IV და I (წრის განმეორებისას) ინტერვალები ტოლია, რადგანაც ყოველი მათგანი \in (ta-na-nan) პერიოდს წარმოადგენს.

4. IV და V დარტყმათა შორის \neq პერიოდი. იგი ერთადერთია ამ წრეში. ამრიგად, ამ წრეში სამი ტიპის პერიოდი: $\neq \neq \in$; ძლიერი დარტყმები III და IV.




მეორე საკნლის წრის ყოველი პერიოდი 1 საკნლის პერიოდს უდრის. მათი ანალიზისას გარკვეულია:

1. I და II, II და III დარტყმათა შორის პერიოდები თანატოლია, რადგანაც ორივე \neq პერიოდს ქმნის (ta-nan). ასევე თანატოლია IV და V, V და VI დარტყმათა შორის პერიოდები.


2. III და IV, VI და I (წრის განმეორების შემთხვევაში) დარტყმათა შორის პერიოდები \neq ინტერვალს წარმოადგენენ და ამდენად თანატოლი არიან.

ამრიგად, ამ წრეში \neq ტიპის 4 და \neq ტიპის 2 პერიოდი. არ გვხვდება \in პერიოდი.




ხაჭნჭ საკნლის წრის პერიოდი პირველი საკნლის წრის პერიოდს უდრის, ძლიერი დარტყმებია: პირველი საბაბის I და VII საბაბის I დარტყმა ამ წრეში არის \neq ტიპის 4 და I ტიპის 8 პერიოდი. არ გვხვდება \neq და \in ტიპის პერიოდები.

წარმოვადგენთ შემდეგ სქემას:



საკნლუ რ-რამალის წრის პერიოდი 12 საბაბია. პულსაციითაა რაოდენობა 24-ს უდრის. ამ წრის პერიოდი 1/2-ადემატება I საკნლის წრის პერიოდს, რადგანაც I-სა და II-ს, II-სა და III დარტყმათა შორის პერიოდები თანაბარია და წარმოადგენს \in ტიპის პერიოდს. ამ წრის სხვა ინტერვალები \neq პერიოდს შეადგენენ. სათანადო წრე შემდეგნაირად გამოისახება:



მახვილი ეცემა I ღნსილას I-სა და VI საბაბის 1 დარტყმებს. ამავე წრის ნაირსახეობანია: მულა 'იჭ რამალი და ხაჭნჭ რამალი.

ta-na-nan ta-nan ta-nan tan
— — — — — — — — — —
-Λ-Λ -| -Λ-| -Λ-| -|

დასასრულ, ავტორი ახასიათებს რიტმის სახეობას, რომელსაც არაარაბები
დარბ კახი-ს (darbu l-qāhi) უწოდებენ. მისი მაგალითია:

ta-na-nan tan ta-na-nan ta-na-nan tan ta-na-nan
— — — — — — — — — — — — — — — —
-Λ-Λ -| -| -Λ-Λ -| -Λ-Λ -| -| -Λ-Λ -|

რიტმის ეს სახეობა იშვიათად გამოიყენებოდა.

სემიოლოგიის კათედრა

ლიტერატურა

1. Д. Гинцбург, Основы арабского стихосложения, СПб, 1897;
2. Ancient and oriental music: N. G. Farmaḡ, The music of Islam, London, 1957.
3. N. G. Farmaḡ, The Arabian influence on musical theory, London, 1925.
4. M. El-Hefny, Ibn Sina's Musiklehre, Berlin, 1930.
5. Y. G. Kosegarten, Alii Yspahanensis liber cantilenarum, Griepsvoldiae, 1840.

Н. Т. АНТИДЗЕ

ВОПРОС О РИТМЕ В ТРАКТАТЕ АЛ-'УРМАВИ

Резюме

В трактате арабского автора XIII века Ал-'Урмави „كتاب الادوار“ ритмическая ячейка дается в кругах (da'irat), периоды которых равны. Совокупность определенного количества разносильных пульсаций создает круг.

Ритмические компоненты, составляющие круг, бывают четырех видов ('asbāb taqīl, 'asbāb hafīf, 'avtād, favāṣil ṣuḡrā). Они обозначаются мнемониками, основанными на элементах ta и tan.

Если применить символы длинных и коротких слогов с условием, что короткому слогу (ta) соответствует восьмая нота (-Λ), а длинному (tan)—четвертная (-|), то каждый ритмический круг оформляется определенным ритмическим рисунком современной интерпретации.

THE PROBLEM OF RHYTHM IN THE TREATISE OF AL-'URMAVĪ

Summary

In the treatise „كتاب الادوار“ of Al-'Urmavī, a 13th century Arab author, the rhythmical nucleus is given in the cycles (ḍa'irat) with equal periods. The totality of a definite number of stressed and unstressed pulsations creates a cycle.

The rhythm components of a cycle are of 4 types:
 ('asbāb taqīl, 'asbāb hafif, 'avtād, 'favāṣil ṣnḡrā).

To indicate the rhythms mnemonics based on the elements ta and tan are used.

The rhythmical cycle takes a definite rhythmical shape in modern interpretation if we adopt the symbols of short and long syllables provided that a short syllable (ta) corresponds to $1/8$ of a note ($-λ$) and a long syllable (tan) to a $1/4$ ($-l$).

გონება (قل) და მიდმოგონება (ذهن) იზნ რუშდთან და პეტრიწთან


ნანა კილაძე

ბერძნულ ფილოსოფიურ ტერმინს *ნონა*-ს სხვა ენაზე ძნელად ეძებნება ეკვივალენტი ([1], გვ. 305—6). მისი დამკვიდრება ბერძნულ ფილოსოფიაში არისტოტელეს მიეწერება. არისტოტელე ხაზს უსვამს *ნონა*-ის როგორც სულის შემადგენელი მოაზროვნე და აღქმადი საწყისის არსებობას (ἀρχὴ ἢ νῦν ἢ ἀνασῆναι καὶ συναμαχᾶναι ἢ ψυχῇ ([2], გვ. 1138). აქ უკვე ჩანს *ნონა*-ის მნიშვნელობის სულის ცნებასთან აღრევის შესაძლებლობა. დროთა განმავლობაში მოხდა *ნონა*-ისა და სულის მნიშვნელობის გაიგივება. ამავ დროს *ნონა*-ი გონების შესატყვისიც გახდა. *ნონა*-ის შინაარსის ცალმხრივი გაგება განსაკუთრებით გამოიკვეთა შუა საუკუნეებში. იზნ რუშდისა და პეტრიწის მოძღვრებაში *ნონა*-ის მხოლოდ გონით აზროვნებასთან დაკავშირება საპირისპირო ცნებების გონება-გავონებისა და მიდმოგონების გამიჯვნასთან არის დაკავშირებული.

იზნ რუშდი *ნონა*-ის შინაარსს გამოხატავს ტერმინით *قل* რომელსაც მ. ბუიეი იზნ რუშდის მოძღვრების მიხედვით მიიჩნევს სულის საპირისპირო ცნებად (*قل* × *نفس*) ([3], გვ. 659—212,7). ბუიეის მიერ აღნიშნული დაპირისპირება იზნ რუშდის მოძღვრებაში *ნონა*-ის არაბული შესატყვისის გონების ცნებისაკენ გადახრაზე მიუთითებს. ისლამის ენციკლოპედიაში ისლამის ფილოსოფოსები საერთოდ უმეტესად მიჩნეულნი არიან *ნონა*-ის სულისაგან მკვეთრად გამიჯვნის მომხრეებად. ამიტომ აქ ხაზგასმულია *ნონა*-ისა და სულის ანტითეზა ([4], გვ. 342). იზნ რუშდთან ასეთივე დაპირისპირება გამოხატება *قل* (*ნონა*)-ისაგან ნაწარმოები ტერმინით *مَعْقُول*-ით, რომელიც ხშირად განიხილება ასევე *قل* (*ნონა*)-ისაგან ნაწარმოებ ტერმინ *عقل*-თან ერთად ([3], გვ. 659). უკანასკნელი ტერმინი არის ბერძნული *ნონა*-ისა და ფრეკვიდის შესაბამისი, ხოლო (*عقل*) *νοῦς* (*ნონა*), *νόημα*-ს, ან *νοῦτος*-ის შესატყვისი ([5], გვ. 183—4). სწორედ ამ ნაწარმოები ტერმინების *قل* (*ნონა*)-თან ერთად განხილვისას და მათი შესატყვისების წარმოჩენისას შესამჩნევი ხდება იზნ რუშდისა და იოანე პეტრიწის ლექსიკური ერთეულების მსგავსება.

იოანე პეტრიწის ტერმინის „გავონების“ შესატყვისად ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია ბერძნული *νόησις*, რუსული *разсудок* და გერმანული *Verstand*, რომლებიც თანამედროვე ქართულზე განსჯისა და სჯის უნარს გამოხატავენ. იგივე ბერძნული ტერმინი შესატყვისება პეტრიწის „გონებასაც“, რო-

მელიც ძირითადად XVIII-ის ტოლდასია. „გონების“ და „გაგონების“ გაიგივებას პეტრიწთან, საფიქრებელია, რომ საფუძვლად უდევს მათი ერთნაირი გამოყვლა სულისა და მიდმოგონებისაგან ([6], გვ. 4V—4VI, 157). ცნობილია, რომ პეტრიწის ფილოსოფიურ ლექსიკონში სული არის *ψυχή*-ს შესატყვისი, მიდმოგონება კი *δύσιν*-ს; მაგრამ უკანასკნელი ტერმინის გატოლება შეიძლება აგრეთვე მიმოგონებასთან, როგორც აზროვნების ნიჭის გამომხატველთან ([9], გვ. 197). თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში *δύσιν* განსჯით გადმოიცემა, რომელსაც ზოგჯერ ლათინური *ratio* შეესატყვისება ([7], გვ. 319), როგორც აგრეთვე განსჯის ეკვივალენტი ([8], გვ. 31). ამდენად, მიდმოგონება || მიმოგონება ანუ განსჯა, საერთოდ, სჯის უნარს აღნიშნავს და აერთიანებს სულისა და გონების აზროვნებას. ასეთი შინაარსი დასაშვებს ხდის ინტუიციის გარკვეულ გაგებასთან მის შეპირისპირებას. სწორედ ასეთივე დაპირისპირება გამოიკვეთება იბნ რუშდის მოძღვრების მიხედვითაც, თუ გავითვალისწინებთ, რომ საერთოდ *ჰენ* (*دύσιν*) განისაზღვრება, როგორც ინტუიციასთან დაპირისპირებული ტერმინი (*Natürlichen logisch schickenden Denken gegen Intuition*) ([10], გვ. 135). თავად იბნ რუშდი მას განმარტავს, როგორც წარმოსახვის (*خيال خيال*) საპირისპიროს და გარესამყაროს ანტითეზას (*الاعتيان*). უკანასკნელ მოსაზრებას საფუძვლად უდევს იბნ რუშდის მიერ გარესამყაროში მყოფი უნივერსალიების (*الكليات*) დაკავშირება შეგრძნებად ინდივიდებთან, რომლებიც ძალით, ე. ი. პოტენციური უნივერსალიები არიან და მოქმედებაში, ან აქტიურ უნივერსალიებს (*بالفعل × بالقوة*) მხოლოდ გონებაში აღწევენ ([3], გვ. 654; 659, 663, 665). ამიტომ საფიქრებელია, რომ ინდივიდებში წარმოდგენილ უნივერსალიებს გონებისაგან განსხვავებული სულის აზროვნებითი საწყისი მიწვდება, რაც არაბული *ჰენ*-ით გამოიხატება. ამდენად არ უნდა იყოს *ჰენ*-ით გადმოცემული ცნების მხოლოდ გონებასთან გატოლება ზუსტი (*حكمة ذہنی* — *mental concept* *معى ذہنی* — *concept of mind*) ([11], 52, 69, 121). სწორედ ეს განაპირობებს *ჰენ*-ის კავშირს ისეთ ლოგიკურობასთან, რომელიც მოიცავს გონებისა და სულის განსჯის კანონზომიერებას. *ჰენ*-ის ეს განსაზღვრა ზუსტად ემთხვევა პეტრიწის მიდმოგონების შინაარსს, რაც განაპირობებს არაბულ-ქართულ შესატყვისობას (*ჰენ* — მიდმოგონება). მხოლოდ სულის აზროვნების მკვეთრ გამოყოფას და მის გამიჯვნას *عقل* — გაგონებისაგან იბნ რუშდისა და პეტრიწის მოძღვრებაში ხელს უშლის ტერმინების *دύსინ* — *ψυχή* — *νοῦς* — *عقل* — *عقول*, ე. ი. გამგონესა და გასაგონის მნიშვნელობები. მიჩნეულია, რომ პეტრიწთან სულისა და გონების ურთიერთობა სუბიექტ-ობიექტის, ან გამგონე-გასაგონის ურთიერთობამდე დაიყვანება (გასაგონი ობიექტია გონებისათვის, ხოლო გამგონე სუბიექტი ([6], გვ. 4V). იბნ რუშდის სიტყვებით რომ ვთქვათ, „გასაგონი გამგონეს სრულყოფაა“. პეტრიწის სული გარკვეული სახით გამგონეს უტოლდება, ამიტომ გამგონესთან და გასაგონთან დაკავშირებით გონი შეიძლება ზოგჯერ არ იყოს მხოლოდ „გონების ნაკუთით“ ([12], გვ. 121], მაგრამ ძირითადად შესატყვისობა *დύსინ* *عقل* — გაგონებიდან გამომდინარე, *عقل*-თან და გონთან, როგორც „გონების ნაკუთითან“ დაკავშირებულ მნიშვნელობებს გონების ცნება აერთიანებს. იბნ რუშდის მოძღვრებაში არ არის ისევე როგორც პეტრიწთან, გამოყოფილი გაგონებისა და მიდმოგონების სფეროები ერთმანეთისაგან.



მაგრამ *عقل*-ის ანუ *ვინდ*-ის ზემოხსენებული მნიშვნელობების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ გონება-გაგონებისა და მიდმოგონების გამიჯვნა იბნ რუშდისა და *عقل*-ის დიფერენციალურ დასტურდება. ამას გარდა უნდა აღინიშნოს, რომ გონება იბნ რუშდთან არის გასაგონთა წვდომის ტოლფასი, წვდომა კი უტოლდება ფორმებს, რომლებიც არ არსებობენ პირველ მატერიაში და, საერთოდ, მატერიაში. ადამიანური და ტრანსცედენტალური გონება განსხვავდება ერთმანეთისაგან მხოლოდ იმით, რომ მეორემ აქტიურად იცის ის, რაც პირველს პოტენციაში ეძლევა. ამიტომ ტრანსცედენტალური წმინდა გონება წესრიგს ქმნის, ადამიანური კი ამ წესრიგს მხოლოდ მოიცავს. ორივე აღნიშნული გონება ერთნაირად აერთიანებს გამგონესა და გასაგონს, ერთნაირად წარმოადგენენ ერთს მიუხედავად უნივერსალიების სიმრავლის არსებობისა, რადგან გონებაში ინდივიდუალური არაფერი არსებობს. სწორედ გონების ზემოაღნიშნული გაგება განაპირობებს სულისაგან მის სრულ გამიჯვნას და გონებით აზროვნების გაიგივებას სულის მიღმა მსჯელობასთან (*خارج النفس*), რაც, როგორც აღინიშნა, მიდმოგონების მიღმა (*خارج الذهن*) მსჯელობის ტოლფასია. აქედან გამომდინარე, აშკარაა, რომ იბნ რუშდთან მიდმოგონება, რომელიც უფრო სულის აზროვნებით ძალას უკავშირდება. ვიდრე გონებას, გამოიყოფა მხოლოდ გონების აზროვნებისაგან. ამდენად, არაბულ-ქართული შესატყვისობა *هذه* — მიდმოგონება სავსებით გამართლებულია, როგორც ძირითადად სულის და ზოგჯერ გონების განსჯით უნარის გამომხატველი ტერმინი, რაც განაპირობებს *عقل* — გონება-გაგონების მხოლოდ გონით აზროვნებასთან შესატყვისობას. ასეთი გამიჯვნის შედეგად უდავო ხდება, რომ ბერძნული *ვინდ*-ის არაბულ-ქართულ შესატყვისებში ერთნაირად არის ხაზგასმული ინტელექტუალური საწყისის მნიშვნელობა.

სემიოლოგიის კათედრა

ლიტერატურა

1. Bertran Russell, History of Western philosophy and social circumstances from the earliest times to the present day. London, 1948. —Русск. перевод М., 1949.
2. Древнегреческо-русский словарь, составил И. Х. Дворецкий под редакцией С. И. Соболевского, Москва, 1958, т. II.
3. Bibliotheca Arabica Scholasticorum Serie. Arabe Tome. III Averroes. Tahafot at Tahafot ou Incoherence de l'Incoherence. Beyrouth, 1930.
4. The Encyclopaedia of Islam, new edition. Leiden-London, v. I, 1966.
5. A Philosophical Lexicon in Persian and Arabic by Soheil M. Afnan Beirut, 1969.
6. იოანე პეტრიწის შრომები, გამოსცა სიმ. ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1940, ტ. I.
7. ს. წერეთელი, ანტიკური ფილოსოფია, თბილისი, 1968.
8. კ. ბაქრაძე, ახალი ფილოსოფიის ისტორია, თბილისი, 1969.
9. ნემესიოს ემესელი, ბუნებისათვის კაცისა, თარგმანი იოანე პეტრიწის, გამოსცა ს. გორგაძემ, თბილისი, 1914.
10. Materialien zur Kunde des Buddhismus, herausgegeben von Dr. M. Wallesee Lexikon wichtigsten Termini der islamischen Mystik von Dr. M. Horten, Heidelberg, 1928.
11. Averroes, Tahafut al-Tahafut. Transl. by S. Van Den Bergh. London, 1954, v. I.
12. სულბან საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, თბილისი, 1948.

РАЗУМ И РАССУДИТЕЛЬНОСТЬ (გონება — عقل И მიდმოგონება — ذهن)
 У ИБН РУШДА И ПЕТРИЦИ

Резюме

Греческий термин νοῦς и связанные с ним термины νόησις νοῦς (βασικὸς) νοητὸν соответствуют терминам عقل, عاقل, معقول Ибн Рушда и гონება, გამგობე, გასაგობი Иоанна Петрици. В арабо-грузинских соответствиях подтверждается значение лишь интеллектуального начала. Отмежевание интеллектуального начала от душевного, объединение которых часто ведёт к путанице, делается возможным с помощью установления арабо-грузинского соответствия ذهن — მიდმოგონება, ибо ذهن у Ибн Рушда и მიდმოგონება у Петрици одинаково соответствуют в основном рассудительной способности душевного начала.

N. KILADZE

CONCERNING THE TERMS عقل — გონება AND ذهن — მიდმოგონება
 IN IBN RUSHD AND IOANE PETRITSI

Summary

The Greek term νοῦς and the related νόησις νοῦς (βασικὸς) νοητὸν correspond to عقل in Ibn Rushd and to Petritsi's გონება. The Arabic-Georgian correspondences of νοῦς corroborate the knowledge of only the intellectual principle.

Combination of the intellectual and spiritual principles often leads to confusion, their separation is feasible through establishing the Arabic-Georgian correspondence between عقل — გონება and ذهن — მიდმოგონება, for ذهن in Ibn Rushd and მიდმოგონება in Petritsi largely correspond to the reasoning power of the spiritual principle.

ჯებრან ხალილ ჯებრანის მსოფლმხედველობის ჯოგიათი საკითხისათვის

მუშკან ქუთელია

ლიბანელი მწერლის, პოეტისა და მხატვრის ჯებრან ხალილ ჯებრანის* შემოქმედება ფართოდ ეხმაურება არაბული საზოგადოების მოწინავე ნაწილის მიერ წამოჭრილ პრობლემებს. მწერლის მოღვაწეობის ადრეულ წლებში განსაკუთრებით პოპულარულია სოციალური მოტივები, მოგვიანებით კი მას უფრო ზოგადი პრობლემები აინტერესებს.

ჯებრანის ნაწარმოებთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი „მოციქულია“**. ნაწარმოებმა ფაქტიურად შეაჯამა ავტორის მთელი შემოქმედება. მასში განხილული საკითხები მწერლის შემოქმედებისათვის ახალი არ არის, მაგრამ ისინი უფრო ღრმადაა გააზრებული და ახლებურად გადაწყვეტილი.

„მოციქულის“ ძირითადი თემა ადამიანთა ურთიერთობა. გარკვეული ყურადღება ეთმობა ისეთ ზოგად პრობლემებსაც, როგორცაა სიკეთე და ბოროტება, სიყვარული, მშვენიერება და სხვა.

ამ სტატიის მიზანია შევეცდებით მოკლედ გავაშუქოთ „მოციქულში“ ასახული ჯებრანის მსოფლმხედველობის ზოგიერთი საკითხი და სამშობლოს თემა, რომელიც ამ ნაწარმოებში არ არის განხილული.

სიკეთისა და ბოროტების შესახებ მსჯელობისას მწერალი ყურადღებას ამახვილებს სარგებლიანობის მომენტზე. მისი აზრით, სარგებლიანობა გამოიხატება სიკეთეს, მისი მიზნით ჩადენილი საქმე არ შეიძლება იყოს კეთილშობილური. სიკეთის ქმნა ადამიანის შინაგანი მოთხოვნილება უნდა იყოს. ადამიანის მოქმედება, გამოწვეული გამორჩენის მიზნით, არ არის სიკეთე, იგი მანც არ ჩაითვლება ბოროტებად. ადამიანი თუ არ არის კეთილი, სრულებითაც არ ნიშნავს, რომ იგი ბოროტია ([1] გვ. 79).

ჯებრანის აზრით, სიკეთე და ბოროტება ცალ-ცალკე არ არსებობენ. ისინი ერთად არიან და გამოვლინდებიან სხვადასხვა გარეგანი მიზეზების ზემოქმედებით, რაც ძირითადად საზოგადოებრივ ურთიერთობაშია. ადამიანი თავისთავად, კერძო პიროვნება, მოწყვეტილი გარემოსაგან კეთილია: „შენ კეთილი ხარ, როდესაც მარტო ხარ შენს არსებასთან (პიროვნებასთან)“ ([1], გვ. 79). იგი მხოლოდ საზოგადოებასთან ურთიერთობაში შეიძლება გახდეს ბოროტი.

ადამიანი არ იბადება ბუნებით კეთილი ან ბოროტი, სიკეთე და ბოროტება არ არის თანდაყოლილი თვისება. საზოგადოება და მასში გაბატონებული ურთი-

* ჯებრანი 1883 წელს დაიბადა ლიბანში. 1895 წელს ოჯახთან ერთად საცხოვრებლად გადავიდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც გარდაცვალებამდე (1931 წ.) დარჩა.

** „მოციქული“ 1923 წელს გამოქვეყნდა ინგლისურ ენაზე. მან მკითხველთა ყურადღება მიიქცია, ითარგმნა სხვა ევროპულ და აღმოსავლურ ენებზე. არაბულად ითარგმნა ანტონიუს ბაშირმა.

ერთობაა უმთავრესი მიზეზი ადამიანთა მანკიერებისა. იგი მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოებრივ წყობილებაში უნდა ვეძიოთ. „როგორც ხის პატარა ფოთოლს არ შეუძლია ხის ნების გარეშე შეიცვალოს ფერი, ასევე თქვენ შორის კაცის მომქმედს არ შეუძლია ჩაიდინოს დანაშაული თქვენი ფარული ნებისა და თქვენი ცოდნის გარეშე,“ — აღნიშნავს მწერალი ([1], გვ. 52—53).

ჯებრანს შეუძლებლად მიაჩნია აბსტრაქტულად წარმოვიდგინოთ სიკეთე და ბოროტება, მიჯნა დავდოთ მათ შორის, ანდა მათი არსებობა დაეუშვათ საზოგადოებისაგან მოწყვეტით. ისინი ერთად არსებობენ და ერთად მოქმედებენ, როგორც თეთრი და შავი ძაფე ერთად ქსოვენ ერთ დაზგაზე. თუ მიზნად დავისახავთ ბოროტების აღმოფხვრას, მაშინ უნდა ვიზრუნოთ სიკეთისა და ბოროტების წყაროს, საზოგადოების, სრულყოფაზე ([1], გვ. 54). ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლის დაწყებამდე საჭიროა მისი გამომწვევი მიზეზების დადგენა. სანამ ბოროტების ხეს მოგპრით სამართლიანობის სახელით, მანამ უნდა ვნახოთ მისი ფესვების სიღრმე. მაშინ დავინახავთ, რომ ბოროტების ხის ფესვები, სიკეთის ხის ფესვები, აგრეთვე უნაყოფობის ხისა, ერთმანეთში არიან გადახლართულნი ([1], გვ. 54).

რა გზას ადგება ჯებრანი ამ ქვეყნად საყოველთაო სიკეთის, ბედნიერების დასამყარებლად?

შემოქმედებითი მოღვაწეობის გარიჟრაჟზე საზოგადოებაში გაბატონებული მანკიერების წინააღმდეგ ბრძოლაში იგი ირჩევდა გარდაქმნის რადიკალურ ხაზს, რევოლუციურ გზას გლეხური აჯანყებით წარმოდგენილს. „მოციქულის“ პერიოდისათვის უკვე ამ გზისა აღარ სჯერა, მაგრამ იმასაც ხედავს, რომ ცხოვრების თვითღინებით ამქვეყნად საყოველთაო ბედნიერება არ დამყარდება, თუ დამყარდება, სამისოდ დიდი დროა საჭირო.

მწერალი მერყეობს და ამ მერყეობას ზოგჯერ იგი მიჰყავს შექმნილ ვითარებასთან შეგუებამდე. „იესო—ადამიანის შვილში“ (1928 წ.) იგი გაიზიარებს ბოროტებისადმი წინააღმდეგობის, მასთან შერიგების პრინციპს. მისი აზრით, ბოროტებისადმი წინააღმდეგობის გაწევა და ბრძოლა მის წინააღმდეგ კი არ სპობს მას, არამედ ახალ ბოროტებას შობს ([2], გვ. 409).

ჯებრანი მართალია უარყოფს საზოგადოების გარდაქმნის რევოლუციურ გზას, მაგრამ ამით სრულიადაც არ იღებს ხელს ცხოვრებისეული მანკიერების წინააღმდეგ ბრძოლაზე. ეს ბრძოლა მიმართულია უფრო ადამიანის მიერ საკუთარი თავის სრულყოფისაკენ. ეს დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ „მოციქულში“ შარიათის, თავისუფლებისა და სხვა მომენტთა ვაცნობის შედეგად.

შარიათის* შესახებ საუბარში კარგად ჩანს მწერლის უარყოფითი დამოკიდებულება ადამიანთა მიერ მოგონილი კანონების მიმართ, განსაკუთრებით იმ კანონებისა, რომლებიც ძლიერთა სამსახურში ჩამდგარან და ხალხის დასამონებლად შექმნილან; იმ კანონებისა, რომლებსაც გაბატონებული ფენები ადგენენ, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში არღვევენ ან ცვლიან. კანონებისადმი მათ ასეთ დამოკიდებულებას მწერალი ადარებს ზღვის ნაპირზე მოთამაშე ბავშვებს, რომლებიც ქვიშისაგან აშენებენ კოშკებს, შემდეგ კი სიცილით და ხმაურით ანგრევენ ([1], გვ. 57).

ჯებრანს სჯერა, რომ ეს კანონები საზოგადოების ჰარმონიული განვითარების შემფერხებელია; ამასთანავე მათი დაძლევა არ არის შეუძლებელი.

* შარიათში ჯებრანს გულისხმობს არა მხოლოდ რელიგიურ კანონებს, არამედ სავრთოდ ყოველგვარ კანონებს.

ამქვეყნად საყოველთაო ბედნიერება თავისუფლების დამყარებით მიიღწევა. ამიტომ ჯებრანი თავის აღრეული წლების ნაწარმოებებში ჩაგრულ ხალხს მოუწოდებდა იარაღით ხელში გამოსულიყვნენ და ძალის გამოყენებით მოეპოვებინათ თავისუფლება. „მოციქულში“ ეს აშკარად არ არის გამოხატული, მაგრამ მიიწოდებოდა, რომ თავისუფლება თავისთავად არ მოვა, მორჩილებით ვერ მოიპოვება. თავისუფლების შესახებ მხოლოდ საუბარი, მისადმი თავყანისცემა მოქმედების გარეშე არაფრით განსხვავდება მონის დამოკიდებულებისაგან უსამართლო ბატონისადმი, რომელსაც ხოტბისა და განდიდების გარდა ვერაფერს უბედავს. უფრო მეტიც, მხოლოდ სიტყვებით და არა საქმით თავისუფლების სიყვარულმა შეიძლება ადამიანი ბორკილებამდე ან სიკვდილით დასჯამდე მიიყვანოს. მის მისაღწევად არ კმარა მხოლოდ შარიათის შეცვლა ან სხვა რეფორმის მსგავსი ღონისძიება. საამისოდ მეტია საჭირო და, თუ აუცილებელი იქნება, ძალის გამოყენებაც. ადამიანის შეგნებაში უნდა მომზადდეს საფუძველი თავისუფლებისათვის. ჯერ უნდა ამოღდეს მონობის შიზუზის შეგნებამდე, გონებაში უნდა დაინგრეს მონობის ჯაჭვი, შემდეგ კი უნდა გამოვიდეს თავისუფლების მოსაპოვებლად. მწერალი წერს: „თუ ტირანის (დესპოტის) ტახტიდან ჩამოგდება გსურთ, მაშინ, უპირველესად საჭიროა გაიგოთ, ხომ არ დანგრეულა თქვენში აღმართული მისი ტახტი“ ([1], გვ. 62). შინაგანი შიშის დათრგუნვა, რომელიც საფუძველია მონობისა და ტირანის ბატონობისა, შემდეგ კი ძალის გამოყენება და ბრძოლა თავისუფლებისათვის.

ადამიანის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში გადამწყვეტია შრომა. ჯებრანმა შრომა მიიჩნია ადამიანისათვის უკეთესობილეს საქმიანობად, აუცილებელ მოთხოვნილებად. შრომა ცხოვრებას ნათელს ჰფენს, ადამიანს შესაძლებლობას აძლევს შეიცნოს ცხოვრება მთელი თავისი სიღრმით და საიდუმლოებით, ეზიაროს ამქვეყნიურ ბედნიერებას. ამასთანავე, ყოველგვარი შრომა არ ჩაითვლება სასარგებლო საქმიანობად, თუ იგი არ სრულდება დიდი სიყვარულით, თუ მასთან სულით და გულით არ არის დაკავშირებული ადამიანი, შრომა ამო და უნაყოფია. მწერალი სიყვარულით მოსილ საქმიანობას ასე წარმოგვიდგენს: „მისი (შრომის) საშუალებით ქსოვ ტანსაცმელს შენი გულის ქსოვილისაგან ამოღებული ძაფებით, ფიქრობ, შენი სატრფო შეიმოსება ამ ტანსაცმლით; აშენებ სახლს შენი თანაგრძნობისა და გულისხმიერების სამტეხლოდან მომტვრეული ქვებით, ფიქრობ, შენი სატრფო იცხოვრებს მასში; თესავ მარცვლებს, შემდეგ სიხარულითა და ნეტარებით იმკი მოსავალს, რათა მიიტანო სატრფოს მაგიდაზე“ ([1], გვ. 38). ადამიანი თუ ვერ შესძლებს ასეთ შრომას, მაშინ უნდა შეწყვიტოს იგი. შრომამ, როგორც შენ, ისე სხვას, სარგებლობა და სიხარული უნდა მოჰგვაროს. თუ იგი შენ სიამოვნებას ვერ განიჭებს, მაშინ ვერც სხვას მოუტანს შედეგს.

ადამიანი თუ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას ეწევა, ერთნაირად დასაფასებელია, იქნება ეს მოქანდაკე თუ გლეხი, მხატვარი თუ მეწაღე. ჯებრანი შრომითი საქმიანობის არც ერთ დარგს არ გამოყოფს, რადგანაც ყოველგვარი სამუშაო საპატიოა. იგი მუდამ მკაცრად აკრიტიკებდა შრომისადმი უპატივითად განწყობილ პირებს, აღარებდა მათ სარეველა მცენარეებს ან ქურდს, რომელიც პატარძლის სამკაულებს იპარავს ქორწინების დამეს.

ჯებრანი, როდესაც ცდილობს დაგვანახოს ამქვეყნიური კეთილდღეობისაკენ მიმავალი გზა, უფრო მეტად იხრება ადამიანთა შინაგანი სამყაროს, სულიერი ცხოვრების სრულყოფისკენ მიმავალ გზისკენ. იგი გულისხმობს ბრძოლას გარემოს მანკიერ მხარებთან, შინაგან და გარე სამყაროს შორის ჰარმონიას, ადამიანთა შორის ურთიერთობის სრულყოფას. ამ ამოცანის გადაწყვეტა უდიდესი

როლი ეკისრება სიყვარულს და მეგობრობას. იგი მოგვიწოდებს სიყვარულისადმი ნდობისაკენ, სიყვარულში ხედავს ადამიანებში ცუდი მიდრეკილებების, მათი ცხოვრებების აღმომგზავლელ იარაღს, სიყვარულის მიზნად „სულის სრულყოფას“ მისწინაა ([1], გვ. 24). მწერალმა ადრეულ ნაწარმოებებში, როგორც შეეფერებოდა სენტემენტალისტ მწერალს, წარმოადგინა შეხედულებები სიყვარულზე, „მოციქულში“ კი მოგვცა მისი ანალიზი.

ჯებრანი „მოციქულში“ და, საერთოდ, მთელს თავის შემოქმედებაში (ნაწილობრივ შემოქმედების მეორე პერიოდის გამოკლებით) ადამიანთა შორის ძმობასა და მეგობრობას ქადაგებს, მეგობრობას, რომელიც თავისუფალია ყოველგვარი ეგოისტური, ანგარებიანი მისწრაფებებისაგან, ურთიერთგაგებასა და ურთიერთსიყვარულზე აგებულ, საერთო ინტერესებით, მისწრაფებებით და იდეებით განპირობებულ მეგობრობას. მეგობრებს არ უნდა აშინებდეთ საკუთარი ფიქრების გაზიარება. მაგრამ მათ შორის თუ არ იქნება გაგება, მაშინ მათთან მეგობრობაც გამორიცხებულია. ერთ-ერთ ნაწარმოებში იგი აღნიშნავს: „თუ შენ ვერ უგებდი მეგობარს ყოველგვარ პირობებში, მაშინ შენ ვერც ეხლა უგებ და ვერც მომავალში გაუგებ მას“ ([3], გვ. 26).

მწერალი ვეასწავლის, რომ ჭეშმარიტი სიყვარული გამოჩნდება სევდა-მწუხარებაში, გაჭირვების უამს, განშორების შემდეგ. ასევე მეგობრობისას: „თუ სადმე წავა მეგობარი, ნუ დამწუხრდები მისი განშორების გამო. ის, რაც მასში გიყვარს, უფრო ნათელი იქნება შენთვის მისი არყოფნისას“ ([1], გვ. 73).

სამწერლო მოღვაწეობის პირველ პერიოდში სენტემენტალური განწყობილებების მოჭარბებების გამო წინაა წამოწყებული ადამიანის გრძნობები. გრძნობა მალე დაგას გონებაზე. დროთა განმავლობაში ვითარება იცვლება. „მოციქულის“ პერიოდისათვის გრძნობისა და გონების როლი ადამიანის ცხოვრებაში გათანაბრებულია. იგი გონებას და გრძნობას სულის სამყაროს ზღვაში მოცურავე გემის საჭედ და აფრად სახავს. მასში ერთ-ერთის დაზიანება გემს ზღვის ტალღების სათამაშოდ გახდის და შეიძლება კატასტროფა გამოიწვიოს ([1], გვ. 63).

არ შეიძლება რომელიმე მათგანს უპირატესობა მიეცეს, ერთი არ უნდა ბატონობდეს მეორეზე. გონება და გრძნობა ერთ დონემდე უნდა იყოს ამაღლებული, ადამიანმა ორივეზე თანაბრად უნდა იზრუნოს. ერთისადმი მეტი ზრუნვა მეორესთან შედარებით საზიანოა ორივესათვის. ამ მხარეების ერთიანობა, მწერლის გაგებით, უთუოდ ხელს შეუწყობს ადამიანის სულის ჰარმონიულ განვითარებას.

აღნიშნულ პერიოდში ჯებრანის შემოქმედება პროგრესს განიცდის, რაც ნაწილობრივ განმანათლებელთა იდეებთან დამოკიდებულებაში გამოიხატება. „მოციქულში“ განხილულია განათლების საკითხი, რაც ადრეულ ნაწარმოებებში თითქმის მივიწყებული იყო. მწერლის შეხედულებები მოცემულ საკითხზე ჩამოყალიბებული და სრულყოფილია.

ჯებრანის მტკიცებით, ცოდნა, ცოდნის გარკვეული მარცვალი მეტ-ნაკლებად ადამიანს დაბადებიდანვე თან ახლავს. შემდეგ ხდება მისი გამომჟღავნება და განვითარება. ამ თვალსაზრისით უდგება იგი მასწავლებლის და მოსწავლის ურთიერთობას. იგი მასწავლებელში ხედავს იარაღს, რომლის დახმარებითაც ხდება მოსწავლის ცოდნის განვითარება. მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეს გადასცეს მხოლოდ ნაწილი თავისი ცოდნისა. ეს კი იმ შემთხვევაში აღმოჩნდება შესაძლებელი და შედეგიანი, თუ მას დახვდება ნაყოფიერი ნიადაგი, რომელიც ჯერ დამუშავებას საჭიროებს. წინააღმდეგ შემთხვევაში მასწავლებლის შრომა ამაო იქნება. ამრიგად, გონებრივ განვითარებაში მწერალი გადაწყვეტს როლს არ ანიჭებს

მასწავლებელს. მოსწავლის შინაგანი მონაცემების გარეშე მასწავლებლის მოქმედება ვერ იცა ამოიკნება.

„მოციქულში“ ჯერბრანი საკმაოდ ძუნწად მსჯელობს ისეთ მნიშვნელოვან პრობლემაზე, როგორცაა მშვენიერება. მწერალი ამასთან დაკავშირებით მიუთითებს აზრთა სხვადასხვაობაზე. იგი აღაპარაკებს დარაჯს, მეფხოვეს, გლესს, რითაც ხაზს უსვამს მშვენიერების გაგებაში უტილიტარიზმის მომენტს. მათთვის მშვენიერი ისაა, რაც სასარგებლოა, გამოსადეგია, ინტერესის საგანია. ამასთანავე მშვენიერების გაგებაში ამით დაკმაყოფილება ჯერბრანს არ მიაჩნია მიზანშეწონილად, რადგანაც უტილიტარიზმი გულისხმობს ადამიანის არასრულყოფილ საჭიროებებს. მშვენიერება კი „აღვსენებული გულია, მოჯადოებული, მონუსხული სულია. იგი არაა სურათი, რომლის დანახვა გსურთ, არც სიმღერა, რომლის მოსმენის იმედი გაქვთ. იგი არის სურათი, რომელსაც თვალდახუჭულიც ხედავთ, იგი სიმღერაა, რომელიც დახშული ყურებითაც გესმით...“ ([1], გვ. 90—91).

მწერლის გაგებით, მშვენიერება არ არსებობს აბსტრაქტულად. იგი არც მხოლოდ საგნებშია. იგი ცალკე აღებული არც სუბიექტურია და არც ობიექტური. მშვენიერება ესაა სუბიექტისა და ობიექტის ურთიერთობა, ობიექტთან სუბიექტის დამოკიდებულების გარკვეული ფორმა. ჯერბრანი მშვენიერებას თვით ცხოვრებაში პოულობს და გვეუბნება: „ჭეშმარიტად, მშვენიერება თვით ცხოვრებაა, მისი ნამდვილი სახე. მაგრამ ცხოვრებას თქვენ ქმნით და თქვენ ხართ ფარდა. მშვენიერება უყურებს საკუთარ თავს სარკეში. იგი მარადიულია, რადგანაც თქვენ ხართ მარადიულნი და მის სარკეს წარმოადგენთ ([1], გვ. 91).

XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში არაბ განმანათლებელთა მიერ დასახულ პრობლემებს—სამშობლოს თემას, ერის ცნებას, არაბული სამყაროს ურთიერთობას ოსმალთა იმპერიასა და დასავლეთის ქვეყნებთან—მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ჯერბრანის შემოქმედებაში. თუმცა „მოციქულში“ მან ასახვა ვერ პპოვა.

ჯერბრანი არაბული ქვეყნების ოსმალთა იმპერიასთან და დასავლეთის კაპიტალისტურ ქვეყნებთან დამოკიდებულებას ეხება რამდენიმე სტატიაში. აქ მისი შეხედულებები საგნებით ნათელია.

ოსმალთა იმპერიასთან ურთიერთობის საკითხში ჯერბრანი იზიარებს სირიელ და ლიბანელ განმანათლებელთა თვალსაზრისს*. თუმცა, მათგან განსხვავებით იგი ამ შემთხვევაში არავითარ იმედს არ ამყარებს დასავლეთის ქვეყნებზე. მისი მიზანი არ არის არაბეთის ნახევარკუნძულზე მდებარე არაბული ქვეყნების გაერთიანება. მისი სწრაფვაა არაბული ქვეყნების დამოუკიდებლობა ამ სიტყვის ნამდვილი გაგებით.

ჯერბრანი უარყოფითადაა განწყობილი ოსმალთა იმპერიისადმი. იგი წერს:

* სირიელი განმანათლებლები ანტიოტრქული ტენდენციებით გამოირჩეოდნენ. ისინი სიმახათის ამჟღავნებდნენ დასავლეთისადმი. მათი ნაწილი იბრძოდა არაბული სახალიფოს შექმნისათვის, რომელშიც გაერთიანდებოდნენ არაბეთის ნახევარკუნძულზე განლაგებული არაბული ქვეყნები. აღ-ქაჯაქები უცხოელებს მოუწოდებდა საშუალება მიეცათ არაბებისათვის თვით გადაეწყვიტათ საკუთარი საქმეები ([4], გვ. 63). ეგვიპტელები კი, პირიქით, ინგლისელი კოლონიზატორების წინააღმდეგ ბრძოლაში მოელოდნენ თურქთა სულთანის დახმარებას ([5], გვ. 101—102). ეგვიპტელი საზოგადო მოღვაწეების უმრავლესობას, მათ შორის ჯამალ ალ-დინ ალ-აველანის, მუჰამედ აბდოს, ადბ ოსპაკის, მუსტაფა ქამილს და სხვებს, აღმოსავლეთის პრობლემის გადაჭრის ერთადერთ გზად მიაჩნდათ თურქთა სულთანის მეთაურობით საერთო მუსლიმანური სახალიფოს შექმნა ([4], გვ. 89).

„მე ლობანელი ვარ და ამით ვამაყობ“, და იქვე დასძენს: „არ ვარ ოსმალთა და ამითაც ვამაყობ“ ([2], გვ. 37). ოსმალთა ხელისუფლების ბატონობის უარყოფით იგი სრულიად არ ამტკიცებს სიძულვილს იმპერიაში შემავალი ხალხების წინააღმდეგ, თვით თურქი მოსახლეობისადმი. მას კარგად ესმის, რომ ხალხი აქ არაფერ შუაშია. უბედურების მიზეზი ოსმალური თვითმპყრობელობაა. მწერალი ურთიერთისაგან განასხვავებს მთავრობას და ხალხს: „მძულს ოსმალური სახელმწიფო (ხელისუფლება), რადგანაც მიყვარს ოსმალები (ე. ი. ოსმალთა იმპერიაში შემავალი ხალხები)...“ ([2], გვ. 37). ამ საკითხზე მსჯელობისას იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს, ოსმალები არ იყვნენ მუსლიმანები. ერთ-ერთ ადგილას იგი წერს: „მძულს ოსმალური სახელმწიფო, რადგანაც მიყვარს ისლამი...“ ([2], გვ. 38). ოსმალთა იმპერიისადმი მწერლის სიძულვილს ის აძლიერებს, რომ მას მუსლიმანური ცივილიზაციის, ისლამის დიდების მზის ჩასვენებაში მთავარ დამნაშავედ ოსმალური სახელმწიფო მიაჩნია ([2], გვ. 38).

ჯებრანი არაბებს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისაკენ მოუწოდებს. იგი თანამემამულეთ აფრთხილებს, რომ თუ მუსლიმანები არ იბრძოლებენ მტრების წინააღმდეგ, არ აღკვეთენ უცხოელთა (ევროპელთა) რეაქციულ მოქმედებებს, მაშინ შესაძლებელია თურქთა ბატონობა ევროპელთა ბატონობით შეიცვალოს.

ჯებრანს გააზრებული აქვს, რომ დასავლეთის ქვეყნების ურთიერთობას აღმოსავლეთთან განაპირობებს მათი პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები. ისინი აღმოსავლეთის კეთილდღეობაზე „ზრუნვაში“ ფარავენ სწრაფვას აღმოსავლეთის ქვეყნების დაპყრობისადმი. მათ კულტურულ თუ ეკონომიკურ ურთიერთობას ეს ფარული მიზანი განსაზღვრავს. შექმნილი ვითარების შესაბამისად დასავლეთი ხან მეგობარია აღმოსავლეთისა, ხან მტერი ([6], გვ. 556). მწერალი მოუწოდებს აღმოსავლეთის ხალხებს სიფრთხილისა და ზომიერებისადმი დასავლეთთან ურთიერთობაში.

ადამიანთა ცხოვრება, ასევე ერისა, დიდი პროცესია. იგი მუდამ წინ მიიწევს. ერები, რომლებიც ამ პროცესის სათავეში მიაბიჯებენ, შემოქმედებს წარმოადგენენ, შემოქმედები კი გავლენას ახდენენ სხვებზე. ერები, რომლებიც მისდევენ წინამძღოლებს, მიმბაძველები არიან, მიმბაძველები კი გავლენას განიცდიან. ჯებრანი წარმოადგენს აღმოსავლეთის წარსულს, მას აღარებს აწმყოს და ადასტურებს, რომ აღმოსავლეთი, როდესაც წინ მიდიოდა, ხოლო დასავლეთი მისდევდა, აღმოსავლურ ცივილიზაციას უზარმაზარი გავლენა ჰქონდა დასავლეთზე. ამჟამად მდგომარეობა საწინააღმდეგოდ არის შეცვლილი. მიზეზი შემდეგია: დასავლეთი აღმოსავლეთისაგან როდესაც რაიმეს იღებდა, მისდამი იჩენდა შემოქმედებით დამოკიდებულებას, იტყებდა მხოლოდ საჭიროს, გამოსადეგს და გადაამუშავებდა დასავლური ყოფის შესაბამისად. აღმოსავლეთი ასეთი შემოქმედებითი მიდგომით არ ხასიათდება. იგი როდესაც რაიმეს იღებს დასავლეთისაგან, ყოველგვარი გადაამუშავების გარეშე, პირდაპირ ნერგავს საკუთარ ნიადაგზე. ამას კი ხშირად მისთვის სავალალო შედეგები მოაქვს ([6], გვ. 555—556).

ჯებრანს დამოუკიდებლობისაკენ, აღმოსავლეთის და, კერძოდ, არაბული ქვეყნების კულტურული ცხოვრების შემდგომი პროგრესის, ეროვნული თვითშეგნებისა და პატრიოტული სულისკვეთების აღორჩინებისაკენ მიმავალ გზად სასწავლო დაწესებულებების ნაციონალიზაცია ესახება. სკოლები, როგორც დაწყებითი, ისე უმაღლესი, უნდა გარდაიქმნას ეროვნულ საწყისებზე. კერძო სკოლები, რომლებიც ეკუთვნის საქველმოქმედ საზოგადოებებს თუ მისიონერებს, უნდა გადავიდეს ადგილობრივი მთავრობის ხელში. სტატიაში „არაბული ენის მომავალი“ ([6], გვ. 554) ავტორი არაეროვნული სწავლების მანვე შედეგებზე მსჯელობისა

თვის იღებს სირიის მაგალითს. აქ სწავლება, რომელიც დასავლეთიდან მოდიოდა მეგობრობის ფორმით მოსილი, მაცოცხლებელიც იყო და მომაკვდინებელიც ერთდროულად. მაცოცხლებელი, რადგანაც ხელს უწყობდა ადგილობრივ მცხოვრებთა შეგნების გამოღვიძებას, მათ გონებრივ ზრდას. იგი ამასთანავე მომაკვდინებელიც იყო, რადგან დაასუსტა მათი ერთიანობა, ხელი შეუწყო ურთიერთკავშირის რღვევას, ენობრივი განსხვავებულობის დანერგვას, სხვადასხვა დაჯგუფებებს შორის უთანხმოების ზრდას, დააჩქარა მათი კოლონიალიზაცია. ახალგაზრდები, რომლებმაც განათლება ამერიკულ სკოლებში (იგულისხმება ამერიკელი მისიონერების სკოლები) მიიღეს, ამერიკული ორიენტაციით გამოირჩევიან, ხოლო ისინი, რომლებიც იეზუიტთა სკოლებში სწავლობდნენ, საფრანგეთისკენ იხრებიან. შესაბამისად, ნაწილს ამერიკა ან ინგლისი სურთ სამშობლოს მეურვედ, სხვებს—საფრანგეთი.

სწავლების ასეთმა ორგანიზაციამ ხელი შეუწყო ეროვნული შეგნების დაქვეითებას. ქვეყნის პროგრესისა და დამოუკიდებლობისათვის აუცილებელია დაქუცმაცებულობის, დაჯგუფებების, რელიგიური შუღლის ლიკვიდაცია, ეროვნული სულის აღორძინება და გაერთიანება ერთ მთლიან ძალად. ამის განხორციელება შეიძლება მხოლოდ (ყოველშემთხვევაში, უმთავრესად) სკოლებში სწავლებისათვის ეროვნული ხასიათის მიცემით, ყველა სასწავლებლის დაქვემდებარებით ეროვნული მიზნებისადმი, მისი გადაცემით ადგილობრივი ხელისუფლებისათვის.

ჯებრანი სწორად აფასებს შექმნილ ვითარებას. მას შეგნებული აქვს დასავლეთის გავლენის დადებითი და უარყოფითი მხარეები, დასავლეთთან ურთიერთობაში ზედმეტი უკიდურესობის (როგორც ყოველივე ევროპულის ბრმად გადმოღება და დანერგვა, ისე ყოველივე ევროპულის უარყოფა) დამლუბველი ძალა. აუცილებელია შეგნებული მიდგომა, საჭიროა სხვა ქვეყნებთან ურთიერთობა, მათი სულიერი მიღწევების ათვისება, კარჩაკეტილობის ლიკვიდაცია. „ძველი ხალხები, რომლებიც არ გადმოიღებენ შედარებით ახალგაზრდა ხალხების მიღწევებს, სულიერად გადაშენდებიან...“ —წერს მწერალი „სულბანში“ (17, გვ. 75).

ჯებრანს „ერის“ ცნება ჩამოყალიბებული აქვს სტატიაში „ერი და მისი არსი“ (16, გვ. 431). ავტორის მტკიცებით, „ერი“ ცალკეულ პირთა კრებულია, რომლებიც განიჩნევიან ზნე-ჩვეულებებით, მიდრეკილებებით (ხასიათებით) და შეხედულებებით. მათ აერთიანებთ სულიერი კავშირი, რომელიც ზნე-ჩვეულებებზე უფრო მძლავრია, მიდრეკილებებზე (ხასიათებზე) უფრო ღრმა და შეხედულებებზე უფრო საყოველთაო.

ამ კავშირის არსებობისათვის ძირითადია ენობრივი ერთიანობა. მაგრამ მხოლოდ იგი არ კმარა, რადგანაც არიან ხალხები, რომლებიც ერთ ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ უთანხმოებაში არიან პოლიტიკის, ადმინისტრაციის და სოციალური შეხედულებების გამო.

ამ კავშირის საფუძველია სისხლით ნათესაობა (ერთობა), მაგრამ არც ეს კმარა. საჭიროა რელიგიური ერთიანობა და მატერიალური სარგებლობა (სიკეთე, ინტერესი). ამ უკანასკნელს მწერალი ადარებს საფეიქრო დაზვას, რომლითაც ეს კავშირი იქსოვება.

ამრიგად, ჯებრანის გაგებით, „ერი“ წარმოადგენს ზნე-ჩვეულებებით, მიდრეკილებებითა (ხასიათებითა) და შეხედულებებით განსხვავებულ ცალკეულ პირთა კრებულს, რომელთაც აერთიანებს სულიერი კავშირი, საერთო ენა, სისხლით ნათესაობა, რელიგია და მატერიალური კეთილდღეობა.

ჯებრანი არსებითად იმეორებს განმანათლებელთა მიერ დროთა ვითარებაში შემუშავებულ განსაზღვრებას. იგი მათ მსგავსად შორსაა ტრადიციული გაგებისა-

გან და მთავარ ადგილს აკუთვნებს საერთო ენასა და სისხლით ნათესაობას. ზე-
ლიგია შედარებით უკანა პლანზეა გადაწეული, თუმცა არ არის უგულვებელყოფი-
ლი, როგორც ალ-ქავაჯიბისთან *.

ჯებრანის შემოქმედებაში არ გვხვდება „სამშობლოს“ ცნების განსაზღვრა. ეს უფლებას არ გვაძლევს იგი პატრიოტად არ ჩავთვალოთ. პირიქით, სამშობლოს სიყვარული, მისდამი ლტოლვა, წადილი მისი ხილვისა, ფიქრი და ზრუნვა მის ბედობაზე და მომავალზე წითელი ზოლივით გასდევს მის ნაწარმოებებს. ხშირად მწერლის სამშობლო გაცდება ლიბანის საზღვრებს და მთელ არაბულ სამყაროს უტოლდება. ზოგჯერ მისი სამშობლო მთელი დედამიწაა, თანამემამულე კი ყველა ხალხი ([6], გვ. 293). ჯებრანისათვის დამახასიათებელია ლიბანის, არაბული სამყაროს და აღმოსავლეთის ერთმანეთში გადახლართვა, ერთ მცნებად წარმოდგენა.

მწერლის მრავალი ნაწარმოები, მათ შორის „თქვენ, თქვენი ლიბანი, მე – ჩემი ლიბანი“, „პაემანი“, „მარადიულობა და ერი“, „თანამემამულეთა სიკვდილი“ და სხვა სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულითაა გამთბარი. მის ბედით შეწუხებული მწერალი მას ხედავდა დამონებულს, ტირანის ხელთ ჩაგდებულს, მიძინებულსა და ბრძოლის უნარმოკლებულს. მისი თქმით, აღმოსავლეთი შეპყრობილია ქრონიკული ავადმყოფობით, ბიწიერება დაპატრონებია მის სხეულს. აღმოსავლეთში ადამიანი ვერ პოვებს „სამართლიან მმართველს, მიუკერძოებელ კანონმდებელს, მღვდელს, რომლის საქციელი შეესაბამებოდეს თავის რწმენას, ქმარს, რომელიც ცოლს თავის თანასწორად თვლიდეს“ ([8], გვ. 95). ისინი წარსულის მოგონებებში არიან ჩაფლულნი, გარდასულ დღეთა დიდებით ინუგეშებენ თავს და უარყოფენ ყოველივე ახალს ([8], გვ. 90).

მძიმე მდგომარეობაშია მწერლის სამშობლო. მას თითქმის არაფერი გააჩნია საკუთარი, ყველაფერს სხვისგან იღებს. მასზე დესპოტი ვაბატონებულა, მისკენ დამპყრობი მოიწევს, მის ხალხს დესპოტი და დამპყრობი ვერ გაურჩევია კეთილმოსურნებისაგან. ქვეყანაში იდევნება ყოველივე პროგრესული. აქ არ ფასობს ნამდვილი მმართველი, ნამდვილი ფილოსოფოსი, ჭეშმარიტი ხელოვანი და ხელოვნება. ყველაფერი სიყალბისა და მიმბაძველობის რიდეში გახვეულა. სამშობლო დაქუცმაცებულია, სხვადასხვა კუთხეებს შორის არ არის ურთიერთგაგება, გაერთიანებისკენ სწრაფვის სურვილი. დაქუცმაცებული ქვეყნის ყველა კუთხეს თავი დამოუკიდებელ ქვეყნად, ცალკე ერთ წარმოუდგენია. პატრიოტიზმს, სამშობლოს მომავალზე ზრუნვას და წუხილს „მოციქულის ბაღში“ შემდეგი სიტყვებით გამოხატავს: „...ვაი ერს, რომელიც იმოსება იმით, რასაც არ ქსოვს, ჭამს, რასაც არ თესავს და სვამს იმას, რასაც არ წურავს. ვაი ერს, რომელიც თვლის დესპოტს გმირად, განებივრებულ დამპყრობს – მოწყალედ... ვაი ერს, რომელიც ხვდება თავის მმართველს (განმგებელს) დოლის ცემით და აცილებს სტენით,

* ტრადიციული გაგებით (იგულისხმება არაბული) „ერი“ ყველა მუსლიმანის ერთობლიობაა მუხედავად ენის, რასობრივი და ეთნიკური კუთვნილების ან ადგილსამყოფელისა ([5], გვ. 179). დროთა ვითარებაში ამ გაგებას ცვლის ახალი, რომლის მიხედვით „ერი“ არ წარმოადგენს მხოლოდ ნათესაური კავშირით ან რელიგიით გაერთიანებულ ადამიანთა უბრალო ჯგუფს. იგი არის კოლექტივი ადამიანთა, რომელთაც აქვთ საერთო ენა, ერთი საცხოვრებელი ადგილი და რელიგია ([5], გვ. 179). აქ მთავარი ადგილი ეთნობა ენას და ტერიტორიას, რაც ეწინააღმდეგება ტრადიციულ გაგებას. ალ-ქავაჯიბი გამოირჩევა რელიგიასთან კავშირს და ერს განსაზღვრავს „ერთი რასით, ენით, სამშობლოთი და უფლებებით დაკავშირებულ“ ადამიანთა ერთობას ([5], გვ. 180). მოგვიანებით, ლუტფი ას-სეიდიმ „ერი“ დაახასიათა როგორც სოციალური ჯგუფი, რომელსაც აერთიანებს საერთო ინტერესები და არა რელიგია ([5], გვ. 180).

რომ შეხედეს მეორეს დოლის ცემით და სალამურის დაკვრით. ვაი ერს, რომლის ბრძენი ადამიანები მუნჯები არიან ასაკის სიმძიმისაგან, ხოლო მისი ძლიერება ნებეირობენ საწოლში. ვაი ერს, დაქუცმაცებულს, რომლის თითოეულ წაწილს თავი მიაჩნია დამოუკიდებელ ერად“ ([2] გვ. 469—470).

ჯებრანი სამშობლოს უბედურებას მიძიმედ განიციდის, რასაც კიდევ უფრო უძლიერებს იმის შეგნება, რომ გაჭირვების ჟამს მისგან შორსაა, არ შეუძლია მხარში ამოუდგეს თანამემამულეებს, მათთან ერთად იბრძოლოს, მათთან ერთად დატყბეს გამარჯვების სიხარულით, ანდა მათთან ერთად ჰპოვოს სიკვდილი. სამშობლოსათვის თავგანწირვას, ხალხისთვის თავის დადებას იგი ყველასათვის საპატიო მოვალეობად თვლის, სამშობლოსათვის სამსახურს ყველაფერზე მაღლა აყენებს, სიყვარულზეც კი: „... იყავი მამაცი, გიყვარდეს შენი სამშობლო!...“ —წერს ომის ქარცეცხლში მყოფ ჰაბუეს საცოლვე ([6], გვ. 225).

ჯებრანი ხედავს სამშობლოს დაზარალებულს, მაგრამ არ კარგავს მომავლის იმედს, სწამს, რომ ასეთი ყოფა დროებითია, რეგრესი უნდა შეიცვალოს პროგრესით: „შენ, სირიავ, მსგავსი ხარ შენი მეზობლებისა—ეგვიპტის, სპარსეთისა და საბერძნეთისა, რომელთაც იმდენივე ნახირი ჰყავთ და ისეთივე საძოვრები აქვთ, როგორც შენ. შენი დაცემა არის ღრმა ძილი. მას მოჰყვება გამოფხიზლება და შრომა. ყვავილი სიცოცხლეს უბრუნდება სიკვდილის შემდეგ, სიყვარული დიადი ხდება განშორების შემდეგ“ ([8], გვ. 32). დამახასიათებელია ჯებრანის სიტყვები მისი მეგობრის ემელ ზეიდანისადმი: „მწამს, რომ აღმოსავლურ აზრს საერთოდ და არაბულს, კერძოდ, ახლო მომავალში ექნება დიდი დაფასება“ ([9], გვ. 170).

სემიოლოგიის კათედრა

ლიტერატურა

1. جبران خليل جبران 'النبي' بيروت
2. حبيب مسعود 'جبران حيا وميتا' بيروت 1976
3. جبران خليل جبران 'رمل وزبد' بيروت
4. А. А. Долинина, Очерки истории арабской литературы нового времени (Египет и Сирия), М., 1968.
5. З. И. Левин, Развитие основных течений общественно—политической мысли в Сирии и Египте, М., 1972.
6. جبران خليل جبران 'المجموعة الكاملة لمؤلفات قدم لها وأشرف على تنسيقها ميخائيل نعيمة بيروت
7. Арабская проза, М., 1956.
8. Жебран Халиль Жебран, Сломанные крылья, избр. пр., М., 1962.
9. عبد الكريم الاشتر 'النشر المهجري' «كتاب الرابطة القلمية' القاهرة' ج 1970
ج 2 1971

М. В. КУТЕЛИА

К ВОПРОСУ О МИРОВОЗЗРЕНИИ ДЖЕБРАНА ХАЛИЛИЯ ДЖЕБРАНА

Резюме

Основная тема „Пророка“—это взаимоотношения между людьми. Особое внимание уделяется таким общим проблемам, как добро и зло,

любовь и красота и т. д. Правда, взгляды писателя на указанные вопросы не всегда оригинальны, но прогрессивны.

В творчестве Джебрана значительное место занимает тема родины, сущность нации, взаимоотношения арабского мира с Османской империей и с западными странами. Автор, в основном, разделяет взгляды прогрессивной части арабских просветителей.

M. KUTELIA

SOME ASPECTS OF DJUBRAN KHALIL DJUBRAN'S OUTLOOK

Summary

«The Prophet» is the conclusive literary work of Djubran Khalil Djubran's creative life. Relationship among men in society is the main theme of the book. Special attention is paid to general problems, such as good and evil, love, beauty, etc.

The theme of motherland, the essence of nation, relations of Arab countries with the Ottoman empire and Western countries—all these feature highly in his works. The ideas of progressive Arab enlighteners concerning these aspects are shared in the writings of Djubrān Khalil Djūbrān.

„შაჰ-ნამეს“ არაბული ლექსიკიდან

ლეილა თუშიშვილი

ჩვენ შემთხვევა გვექონდა ზოგადად განგვეხილა ჰუმბერტისა და მონფარის ახალი ნაშრომები „შაჰ-ნამეს“ არაბულ ლექსიკასთან დაკავშირებით [1]. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ცალკეული ლექსიკური ელემენტების ანალიზისას ეს ავტორები ყოველთვის არ ითვალისწინებენ „შაჰ-ნამეს“ ტექსტს და წინამორბედ სპეციალისტთა კვლევის შედეგებს. ამის ნათელსაყოფად გავარჩიოთ რამდენიმე არაბული ლექსიკური ერთეული.

1) رَعَا არაბული მდ. სქ. ფორმა 'სულელი, უგუნური'. სპარსულში მას, ბუნებრივია, მდებარებითი სქესის გაგება არ აქვს და მეფეთა წიგნშიც მამრობითი სქესის პიროვნებას აღნიშნავს*.

სპარსულში رَعَا-ს, როგორც მ. ბიტნერი ([2], გვ. 64), პ. ჰორნი ([3], გვ. 3) და სპარსული ლექსიკოგრაფები აღნიშნავენ, ერთგვარი ცვლილება განუცდია, ნიშნავს 'ლამაზს, ნაზს, სასიამოვნოს'.

პ. ჰუმბერტთან رَعَا არის 'ალერსიანი, მიმზიდველი'; ხოლო მონფართან— 'უღირსი, მშინშარა'.

„შაჰ-ნამეში“ ხსენებული სიტყვა გვხვდება 'სულელის, უგუნურის' მნიშვნელობით. მიემართოთ ტექსტს:

مرا خیره خواهی که رسوا کنی
(ტ. I, გვ. 542) پیش خردمند رعنا کنی


'ტყუილად გინდა რომ შემარცხვინო, გონიერის თვალში გამასულელო'.

عروسم نباند که رعنا شوم
(ტ. I, გვ. 152) بنزد خردمند رسوا شوم

'ჩემ სასძლოს არ შეჰფერის, რომ გავსულელდე, გონიერის წინაშე შევრცხვე'.

დამახასიათებელია, რომ აქ رَعَا უპირისპირდება خردمند 'გონიერს'.

* ზოგი სპარსული ლექსიკონი მაინც ამახვილებს ყურადღებას ამ საკითხზე. მაგალითად, فرهنگ آموزگار-ში მითითებულია, რომ მისი მნიშვნელობაა زِنِ احمق 'სულელი ქალი'.



ყურადღებას იქცევს ის ფაქტიც, რომ ვულერსის ლექსიკონში ერთ-ერთ მნიშვნელობად 'სულელიცაა' ფიქსირებული.

2) جائلق. სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია, რომ იგი უკავშირდება ბერძნულ catholicos-ს. როგორც ფორმა მიუთითებს, სიტყვა არაბული გზითაა შესული სპარსულში. ჰუმბერტთან جائلق-ი საერთოდ არაა დამოწმებული, მიონფარის მიხედვით კი იგი ბერძნული წარმომავლობისაა და ნიშნავს 'კათოლიკური ეკლესიის პატრიარქს'.

როგორც "შაჰ-ნამეს" სათანადო ადგილების ანალიზი გვიჩვენებს, მას სრულიად სხვა სემანტიკა აქვს, ნიშნავს 'სამხედრო პირს, საომარი მანქანის უფროსს':

دو صد باره عراده و منجنیق
(ტ. V, გვ. 1336) نهاد از برش هر سوی جائلق

'ორასი „არადა“ და „მანჯანიყი“ (სამხედრო მანქანა) დადგა ყოველმხრივ „ჯასალიყმა“.

سکندر بفرمود تا جائلق
(ტ. VIII, გვ. 1891) بیاورد عراده و منجنیق

'ისქანდარმა ბრძანა, რომ ჯასალიყმა მოიტანოს „არადე“ და „მანჯანიყი“.

ამ ფაქტს ჯერ კიდევ 1856 წ. მიაქცია ყურადღება Fr. Rückert-მა ცნობილ მნიშვნელებში „შაჰ-ნამეს“ მოლისეულ გამოცემაზე ([4], გვ. 219). იგი ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ جائلق სწორედ საბრძოლო მანქანის ხელმძღვანელია. ეს მნიშვნელობა გათვალისწინებულია ვულერსთანაც.

3) ساعد 'მკლავი, წინამხარი' — ეს მნიშვნელობებია მითითებული სპარსულ ლექსიკონებში და ზემოხსენებულ ავტორებთანაც.

„შაჰ-ნამეში“ ساعد ძირითადად 'მკლავს' აღნიშნავს, მაგრამ ზოგჯერ გვხვდება 'სამკლავის, სახელოს' გაგებითაც, რასაც ადასტურებს შემდეგი ადგილები:

ز آهش ساعدوز آهن کلاه
(ტ. 1, გვ. 391)

'რკინისა იყო მისი სამკლავე და რკინისავე მუზარადი'.


یکی اسب و دو جامه دیبای چین
که بر تافتش ساعد و آستین
(ტ. VI, გვ. 1610)

'ერთი ცხენი და ორი ხელი ჩინური დიბის სამოსი, რომელსაც გადაკეცილი ჰქონდა სამკლავე და სახელო'.

BQ-სა და ვულერსის ლექსიკონში ეს სიტყვა საერთოდ არ არის. არაბულ ლექსიკონებში ასეთი მნიშვნელობა ساعد-ისა ცნობილია [5].

4) جلب მიჩნეულია სპ. چلب-ის არაბიზებულ ფორმად. ჰუმბერტისა და მიონფარის თანახმად იგი ნიშნავს 'ხმაურს, მღელვარებას, აურზაურს'. ამ შემ-

თხვევაში არ არის გათვალისწინებული ის გარემოება, რომ „შაჰ-ნამეში“
ძირითადად მუსიკალურ ინსტრუმენტს აღნიშნავს; მაგალითად,



(ტ. II, 83-348) خروش آمد از دشت و بانگِ جلب

‘ყვირილი მოისმა ველიდან და ჯალაბის ხმა’.

برفتند نیمی گذشته زشب

(ტ. III, 83 840) نه بانگِ تبیره نه بوق و جلب

‘წავიდნენ ნაშუალამევს, არ (ისმოდა) არც დოლის, არც ბუკის და არც
„ჯალაბის“ ხმა’.

BQ-ში, ვულერსისა და სხვა სპარსულ ლექსიკონებში ფიქსირებულია
جلب-ის ასეთი (მუსიკალური ინსტრუმენტი) გაგება. განასხვავებენ მხოლოდ არაბ.
جلب-ს და სპ. چلب-ს, პირველი ნიშნავს ‘ხმაურს’, ხოლო მეორე—‘საკრავს’, კერ-
ძოდ, ‘თეფშებს’.

5) قلم-ს აკავშირებენ ბერძნულ calamos-თან. ჰუმბერტიცა და მიონფარიც მას
განმარტავენ როგორც ‘ლერწამს, კლამს’, უნდა ითქვას, რომ „მეფეთა წიგნში“
„ყალამს“ აქვს ისეთი მნიშვნელობები, რომლებიც ბერძნულში არ არის ცნობილი,
კერძოდ,

ა) ბელი, ბედისწერა:

قلم شد و بودنی کار بود

‘აღსრულდა ბედისწერა და მოსახდენი მოხდა’.

ბ) გადატყდომა:

زد تیغ بر نیزه بیاسم

(ტ. III, 83-697) از آن تیغ شد نیزه او قلم

‘დაჰკრა მახვილი ფილსამის შუბს, ამ მახვილით გადატყდა მისი შუბი’.

შდრ. قلم کردن بریدن است: ის-فرهنگ آموزگار

BQ: قلم کردن کنایه از دوپاره کردن است

Vullers-ი: دوپاره کردن چیزی بیک ضرب


უნდა აღინიშნოს, რომ არაბულში გვაქვს قلم ‘მოჭრის, მოკვეთის’ მნიშვნე-
ლობით და قلم-ის ‘გადატყდომის, გადაჭრის’ გაგება, ჩვენი აზრით, არაბულის
ნიადაგზე უნდა აიხსნას.

قلم-ში საქმე უნდა გვქონდეს ბერძნულ და არაბულ სიტყვების თანხვე-
დრასთან.

ზემოხატუქვამის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ

ა) ფარდოუსი ზედმიწევნით იცნობს არაბულ ლექსიკას და ჯეროვნად აქვს
გათვალისწინებული არაბული სიტყვების ყოველი ნიუანსი.

ბ) ჰუმბერტისა და მონფარის ნაშრომების გამოყენებისას ერთგვარი სიფრთხილეა საჭირო.



ირანული ფილოლოგიის
კათედრა

ლიტერატურა

1. ლ. თუშიშვილი, „შაჰ-ნამეს“ არაბული ლექსიკის შესწავლისათვის. თსუ შრ. 180.
2. Bittner M., Der Einfluß des Arabischen und Persischen auf das Türkische (Sitzungsberichte Ak. D. W. Wien, 142, 1900).
3. Horn P., Neupersische Schriftsprache, Einleitung (GPh, I, Straßburg, 1898—1904).
4. Rückert Fr., Bemerkungen zu Mohl's Ausgabe des Firdusi (ZDMG, X).
5. Belot P., Vocabulaire Arabe—Français, Beyrouth, 1911.

Л. Н. ТУШИШВИЛИ

ИЗ АРАБСКОЙ ЛЕКСИКИ «ШАХ-НАМЕ»

Резюме

Р. Humbert и М. Moïnfar при изучении арабской лексики „Шах-наме“ с применением методов современной лингвистики достигли значительных результатов. Следует, однако, указать, что они в ряде случаев не исходят из текста поэмы, а также не учитывают соответствующих положений предшественников. В этой связи в настоящей статье проанализированы следующие лексические элементы: *قلم*, *رعنا*, *جائليق*, *ساعد*, *جلب*.


L. TUSHISHVILI

CONCERNING THE ARABIC VOCABULARY OF SHAH-NAMA

Summary

In investigating the Arabic vocabulary of Shah-Nama P. Humbert and M. Moïnfar attained significant results through the use of methods of modern linguistics. It should be noted, however, that in a number of cases they do not proceed from the text of the poem nor take into consideration the relevant findings of their predecessors. Hence, the present paper analyses the following lexical elements: *جلب*, *رعنا*, *قلم*, *ساعد*, *جائليق*.

ساعد, *جائليق*



თანამედროვე ირანის ლიტერატურული ცხოვრება

თენგიზ კეზელავა

როგორც კი ლაპარაკი ჩამოვარდება სპარსულ ლიტერატურაზე, მაშინვე ჩვენს ცნობიერებაში გაცოცხლდებიან ისეთი სახელები, როგორცაა აბოლ ყასემ ფირდოუსი, შამს ედ-დინ ჰაფეზი, შეიხ მოსლეჰ ედ-დინ საადი, ომარ ხაიამი, ნიზამი, ჯელალ ედ-დინ რუმი, აბდ ორ-რაჰმან ჯამი, რომელთაც საპატიო და მუდმივი ბინა დაიდეს მსოფლიო ლიტერატურის საგანძურში და სწორედ მათ უნდა უმაღლოდნენ თანამემამულეები, რომ ირანი საყოველთაოდ იქნა აღიარებული პოეზიისა და ლირიკის ქვეყნად. მაგრამ ჩვენ ვერ გავიზიარებთ იმ შეხედულებას, რომ სპარსული ლიტერატურა გარდასულ საუკუნეთა მიღმა დარჩა, წარსულის კუთვნილებაა და მას დახშული აქვს შემდგომი განვითარების გზა.

კარგა ხანია, რაც თანამედროვე სპარსულმა ლიტერატურამ მოიპოვა მოქალაქეობრივი უფლება და მას მრავალი თავყენისმცემელი და მკითხველი ჰყავს როგორც ირანში ისე მის ფარგლებს გარეთაც.

ჩვენ მხედველობაში გვაქვს არა მარტო თანამედროვე მხატვრული პროზა, განსაკუთრებით სპარსული ნოველა, არამედ თანამედროვე სპარსული ლექსიც.

უკანასკნელ წლებში საბჭოთა აღმოსავლეთმცოდნეობა უფრო მეტ ყურადღებას უთმობს თანამედროვე ლიტერატურის შესწავლის საქმეს.

არც ქართველი ირანისტები დარჩენილან ვალში, დაისტამბა მონოგრაფიები, წერილები, პუბლიკაციები, მიძღვნილი თანამედროვე სპარსული მწერლობის სხვადასხვა საკითხისადმი.

ქართველმა მკითხველმა გაიცნო თანამედროვე სპარსული ლიტერატურის ნიმუშები, ძირითადად პროზა.

ჩვენი აზრით, თანამედროვე სპარსული პოეზიის საუკეთესო ნიმუშების გაცნობისას, თვით ალტერნატივა, რომელი სჯობს, რომელი უფრო მისაღებია, არუზის თუ „შერე ნოუს“ წესით დაწერილი სპარსული ლექსი, ნიშნავს საქმის ერთგვარ გამარტივებას.

ანბანური კუშპარიტებაა, რომ ლიტერატურაში არ არსებობს ცუდი და კარგი ფორმა. ჰომეროსიდან მოყოლებული მთელი ანტიკური პოეზია თეთრი ლექსითაა დაწერილი, მაგრამ ამის გამო მისთვის წუნი არავის დაუდვია.

თანამედროვე ირანის ლიტერატურულ ცხოვრებაში მოხდა მნიშვნელოვანი ძვრები. მხატვრული ლიტერატურა გამდიდრდა ახალი ფაქტებითა და მოვლენებით, გაისმის ახალი სახელები. ფართო გასაქანი მიეცა მხატვრული პროზის განვითარებას. სპარსულმა ნოველამ საყოველთაო აღიარება მოიპოვა და ახლა მას მუდმივი მკითხველი ჰყავს მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში.

უკანასკნელი წლების სპარსულ პოეზიაში ფეხი მოიკიდა „შერე ნოუმ“, ახალი სტილით დაწერილმა ლექსმა. ზოგიერთს ახალი მიმდინარეობის დაწერა

ბოროტებად მიაჩნია და ყოველმხრივ ცდილობს გაუტეხოს მას ხაზელი. ეს გარემოება ალბათ უნდა აიხსნას კლასიკური ლექსის ერთგულებითა და სიყვარულით.

რა დაგვაფიწყებს დიდებით მოსილ ექვს საუკუნეს (IX—XV საუკუნეები), სპარსული ლექსის აღზევების ხანას, როცა სპარსელმა სიტყვის ჯადოქრებმა დიდების შარავანდელით შემოსეს თავისი მშობლიური ქვეყანა და აქციეს სპარსული ლექსი ყველა დროის და ყველა ქვეყნის შთაგონების წყაროდ.

სპარსელ კლასიკოს პოეტთა უკვდავი ქმნილებები თავის დიდებითა და ელვარებით აჯადოებენ მკითხველს და დღესაც განცვიფრებს და აღტაცებს იწვევენ მასში.

უნდა ვევარაუდოთ, რომ, როცა „შერე ნოუს“ სტილში დაწერილ ლექსითაც შეიქმნება შედეგები, მაშინ მოიხსნება ეს შეუწყნარებლობა და უარყოფითი დამოკიდებულება თანამედროვე სპარსული პოეზიისადმი.

განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ უკანასკნელ წლებში იმატა ინტერესმა და დღითიდღე ფართოვდება თანამედროვე სპარსული ლიტერატურით და ინტერესებულ მკითხველთა წრეების რკალი სხვადასხვა ქვეყნებში და მათ შორის ჩვენშიც, საბჭოთა კავშირში. განუხრელად იზრდება პუბლიკაციების რიცხვი, რომლებიც მიეძღვნა თანამედროვე ლიტერატურის სხვადასხვა პრობლემებს; ფართო პოპულარობა მოიპოვა და დიდი ინტერესით კითხულობენ თანამედროვე სპარსელი ავტორების ნაწარმოებების თარგმანებს მსოფლიოს მრავალ ენაზე, რაშიც თავისი გამოხატულება ჰპოვა იმ ფაქტმა, რომ უკანასკნელ ხანებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ თანამედროვე ლიტერატურას საკუთრივ ირანში.

ამ გარემოებაზე უნდა გამახვილდეს ყურადღება თუნდაც იმიტომ, რომ იყო დრო, როცა ირანელი მკითხველების და მეცნიერების ნაწილს ხანგრძლივი დროის მანძილზე გამოძეული ტრადიციის კვალდაკვალ არც კი წარმოედგინა, რომ კლასიკური ლიტერატურის გარდა რამეს აელელებინა ან დაეინტერესებინა ისინი. გამოითქვა არა ერთი მოსაზრება კლასიკური ლიტერატურის ძლიერი უარყოფითი ზეგავლენის შესახებ. ამ მხრივ ნიშანდობლივია ცნობილი ირანელი მკვლევარის საიდ ნაფისისა და თეირანის უნივერსიტეტის პროფ. ფატიმა სოიაჰის წერილი „ირანის თანამედროვე ლიტერატურა“.

მსჯელობენ რა თანამედროვე სპარსული ლიტერატურის განვითარების გზებზე, მის ხვალინდელ დღეზე, ზემოაღნიშნული სტატიის ავტორები მისი ნელი განვითარების მიზეზად ასახელებენ ტრადიციის დამთრგუნავ ძალას, რომელიც ხელს კი არ უწყობს თანამედროვე სპარსული ლიტერატურის ზრდის ტენდენციებს, არამედ პირიქით, ართმევს მას განვითარების პერსპექტივას. ს. ნაფისი და ფ. სოიაჰი წერდნენ: „ჰკარგავენ რა შემოქმედებით ინდივიდუალობას, ამ პერიოდის მწერლები ადვილად ექცევიან მათი გენიალური წინამორბედების მიერ შექმნილ ლიტერატურული ტრადიციების ტყვეობაში. რაც უფრო ძლიერია ეს ტრადიცია, მით ორმაგია მისი როლი: ერთი მხრივ იგი აუცილებელი წინამძღვარია მისი (თანამედროვე პოეზიის) შემდგომი განვითარებისათვის. მეორე მხრივ კი — როცა ტრადიცია ძლიერ მდიდარი და რთულია, იტანს ნორჩ და ახალ ყლორტებს და ახშობს სუსტ პოეტურ ნიჭს. ასეთი ორჭოფი როლი ტრადიციისა მეტად დამახასიათებელია ირანული ლიტერატურისათვის. ეს შეინიშნება არა მხოლოდ წარსულში, არამედ საკმაოდ თვალნათლივ პოულობს თავის გამოხატულებას უკანასკნელი ათიწლისდროინდელ ლიტერატურაშიც“ ([1], გვ. 21).

განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ახლა შეიძლება დასახელებულ იქნას არაერთი თანამედროვე ირანელი მწერალი თუ პოეტი, რომლებმაც შექმნეს შესანიშნავი მხატვრული ნაწარმოებები და მათთვის მდიდარი ლიტერატურული ტრადიცია წარმოადგენდა არა მუხრანის, არამედ, პირიქით, ხელს უწყობდა მათ შემოქმედებით მუშაობაში.

სავსებით ვეთანხმებით იმ მკვლევრებს, ირანელ ლიტერატურათმცოდნეებს, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ლიტერატურული მემკვიდრეობის მარჯვედ, საქმის დრმა ცოდნით გამოყენების აუცილებლობას. სახელდობრ, მწერლობა ტრადიციას ბრმად კი არ უნდა მისდევდეს, მის ტყვეობაში კი არ უნდა მოექცეს, არამედ შემოქმედებითად აითვისოს ის უმდიდრესი მემკვიდრეობა, რაც დასტოვა მისმა სახელგანთქმულმა წინაპარმა, კლასიკურმა ლიტერატურამ.

ამასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ მოჰამედ ტაგი ბაჰარი, მალიქ აშ შოარა, რომელიც ერთგული დარჩა სპარსული კლასიკური პოეზიის ტრადიციებისა. სწორედ ბაჰარმა გააცოცხლა ეს ტრადიციები, სული ჩაბერა მათ და მისცა ახალი ყურადღობა.

ნიშანდობლივია, რომ პროგრესული საზოგადო მოღვაწე და თვალსაჩინო პოეტი მალიქ აშ შოარა ბაჰარი თავის შემოქმედებაში იყენებს სადა, ხორასნულ სტილს, მაგრამ ეს არ ყოფილა ფორმალური შემობრუნება ძველი, კლასიკური სტილისაკენ, არამედ მისი მარჯვედ მისადაგება თანამედროვე პირობებისადმი, აქტუალურ შინაარსთან ნატიფი ფორმის ოსტატური შეხამება სწორედ ამიტომაც მალიქ აშ შოარა ბაჰარის ლექსების უმეტესობა გამოირჩევა თავის სინატიფით, მუსიკალობით და ამავე დროს ისინი დამუხტულნი არიან მოქალაქეობრივი პათოსით და უმეტესწილად გაისმის, როგორც უკეთესი მერმისისათვის ბრძოლის მოწოდება.

განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოს ბაჰარის ლექსი „დილის ფრინველი“, რომელიც სახალხო სიმღერად იქცა. თავისუფლება ამ ლექსში წარმოგვიდგება ფრინველის სახით, რომელიც განთიადისას თავის გალობით აცნობს სამყაროს ახალი დღის დაწყებას. სწორედ მისკენ მიუძღრთავს გოდებითა და იმედით აღსავსე მზერა ირანელ პოეტს. ამ ლექსს ეხმიანება ბაჰარის ასევე საკმაოდ გახმაურებული ლექსი „განთიადის მაცნე“. ამ ნაწარმოების კრიტიკულ მიზანწრაფვას ორგანულად ერწყმის მისი რევოლუციური პათოსი. პოეტი აღწერს წყვილიდ, უძილო ღამეს, რომელსაც ციხის საკანში ხვდება. განსაკუთრებით შთამბეჭდავია ბნელი, უმთვარო ღამის სურათი, რომელიც პოეტს მუქ ტონებში აქვს გადმოცემული და სათანადო განწყობილებას უქმნის მკითხველს.

მაგრამ პოეტი არ მოუცავს სასოწარკვეთილებას და უიმედობას. უტენია მისი ნებისყოფა. ბაჰარს სწამს თავისუფლებისა და ნათელის გამარჯვებისა. მას სჯერა, რომ ხალხი უძლეველია. ბაჰარი ამბობს:

„ჰოი, ღამეო, უღობველო, გახსოვდეს მხოლოდ
ძალადობით რომ დაამწუხრე გული ამდენი;
უსამართლობას მოეღება ამ ქვეყნად ბოლო
და ღამის წყვილიდს განთიადის შუქი განდევნის“.

პოეტი მიმართავს ახალგაზრდა თაობას, უანდერძებს მამაცობასა და სიმტკიცეს თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

მრავალმხრივი და მრავალფეროვანია ბაჰარის ლირიკა. მასში იგრძნობა პოეტის დარდი და ტკივილი მისი მშობლიური ირანის ძნელბედობის გამო. ეს გამო-

ხატულებას პოულობს როგორც ლექსის საერთო ტონალობაში (მაგალითად „პეი-ზაჟის მუქი და პირქუში ფერები ბაჰარის ყასიდებში „ღამის ღუმლი“¹ „შემოდგომა და ზამთარი“), ანდა ნაწარმოების ბოლოს, თითქოს შემთხვევით „გამოთქმულ“ შენიშვნაში (ლექსი „ჩემი მტრედები“) [2]. ყოველივე ეს განაპირობებს მალიქ აშ შოარა ბაჰარის პოეტური ქმნილების სიღრმეს და ჟღერადობას; ამიტომაც არიან ისინი შთამბეჭდავნი და აღელვებენ მკითხველს.

მალიქ აშ შოარა ბაჰარი იყო ირანის მშვიდობის მომხრეთა საზოგადოების ორგანიზატორი და პირველი თავმჯდომარე.

„დადგა ღრო, რომ ომის ყვავეს მშვიდობის მტრედის ფერხთით წავაგლიჯოთ თავები“ — აცხადებს პოეტი ერთ-ერთ თავის უქანასკნელ ნაწარმოებში — პოემაში „ომის ყვავები“ [3], თუმცა მალიქ აშ შოარა ბაჰარი ამყობდა ცოცხალი არ არის, მაგრამ იგი ყველაზე სახელმოხვეჭილი პიროვნებაა თანამედროვე ირანის ლიტერატურულ ცხოვრებაში და მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა ბევრად უფრო თანამედროვე და პოპულარულია ირანში, ვიდრე შემოქმედება მრავალთმრავალი სხვა მასზე უფრო დღეგრძელი თანამედროვე სპარსელი პოეტისა. ჯერჯერობით ვერაფერს უსწორებს მხარს მალიქ აშ შოარა ბაჰარს XX საუკუნის სპარსულ პოეზიაში.

თანამედროვე პოეზიაში კვლავ დიდი ადგილი აქვს დათმობილი ისეთ ტრადიციულ თემებს, რომლებიც დამუშავებულია სპარსელი კლასიკოსი პოეტების მიერ, კერძოდ, სიკეთისა და სამართლიანობის დაცვა ბოროტებისა და სიცრუისაგან, თავისუფლების მოყვარული გმირის ბრძოლა მჩაგვრელების წინააღმდეგ, სიყვარული და მეგობრობა, ორგულობა, მუხანათობა, ვერაგობა და სხვა.

სხვადასხვა პოეტები ეხებიან ამ თემებს და თითოეული მათგანი თავისებურად შლის მათ თავის პოეტურ ნაწარმოებში. ზოგი, ვინც ვერ შეიცნო მთელი თავის სიგრძე-სიგანით ირანში მომხდარი სოციალური ძვრების არსი, ზედაპირულად, აბსტრაქტულ მიმართებაში შეეხო ზემოაღნიშნულ თემებს, ხოლო სხვები კი, ვინც უფრო ახლო იდგა ხალხთან, იცოდა მისი ჭირვარამი, პოულობდა შესაფერის პოეტურ საშუალებებს და ხერხებს, რათა ნაცადი ტრადიციული ფორმების გამოყენებით ეთქვათ თანამედროვე ცხოვრების შესატყვისი რაღაც ახალი, პროგრესული. ამ უქანასკნელთა რიგს მიეკუთვნება თანამედროვე ირანის უდიდესი ლირიკოსი მოჰამედ ჰოსეინ ბეჰჯათ თაბრიზი შაჰრიარი.

თანამედროვე სპარსული პოეზიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი შაჰრიარი (დაიბადა 1906 წელს) ითვლება ყაზალის შეუღარებელ ოსტატად. სპარსელ კლასიკოს პოეტთა ამ უსაყვარლეს ქანრს შაჰრიარმა, თითქოს ახალი სული ჩაუდგა. მისი ყაზალები გამოირჩევიან საოცარი სინატიფით, მელოდიურობითა და სილამაზით. შაჰრიარის მუდმივი საცხოვრებელი ადგილია აზერბაიჯანი, ქ. თაბრიზი. პოეტს ნაკლებად იზიდავს თიერანის მშფოთვარე ცხოვრება, საზეიმო იერი, მოჩვენებითი დიდება და ელვარება.

ზოგჯერ, თუმცა ძალიან იშვიათად შაჰრიარი ჩადის ხოლმე დედაქალაქში და ეს მოვლენა პოეზიის ნამდვილ დღესასწაულად იქცევა ხოლმე. თიერანში ჩასვლისას შაჰრიარი მუდამ ყურადღების ცენტრშია. ეწყობა პრესკონფერენციები. ტელევიზია სპეციალურ გამოშვებას უძღვნის მას. ცენტრალური გაზეთების „ქეიჰანის“, „ეთელათის“ ფურცლებზე რამდენიმე გვერდი ეთმობა პოეტის ცხოვრებას, მის შემოქმედებას. ასევე ეხმაურებიან ღიღამე ამ ამბავს ჟურნალეი „ხანდანიჰა“, „როუშან ფეჟრი“, „სეფიდოსიაჰ“ და სხვა.

შაჰრიარის პოეტური მემკვიდრეობის გაცნობისას ისეთ დასკვნამდე შეიძლება მივიდეს მკითხველი, რომ პირობითად შეიძლება მისი ლექსები გავყოთ სამ ჯგუფად.

1. ლექსები, რომლებიც დაწერილია კლასიკურ სტილში, რომელშიც თვალნათლივ იგრძნობა ძველი პოეტების იდეოლოგიის ზეგავლენა. 2. რომანტიკული ხასიათის პოეტური ქმნილებები, რომლებშიც პოეტი გადმოგვცემს თავის პირად განცდებს. 3. სოციალურ თემატიკაზე შექმნილი ლექსები, რომლებშიც პოეტი იყენებს რეალისტურ სტილს. შაჰრიარის ლექსების პირველ ჯგუფში ჭარბობს სუფიური თემატიკა, რეალური სამყაროდან გამიჯნვა, გოდება ცხოვრების არარაობაზე, ლტოლვა მითოლოგიური სამყაროსა და რელიგიური ლეგენდებისაკენ. მაგრამ დროდადრო შაჰრიარი ეშვება ოცნებათა სამყაროდან და უკვირდება რა ირანის სინამდვილეს, ხან დასტირის ადამიანის ღუხჭირ ცხოვრებას, ხან კი მოითხოვს ქალის განთავისუფლებას მონობისა და ჩაგვრისაგან. მთელი რიგი შაჰრიარის ლექსებისა გამოირჩევა სოციალური უღერადობით.

როცა შაჰრიარი მიმართავს რეალისტურ თემატიკას, იგი სამწუხაროდ მხოლოდ ზოგადი მსჯელობით კმაყოფილდება, ლექსის ფინალში გამოხატულია ხოლმე პოეტის სიბრალული ჩაგრულებისა და დამცირებულების მიმართ:

ყველა გავაწამეთ, შვებას ვერავინ პოულობს,
ვინ ალაგმავს, ღმერთო, ამ მჩაგვრელებს;
იფიცებოდნენ უცხოელების უღლისაგან გაგანთავისუფლებთო;
ნილაბი ჩამოიხსნეს. მჩაგვრელებად თვითონ მოგვევლინენ.
გაისმის ბრძანება: „ცეცხლი!“
ქვეყანა მტვრითა და სისხლით გაივსო;
ღმერთო, დაამხე მათი სასახლე, ვინც ამ ბრძანებებს იძლევა

([4] გვ. 261).

ეს სტრიქონები ამოღებულია შაჰრიარის ლექსიდან „ზამთარია ჩვენი პატრონი“. ამ ლექსში პოეტი არაფერს ამბობს, თუ რა ბრძანებაზე და რა ცეცხლზეა ლაპარაკი. საკითხი საერთოდ ღია რჩება. საფიქრებელია, რომ პოეტი ამ კითხვაზე პასუხს ვერ პოულობს და ამიტომაც დახმარებისათვის მიმართავს ალაჰს.

გამოჩენილი პოეტის შაჰრიარის შემოქმედების შესწავლის საფუძველზე დადგინდა კანონზომიერება, ნიშანდობლივი მოვლენა დამახასიათებელი მთელი თანამედროვე ირანის ლიტერატურული ცხოვრებისათვის. კერძოდ, ჩვენ მხედველობაში გვაქვს ერთი რომელიმე ავტორის (პოეტი იქნება ის თუ მწერალი) ლიტერატურულ მემკვიდრეობაში რამდენიმე სხვადასხვა შეხედულების თვალსაზრისის „თანაარსებობა“.

ძველი კლასიკური ხერხების მიმდევართა შორის უნდა მოვიხსენიოთ რაჰი მოაიერი (დაბადებული 1909 წელს), რომლის შემოქმედება დიდი პოპულარობით სარგებლობს ირანში, განსაკუთრებით ახალგაზრდობაში.

თუ ახალგაზრდობაში დაწერილი რ. მოაიერის ლექსები მიძღვნილია ვარდის, ღვინის, ქალისადმი და ამ ქმნილებებში პოეტი უმღერის ლამაზმანებს, მისტირის დაკარგულ სიყვარულს, სატრფოსთან განშორებას გრძნობამორთული ტირის და ქვითინებს, ახლა კი, მოწიფულობის უამს, პოეტი სუფიზმისაკენ იჩენს ლტოლვას. ძირითადად რაჰი მოაიერი სამიჯნურო ღირიკის წარმომადგენლად ითვლება და ამ მხრივ მან დიდ წარმატებას მიაღწია. მოაიერის ყაზალებში იგრძნობა ხალხური ინტონაციების სისადავე და კლასიკური სტილის ცხოველმყოფელობა და ძალა. მისი ლექსები ნატიფი და მსუბუქია. ამ ქმნილებების მელოდიურობამ და ემოციურობამ შესაძლებლობა მისცეს ირანელ მუსიკოსებს შეექმნათ მათ საფუძველზე ისეთი პოპულარული სიმღერები, როგორიცაა „სიყვარულის შემოდგომა“, „განშორების საღამო“ და სხვა.

სპარსულ პოეზიაში მისი მრავალსაუკუნოვანი განვითარების გრძელ გზაზე შეიქმნა გარკვეული პოეტური კანონები და ნორმები. ხალხური პოეზიისა და კლასიკოს პოეტთა შემოქმედების საფუძველზე შეიქმნა მწყობრი სისტემა, რომელიც ნერება ლექსთა წყობის თაობაზე, ეგრეთწოდებული არუზი. სწორედ არუზმა განსაზღვრა ზუსტად სპარსულ პოეზიაში პოეტური მეტრები, დადგინა და მოაწესრიგა რითმების სისტემა და სტროფიკა, გარკვეულ წესებს დაუქვემდებარა პოეტური ფიგურები.

თუკი ადრე ირანელი პოეტები ლექსის ფორმას გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და ამ მიმართებით ისე გაიწაფნენ, რომ წარმოუდგენელ წარმატებებს მიაღწიეს, ამასთანავე ზოგჯერ ფორმას უპირატესი მნიშვნელობა ენიჭებოდა, ხოლო შინაარსი კი უკანა პლანზე იყო გადასული, ახლა ცხოვრებამ დღის წესრიგში დააყენა ასეთივე შესანიშნავი ფორმაში აქტუალურ თემატიკაზე დაწერილი პოეტური ნაწარმოებების შექმნის აუცილებლობა.

თანამედროვე სპარსულმა პოეზიამ მოგვცა გამოჩენილი პოეტების მთელი პლეადა, რომლებმაც შექმნეს დემოკრატიული სულისკვეთებით გამსჭვალული ნაწარმოებები. ათთვისეს რა ბრწყინვალე პოეზიის უმდიდრესი მემკვიდრეობა, მათ შეძლეს რაღაც ახალი თავისებური დამოკიდებულება მოენახათ კლასიკური პოეზიის ტრადიციული ფორმების მიმართ.

როგორც უკვე ითქვა, ტრადიციების მომხრე პოეტებმა მალევე აშოთარა ბაპარის წინამძღოლობით ახლებურად გაიაზრეს, მიუსადაგეს თანამედროვე ცხოვრების ახალ პირობებს ძველი ფორმები და გამოიყენეს ისინი ახალი შინაარსის გამოსახატავად. სინამდვილემ, ცხოვრებამ მრავალი ახალი პრობლემა დააყენა ლიტერატურის წინაშე.

თანამედროვე ირანის მწერლობა ახალი ამოცანების გადაჭრას ცდილობს არა მარტო ნაცადი ხერხებით, ტრადიციული ლიტერატურული ჟანრების მომარჯვებით, არამედ ეძებს ახალ გზებს.

სიახლეს სპარსული ლიტერატურისათვის წარმოადგენდა ისეთი ჟანრების გაჩენა, როგორიცაა სოციალური რომანი („საზარელი თეირანი“ — მოძფეყ ქაზემისა) და ნოველა (ჯემალზადეს ნოველების კრებული „იყო და არა იყო რა“).

თუ ახლებურად წერდნენ და ცდილობდნენ დაუახლოვონ თავისი პროზაული ქმნილებების ენა ყოველდღიურ სასაუბრო მეტყველებას სეიდ მოჰამად ალი ჯემალზადე, სადეყ ჰედაიათი, ბოზორჯ ალაფი, სადეყ ჩუბაქი, ჯალალ ალი აჰმადი, სამად ბეჰრანგი — ამას ვერ ვიტყვით ისეთ მწერლებზე, როგორიცაა მოჰანედ ჰეჯაზი და ალი დაშთი, რომლებიც წერენ კლასიკური ლიტერატურისათვის დამახასიათებელი მანერით.

როცა ლაპარაკია თანამედროვე სპარსულ ლექსთწყობაში სიახლეებზე და ძვრებზე, უპირველეს ყოვლისა, უნდა დავასახელოთ ნიმა იუშიჯი, რომელმაც შეძლო დაერღვია კლასიკური პოეზიის ტრადიციული ნორმები და ახალი გზა გაეხსნა სპარსული ლექსისათვის. სწორედ ნიმა იუშიჯის სახელს უკავშირებენ ლიტერატურათმცოდნენი სპარსულ ლიტერატურაში ახალი პროგრესული მიმდინარეობის ჩასახვას, რომელმაც ზიილი „ლიტერატურული რევოლუციის“ სახელწოდება. ბრძოლა სპარსული მხატვრული ლიტერატურის აღორძინებისათვის განსაკუთრებით იგრძნობა პოეზიაში, რაც საბოლოო ანგარიშში დავერგვინდა ახალი პოეზიის ეგრეთწოდებული „შერე ნოუს“ წარმოშობით.

თანამედროვე სპარსული პოეზიისათვის დამახასიათებელია გაბედული იდეური ძიებანი, სწრაფვა პოეტურ მეტყველებას მოენახოს ახალი, სახიერი და ჩამოხსმული

ფორმები. განახლების გზაზე შემდგარი ახალგაზრდა სპარსული პოეზია ცდილობს უარი თქვას არუზის გაქვავებულ ნორმებზე და დაწეროს ლექსთწყობის ახალი/კანონები, პოეტიკის ახალი პრინციპები.

სპარსულ პოეზიაში ახალი მიმდინარეობის ეგრეთწოდებული „შერე“ ნიშნულ ფუძემდებელია უდიდესი პოეტი და ირანული ლიტერატურის თეორეტიკოსი ნიმა იუშიჯი. თავის ავტობიოგრაფიაში პოეტი აღიარებს, რომ იგი წარმოშობით ქართველია და მისი წინაპრები რამდენიმე საუკუნის წინ ჩასულან ირანში. (15], გვ. 62).

ნიმა იუშიჯი დაიბადა ვასული საუკუნის ბოლოს მიზანდარანის პატარა სოფელ იუშიში, აქედან წარმოდგება მისი ფსევდონიმი იუშიჯი, რაც მიზანდარანულ დიალექტზე ნიშნავს იუშის მკვიდრს. სინამდვილეში კი მისი სახელია ალი იმბრაჰიმ ნური ისფენდიარი. მშობლიურ სოფელში გაატარა ბავშვობა, იქვე, მოლასაგან მიიღო დაწყებითი განათლება, ხოლო შემდგომ კი დაამთავრა თეირანის ფრანგული კოლეჯი „სენ ლუი“. იქ მისი მასწავლებელი იყო ცნობილი პოეტი ნეზამ ვაფა, რომლის უმუშალო გავლენით (როგორც წერს ავტობიოგრაფიაში ნიმა იუშიჯი) მოსინჯა თავის კალამი პოეზიაში. ფრანგულ ენაზე გაეცნო იგი ევროპული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებს და ეზიარა მსოფლიო კულტურასა და ცივილიზაციას.

ნიმა იუშიჯის პირველი პოეტური ქმნილებები გამოქვეყნდა 20-იანი წლების დასაწყისში. მათში გადმოცემულია პოეტის მოგონებანი ბავშვობისა და ყრმობის წლებზე, რომლებიც მან მშობლიურ სოფელში, მომთაბარე მწყემსებთან გაატარა. ამ ნაწარმოებში იგრძნობა ჯელალედინ რუმის „მასნავეს“ ზეგავლენის კვალიც. მაგრამ სიყვარული, რომელსაც უმღერის ნიმა იუშიჯი უფრო რეალური, ხელშესახებია და ბევრად განსხვავდება იმ მიუწვდომელ, პლატონური სიყვარულისაგან, რომელსაც ქადაგებდა პოეტი პანთეისტი ჯალალედინ რუმი.

თავის შემოქმედების ამავე პერიოდში ნიმა იუშიჯი ქმნის მძაფრი სოციალური ჟღერადობით აღსავსე ნაწარმოებებს. იყენებს რა კრიტიკული რეალიზმის მეთოდს თავის პოეტურ ქმნილებებში ნიმა იუშიჯი ამხელს მის მშობლიურ ირანში არსებულ სოციალურ უსამართლობას, მშრომელი მასების უუფლებობას, სააშკარაოზე გამოაქვს დამპყრობლური ომების ანტიჰუმანური ბუნება, გვიჩვენებს მის არსს (პოემა „ჯარისკაცის ოჯახი“); პოეტი აღწერს მშრომელების მძიმე მდგომარეობას ირანის ფეოდალურ საზოგადოებაში, გვიხატავს მუქთანროების ცხოვრების რეალისტურ სურათს, რომლებიც ლალ და ხელგაშლილ ცხოვრებას ეწევიან მშრომელთა ექსპლუატაციის ხარჯზე (ლექსი „ქეძვის შემგროვებელი“). პოეტის სიმპატიები უდავოდ მშრომელების მხარეზეა და ამის შესანიშნავი დადასტურებაა მისი პოემა „საპყრობილე“, რომლის წამკითხველს სრული შთაბეჭდილება ექმნება რომ ირანში როგორც სოფლის, ისე ქალაქელი მშრომელები უფლებდაყრილი არიან და მათ ყოველ ნაბიჯზე ემუქრება საპყრობილეში მოხვედრის პერსპექტივა. ნიმა იუშიჯი სარკაზმით აღწერს იმ ადამიანების დანაშაულს, ვინც საკანში მოხვდა: „ერთმა ის დააშავა, რომ ცოტას იბრძოდა, მეორემ ბევრი იცინა, მესამეს საბრული არ მოუვიდა ვიღაცას თვალში, მეოთხეს პირი ჰქონდა დიდი“ ([6], გვ. 69—70).

პოეტი გვიხატავს მის თანადროულ ირანში გამეფებულ უსამართლობას, წინააღმდეგობებს, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი ვერ პოულობს გამოსავალს არსებული მდგომარეობიდან. შეიძლება ამითაც აიხსნას ის ფაქტი, რომ ნიმა იუშიჯი რეაქციის მძიმე წლებში ჩამოსცილდა ლიტერატურის სარბიელს, 15,16 წლის განმავლობაში არ დაუწერია არც ერთი ლექსი. ყოველ შემთხვევაში დღემდე

ირანის ლიტერატურულ წრებში ასეთი აზრია გაბატონებული, რადგან ნიმას ამ პერიოდის შემოქმედებიდან ჯერჯერობით არაფერი არ აღმოჩენილა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ნიმა იუშიჯმა ასე გამოხატა თავისი პროტესტი რეზაშაჰის რეპრესიებზე, რომლებიც მიმართული იყო პროგრესული საზოგადო მოღვაწეების და ლიტერატორების მიმართ. ეს მოვლენა ნიშანდობლივია თანამედროვე პროგრესული სპარსული ლიტერატურისათვის, ასევე მოიქცა თვალსაჩინო ირანელი მწერალი ს. ჰედაიათი, რომელიც წლების განმავლობაში ჩამოსცილდა ლიტერატურულ მოღვაწეობას და მხოლოდ სამეცნიერო თარგმნითი საქმიანობით შემოიზღუდა. მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის დროს და სიცოცხლის დასასრულამდე (გარდაიცვალა 1960 წელს) კვლავ გამოდის ზედიზედ ნიმა იუშიჯის ნოვატორული ლექსები, როგორცაა: „ყვავი“, „ადამიანები“, „მთვარე კაშკაშებს“, „ლამის მეხრის სამუშაო“, „ყიციყო, იხახის მამალი“, „ნავი“, „ჩემი ფოლადის გული“, „მამაჩემი“, „დედა და შვილი“, „მანელი“ და სხვა [7].

ნიმა იუშიჯის თეორეტიკული შეხედულებები გადმოცემულია მის შრომებში „ორი წერილი“ და „გრძნობათა ფასეულობა“ [8]. ამ გამოკვლევაში პოეტი ეხება ესთეტიკის ზოგად პრობლემებსა და პრინციპებს, რომლებიც განაპირობებენ სპარსულ ლექსთწყობაში რეფორმებს.

ნაშრომის „გრძნობათა ფასეულობა“ ძირითადი თემა ასეთია: გარდუვალაა მნიშვნელოვანი გარდაქმნების ჩატარება აღმოსავლეთის ქვეყნების და მათ შორის ირანის ლიტერატურაში. ამ დასკვნამდე სპარსული ავტორი მიუყვანია ორ წინამძღვარს, კერძოდ, პირველი — საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცვლილებებს აღმოსავლეთის ხალხების ცხოვრებაში და მეორე — დასავლური ლიტერატურის მძლავრ ზეგავლენას, რომელიც მე-19 საუკუნიდან მოყოლებული დღემდე სულ უფრო მატულობს და ფართოვდება.

წიგნში „ორი წერილი“ არა მარტო გადმოცემულია ნიმა იუშიჯის ესთეტიკური შეხედულებანი, არამედ მას პრაქტიკული მიზანდასახულებაც გააჩნია, იგი არის „შერე ნოუს“ სკოლის თავისებური მანიფესტი. ნიმა იუშიჯს მიაჩნია, რომ მხატვარ-შემოქმედი თავის იდეებს უნდა გადმოსცემდეს გმირთა სახეების საშუალებით და ნაკლებ ყურადღებას უთმობდეს დიდაქტიკას.

ნიმას აზრით, პოეზიაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს რიტმს და ამასთანავე აღნიშნავს, რომ რიტმისა და არუზის ზომის თანადამთხვევა აუცილებელი არ არის. რიტმი შინაარსს უნდა შეესატყვისებოდეს. პოეტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ლექსიკური მასალის შერჩევის საქმეს. ნიმა იუშიჯს მიაჩნია, რომ ლექსის რიტმი უნდა უახლოვდებოდეს ჩვეულებრივ სასაუბრო მეტყველების რიტმს.

თავის თეორეტიკულ ნაშრომებში ნიმა იუშიჯი იბრძვის პოეტური ფორმის განახლებისათვის, მაგრამ ამასთანავე დიდი პატივისცემითა და სიყვარულით ეპყრობა კლასიკურ მემკვიდრეობას.

არ იქნება სწორი, რომ ნიმა იუშიჯის პოეზია მივიჩნიოთ მხოლოდ როგორც მისი ესთეტიკური პრინციპების ილუსტრაცია. ჩვენი შეხედულებით მის პოეტურ მემკვიდრეობას უფრო დიდი როლი აქვს დაკისრებული, კერძოდ, იგი ავითარებს, განავრცობს და ხსნის პოეტის ფილოსოფიურ ნააზრევს, მის ესთეტიკურ შეხედულებებს. განსაკუთრებით საინტერესოა ნიმა იუშიჯის გახმაურებული ნაწარმოებები პოემა „აფსანე“; ეს არის მისი პირველი პოეტური ნაწარმოები და ამის შემდეგ სიცოცხლის ბოლომდე ნიმა იუშიჯი ქმნიდა ნოვატორულ სულისკვეთებით გამსჭვალულ ლექსებს. „აფსანეს“ დიალოგის ფორმა აქვს. ერთმანეთს ესაუბრება გამიჯნურებული მთხრობელი და პოეტური აღმაფრენის, სიყვარულის, ოცნების

განსაჩივრება — ფანტასტიკური არსება აფსანე. იგი პოეტს სხვადასხვა სახით მოეფლინება ხოლმე. ზოგჯერ აფსანე — მტირალი ქალიშვილის გულია, ხან — ნია-
ვია, რომელიც პოეტის დალაღებს ეალერსება, ხან კი ცეცხლოვანი ღრუბლებდა
ცის კაბადონზე. აფსანე — პოეტის ბედი, მისი ცხოვრების მატანეა. აფსანე არა
მარტო ფანტაზიის განსხეულება, არამედ ამასთანავე იგი არის ჰიმნი მიწიერი
სილამაზით ტკობის. პოემა „აფსანე“ დაწერილია არუზის ზომით, მაგრამ ფორ-
მითა და სტილით იგი განსხვავდება ძველი პოეტური ტრადიციებისაგან, ეწინა-
აღმდეგება კლასიკური პოეზიის ნორმებს. „აფსანეში“ I და III ნახევარტაეპი
(მისრა) უმეტეს შემთხვევაში, ხოლო V მისრა კი, როგორც წესი, მთელი პოემის
გაყოლებაზე თავისუფალია და არ ირითმება ტრადიციული კანონებისათვის დამა-
ხასიათებელი ფორმით.

არნახულ სიახლეს სპარსული პოეზიისათვის წარმოადგენდა „აფსანეს“ ზო-
გიერთი სტროფის ზომათა სხვადასხვაობა, თავისუფალი რითმა და დიალო-
გები. პოემაში იგრძნობა ავტორის მისწრაფება დაუახლოოს პოეტური მეტყვე-
ლება ყოველდღიურ სალაპარაკო ენას. ყოველივე ამან შემდგომი განვითარება
პოემა თანამედროვე სპარსულ პოეზიაში და ამ მხრივ ნიმა იუშიჯს გამოუჩინდენ
მიმდევრები. თანამედროვე პროგრესული პოეტი ირანის სახალხო პარტიის „თუ-
დეს“ წევრი, მოჰამედ ალი აფრაშთე იცავს კლასიკური არუზის ნორმებს, მაგ-
რამ ამასთანავე ორგანულად ჩართავს ხოლმე თავის პოეტური ქმნილებების ლექ-
სიკურ ქსოვილში პოლიტიკურ-საგაზთო ტერმინოლოგიას, გამოთქმებს, მოწო-
დებებს, ანდაზებს, ფრთიან ხაზოვან სიტყვებს. აფრაშთეს პოეტური სტილის
თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ იგი ოსტატურად ახერხებს გამოიყენოს
ცოცხალი სალაპარაკო ენის თავისებურებები და შესძინოს თანამედროვე პოეზიის
აქტუალობა, სასაუბრო მეტყველების ემოციური ტონალობის უშუალოება. ნიმა
იუშიჯმა ახალი გზა გაუხსნა სპარსულ პოეზიას. „შერე ნოუს“ ფუძემდებლისა
და მამამთავრის ნიმა იუშიჯის შემოქმედებაზე და ესთეტიკურ შეხედულებებზე
მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა ევროპულმა თავისუფალმა ლექსმა, მაგრამ
ნიმას „შერე ნოუს“ და ვერლიბრს შორის ტოლობის ნიშნის დასმა შეცდომა
იქნება. ნიმა იუშიჯის „შერე ნოუს“ (ახალი ლექსი) დაფუძნებულია არუზზე და
პრინციპულად განსხვავდება ვერლიბრისაგან. თვითონ პოეტი აღნიშნავდა, რომ
სპარსული ლექსი წარმოუდგენელია ზომის გარეშე, ამასთანავე ნიმასა და მის
მიმდევრებს აუცილებლად მიაჩნიათ სპარსული პოეზიისათვის არუზის სისტემის
ხმარება, მაგრამ მათი აზრით ლექსთწყობის ეს სისტემა უნდა გამოყენებულ იქნეს
შემოქმედებითად, ამიტომაც, მეტად მოხდენილად უწოდა ფარავიზ ნათელ ხარ-
ლიარიმ ნიმა იუშიჯის „შერე ნოუს“ (ახალ ლექსს) „არუზე აზად“ „თავისუფალი
არუზი“ [9].

მართალია, ნიმა იუშიჯის არ შეუცვლია არუზი სხვა პოეტური სისტემით,
მაგრამ მან უარი თქვა არუზის ძირითად მოთხოვნაზე, კერძოდ, იზოსილაბიზმის
პრინციპზე, ე. ი. დასაშვებად მიიჩნია სხვადასხვა ზომის გამოყენების წესი. ლექსს
რიტმულ საფუძვლად ნიმა უდებს არუზით გათვალისწინებულ რომელიმე ზომის
ტერფს, მაგრამ ნიმა არ იცავს ლექსის სხვადასხვა სტრიქონებში ტერფების თანა-
ბარი რაოდენობის კანონს. პოეტი გადამწყვეტ მნიშვნელობას რიტმს ანიჭებს,
რასაც ვერ ვიტყვით რითმის შესახებ.

ნიმა იუშიჯის ღირსებად უნდა ჩაითვალოს, მისი მისწრაფება ორგანულად
შეუკავშიროს ერთმანეთს პოეტური ნაწარმოების ფორმა და შინაარსი, ე. ი. რით-
მი, რიტმი, ზომა და პოეტური გააზრების მოძრაობა.

სწორედ ამავნა ნიმა იუშივის ნოვატორობა, რომ იგი მკითხველს პოეტურ აზრს მოქმედებაში, მის დინამიკურ განვითარებაში სთავაზობს.

ნიმა იუშივიმა მკაფიოდ ჩამოაყალიბა თავისი მიზნები, სპარსულ ახალი სტილის შემოტანის საჭიროება. იგი წერდა: „თავისუფალი ლექსის დანიშნულებაა დააკმაყოფილოს თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების მოთხოვნილებანი. მე მესმის, რომ იგი არ გამოდგება ღვინის, პურობა-დარბაზობის და სიმდიდრის სადილებლად. მე თვით ვტკბებოდი ძველი ლექსთწყობით, მისი მელოდოზობით და ჩემთვის კლასიკური ზომებით გაწყობილი არაერთი ლექსი შემთხზავს.“

მაგრამ იმ მიზნით რომ სადა, უბრალო, ბუნებრივი ენით გაგუღვიძო ხალხს გრძნობები, გადაწყვიტე გამოიმეღვადებინა ახალი სტილი. ეს ხომ იმავე პოეზიის ერთ-ერთი სახეა, მისი ლექსითი ზომები იმავე არუზის პრინციპებზეა დაფუძნებული. მაგრამ მე მსურს, რომ არუზის მეტრიკა კი არ ხელმწიფობდეს ჩვენზე, არამედ ჩვენ—ჩვენი განწყობისა და გრძნობების შესაბამისად ვბატონობდეთ მასზე.

... ახალ პოეზიაში შეიცვალა მეთოდი, მან აიძულა ლექსი შეეცვალა თავისი ზომა, რათა ზომა დამორჩილებოდა აზრს და არა პირუტყუ, აზრი — ზომას“ ([10], გვ. 24).

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, იყო დრო, როცა ირანელი პოეტები და ლიტერატურათმცოდნეები ცდილობდნენ ეს ახალი იდეა დაეყვანათ ლექსის წმინდა ფორმალურ რეფორმამდე და ისე წარმოედგინათ საქმის ვითარება, თითქოს ეს ეხებოდეს მხოლოდ ზომისა და რითმის თავისუფლად გამოყენების საკითხს.

უფრო მეტიც, იყო ცდები, რომ სახელი გაეტეხათ „შერე ნოუს“ მიმდევრებისათვის, ამის მიღწევას ლამობდნენ ასეთი გზით: უნდოდათ უაზრობამდე დაეყვანათ ტრადიციული ლექსთწყობის დარღვევის იდეა. ამ მიზნით მათ უარყვეს ლექსში ნებისმიერი სისტემის დაცვის აუცილებლობა, ყოველგვარად ეს მოწოდებული იყო შემდეგი ლოზუნგით: „არავითარა ზომა, არავითარი რითმი“.

სწორედ ამიტომ მათ შექმნეს სპეციალური ტერმინი „შერე აზად“ (თავისუფალი ლექსი), რომლის ქვეშაც აგრეთვე იგულისხმებოდა ერთი ლექსის ფარგლებში ფორმისა და ზომის თავისუფლად ხმარების წესი. ხაზს უსვამდნენ რა სპარსული ლექსის რეფორმის ამ მხარეს და უწოდებდნენ რა ამ მოძრაობას „შერე აზად“ და არა „შერე ნოუს“-ს, ამით ზოგიერთი ირანელი პოეტი და ლიტერატორი ცდილობდა მიეჩქმალა თანამედროვე სპარსულ პოეზიაში მომხდარი ცვლილებების უფრო არსებითი მხარე, კერძოდ, ლექსის შინაარსის, მისი ხასიათის შეცვლა.

დროთა ვითარებაში შეიცვალა დამოკიდებულება თანამედროვე სპარსული პოეზიის ამ ახალი მიმდინარეობისადმი.

60-იან წლებში ირანის საერთო კულტურულ-ეკონომიურ აღმავლობასთან დაკავშირებით „შერე ნოუს“ მისი საუკეთესო წარმომადგენლების წყალობით გაიძვრა ფესვი და თავისი მკვიდრი ადგილი დაიჭირა თანამედროვე ირანის ლიტერატურულ ცხოვრებაში. როცა დარწმუნდნენ, რომ „შერე ნოუს“ (ახალი ლექსი) არ არის შემთხვევითი ამბავი, მოდას აყოლილ ლიტერატორთა ფორმალური ვარჯიშობანი, არამედ ყურადღაღები მოვლენაა, ჰეშმარიტი ნოვატორობაა, ირანის ლიტერატურულ წრეებში აღიძრა ინტერესი, მეტ ყურადღებას უთმობენ მას და ცდილობენ შეიცნონ „შერე ნოუს“ ბუნება, მისი ხასიათი.

60-იანი წლების მრავალრიცხოვან პოეტებს შორის, რომლებიც წერენ „შერე-
ნოუს“ სტილით, გამოირჩევიან აჰმად შამლუ, ქესრაი, საიე, ფორულ ფაროხზადი,
ნადერ ნადერფური, ჰონარმანდი, მოშირი და სხვები. მათ ნაწარმოებებში
რეზა მოპოვეს როგორც ირანში, ისე მის ფარგლებგარეთაც [11]. განსაკუთრებით
ყურადღებურია ის ფაქტი, რომ ზემოაღნიშნულ პოეტების წვლილს თანამედროვე
სპარსული პოეზიის განვითარების საქმეში ხაზი გაუსვა თვალსაჩინო პოეტმა
ტრადიციული სტილის მომხრემ შაჰრიარმა თავის საუბარში გაზეთ „ეთელათის“
კორესპონდენტთან [12].

უკანასკნელ წლებში ირანში მეტი ყურადღება ეთმობა „შერე ნოუს“. დაი-
სტამბა სტატიები, წიგნები, რომლებშიც ირანელი მკვლევრები ცდილობენ მეც-
ნიერულად გაიაზრონ თანამედროვე სპარსული პოეზიის ეს ახალი მიმართულება,
რომელიც მომავრდა და მოიპოვა არსებობის უფლება ტრადიციული ლექსის გვერ-
დით. განუხრელად იზრდება სპარსულ პოეტთა რიცხვი, რომლებიც ქმნიან თავის
ნაწარმოებებს ახალი სტილით. გამოდის ლექსები, სადაც ცალკეულ პოეტთა შემო-
ქმედებაა წარმოდგენილი [13]. ასევე სპეციალური კრებულებიც, როგორიცაა
„ახალი ლექსის ნიმუშები“ [14]. დღითიდღე იზრდება „შერე ნოუს“ პოპულარობა
ირანში, თუმცა „შერე ნოუს“ ირანში ახლაც ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს, რომ-
ლებიც მის კანონგარეშე გამოცხადებას მოითხოვენ.

ღვაწლმოსილმა ირანელმა ლიტერატურათმცოდნემ, თეირანის ნაციონალური
უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანმა დოქტორ რაადი ადერაზშიმ
1968 წლის ნოემბერში ირანის პოეზიის კონგრესზე წაიკითხა მოხსენება „თან-
მედროვე ირანის პოეზია“. ბუნებრივია, რომ იგი გვერდს ვერ აუვლიდა „შერე
ნოუსზე“ მსჯელობას. მომხსენებელმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ეს ახალი
მიმდინარეობა სპარსული პოეზიისა, ხოლო მის ფუძემდებელს ბრალი დასდო,
რომ ამ უკანასკნელმა „დასავლური ლიტერატურის ზეგავლენით ძირი გამოუთხარა
ეროვნული კულტურის ნიადაგზე დაფუძნებულ სპარსულ ლიტერატურას“ ([15],
გვ. 549). ასევე გამოხატა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება „შერე ნოუსადმი“
ლოლამ ალი რაადი ადერაზშიმ თავის სტატიაში „სპარსული პოეზია და თავისუ-
ფალი ლექსი“ ([16], გვ. 506—513), რასაც მოჰყვა „შერე ნოუს“ დასაცავად დაწე-
რილი აბდოლ ჰამიდ აიატის სტატია.

რასაკვირველია, „შერე ნოუს“ და მის ფუძემდებელს ნიმა იუშიჯის არც
მომხრეები და არც ნიჭის თაყვანისმცემლები აკლია ირანში. პოეტმა ომიღმა საკ-
მაოდ სოლიდურ ჟურნალში გამოაქვეყნა წერილი სათაურით „ნიმა კაცური კაცი
იყო“. ამ წერილის ავტორს ნიმა იუშიჯი ცამდე აპყავს და მას მეოცე საუკუნის
სპარსული ლიტერატურის კლასიკოსად მიიჩნევს, ამასთანავე კატეგორიულად
აცხადებს, რომ ნიმა იუშიჯი არის ირანის რევოლუციური ლიტერატურის ფუძე-
მდებელი ([17], გვ. 631—636).

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ირანელ ავტორს ამ შემთხვევაში ცოტა დალატობს
ზომიერების გრძნობა, რადგან არ შეიძლება დავივიწყოთ თავისუფლებისა და სო-
ციალიზმისათვის მებრძოლი ირანელი პოეტები აბოლყასემ ლაჰუთი, ფაროხი
იეზდი, ვაიზ ქეივანი და სხვები, რომლებიც იდგნენ ირანის რევოლუციური ლიტე-
რატურის სათავეებთან.

„შერე ნოუს“ აკრიტიკებენ თანამედროვე სპარსული პოეზიის კიდევ ერთი
მიმართულების, კერძოდ, „მოუჯე ნოუს“ (ახალი ტალღის) წარმომადგენლები—
ჰუშმანგ ირანი, რეზა აჰმადი და სხვები, რომლებიც დგანან დასავლური ლიტერა-
ტურის მოდერნისტული მიმდინარეობის, კერძოდ, სიურეალიზმის პლატფორ-
მაზე.

„ახალი ტალღის“ წარმომადგენლები ხელაღებით უარყოფენ არღულის სისტემას და ირწმუნებიან, რომ „შერე ნოუს“, ისევე, როგორც კლასიკურ სპარსულ პოეზიას, არ ძალუძს თანამედროვე ცხოვრების მაჯისცემის ასახვა.

ჯერ კიდევ არ განულებულა და კვლავ გრძელდება ირანში კამათი და დისკუსიები „შერე ნოუს“, მისი არსის, ამ მიმდინარეობის მომხრე პოეტების შემოქმედების განხილვა, აღნიშნული პრობლემებისადმი მიძღვნილი არაერთი სერიოზული გამოკვლევა და ნაშრომი, რომლებიც ეკუთვნის ისეთ გამოჩენილ ირანელ ლიტერატურათმცოდნეებს, როგორცაა ფარავიზ ნათელ ხანლიარი, აბულყასემ ჯანათი ათაი, რეზა ბარაჰანი, აბდოლ ალი დასთლეები და სხვა [18].

ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ უდავოა, რომ „შერე ნოუმ“ მიუხედავად მრავალი წინააღმდეგობებისა, დაამტკიცა თავისი სიცოცხლისუნარიანობა და დაიკვიდრა თავისი ადგილი თანამედროვე ირანის ლიტერატურულ ცხოვრებაში.

პროგრესული ლიტერატურისა და ხელოვნების წარმომადგენლებს კვლავ დაუღვათ მძიმე დღეები. იძულებული გახდნენ ემიგრაციაში წასულიყვნენ ბოზორჯ ალავი, ჟალე, ნუშინი, ეჰსან თაბარი, მოჰამედ ალი აფრაშთე და სხვები.

ახალგაზრდა მწერალმა ფერიდუნ თანეჰობანიმ სცადა გაეკრიტიკებინა შაჰი და ეგრეთწოდებული „თეთრი რევოლუციის“ სახით წარმოდგენილი მისი რეფორმები. ამის გამო მწერალი თანეჰობანი დააპატიმრეს. 1974 წელს სიკვდილით დასაჯეს პოეტი გოლესორხი სამხედრო ტრიბუნალის საბრალდებო დასკვნაში ეწერა, რომ პოეტს ბრალად ედებოდა მარქსისტული იდეების პროპაგანდა. პოეტი გოლესორხი არ იყო ირანის სახალხო პარტიის „თუდეს“ წევრი, მაგრამ მშობლიური ერის იმპერიალიზმისა და რეაქციის უღლისგან განთავისუფლებისათვის ბრძოლის ლოგიკამ იგი მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის აღიარებამდე მიიყვანა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ირანელი ლიტერატურათმცოდნეების კვლევის არეში იშვიათად ხვდება შემოქმედება იმ მწერლებისა და პოეტებისა, ვინც დაადგა პროგრესული და დემოკრატიული იდეებისათვის ბრძოლის გზას.

ირანში გამოცემული სპარსული ლიტერატურის ისტორიებისა და ანთოლოგიების ავტორები დემოკრატი პოეტების და მწერლების მიმართ ტენდენციურობას ამჟღავნებენ. ისეთი ლექსები ან მოთხრობები, რომლებიც გამოირჩევიან პოლიტიკური სიმახვილით, ანთოლოგიებში არ შეაქვთ და ასეთი ნაწარმოებების ავტორებს, როგორც წესი, არ მოიხსენიებენ, ანკი უკეთეს შემთხვევაში, თუკი რამეა მათზე ნათქვამი, ამ მხრივ ისეთ სიძუნწეს იჩენენ, რომ თითქმის შეუძლებელია მკითხველს სწორი წარმოდგენა შეექმნას ზემოხსენებულ ლიტერატორთა შემოქმედებით გზასა და მხატვრულ თავისებურებებზე.

ნაშრომში „თანამედროვე ირანის ლიტერატურული ცხოვრება“ შევეცადეთ გვეჩვენებინა თანამედროვე ირანის ლიტერატურული ცხოვრების თავისებურებანი.

თანამედროვე ირანის სიტყვის ოსტატების შემოქმედების ანალიზისას ძირითადი ყურადღება დავუთმეთ სოციალურ-საზოგადოებრივ ასპექტს.

მრავალსახოვანი, მრავალფეროვანი თანამედროვე ირანის ლიტერატურული ცხოვრება. ძნელია შევადაროთ თანამედროვე სპარსული ლიტერატურა კლასიკური ხანის ლიტერატურას მხატვრული ოსტატობისა და სრულყოფილების თვალ-

საზრისით, მაგრამ იგი გამთირჩევა სიუჟეტების სიმრავლით და მასალის მრავალფეროვნებით.

თანამედროვე სპარსულმა ლიტერატურამ დღის სინათლე დაანახა ირანის სინამდვილის მრავალ, ახალ, სრულიად ხელუხლებელ შრეს; დღის წესრიგში დააყენა არაერთი საჭირობოროტო პრობლემა, იგი ცდილობს ასახოს ეპოქის მაჯისცემა.

რთული და წინააღმდეგობებით აღსავსეა თანამედროვე ირანის ლიტერატურის განვითარების პროცესი, მაგრამ ერთი რამ უდავოა, რომ დღითიდღე ძლიერდება და ძალღონეს იკრებს რეალისტური მიმართულება.

თანამედროვე სპარსულმა ლიტერატურამ მოგვცა გამოჩენილი მწერლებისა და პოეტების მთელი პლეადა, რომლებმაც შექმნეს დემოკრატიული სულიკვეთებით გამსჭვალული ნაწარმოებები.

თანამედროვე ირანის პროგრესული ლიტერატურის მიერ მიღწეული შედეგები, მისი ნოვატორული სულისკვეთება და განვითარების ტენდენციები იმედს იძლევიან, რომ სპარსული ლიტერატურა კვლავ გავა ფართო ასპარეზზე.

ირანული ფილოლოგიის კათედრა

ლიტერატურა

1. بقلم سعيد نفيسى و فاطمه سياح ، ادبيات معاصر ايران ، مجله «پيام نو» ۱۳۲۳
2. ديوان اشعار شادروان محمد تقى بهار ملك الشعراء ، تهران ۱۳۳۵
3. თ. კე. შელაგვა, ბაჰარი—შვიდობისა და გაზაფხულის მომღერალი, „მნათობი“, № 3, 1962.
4. کلیات ديوان شهریار ، تهران ۱۳۴۹
5. نخستین کنگره نویسندگان ایران ، تهران ۱۳۲۵
6. هشترودى محمد ضیا ، منتخبات اثر ، تهران ۱۳۴۲
7. مجموعه اشعار: نیما یوشیج ، ازد کتر ابو القاسم ، چتى عطای ، تهران ۱۳۴۶ نیما یوشیج ، دونامه ، تهران ۱۳۲۵
8. نیما یوشیج ، ارزشی احساسات ، تهران ۱۳۳۵
9. پرویز نائل خانلری ، جست و بلند شعر نو ، مجله «سخن» ، شماره ۲-۴ ، تهران ۱۳۹۱
10. ابو القاسم ، چتى عطای ، نیما یوشیج و قسمت از اشعار او ، تهران ۱۳۳۴
11. В. Б. Кляшторина, Современная персидская поэзия, М., 1962.
12. اطل عات 4. XII. 1971
13. مجموعه اشعار عاشقانه احمد شاملو ، تهران ۱۳۴۶
جاودانه ، فروغ فرغ زاد ، تهران ۱۳۴۷
بر گذشته شعرهای نادر نادریور تهران ۱۳۴۷
بر گذشته شعرهای اسماعیل شاهرودی (آینده) تهران ۱۳۴۷

14. نمونه‌های شعر نو ' تهران ۱۳۴۶
- شعر نو از آغاز تا امروز ، تهران ، ۱۳۵۱
15. رعدی اذرخشی ، شعر معاصر ایران ، مجله «یغما» شماره ۱۰ ، ۱۳۴۸
16. دکتر هالامعلی رعدی اذرخشی ، شعر فارسی و شعر آزاد ، مجله «راهنامه کتاب» شماره و ، ۱۳۴۷
17. مهدی امید ، نیما مردی بود مردستان ، مجله «اندیشه و هنر» شماره ۹ ، ۱۳۳۹
18. იხ. ფარვინ ნათელ ხანლიარისა და აბოლ ყასემ ჯანათი ათაის ზემოთ აღნიშნული გამოკვლევები და აგრეთვე
رضا براهنی ، طلا در مسی ، تهران ، ۱۳۴۷
- عبد العلی دست غیب ، سایه روشن شعر نو فارسی ' تهران ۱۳۶۸
19. Bozorg Alavi, Geschichte und Entwicklung der modernen persischen Literatur, Berlin, 1964.

Т. Г. КЕШЕЛАВА

ЛИТЕРАТУРНАЯ ЖИЗНЬ СОВРЕМЕННОГО ИРАНА

Резюме

Статья посвящена рассмотрению некоторых особенностей литературной жизни Ирана наших дней.

Анализируя произведения современных персидских авторов с точки зрения литературной техники и их эстетической значимости, автор статьи сделал попытку показать литературный процесс в тесной связи с общественно-политической жизнью современного Ирана.

Многолика и многообразна художественная литература Ирана наших дней. Она привлекает читателя разнообразием сюжетов и размахом мысли. Жизнь поставила много новых проблем перед художественной литературой Ирана наших дней.

Литераторы современного Ирана при разрешении этих задач пользуются не только старыми испытанными средствами, традиционными формами, но также ищут новые пути.

Поэты-традиционалисты, во главе с признанным лириком Малек ош Шоара Бахаром, приспособив старые традиционные формы к новым условиям, использовали их для выражения нового содержания.

Если по-новому пишут, описывая повседневную жизнь иранцев и стараясь приблизить язык своих прозаических произведений к живой разговорной речи Джамал-заде, Садек Хедаят, Садек Чубак, Бозорг Алави, Джалал Ахмед и другие, то этого нельзя сказать про Мохаммада Хеджази и Али Дашти, которые пишут в традиционной манере, свойственной классической персидской литературе.

Смелый идейный поиск, стремление создать новые формы стиха ломкой старой метрической системы стихосложения характерны для поэзии Ирана наших дней.

Основоположителем и признанной главой поэтической школы „Ше'ре ноу“ („Новая поэзия“) является выдающийся поэт и теоретик иранской литературы Нима Юшидж.

В настоящее время „Ше'ре ноу“ имеет много последователей в Иране, и наряду с традиционным стихом она не только завоевала право на существование в литературной жизни Ирана наших дней, но и приобрела значение серьезного общественного фактора.

Успехи, достигнутые художественной литературой современного Ирана, ее новаторский дух и тенденция к развитию дают основание предположить, что персидская литература вновь выходит на широкий простор.

T. KESHELAVA

THE LITERARY LIFE OF MODERN IRAN

Summary

Modern Persian literature has recently consolidated its positions, its readership being numerous both in Iran and beyond her borders.

The present study is an attempt at analysing the peculiarities of the literary life of modern Iran. The materials available to the author have been considered from the viewpoint of the Persian literary technique and aesthetic value. While analysing the work of modern Iranian writers attention was focused on the social aspect.

Modern Persian literature is notable for the diversity of its subject matter. It has highlighted many hitherto undiscussed sides.

One characteristic of many modern Iranian writers or poets is eclecticism — sometimes expressed within the same work by the „coexistence“ of differing ideas, theories or trends.

The life of Iran today has posed numerous new problems for its literature. Iranian writers are trying to tackle those problems not only through [the use of traditional forms and techniques but by searching for new ways.

Some traditional-minded Iranian poets (Shahriar, Moaiari, Qahraman and others), led by the universally acknowledged lyric poet Malek a'sh Shoara Bahar, have adapted the old forms to express the contents of the new conditions of life.

Whereas Sayyid Mohammad Ali Jamal Zadeh, Sadeq Hedayat, Bozorg Alavi, Sadeq Chubak, Jalal Ali Ahmad and Samad Behrangi write in the modern style and seem to bring the language of their prose close to everyday speech, the same cannot be said of Mohammad Hejazi and Ali Dashti whose style is that of Classical Persian literature.

Modern Persian poetry is noted for its bold quests and striving to find novel and exquisite forms of expression. The young Persian poetry is

endeavouring to do away with the petrified norms of Aruz by implementing new prosodic laws and poetic principles.

The so-called Shere-Nou new trend in Persian poetry was initiated by Nima Yushij, a great poet and literary theorist.

Notwithstanding numerous obstacles Shere-Nou ("New Poetry") has proved its viability and is now assured a place in the literary life of modern Iran.

The development of modern Persian literature is a complex process, full of contradictions. One thing is beyond question, however: the realistic trend is daily gaining ground and consolidating.

Modern Persian literature has produced a galaxy of outstanding writers and poets whose works are imbued with democratic spirit.

The achievement of the progressive literature of modern Iran, its spirit of innovation and trends of development — all promise well that Persian literature will again enter the wide arena.

„ლეილ-მაჯნუნიანის“ სიუჟეტის საფუძვლების შესახებ

მანანა კვაჭავაძე

ლეილისა და მაჯნუნს ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავთ მსოფლიო რომანულ წყვილთა შორის. მთელი აღმოსავლეთის ფოლკლორსა თუ ლიტერატურაში მათი ამბავი უძიებლო სიყვარულის სიმბოლოდ არის ქცეული, ხოლო ერთგულება — სატრფიალო ურთიერთობის იდეალად. ამ ამბავს, შეიძლება ითქვას, რომანული ხასიათის ვერც ერთი სიუჟეტი ვერ შეედრება პოპულარობით. მართა სპარსული ლიტერატურა მის 60-მდე ვერსიას ითვლის, 30-მდე აღწევს მათი რიცხვი თურქულენოვან ლიტერატურაში. ქართულ პოეზიაშიც არის წარმოდგენილი მისი ერთი ვერსია თეიმურაზ პირველის „ლეილ-მაჯნუნიანის“ სახით.

ამ სიუჟეტის განვითარებას ხანგრძლივი და რთული გზა აქვს გამოვლილი. მოგვიანებით ლიტერატურული გადამუშავებანი გარკვეულ ზეგავლენას ახდენენ ფოლკლორულ ვარიანტებზე და, საუკუნეთა განმავლობაში, ვრცელდებოდნენ როგორც წერილობითი, ისე ზეპირგადმოცემების გზით.

ამბის გავრცელებაში განუზომელი წვლილი მიუძღვის აღმოსავლეთის უდიდეს პოეტს — ნიზამი განჯევის, რომელმაც 1188 წელს, შირვანის მბრძანებლის ასსათან ბენი მანუჩეჰრის დაკვეთით, პირველმა გალექსა იგი.

ნიზამის პოემის გაცნობისას ჩნდება საკითხთა მთელი რიგი, კერძოდ: რა წყაროებს ეყრდნობა პოეტი — ჩვენთვის ხელმისაწვდომ არაბულ წერილობით ძეგლებს მხოლოდ, თუ სხვა მასალებსაც? რა მასალებია ისინი? რამდენად საგულვეტელია მაჯნუნისა და ლეილის ისტორიულობა? რამ გამოიწვია ლეგენდებისა და თქმულებების მაინცდამაინც მათ გარშემო თავმოყრა? რატომ იყო ნიზამი უკმაყოფილო ასსათანის დაკვეთით? როგორ გაართვა მას თავი? რითა განპირობებული ზოგიერთი საკვანძო ადგილის ნიზამისეული გადაწყვეტა (თქმულებათა გავლენით, სუფიურ წრეთა გავლენით, ლიტერატურული მოდით, პირადად ავტორის პოზიციით)? რა რეზონანსი ჰქონდა პოემას აღმოსავლეთში? და სხვ.

საგანგებო პრობლემად რჩება სიუჟეტის საფუძვლის ხნოვანება, კერძოდ, არაბულ ნიადაგზე მისი ორიგინალურობის საკითხი.

თავად ნიზამი გარკვევით არსად მიგვითითებს თავის წყაროებზე. გვაუწყებს მხოლოდ, რომ ამბავი ცნობილია, სევდიანი და რომ მისი გალექსვა, მიზეზთა სხვათა და სხვათა გამო, რთული საქმეა.

ნიზამის პოემის წყაროებად უნდა ვივარაუდოთ როგორც წერილობითი ძეგლები, ისე ზეპირგადმოცემები. ამ უკანასკნელთა აღდგენა იმ სახით, როგორც იმისა იხილონ და რა არსებობდნენ ამიერკავკასიისა და შუა აზიაში, დღესდღეობით შეუძლებელია. რაც შეეხება წერილობით გზებს, საგულისხმოა, რომ მაჯნუნის სახე ადრევე შეიჭრა არაბულ და სპარსულ სუფიურ ლიტერატურაში, ხოლო XI საუკუნისათვის მას უკვე იყენებენ სუფიური სიყვარულის საილუსტრა-

ციოდ ([1], გვ. 331). ლეილისა და მაჯუნის პოპულარობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ მათ სახელებს ჯერ კიდევ რუდაქის, რაბია ბინთ ქაბისა და ყათრანის ლექსებში ვხვდებით. თუმცა, როგორც ე. ბერტელსი აღნიშნავს, დღევანდელი საიმედო ხელნაწერებისა და კრიტიკულად გამოცემულ ტექსტთა უქონლობის გამო, უტყუარ დასკვნათა გამოტანა ჭირს ([2], გვ. 242 — 243).

რაც შეეხება არაბულ ლიტერატურაში ამ თემის დამუშავების საკითხს, მათზე კონკრეტულ წარმოდგენას გვიქმნის წერილობითი ძეგლები, კერძოდ: 1) „ქითაბ აშ-შირ“ (აოუზის წიგნი) იბნ ქუთეიბასი (გარდ. 889 წ.), 2) „ქითაბ-ალ-ალანი“ (სიმღერების წიგნი) აბუ-ლ-ფარაჯ ალ-ისპაჰანისა (897 — 967), 3) „დივან მაჯუნ“ (მაჯუნის დივანი) აბუ-ბეჟრ ალ-ვალობის (დახლ. XI — XII სს.) მიერ შედგენილი და კომენტირებული.

ნიზამის პოემის არაბული წყაროების შესწავლას კლასიკური გამოკვლევები უძღვნეს ე. კრაჩკოვსკიმ ([3], გვ. 588 — 632) და ე. ბერტელსმა ([2], გვ. 243-249), ([4], გვ. 58 — 69). ნიზამის „ლეილ-მაჯუნის“ უშუალო კავშირს არაბულ წყაროებთან აღიარებდა ე. დუნაევსკიც ([5], გვ. 261). პოემის არაბულ თქმულე-ბებზე დამოკიდებულად მიიჩნევენ: დ. კობიძე ([6], გვ. 302), კ. ფალავა ([7], გვ. 91), მ. მამაცაშვილი ([8], გვ. 26), ა. ტაგიჩანოვი ([9], გვ. 120 — 122, [10] გვ. 68 — 72). ამავე წყაროებზე მიგვიითიუებს თეირანის უნივერსიტეტის პროფესორი ზაბიჰოლა საფა ([11], გვ. 803), ლეილ-მაჯუნის ამბის პირველწყაროდ არაბულ ლეგენდებსა და თქმულებებს მიიჩნევს ავაპ სირი ლევენდი ([12], გვ. VII, 1 — 7).*

ნიზამის პოემის უშუალო კავშირი არაბულ წყაროებთან ეჭვს არ იწვევს. სადავოა ამ ამბის ორიგინალურობა თვით არაბულ ნიადაგზე. ლეილ-მაჯუნის შესახებ არსებულ გადმოცემებს ერთგვარი უნდობლობით ეკიდებიან არაბი ლიტერატურათმცოდნეები. ეგვიპტელი მეცნიერის ტაჰა ჰუსეინის აზრით, ამ ნიადაგზე ლეილ-მაჯუნის ამბავი ნაკლებორიგინალურია, ვინემ სხვა რომანულ წყვილთა ამბები ([3], გვ. 609), არაბეთში ამ გადმოცემათა ფაბულა უძველეს დროთაგან უნდა გადმოსულიყო ([13], გვ. 154). დაახლოებით ამავე აზრს გამოხატავს მეორე ცნობილი ეგვიპტელი ფილოლოგი დოქტორი აჰმედ ამინი. თითქმის ასეთივე შეხედულებისაა კლასიკური ლიტერატურის სპეციალისტი ას-სიბაი ალ-ბიჟუმი ([14], გვ. 154).

დღესდღეობით ძალზე ძნელია იმის დადგენა, თუ სად და რა ვითარებაში ჩაისახა სიუჟეტის პირველი ვარიანტები, ანდა სხვადასხვა გარემოში თვითჩასახვის გზით მიღებულმა მოტივებმა როგორ მიიღეს ჩვენთვის ნაცნობი ფაბულის სახე, რა გზებითა და საშუალებებით იწყეს გავრცელება.

ისტორიული პოეტიკიდან ცნობილია სიუჟეტთა განახლება-გადახალისების შემთხვევები. სიუჟეტები, რომელნიც ახლადამოცენებულ სულიერ ინტერესებს ვეღარ შეესაბამებოდა, სამუდამოდ დაიკარგა, სხვანი — მივიწყებულნიც აღუდგენია ხალხის მეხსიერებას, თუკი მის ძველ ფორმას ახალი აზრისა და გრძნობის გამოხატვა ძალუძდა ([15], გვ. 496).

სამიჯნურო მოტივები ე. წ. „მარადიულ“ თემებს განეკუთვნება და, თეორიულად, მათი თვითჩასახვის შესაძლებლობა მეტია, ვინემ მაინცდამაინც სესხებაზე, ანდა გავლენაზე ლაპარაკი. მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ ლეილ-მაჯუნის ამბის ზოგიერთი მოტივი და პასაჟი მისი საფუძვლის სიძველეზე მიგვიითიუებს.

* ლევენდის შრომიდან ჩვენთვის საინტერესო აღვიღთა თარგმანი მოგვაწოდა მეც. დოქტორმა ე. ჯაველიძემ, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოვხსენებთ.

არსებობს აზრი, რომლის თანახმადაც ლეილისა და მაჯუნის სასიყვარულო/ურთიერთობის ქარგა არაბულზე გაცილებით ადრეულ, ასირიულ-ბაბილონურ/კულტურაშია საძებარი.

ჯერ კიდევ 20-იან წლებში ჟურნალ „ქავეს“ ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნდა დოქტორ მუჰასილის ცნობა ამის შესახებ. შემდეგ ჟურნალ „ინეში“ დაიბეჭდა დოქტორ მუჰამედ ჰიჯაზის სტატია ([16], გვ. 60), რომელიც ამბის ასირიულ-ბაბილონური ვერსიის არსებობას უჭერს მხარს. ჰიჯაზი, რომელიც თავისთავად დანიელი მეცნიერის, ვინმე გრინის ცნობებს ეყრდნობა, თავის სტატიას „ლიტერატურულ აღმოჩენას“ („ქაშეფ ადაბი“) უწოდებს და გახმაურებული არაბული ლეგენდის ე. წ. ასირიულ პროტოტიპს გვთავაზობს.

ამ ვერსიაში ამბის სიუჟეტი დასრულებული სახით არის წარმოდგენილი, მოქმედ პირთა სახელები ემთხვევა არაბული თქმულებებისას: ლილაკეს (ლეილი), კის (კაის), ნოფალი, სალამისის ძე (იბნ სალამ). ოღონდ ბაბილონური ვარიანტი სხვაგვარად მთავრდება: შეყვარებულები ერთდებიან, მაგრამ ბოლოს კისი ლილაკესს მწყემსის ცოლთან დალატობს. მიტოვებული ლილაკესი კვდება ([2], გვ. 231).

როგორც ირკვევა, ჰიჯაზის კიდევ უცდია ამ მოსაზრებათა გამაგრება და 1942 წელს ვახეთ „Journal de Tehran“-ში გამოუქვეყნებია სტატია, რომელიც ლეილ-მაჯუნის ამბის ასირიულ-ბაბილონური ვერსიის არსებობას ეხება ([14], გვ. 27).

მ. ჰიჯაზის ცნობას, თავის დროზე, ეჭვის თვალთ შეხედეს ვ. კრაჩკოვსკიმ და ე. ბერტელსმა.

ვ. კრაჩკოვსკი პირდაპირ აცხადებს: აქ სრულ გაუგებრობასთან გვაქვს საქმე, ვინაიდან ანალოგიური მოთხრობა ბაბილონში არ არსებობს და არც შეიძლებოდა არსებულებოდა ([3], გვ. 589). მკვლევრის აზრით, „ლეილ-მაჯუნის“ სიუჟეტი სათავეს იღებს ცენტრალურ არაბეთში VII საუკუნის დამლევიდან ([3], გვ. 589).

ე. ბერტელსმა მ. ჰიჯაზის მიერ მოტანილი ვერსია მისტიფიკაციად გამოაცხადა ([2], გვ. 231 — 232), თუმცა სიუჟეტს იგი უძველესი წარმოშობისად თვლიდა. ამ მოსაზრების საფუძველს იძლევა ქურთული ფოლკლორული ვარიანტების ასტრალური ხასიათი, რაც ვარსკვლავთმოდრათობის პირველყოფილ წარმოდგენებთან არის დაკავშირებული ([18], გვ. 17 — 18). ეს გარემოება, თავის დროზე, შენიშნული ჰქონდა ო. ლ. ვილჩევსკის და ე. ბერტოლესს იგი საგულისხმოდ მიაჩნდა ([2], გვ. 230, [17] გვ. 141).

ჩვენი სიუჟეტის ბაბილონური ვერსიის არსებობა შესაძლებლად მიაჩნია პროფ. დ. კობიძეს. ე. კრაჩკოვსკის დასახ. ნაშრომის მიმოხილვისას იგი წერს: „გასარკვევია, რა ამოძრავებდა ყველა აქ აღნიშნულ პირს ასეთი ლეგენდა შეეთხზათ. ამასთან ინტერესს იწვევს აღ-ვალბის ვერსიის შინაარსი, რომლის მიხედვით მაჯუნის ბაბილონში მიემგზავრება. XI საუკუნის ავტორმა მაჯუნის ბაბილონს რატომ დაუკავშირა? მიუხედავად კრაჩკოვსკის დიდი ავტორიტეტისა, ამ საკითხის გადასინჯვა შესაძლებელია საჭირო იყოს“ ([6], გვ. 305).

ჩვენთვის საინტერესო ფაბულის არაბობამდელ არსებობას დაბეჯითებით იცავს ი. ზ. შირვანი, მისი აზრით, ვ. ბერტელსმა და კრაჩკოვსკიმ ასირიულ-ბაბილონური ვერსიის მომხრეებს მეტად მკაცრი მსჯავრი დასდეს ([14], გვ. 24), ვინაიდან ეს სიუჟეტი აუცილებლად არსებობდაო შუამდინარეთის ლიტერატურებში, ისევე, როგორც ქართულ, აზერბაიჯანულ, სპარსულ, უზბეკურ უიღურულ ხალხთა ფოლკლორში ([14], გვ. 25).

უნდა ითქვას, რომ ი. ზ. შირვანის სტატიები საკმაოდ ტენდენციური და ცალმხრივ ხასიათს ატარებს, მშობლიური ზეპირსიტყვიერების დამსახურების აღსანიშნავად ავტორი არაბულ წყაროთა როლის გაფერმკრთალებას ცდილობდა. მისი მსჯელობანი მიმართულია საბოლოო დასკვნისაკენ: დიდი აზერბაიჯანელი პოეტის ნაწარმოებს საფუძვლად უდევს ჭეშმარიტად აზერბაიჯანული ხალხური ვარიანტი ([19], გვ. 73). ასეთი ტონი თვითმიზნის შთაბეჭდილებას ტოვებს და ერთგვარი უნდობლობის გრძნობასაც იწვევს, თუმცა მისი ზოგიერთი ვარაუდი და მოსაზრება საფუძველს მოკლებული არ არის.

ცხადია, გენიალური პოეტი გვერდს არ აუვლიდა აზერბაიჯანულ ვარიანტებს, იგი თავის პოეტურ გემოვნებასა და მსოფლმხედველობას დაუქვემდებარებდა მისთვის ცნობილ თქმულებათა მთელ კომპლექსს, მთელ ფოლკლორულ და ლიტერატურულ მასალას, მაგრამ, როგორც ითქვა, აუცილებელ მონაცემთა უქონლობის გამო, შეუძლებელია ფოლკლორულ ვარიანტთა იმ სახით აღდგენა, რა სახითაც ისინი ამ რეალობად წლის წინათ არსებობდნენ, ამდენად, ნიზამისდროინდელი „ჭეშმარიტად აზერბაიჯანული ვარიანტის“ გამოყოფა გამორიცხულია.

სიუჟეტის ასირიულ-ბაბილონური წარმოშობის მიმხრეა ე. დუნაევსკი. მას ფრიად ხელშესახებ მომენტად მიაჩნია ნიზამის პოემაში ლეილის „მზის სასძლოდ“ მოხსენება, რაც სავსებით უცხოა არაბული ტრადიციისათვის და ორგანული წარმართული კულტურისათვის. ([5], გვ. 263). ლეილ-მაჯნუნის ამბავში ე. დუნაევსკი ხედავს ადრეული ფოლკლორული შემოქმედების პროდუქტს. მისი აზრით, სიუჟეტში შემონახულია იმ საზოგადოებრივ ურთიერთობათა პოეტური ფორმულირება, რომლის კონკრეტული საფუძველი სადღეისოდ გაუგებარი გახდა ([5], გვ. 264). ე. დუნაევსკი სიუჟეტს ამ მიმართებით იკვლევს და სანტირესო დასკვნებშიც გამოაქვს. მისი აზრით, უძველეს ვერსიაში, ყაისის მთელი ცოდვა დაუმგებლად ნაადრევ სიყვარულში ძევს. მისი შმაგად მონათულაც ამ საფუძველზე ხდება. სიუჟეტის ძირითად მოტივად დუნაევსკის მაჯნუნის მიერ წმინდა მართლწესრიგის დარღვევა მიაჩნია ([5], გვ. 264—265). იგი უძველეს დანაშრევად თვლის მაჯნუნის მიერ ცხოველთა მოშინაურების ფაქტს ([5], გვ. 265), ლეილის შინ გამოკეტვის ფაქტს ([5], გვ. 266) და სხვ.

აღნიშნული საკითხები კ. ჩაიკინისა და ი. მარის მსჯელობის საგანიც ყოფილა. მათ საგულისხმო მომენტად მიაჩნდათ ნიზამის მიერ ლეილის „მზის სასძლოდ“ მოხსენიება, თუმცა ჰიჯაზის ცნობას უკრიტიკოდ არ იღებდნენ ([19], გვ. 119—121).

ასეთია, ძირითადად, სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებანი, რომელნიც „ლეილ-მაჯნუნის“ სიუჟეტის საფუძვლებს შეეხება.

მ. ჰიჯაზის მიერ მოტანილი ვერსია მართლაც ზედმეტად პოეტურ და სენტიმენტალურ გამონაგონს ჰგავს. ნახვით არც ლურსმული ტაბულები უნახავს ვინმეს, არც მათი ინგლისური თარგმანები (რომელნიც ვინმე გრინს შეუსრულებია და რომელთაც ჰიჯაზი ეყრდნობა); ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ამ მოსაზრებას ფაქტიური საფუძველი გამოცლილი აქვს, თუმცა იგი არსებობას განაგრძობს და უარყოფილადაც ვერ ჩაითვლება, ვინაიდან ამ ვარაუდის სასარგებლოდ აშკარად მეტყველებს სიუჟეტის ზოგიერთი მონაცემი.

მიუხედავად დიდი პოპულარობისა, ლეილ-მაჯნუნის თავგადასავალი არაბულ ნიადაგზე ერთ მთლიან ამბად არ ქცეულა, თქმულებათა ვარიანტებს თავი არ მოჰყრია და დასრულებული სიუჟეტის სახე არ მიუღია. წერილობით ძეგლებში წარმოდგენილი გადმოცემებისა და თქმულებების მიხედვით, ეს თავგადასავალი სამიჯნურო ურთიერთობის თითქმის ყველა სახეობასა, და ვარიანტს წარმოგვიდ-

გენს: ზოგი გადმოცემის თანახმად ლეილისა და მაჯუნის სიყვარული ბავშვობაშივე ჩაისახა (ეს ვარიანტი თავად იძლევა სახესხვაობებს), სხვათა გადმოცემით, სახელი გადოდ მოარშიყე მაჯუნის სპეციალურად გაემართება სახელგანთქმული ლაშქარის გასაცნობად (აქაც ვგაქვს სახესხვაობანი). ზოგიერთი თქმულების მიხედვით, ისინი პლატონური სიყვარულის ტყვეებად რჩებიან ბოლომდე, სხვა თქმულება გმირებს მიწიერი სიყვარულითაც აკავშირებს. გამოუმუშავებელი ჩანს ტრადიცია გმირების სიკვდილთან დაკავშირებით. ზოგი ვარიანტით ჯერ მაჯუნი კვდება და ლეილი მას მწარედ დაიტირებს, სხვაგან — მაჯუნი დააკვდება ლეილის საფლავს და სხვა.

თქმულებათა მიხედვით ხელში გვრჩება საკმაოდ მარტივი ფაბულის რამდენიმე ვარიანტი, რომელიც მრავალრიცხოვანი დეტალით არის დატვირთული და ორ, ერთმანეთის საწინააღმდეგო, მიმართულებას გადმოგვცემს (თუმცა ლოველასური ნაკადის შედარებითი სიფერმკრთალე აშკარაა).

უცვლელი რჩება ძირითადი მომენტი: ყაისის გაშმაგება ლეილის სიყვარულით და მისი „მაჯუნად“ მონათვლა. საერთოა აგრეთვე ტრაგიკული ხასიათი ამბისა და, რაც მთავარია, ამ ტრაგედიის ფაქტიური უსაფუძვლობა. გმირთა უბედურების მიზეზი მკვეთრად არ ფიგურირებს არსად. მოჯადოებული წრე, შეიძლება ითქვას. უსაბაზოდ იკვრება. ბავშვებს ერთმანეთი შეუყვარდებათ, ყაისი გიჟდება ლეილის სიყვარულის გამო, ქალის მიცემაზე უარს ეუბნებიან სიგიჟის გამო. აქედან იწყება ტრაგედია. ყაისი უფროდაუფრო ხელდება. ამას მოსდევს მისი ლექსების გაგრძელება. გახმაურებულ ლექსებში ლეილის ხშირი ხსენება მას სახელს უტეხს. ამ მოტივით მაგრდება ლეილის მამის პოზიცია, თანდათან გასაგები ხდება ხელის თხოვნაზე უარი, მაგრამ რეალური მოტივირება მაინც დაფარული ჩანს. არაბუნებრივად გამოიყურება ყაისის ასე სასწრაფოდ გაშმაგებაც.

(მოგვიანებით, შუასაუკუნეების ავტორებთან ეს საკითხი მეტ-ნაკლები ხელშესახებობით წყდება, მაგრამ ეს პროფესიონალ ავტორთა შემოქმედებითი აქტის კვლევის სფეროს განეკუთვნება და მის ანალიზს ახლა არ შეეუდგებით).

იყო დრო, როდესაც მეცნიერთა ნაწილი შეყვარებულთა დაშორების მიზეზს მათ ტომთაშორის შუღლში ხედავდა [21], [22], [23], ე. ლუნაევსკიმ სამართლიანად გააკრიტიკა ისინი თავის წერილში ([5], გვ. 263 — 264).

ამ ისტორიას ხშირად უდარებენ რომეოსა და ჯულიეტას ტრაგედიას, აბესალომ და ეთერის ციკლსაც მიაკუთვნეს ერთხელ ([20], გვ. 64).

შეყვარებულთა დაშორება საზოგადოებრივ-სოციალურ ნიადაგზე, ანდა გვაროვნული შუღლით გამოწვეული ტრაგედია უცხო არ არის არც ლიტერატურისათვის, არც ფოლკლორისათვის. ამდენად, რომეოსა და ჯულიეტას, ანდა აბესალომ და ეთერის გაღურებაში ლეილ-მაჯუნის მოთავსება უმაღლეს მათ გასამიჯნავად გამოგვადგება, ვინემ გენეტიკურ ნათესაობაზე მისათითებლად. მართალია, ყველა ამ წყვილს აერთიანებს საერთო ტრაგედია, თავდავიწყებული ურთიერთსიყვარული, შესაშური თავდადება და უკვდავი ურთიერთლტოლვა, მაგრამ მათი სიყვარულის უიღბლობისა და უბედურების საფუძველი (მოტივირება) აბსოლუტურად განსხვავებულია. რომეოსა და ჯულიეტას, ასევე აბესალომისა და ეთერის სიყვარული თავიდანვე განწირული იყო. მათი შეერთება იქნებოდა მოულოდნელი გამარჯვება იმ ხელისშემშლელ პირობებზე, რომელთაც თავიდანვე გასწირეს გმირები დასაღუბავად. ეს გახლდათ ერთ შემთხვევაში გვაროვნულ-ოჯახური შუღლი მონტეკებისა და კაპულეტებისა, მეორე შემთხვევაში — ფეოდალური საქართველოს სოციალური ყოფა („აბესალომ და ეთერის“ თქმულება ძირითადად შუა საუკუნეების კლასიკური პერიოდის ნაწარ..

მოებია. მისი საბოლოო ჩამოყალიბება მე-10 — 11 საუკუნეებშია სავარაუდებელი) ([24], გვ. 9).

ამ თვალსაზრისით, „რომოსა და ჯულიეტას“, აგრეთვე „ბენედიქტოსა და ეთერს“ მრავალი პარალელი დაეძებნება მსოფლიოს ხალხთა ლიტერატურასა და ფოლკლორში. რაც შეეხება „ლეილ-მაჯუნინანის“ სიუჟეტს, იგი უფრო განმარტობებულად დგას.

ლეილ-მაჯუნინის ტრაგედიაში სოციალური მოტივი არ ფიგურირებს. ჩვენი გმირები ტოლნი და სწორნი ვახლავან საზოგადოებრივი ყოფის, სარწმუნოებრივი თუ სხვა თვალსაზრისით. ლეილიცა და მაჯუნინიც შეძლებული გვარიშვილები არიან. რაც შეეხება ტომთა შორის არსებულ შუღლსა და მტრობას, ამაზე გაკვირთაც კი არ არის მითითებული არსად (გარკვეული სახის უსიამოვნებანი მოგვიანებით, ამ ინციდენტის ნიადაგზე იჩენს თავს). ლეილის მამის უარი უფრო აკვიატებულ საქციელსა ჰგავს, ვინემ კონკრეტული მიზეზით განპირობებულს.

„ლეილ-მაჯუნინის“ ზოგად ქარგაში გადმოცემულია სევდიანზე სევდიანი ამბავი: შეყვარებული ახალგაზრდები შორდებიან ერთმანეთს და იხოცებიან. მიზეზს ტრაგედიისას არსებითი მნიშვნელობა არ ენიჭება. ეს მომენტი ჩვენ ფრიად საგულისხმოდ გვეჩვენება. ვფიქრობთ, იგი ამბის წინაარბულ წარმოშობაზე უნდა მეტყველებდეს, ვინაიდან ცნობილია, რომ გმირთა საქციელის მოტივირება უძველეს საფეხურზე არ ფიგურირებს. აზროვნების ადრეული ფორმა მიზეზობრივ-შედევობრივ საფუძველს მოკლებულია. ფოლკლორული შემოქმედებისათვის ლოგიკა შესაძლებელია, მაგრამ არააუცილებელი. მთავარია მოქმედება და არა მისი გამომწვევი მიზეზი. ლოგიკური მოტივირებანი გვიანდელი მოვლენაა და დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ კარგად მოტივირებული მოთხრობა უფრო მოგვიანებით წარმოიშვა ან დამუშავდა, ვინემ სუსტად მოტივირებული, ანდა მოტივირების გარეშე მოცემული ([25], გვ. 71 — 72).

მართალია, უკვე არაბულ ნიადაგზე ზოგიერთ ავტორთან ვხვდებით მოტივირების ცდებს, მაგრამ ეს მოტივირებანი მკრთალია და კომენტატორთა ხელწერილ ელფერი დაპკრავთ. უფრო ძლიერი ჩანს ზეპირგადმოცემათა, ძველი ტრადიცია, სადაც მთავარია ამბავი (ამ შემთხვევაში, ტრაგიკული სიყვარულისა) და არა მისი განმაპირობებელი საფუძვლები.

აღრე აღვნიშნეთ სიუჟეტების მივიწყება-გახსენებისა და მათი განახლებულ ყალიბში მოქცევის მიზეზები. ჩანს, სწორედ ასეთმა მიზეზმა იჩინა თავი, რათა სამიჯნურო ურთიერთობის ამ ქარგას არაბული ბეჭედი დასმოდა.

„ლეილ-მაჯუნინანის“ არაბულ ვერსიას საფუძვლად ედება VII საუკუნის პოეტის ვინემ მაჯუნინის ღივანი.

მოგვიანო პერიოდში მაჯუნინ უმაღლ ისტორიულ პირად არის მიჩნეული, ვინემ მითითურად. XI საუკუნის სპარსელ მოგზაურს ნასირი ხოსროვს არაბეთში ტაიფის მახლობლად ბედუინებმა იმ ციხის ნანგრევები უჩვენეს, სადაც ლეილი ცხოვრობდა. თავად ნასირისაც ფრიად საგულისხმოდ სჩვენებია ეს ამბავი ([26], გვ. 173). სირიელი ბედუინები დღესაც ჰყვებიან ამირის ტომის მკვიდრის, ალ-მულაუვაჰის ძის, ემირ ყაისის ამბავს, რომელსაც ლეილი ჰყვარებია და მასთან განშორების გამო გარდაცვლილა უდაბნოში ([3], გვ. 588).

რაც შეეხება ადრეული პერიოდის სწავლულებს, მათ მაჯუნინის პიროვნების შესახებ ერთიანი პასუხი არ გააჩნდათ. არაბ ფილოლოგთა და ისტორიკოსთა ნაწილი მაჯუნინის არსებობას უტყუარ ფაქტად თვლის, ნაწილს იგი მითითურ პიროვნებად მიაჩნია. არის მთელი ჯგუფი ე. წ. „გაორებული თვალსაზრისის“ მქონე სწავლულთა, რომელნიც ზოგ შემთხვევაში აღიარებენ მაჯუნინის არსებობას,

სხვაგან ხელაღებით უარყოფენ ამ ფაქტის შესაძლებლობასაც კი. ამირელები ზოგჯერ თავილობენ ასეთი გულჩვილი თანატომელის ყოლას, სხვაგან, ამავროდენ მასთან ნაცნობობით ([3], გვ. 594—600). ზოგიერთი გადმოცემის თანახმად არსებობდა რამდენიმე მაჯუნნი და ყველა მათგანს ლეილი უყვარდა, სხვა ცნობებით — მაჯუნნი არასოდეს არსებულა ([4], გვ. 62), ხოლო მისი სახელით ცნობილი ღივანი ერთ ომედ ყმაწვილს მიეწერება, რომელსაც თავისი ბიძაშვილი ჰყვარებია, ამ ურთიერთობის გამჟღავნება არ სდომნია და საკუთარი ლტოლვის დასაფარავად მაჯუნნის ისტორია შეუთხზავს, თავისი ლექსებიც მისთვის მიუწერია.

არსებობს ფრიალ გონებასაზვილური შენიშენა IX საუკუნის ერთი ცნობილი მოღვაწის: „ხალხმა ლეილიზე გამოთქმული ყველა ლექსი, მაინცდამაინც მაჯუნნს დააბრალო“ ([3], გვ. 596).

სხვათა შორის, მაჯუნნის არსებობაში დარწმუნებული პირნიც აღიარებენ, რომ მასზე მიწერილ ლექსთა რაოდენობა აღემატება მის მიერ შეთხზულთ ([3], გვ. 597).

საქმე ის გახლავთ, რომ ჩვენთვის საინტერესო ეპოქაში არაბეთში არსებობდა მთელი რიგი პოეტებისა, რომელთაც მეტსახელად „მაჯუნნი“ მიიღეს ([3], გვ. 100); ამდენად, მათგან პლატონური სიყვარულის სახელგანთქმული მომღერლის გამოყოფა ჭირს, თუმცა არაბულ წყაროთა გულდასმითი შესწავლისა და დაწვრილებითი ანალიზის შემდეგ, ე. კრაჩკოვსკის შესაძლებლად მიაჩნია დაასვენას, რომ ჩვენთვის საინტერესო მაჯუნნი ცხოვრობდა VII საუკუნის ბოლოს და გარდაიცვალა 80/700 წლის მახლობლად ([3], გვ. 603). მაჯუნნის ისტორიულობა შესაძლებლად მიაჩნია ა. ტაგიჩანოვსაც. მისი გამოკვლევით, ლეილ-მაჯუნნის ამბის გმირთა პროტოტიპები უნდა იყვნენ ცნობილი პოეტი ქალი ლეილი (გარდ. 695 წ.) და მასზე გამიჯნურებული ტაუბა [9], [10].

„ლეილ-მაჯუნნიანის“ არაბული ვერსიის პროტოტიპთა ისტორიულობა დასაბუთებული ფაქტიც რომ იყოს, იგი ამ სიუჟეტის უძველეს წარმოშობას მაინც ვერ აბათილებს. არაბულ ნიადაგზე მის ჩამოყალიბებასა და განვითარება-გავრცელებას თავისი მიზეზები ჰქონდა, და კრაჩკოვსკის სიტყვებითვე რომ ვთქვათ: მაჯუნნს, როგორც ისტორიულ პიროვნებას, რომ არც ვარსება, მისი ლექსები უსათუოდ გაჩნდებოდნენ VII საუკუნის არაბ ბედუინთა წრეებში ([3], გვ. 608).

პირველი ბიძგი არაბეთში ამ ამბის გავრცელებისა ყოფილა გაძლიერებული მოთხოვნილება სამიჯნურო თემათა მიმართ. ეს ინტერესი არაბულ ლიტერატურაში პერიოდულ ხასიათს ატარებდა. ომეიდურ ეპოქაშივე (VIII საუკუნის დამდეგი) იგრძნობა იგი, შემდეგ, პირველი აბასიდების დროს (IX საუკუნის დამდეგი), კვლავ იჩენს თავს, ხოლო X საუკუნისათვის თავის აპოგეას აღწევს ([3], გვ. 622). XI საუკუნის დამდეგიდან წიგნით მოვაჭრენი გამალებით თხზავენ და ავრცელებენ სამიჯნურო სიუჟეტებზე შექმნილ ამბებს ([3], გვ. 622).

რაც შეეხება ამ სფეროში სწორედ მაჯუნნის გაბატონებას, აქ უმაგალითო როლი შეუტარებდათ მის თანატომელებს, უკეთ, იმ შუღლს, რომელიც ჩრდილო და სამხრეთარაბულ ტომთა შორის არსებობდა. მოხდა ისე, რომ ბედუინური პლატონური სიყვარულის სამივე კორიფე: ურვა, ჯამილი და ყაის იბნ ზარიბი ერთსა და იმავე სამხრეთარაბულ ტომს უზრას ეკუთვნოდნენ. ამირელები ცდილობდნენ, რადაც უნდა დასჯდომოდათ, თანატომელი პოეტისათვის მიეწერათ ყველა ის თვისება, რაც მათ მოქიშპე უზრას ტომელ პოეტებს განადიდებდა. ამირელ პოეტს უნდა ეჯობნა პლატონური სიყვარულის ყველა მომღერლისათვის. მისი სიყვარული უნდა ყოფილიყო უფრო წმინდა, ამაღლებული, თავდადებული და, რაც მთავარია, უბედური (მიზეზი საინტერესო არ იყო!), მასში თავი უნდა მოეყარა

ყველა საჭირო თვისებას, რათა დაეჩრდილა მანამდე და მის დროს ცნობილი პოეტები და თავად ქცეულიყო სიყვარულის იდეალად.

ამირის ტომში მოიძებნა ასეთი პოეტი, უკეთ, შედგა მისი დივანი, რომელშიც მაკ უზრუნელი სიყვარულის ცნობილ მომღერალთ ლირსეული მეტოქეობა გაუწვია. მაჯუნის (თუ მისი სახელით ცნობილი) კრებული საფუძვლად დაედო მისი თავგადასავლის შეთხზვას, რომელსაც მარჯვედ ესადაგებოდა მოარული სიუჟეტი ორმხრივ უბედური სიყვარულის შესახებ.

ლეილისა და მაჯუნის ისტორიულობის შემთხვევაში, სავსებით შესაძლებელია, რომ ძველი ლეგენდის, არაბულ ნიადაგზე ტრანსფორმირებულ, ფრაგმენტებს თავი მოეყარა ცნობილ პირთა გარშემო. საფიქრებელია, რომ მათი ბიოგრაფიული ელემენტები მიემატებოდა ადრეულ ვარიანტებს, მათი არსებობა ახალ და საგულისხმო შრეს დაადებდა ხანდაზმულ ლეგენდას.

ჩრდილო და სამხრეთარაბულ ტომთა შორის შუღლმა, ჩრდილოელთა დაუოკებელმა სურვილმა, რაღაც უნდა დასჯდომოდათ, დაპირისპირებოდნენ და ეჯობნათ სამხრეთელთათვის, ბიძგი მისცა ამბის გაფორმებას არაბულ ნიადაგზე, ხოლო ცნობილ პირთათვის მისი მისადაგებით ლეგენდამ მყარი, კონკრეტულ-ისტორიული საფუძველი შეიძინა. ეს უნდა იყოს საწყისი სიუჟეტი არაბული ვერსიისა.

ამირელებმა მიზანს მიღწიეს: XI საუკუნისათვის მაჯუნს თითქმის ყოველთვის, პირველ რიგში ასახელებენ ცნობილ არაბ შეყვარებულთა შორის (13, გვ. 623), ხოლო XII საუკუნიდან, ნიზამის წყალობით, იწყება მისი ტრიუმფალური სვლა სხვა ხალხთა ლიტერატურებშიც. ამ დროიდანვე მკვიდრდება იგი მისტიკური სიყვარულის იდეალად.

ორანული ფილოლოგიის კათედრა

ლიტერატურა

1. В. А. Жуковский, Раскрытие скрытого за завесой, Л., 1926.
2. Е. Э. Бертельс, Низами и Фузули, М., 1962.
3. И. Ю. Крачковский, Ранняя история повести о Маджнуне и Лейле в арабской литературе, Избранные сочинения, т. II, М. — Л., 1956.
4. Е. Э. Бертельс, Источники „Лейли и Меджнун“ Низами. „Низами“. Сб. первый, Баку, 1940.
5. Е. Дунаевский, Низами, „Восток“, сборник второй, М., — Л., 1945.
6. დ. კობიძე, ნიზამი და მისი სკოლა, სპარსული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1975.
7. კ. ფაღავა, ნიზამი, თბილისი, 1964.
8. მ. მამაცაშვილი, თეიმურაზ პირველის „ლეილ-მაჯუნის“ სპარსული წყაროები, თბილისი, 1967.
9. А. Т. Тагирджанов, Некоторые соображения о происхождении повести „Лейли и Меджнун“, VI Всесоюзная научная конференция по актуальным проблемам иранской филологии (тезисы докладов), Тбилиси, 1970.
10. А. Т. Тагирджанов, Некоторые соображения о происхождении повести „Лейли и Меджнун“, Труды Ташкентского государственного университета, 1972, вып. 430 с. 68 — 72.
11. (1969) ۱۳۶۷ 'تأليف دكتور ذبيح الہ صفا' جلد دوم 'ایران' تاریخ ادبیات در ایران
12. Ağâh Sirri Levend, Arap, bars ve türk edebiyatlarında Leilâ ve Mecnun hikâyesi. Ankara, 1959.
13. Г. Араслы, Великий азербайджанский поэт Физули, Баку, 1958.
14. Ю. З. Ширвани, Ещё раз об источниках поэмы „Лейли и Меджнун“ Низами, Учёные записки Азербайджанского гос. университета, серия языка и литературы, 1966, № 6.



15. А. Н. Веселовский, Поэтика сюжетов. Историческая поэтика, Л., 1940.
16. مجله "آئینه"، محمد هجازی کشف ادبی، تهران
17. Е. Бертельс, Низами, М., 1948.
18. М. Б. Руденко, Предисловие, Х. Битлиси, Лейли и Меджнун, М., 1965.
19. Ю. Н. Марр, К. И. Чайкин. Хакани, Низами, Руставели. Подготовка архивных материалов Ю. Н. Марра и К. И. Чайкина к печати, составление сборника, редакция текста, предисловие и примечания С. М. Марр и А. А. Гвахария, Тбилиси, 1966.
20. Ю. С. Ширвани, Происхождение „Лейли и Меджнун“, „Низами“, сб. III, Баку 1941.
21. А. Крымский, История Персии, ее литературы и дервишеской теософии, М., 1912.
22. Ruben Levy, Persian literature.
23. Н. Ethе, Neupersische Literatur, „Grundriß der iranischen Philologie“ (II).
24. მ. ნიქოვენი, ეთერიანი, ხალხური სიტყვებები. IV, მე-2 სერიი, II, თბილისი, 1954.
25. В. Пропп, Фольклор и действительность, Русская литература № 3, Л., 1963.
26. Насири Хусрау, Сафар-намэ, М. —Л., 1933.

М. И. КВАЧАДЗЕ

ОБ ОСНОВАХ СЮЖЕТА «ЛЕЙЛИ И МАДЖНУН»

Резюме


В статье дан обзор научной литературы, касающейся происхождения сюжета „Лейли и Маджнун“. Автор на основе некоторых данных, в частности, опираясь на отсутствие четкой мотивировки трагедии героев повести, придерживается мнения о доарабском происхождении сюжета.

M. KVACHADZE

CONCERNING THE BASES OF THE PLOT OF LEILI AND MAJNUN

Summary

The scholarly literature on the origin of the plot of Leili and Majnun is reviewed. On the basis of certain evidence, particularly owing to the absence of a clear-cut motivation of the tragedy of the characters of the story, the author of the paper believes that the plot is of pre-Arab origin.



ნიზამი არუზის ცნობები რუდაქის შესახებ

მარინე მიქაშაშვიძე

ნიზამი არუზი სამარყანდელის თხზულება „იშვიათობათა კრებული ანუ ოთხი მოხსენება“ დაწერილია XII საუკუნის შუა წლებში და შეიცავს მეტად საინტერესო ცნობებს წინამონდოლოგიური პერიოდის ირანის კულტურული ცხოვრების შესახებ. კლასიკური სპარსული ლიტერატურის ისტორიისათვის „ჩაპარ მაყალე“ წარმოადგენს ძვირფას წყაროს, რომლის ისტორიულ-ლიტერატურულ მნიშვნელობას აძლიერებს ისიც, რომ ხშირ შემთხვევაში ნიზამი არუზის მიერ მოწოდებული ცნობები არ არის აღებული რომელიმე ძველი ანთოლოგიიდან, არამედ ის თავად გვევლინება თანამედროვედ და უშუალო მოწმედ მის მიერ აღწერილი ფაქტებისა. ასე, მაგალითად, ის პირადად იცნობდა ომარ ხაფემს, რომელსაც თავის მასწავლებელს უწოდებს, პოეტ მუიზის და სხვა. ამდენად ცნობები, რომელთაც „ჩაპარ მაყალე“ გადმოგვცემს, საყურადღებო და ანგარიშგასაწევია.

„ჩაპარ მაყალეს“, როგორც ლიტერატურულ წყაროს, ხშირად მიმართავენ გვიანდელი დროის ანთოლოგიების ავტორები; ფართო გამოყენება აქვს მას აგრეთვე სამეცნიერო ლიტერატურაშიც.

თხზულება შედგება ოთხი თავისაგან, რომლებშიც თანმიმდევრულად განხილულია დაბირობა, პოეზია, მედიცინა და ასტროლოგია — ოთხი დარგი, რომელიც საჭირო და აუცილებელია სამეფო კარისათვის. ნაწარმოების დაწერის ძირითადი მიზანიც, როგორც ამას თვით ავტორი გვამცნობს, ისაა, რომ განუმარტოს სამეფო გვარის ახალგაზრდა შთამომავალს აღნიშნულ დარგთა არსა და მათი დანიშნულება.

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა თხზულების მეორე თავი, რომელსაც ეწოდება „პოეზიის ბუნებისა და პოეტის ღირსებების შესახებ“. თავი იწყება მოკლედ შესავლით, სადაც ნიზამი არუზი განსაზღვრავს, თუ რა არის პოეზია, რისთვისაა ის საჭირო, როგორი უნდა იყოს პოეტი და რას უნდა ემსახურებოდეს ის. ეს მსჯელობები თავისთავად მეტად საინტერესოა, რადგან ფაქტიურად წარმოადგენს ირანში, კლასიკურ ხანაში ვაბატონებულ ძირითად აზრს საკარო პოეზიის რაობაზე.

თეორიულ მსჯელობებსა და თავის შეხედულებებს ნიზამი არუზი მრავალი ანეგდოტით გვისაბუთებს. სწორედ ეს მოკლე, სხარტი ენით დაწერილი მოთხრობები შეიცავენ ბევრ საინტერესო ცნობას და ისინი ანიჭებენ ნიზამი არუზის თხზულებას ლიტერატურული წყაროს მნიშვნელობას.

ნაწარმოების II თავის მეორე განყოფილებაში მოთხრობილია სამანიდების დროის პოეტზე — აბუ აბდალაჰ ჯაფარ იბნ მუჰამმად რუდაქი სამარყანდელზე. ცნობილია, რომ რუდაქის გარდაცვალების თარიღი დაახლოებით 941 — 54 წლებს შორისაა ნაგარაუდები, ნიზამი არუზი „ჩაპარ მაყალეს“ 1156 — 57 წლებში წერდა. ამდენად, ორი საუკუნე აშორებს ნიზამი არუზის რუდაქის ცხოვრების პერი-

ოდისაგან და მაინც, ანონიმური „თარიხ-ე სისთანის“ შემდეგ, „ჩაპარ მაყალე“
წარმოადგენს პირველ წყაროს, სადაც ეპოქაობით ცნობებს სპარსული პოეზიის
მამამთავრის შესახებ.

ქართული
ბიბლიოთეკა

„ჩაპარ მაყალეში“ მოთხრობილი ანეგდოტი რუდაქის შესახებ კარგად არის
ცნობილი მთელს აღმოსავლეთში და თითქმის ყველა ძველ ანთოლოგიაში გვხვდებ-
და. მაგრამ, როგორც ამას ინგლისელი მკვლევარი ელუარდ ბრაუნი აღნიშნავს,
არსადაა ასეთი სრული სახით მოცემული [8], გვ. (121).

ამბავი შეეხება ემირს ნასრ იბნ აჰმად სამანიდის გამგზავრებას ბუხარადან
პერათში. ემირს იმდენად მოეწონა პერათი და მისი შემოგარენი, რომ ოთხი წელი
დაჰყო იქ და არც ფიქრობდა სატახტო ქალაქში დაბრუნებას. მაშინ სამშობლოსა
და ოჯახს დანატრებულმა დიდებულებმა თხოვნით მიმართეს რუდაქის, რო-
გორც ემირთან დაახლოებულ პირს, რომ რაიმე საშუალებით გაეხსენებინა ემირისა-
თვის ბუხარა და ნასრ იბნ აჰმადი დაებრუნებინა მშობლიურ ქალაქში. მართლაც,
რუდაქიმ დაწერა ყასიდა, დილით ადრე, ეახლა რა ემირს კარავში, აიღო ჩანგი
და უშშაყის ჰანგზე* დაამღერა:

ბუ-ე ჯუ-ე მულნიან ნიედ ჰამი
ნი-ე ნი-ე მეპრბან ნიედ ჰამი
რი-ე ნმუ-რ ღოროშთი-ე რან-ე უ
ზირ-ე ფნიმ თარნიან ნიედ ჰამი
ნბ-ე ჯერჰუნ აზ ნეშათე რჰირ-ე დჰსთ
ხენგ-ე მარან თან მინან ნიედ ჰამი
ერ ბოხარან შად ბაშ რ დირ ზი
მირ ზი თო შადმან ნიდ ჰამი
მირ მჰასთ რ ბოხარან სმინან
მჰ სჰირ-ე სმინან ნიედ ჰამი
მირ სარვასთ რ ბოხარან ბუსთან
სარგ-სურ-ე ბუსთან ნიედ ჰამი (3, 52 — 53).

მულიანის ნაკადულის სურნელება მოდის.
ნაზი სატრფოს მოდის სურნელება.
ამუს ქვიშა და ძნელი გზა
ჩემს ფეხქვეშ აბრეშუმად იგება.
ჯერჰუნის წყალი მეგობრის სახით, გამხიარულებულ
ჩემს ცხენს წელამდე სწვდება.
ჰოი ბუხარა, იმხიარულე და იყავი მარადქამ!
ემირი შენსკენ მოდის გახარებული.
ემირი მთვარეა და ბუხარა კი ზეცაა,
მთვარე ზეცისკენ მოემართება.
ემირი საროა და ბუხარა ბალი,
სარო ბალისაკენ მოემართება.

რუდაქის ლექსმა ემირზე ისე იმოქმედა, რომ ის მაშინვე შემჯდარა ცხენზე
და ბუხარისაკენ გამოუწევა.

ეს არის მოკლედ ის ამბავი, რასაც გადმოგვცემს ნიზამი არუზი რუდაქის
შესახებ. თვით ტექსტი, რასაკვირველია, საკმაოდ ვრცელია, აქაა მდიდარი აღწერა
პერათის გარშემო ადგილებისა, სამეფო კარის ცხოვრების ამსახველი სურათები.
გარდა ამისა, ნიზამი არუზი გვიამბობს, რომ მას გაუგონია 1110 წელს სამარყან-

* უშშაყის ჰანგი პირველი და ყველაზე ძველი არაბულ და სპარსულ მუსიკაში არსებული
12 ჰანგიდან.

დში ვინმე დეჰყან აბუ რიჯა აჰმად იბნ აბდ-ას-სამად ალ-ალიბისაგან, რომელიცაჲ პაპამისისაგან სმენია, რომ როცა რუდაქი სამარყანდში შემოდოდა, ოთხასი დე-ტვირთული აქლემი მოჰყვებოდა თურმე უკან.

ქრონიკული

ნიზამი არუზი დიდად აფასებს რუდაქის პოეზიას. მისი აზრით, მკვეთრად შეძლო ემირის ბუხარაში დაბრუნებისადმი მიძღვნილ ყასიდაზე პასუხის დაწერა და ამის საილუსტრაციოდ მოაქვს მელიქ-შაჰის, ხოლო შემდგომ სულთან სანჯარის კარის პოეტის, მუიზის ერთი ბეითი, რომელიც მას რუდაქის ყასიდის ყასიდაზე დაუწერია სულთანის დაბირის -ზენ მულქის თხოვნით.

როსთამ შხ მანდარან ნიედ ჰამრ
ზენ მულქ შხ ესჰაჰან ნიედ ჰამრ (13], გვ. 54)

როსტომი მანდარანიდან მოდის,
ხოლო ზენ მულქი ისპანიდან მოდის.

„ყოველი მცოდნე ადამიანი მიხედება, თუ რა სხვაობაა ამ ლექსებსა და რუდაქი-სულს შორის“. (13], გვ. 54) — დასძენს არუზი.

ვარდა ამისა, ნიზამის მოაქვს კიდევ ერთი ბეითი, რომელიც ზემოსხენებუ-ლი ყასიდის ნაწილს შეადგენს. ცნობილმა ირანელმა მკვლევარმა საიდ ნაფსიმ, რომელმაც რუდაქის ცხოვრებისა და შემოქმედების საკითხებს სამტომიანი ნაშრომი მიუძღვნა*, აღნიშნული ბეითი ლექსის ბოლოში მოაქცია (ასე დაიბეჭდა ბეითი დავით კობიძის „სპარსულ ქრესტომათიაშიც“ (12], გვ. 13).

ეს ბეითია:

ნფრინ მ მადჰ სულ ნიედ ჰამრ
გარ ბეგანჯ ნნდარ ზნან ნიედ ჰამრ (13], გვ. 54).

ქებას და ზოტბას მაშინ აქვს აზრი,
თუ კი ხაზინას მოაქლდება რამე.

ამდენად, ნიზამი არუზის თხზულებიდან შემდეგი ცნობები შეიძლება ამოიკ-რიფოს; პოეტის სახელია აბუ აბდალლჰ რუდაქი; იგი მოღვაწეობდა ნასრ იბნ აჰმად სამანიდის კარზე, სადაც დიდი პატივით სარგებლობდა. რუდაქის ოთხი წელი გაუტარებია ჰერათში, სადაც შეუთხზავს ცნობილი ყასიდა ემირის ბუხარაში დაბრუნების გამო, მელიქ-შაჰის პოეტ-ლაურეატ მუიზის უცდია ამ ყასიდაზე „ნაზირა“ დაეწერა, მაგრამ საქმე ერთ ბეითზე შორს არ წასულა.

რაც შეეხება რუდაქის დაბადების ადგილს, მის აღზრდას, განათლებასა და რაც მთავარია მის სიბრძნევს, „ჩაჰარ მაყალე“ ამის შესახებ არაფერს გვამცნობს.

ჩვენთვის საინტერესოა, თუ რა სახეს ღებულობენ ნიზამი არუზის ცნობები შემდგომი დროის ანთოლოგიებში, რა აკლდებათ და რა ემატებათ მათ.

თხზულება, რომელიც დაწერის დროის მიხედვით უშუალოდ მოსდევს „ჩაჰარ მაყალეს“, ესაა იბნ ისფანდიარის „თაბარისთანის ისტორია“ (1216). იბნ ისფან-დიარს „ჩაჰარ მაყალედან“ თითქმის მთლიანად გადაუწერია ფირდოუსის თაობაზე დაწერილი ანეგდოტი, მაგრამ რუდაქის შესახებ არაფერს გვამცნობს** [10].

ერთ-ერთი ძველი ანთოლოგია, რომელიც ასევე დაწერის დროის მიხედვით ახლოს დგას ნიზამი არუზის ნაწარმოებთან, გახლავთ მოჰამედ ოუფის „ლობაბ ოლ-ალბაბი“ (7), დაწერილი XIII საუკუნეში, კერძოდ, 1221 წელს. თხზულების I ტომში რუდაქი მოხსენებულია სამანიდების კარის პოეტთა შორის.

* პირველი ორი ტომი გამოიცა 1931 წელს, ხოლო მესამე 1940 წელს თეირანში.

** პროფ. დავით კობიძე ფიქრობს, რომ ეს ყასიდა დაწერილია ემირ ნასრის ბუხარაში ერთ-ერთი შემოსვლის გამო, ხოლო თვით ამბის სინამდვილეს საეჭვოდ მიიჩნევს (I, 107 — 114).

ნიზამი არუზის წიგნიდან მ. ოუფის არაფერი გადმოუღია, ოუფის ცნობები უფრო მეტ ფაქტობრივ მასალას შეიცავენ და შეიძლება ითქვას, რომ ყველაფერი ის ძირითადი, რაც ჩვენ რუდაქის ცხოვრების შესახებ ვიცით ოუფისეულია.

ნიზამი არუზის ცნობების შეჯერება „ლობაბ ოლ-ალბაბის“ მონაცემებთან ბევრ საინტერესო საკითხს ბადებს. პირველ რიგში, ესაა საკითხი რუდაქის სიბრმავის შესახებ. ოუფი პირდაპირ აცხადებს, რომ რუდაქი დაბადებით ბრმა იყო. ამას იმეორებს თითქმის ყველა თეზქერე. ე. ბერტელსი ამ ცნობის გაჩენას, რომელიც მანამდე არც „ჩაპარ მაყალეში“ და არც ავრეთევე „თარახ-ე სისთანში“ ყოფილა, უკავშირებს XI — XII საუკუნეების პოეტის სუზანის ერთ ლექსს და ფიქრობს, რომ შესაძლოა სუზანის ლექსში შემონახული რუდაქისეული ბეითი შეიცავდეს ამ ლეგენდის წარმოშობის ახსნას.

დარ მადპ-ე თრ ბესურათ თაზმინ აღნ ქონამ
ნეჟ ბერთ-ე რუდაქირან დარ ჰაყ-ე ბალამინ
სადრ-ე ჯგჰან ჰამე თარიჟ შაბ შოდასთ
აზ ბეჰარ-ე მს სეფიდერ სანდეჟ ჰამრ ლამინ (4], გვ. 132).

შენს საქებრად მივიტან სიტყვებს
რუდაქისას, რომელიც ბალამიზე უთქვამს:
„ო, ქვეყნის გულო, მთელი სამყარო დაბნულა
ჩვენთვის, შენ ციმციმებ მხოლოდ ვით ნათელი დილა“.

ასევე XI საუკუნის პოეტთან ნასირ ხოსროვთან (1004 — 1088) ვხვდებით შემდეგ ბეითებს:

შე' არ-ე ზოჰლ რ ფანდ ბასრ გოთასთ
შნ თირე ჩაშმ შე' ერ როუშანზინ (4], 132).

ბევრი პოეტური შეგონება უთქვამს
იმ პოეტს, ბრმას, მაგრამ ნათელმხედველს.

აქ, ცხადია, ლაპარაკია რუდაქიზე.

საიდ ნაფისი, ეყრდნობა რა თვით რუდაქის პოეზიას, რომელიც მდიდარია უშუალო ჰერეტის შედეგად აღმოცენებული პოეტური ხატებით, საეჭვოდ მიიჩნევს მ. ოუფისა და მისი მიმდევარი ავტორების ცნობას, რომ პოეტი დაბადებით ბრმა იყო ([13], გვ. 550). ს. ნაფისის აზრით, რუდაქი სიცოცხლის ბოლო ეჟამ დააბრმავეს და ეს ფაქტი შესაძლოა დაკავშირებული იყოს მისი მფარველი ვეზირის — ბალამის ცხოვრების ტრაგედიასთან. ბალამის აღარ სწყალობდნენ სამეფო კარზე და ტირანის რისხვა მის ახლობლებზეც გავრცელდა. აქედან შეიძლება აიხსნას, ე. ბერტელსის აზრით, რუდაქის ზემოთ მოტანილი ბეითის შინაარსიც — ის მიმართავს ბალამის, როგორც უკანასკნელ იმედს, მოციმციმე განთიადს. როგორც ჩანს, ბალამის, კიდევ შეეძლო რაიმე დახმარება აღმოეჩინა მის გამო დაბრმავებულ პოეტისათვის ([4], გვ. 134).

თუ რუდაქი ბრმა დაიბადა, როგორც ამას ოუფი ამტკიცებს, საინტერესოა ის ფაქტი, თუ რატომ არ აღნიშნავს ამას ნიზამი არუზი. ცხადია, რომ ლეგენდა რუდაქის სიბრმავის შესახებ იმ დროისათვის, როცა „ჩაპარ მაყალე“ იწერებოდა, უკვე არსებობდა, რაც ზემოთ მოტანილი ლექსებიდანაც ჩანს. პროფ. დავით კობიძის აზრით, ეს ლექსები რომელიც რუდაქის ბრმად იხსენიებს, მეტად ანგარიშგასაწევია და „შეიძლება ვიფიქროთ, რომ პოეტის ცხოვრების რომელიღაც პერიოდში მართლაც ჰქონდა ადგილი სიბრმავეს“ ([1], გვ. 106).

რასაკვირველია, გამორიცხულია ნიზამი არუზის არ სცოდნოდა ასეთი ფაქტის არსებობა, ანდა არ ჰქონოდა წაკითხული ეს ლექსები. ის, რომ ნიზამი არუზი არც ერთხელ არ ახსენებს ამ ლეგენდას, ერთი მხრივ შესაძლოა აიხსნას იმით,

რომ ნიზამი არუზის თხზულებას ერთი გარკვეული მიზანი ჰქონდა; მაშინ, როდესაც ნიზამი არუზი ასეთი დამაჯერებლობით ცდილობს აუხსნას ტანტის მემკვიდრეს, თუ როგორ უნდა მოეპყრას ის მის კარზე მოღვაწე პოეტებს, რომლებიც განადიდებენ მის სახელს და უკვდავყოფენ თავიანთ ლექსებში მის საქმეებს, ის შესაძლოა განგებ გვერდს უხვევდეს ამბავს პოეტის დაბრმავების შესახებ, რადგან ეს მისი მსჯელობის საბუთად არ გამოდგება.

ჰამდლლაჰ მუსთაფეი ყაზვინის „თარახ-ე გუზიდაში“ [12] რუდაქი მოხსენებულა, როგორც პირველი სპარსელი პოეტი, რომელიც სპარსულ ენაზე წერდა, იყო თანამედროვე ემირ ნასრ სამანიდისა, შეუთხზავს მრავალი ლექსი. ყაზვინის ზოგიერთ თეზქერეში წაუკითხავს, რომ რუდაქის დაუწერია 700 000 ბეითი, მაგრამ რუდაქის დივანი მას უკვე აღარ უნახავს ([12], გვ. 154). (აქვე შევნიშნავთ, რომ რუდაქის დივანს არც ნიზამი არუზი ახსენებს, ხოლო მ. თუფის კი ხელთ ჰქონია და წაუკითხავს იგი), გარდა ამისა, ყაზვინი გაკვირით ახსენებს ყასიდას ემირის ბუხარაში დაბრუნების შესახებ, მაგრამ არ ასახელებს წყაროს, თუმცა თავის თხზულებაში ახსენებს ნიზამი არუზის „Majmaün Navadir“-ს („იშვიათობათა კრებული“) და ხშირ შემთხვევაში იყენებს კიდევ მას, როგორც წყაროს, რასაც მირზა მუჰამმად ყაზვინიც შენიშნავს „ჩაჰარ მაყალეს“ ტექსტის 1910 წლის გამოცემის შესავალში ([9], გვ. 3).

დოვლათშაჰი, ისევე როგორც ნიზამი არუზი, არაფერს ამბობს რუდაქის სიბრმეზე. ის მოგვითხრობს ემირ ნასრის ჰერათში გამგზავრების ამბავს, წყაროდ ასახელებს ხოჯა ალი მასთუფის „რჩეულთა ისტორიას“ და არა „ჩაჰარ მაყალეს“ ([11], გვ. 21). ამავე დროს, როდესაც ის ლაპარაკობს თვით ნიზამი არუზის შემოქმედებაზე, შენიშნავს, რომ წიგნი „ჩაჰარ მაყალე“ მეტად სასარგებლო და საინტერესო თხზულებაა პოეტების შესახებ ([11], გვ. 29). სამეცნიერო ლიტერატურაში დოვლათშაჰი არც თუ ისე სანდო ისტორიკოსადაა აღიარებული. ამ შემთხვევაში, როგორც სხვა მეცნიერთა მიერაცაა აღნიშნული, ის შეცდომას უშვებს და გორგანის პოემას „ვის ო რამინს“ ნიზამი არუზის მიაწერს.

ნ. არუზის ნაწარმოებში ემირ ნასრისა და რუდაქის ჰერათში ყოფნის ამბავი უფრო ვრცელადაა გადმოცემული, ვიდრე დოვლათშაჰთან. დოვლათშაჰი ცნობილი ყასიდის ექვს ბეითს გვაწვდის და დასძენს, რომ ეს ყასიდა გაცილებით უფრო გრძელია, მაგრამ მისი მთლიანი ციტირება ამ წიგნს არ ძალუძს ([11], გვ. 21). დოვლათშაჰს ხელთ ჰქონდა ნიზამი არუზის წიგნი, სადაც ამ ყასიდის მეშვიდე ბეითიც არის მოტანილი, მაგრამ რატომღაც აღარ ამოუწერია იგი. შეიძლება ვიფიქროთ, რომ მას არ მიუჩნევია ეს საჭიროდ, ანდა ამ შემთხვევაში წყაროდ გამოიყენა არა „ჩაჰარ მაყალე“, არამედ სხვა თხზულება, როგორც ამას თვითონაც შენიშნავს. აღსანიშნავია, რომ თითქმის ყველა თეზქერეში ყასიდა ემირის ბუხარაში დაბრუნებაზე ექვსი ბეითის რაოდენობითაა ციტირებული. ასეთივე სახით გადმოვიდა ეს ლექსი XV საუკუნის პოეტის აბდ-ორ-რაჰმან ჯამის „ბაჰარესთანში“ ([5], გვ. 153), სადაც ჯამი მას (ამ ყასიდას) ყაზალს უწოდებს.

„ბაჰარესთანში“ თითქოს სინთეზია ოთუფისა და ნიზამი არუზის ცნობებისა. ჯამიც შენიშნავს, რომ რუდაქი ბრმა დაიბადა, ამავე დროს გადმოგვცემს ნასრის ბუხარაში დაბრუნების ამბავს, ოღონდ ჰერათის მაგივრად აქ ქალაქი მერვია (მერე-შაჰაჯანი). ამბის ბოლოს კი ჯამი დასძენს, რომ სხვა ისტორიულ ნაწარმოებებში იგივეა მოთხრობილი სულთან სანჯარზე და მუიზზიზუო ([5], გვ. 154). ჯამის ეს შენიშვნა, რომელშიც თვითონაც ეპარება ეჭვი, რასაკვირველია მცდარია; ცნობილია, რომ მუიზზის მხოლოდ პასუხი დაუწერია რუდაქის ყასიდაზე. ეს ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ ჯამის ხელთ არ ჰქონია ნიზამი არუზის თხზულება,

არამედ მას უსარგებლად რომელიღაც სხვა წყაროთი (ან წყაროებით), სადაც „ჩაპარ მაყალეს“ მონაცემები უკვე დამახინჯებულა სახით იყო გაფორმებული. სამწუხაროდ, ჯამი კონკრეტულად არ მიუთითებს თავის წყაროზე.

გარდა ზემოჩამოთვლილი თხზულებებისა, სხვა მრავალი თეზქერე მრგვითხრობს რუდაქის შესახებ და მეტ-ნაკლებად იყენებს „ჩაპარ მაყალეს“, როგორც წყაროს, მაგრამ თითოეული მათგანის განხილვა ამ ნაშრომის ფარგლებს სცილდება. დასახელებული ანთოლოგიების და ჯამის „ბაჰარესთანის“ მოკლე მიმოხილვიდანაც ჩანს, რომ გვიანდელი ხანის ანთოლოგიებში რუდაქის ბიოგრაფიისა და შემოქმედების შესახებ არსებული ცნობები გამომდინარეობენ ძირითადად ორი წყაროდან, ესენია: ნიზამი არუზის „ჩაპარ მაყალე“ და ოუფის „ლობაზ ოლ-ალ-ბაბი“. ეს ცნობები დროთა განმავლობაში სხვადასხვაგვარ სახეს ღებულობენ, რაც აშკარად ჩანს ჯამის „ბაჰარესთანის“ მაგალითზე.

ნიზამი არუზის თხზულება, როგორც ლიტერატურული წყარო, გამოდგება არა მარტო რუდაქის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლისას, არამედ საერთოდ კლასიკური ხანის, კერძოდ, წინამონღოლური პერიოდის სპარსული პოეზიის კვლევის დროსაც.

როგორც ა. ნ. ბოლდირევი შენიშნავს, ნიზამი არუზის წიგნით მრავალი ანთოლოგიების ავტორები სარგებლობდნენ. მათ შეჰქონდათ თავიანთ შრომებში მეტნაკლებად ვრცელი ნაწყვეტები „იშვიათობათა კრებულიდან“ და მიიჩნევდნენ ამ წიგნს სპარსული ლიტერატურის კლასიკური პერიოდის ერთ-ერთ ავტორიტეტულ პირველწყაროდ (16, გვ. 21).

მიუხედავად ამისა, „ჩაპარ მაყალე“ სწორედ ამ თვალსაზრისით, ე. ი. როგორც ლიტერატურული წყარო, სათანადოდ კიდევ არ არის შესწავლილი.

ირანული ფილოლოგიის კათედრა

ლიტერატურა

1. დავით კობიძე, სპარსული ლიტერატურის ისტორია, თბილისი, 1975.
2. დავით კობიძე, სპარსული ქრესტომათია, 1, თბილისი, 1963.
3. „ჩაპარ მაყალე“ ნიზამი არუზი სამარყანდელისა, მ. მოანის გამოცემა (სპარსულ ენაზე), თეირანი, 1955.
4. Е. Э. Бертельс, История персидско-таджикской литературы, Избранные труды, Москва, 1960.
5. Абдурахман Джами, Весенний сад (Бахарестан), Душанбе, 1964.
6. Низами Арузи Самарканди, Собрание редкостей, или четыре беседы, перевод с персидского С. И. Баевского и З. Н. Ворожейкиной, под. ред. А. Н. Болдырева, Москва, 1963.
7. Muhammad Awfi, The Lubabu'l — Albab, II, ed. in original Persian with preface, indices and variants by E. G. Browne, London — Leiden, 1903.
8. Chahar Maqala („Four discourses“) of Nizami-i-Arudi Samarqand, ed. by E. G. Browne, London, 1921.
9. Chahar Maqala, Persian text, ed. and annotated by Mirza Mahammad ibn Abd al-Wahhab of Qazwin, Caire and Leyden, 1910.
10. Ibn Ispandiyar's History of Tabaristan (translation), ed. by E. G. Browne, Leiden London, 1905.
11. The Tadhkiratu' sh-shu' ara of Dawlatshah bin'ala U'd' — Dawla Bakh-tishan al-Ghazi of Samarqand, ed. by E. G. Browne, Leiden — London, 1901.

12. The Journal of the Royal Asiatic Society of Great Britain and Ireland for 1900. Biographies of Persian poets contained in ch. V, § 6 of the *Tarikh-i Guzida*, of Hamdullah Mustafi of Qazwin, translated by E. G. Browne, M. A., M. R. A. S. oct. 1900, London.
13. احوال و اشعار ابو عبد الله خعفر بن محمد رودكى سمرقندى ، تأليف سعيد نفيسى ، مجلد دوم ، طهران ، ۱۳۱۰

М. Ш. МИКАШАВИДЗЕ

СВЕДЕНИЯ НИЗАМИ АРУЗИ О РУДАКИ

Резюме

Сочинение Низами Арузи Самарканди „Собрание редкостей, или четыре беседы“ датируется 1156—57 годами. Книга содержит много ценнейших сведений о культурной жизни Ирана предмонгольского периода.

Особый интерес представляет для нас II глава сочинения — „О природе науки о стихе и о достоинствах поэта“. Короткие, написанные простым языком рассказы этой главы содержат много интересных сведений о некоторых знаменитых поэтах X—XII веков; именно они делают книгу Низами Арузи важным источником для исследований истории персидской литературы.

Во втором рассказе этой главы рассказывается о поэте Саманидского круга — Рудаки. Арузи повествует о пребывании Рудаки в Герате с эмиром Насром ибн Ахмадом, о сочинении известной касиды „Буй-е джуй-е мулиан . . .“ и о попытке поэта Му'йззи написать „Назир“ на эту касиду.

Нас интересует, обнаруживаются ли заимствования из рассказа Низами Арузи в последующих литературных источниках. Для этой цели в данной работе рассматриваются: „История Табаристана“ — ибн Исфандиара, „Лобаб'ол — Албаб“ — Мухаммада Ауфи, „Тарих-е Гузида“ — Мустауфи Казвини, антология Давлатшаха и художественное произведение Джами — „Бахарестан“.

М. Ауфи, рассказывая о Рудаки, не ссылается на книгу Низами Арузи. Сопоставление этих двух источников рождает много интересных вопросов. Первым делом, это вопрос о слепоте поэта. По сведениям Ауфи, Рудаки родился слепым; Низами Арузи же, писавший свою книгу намного раньше Ауфи, не упоминает о слепоте вообще. Это может быть подтверждением взгляда Саида Нафиси и многих других исследователей, что Рудаки был ослеплен в конце своей жизни; так как цель книги Низами Арузи — дать наставление молодому монарху, то понятно, что факт ослепления придворного поэта умышленно не упоминается в его произведении.

Остальные же вышеуказанные сочинения, рассказывая о Рудаки, в основном опираются на сведениях этих двух источников (Ауфи, Арузи).

Надо отметить, что данные, которые можно извлечь из произведения Низами Арузи, могут быть использованы для исследования жизни и

творчества многих других персидских поэтов вышеуказанного периода. Но с этой точки зрения книга „Четыре беседы“ еще недостаточно изучена.

30320100333

M. MIKASHAVIDZE

NIZAMI ARUDI'S EVIDENCE ON RUDAKI

Summary

The book of Nizami Arudi Samarqandi *Chahar Maqala*, dated 1156—57, contains much valuable information about the cultural life of Iran throughout the 10th—12th centuries, up to the Mongol invasion. Its Chapter II „On the nature of the science of verse and merits of a poet“ is of considerable interest to us. The short stories in it tell us of several well-known poets of the 10th—12th centuries, this making it an important source for the history of Persian poetry. In the second story of this chapter Nizami Arudi tells us about Rudaki, a poet of the Samanid period.

The object of the present paper is to determine whether there was much borrowing from Nizami Arudi's story about Rudaki by later anthologies and treatises.

With this in view the author has studied „The History of Tabaristan“ by Ibn Isfandiyar, *The Lubabu'l—Albab* of Muhammad Awfi, *Tarikhi Guzida* by Mustawfi of Qazwin, *The Tadhkiratu'sh—shuara* of Dawlatshah, and Jami's *Baharestan*.

Muhammad Awfi does not refer to Nizami when telling about Rudaki. Comparison of these sources poses many questions, the most interesting being that of Rudaki's blindness. According to Awfi, Rudaki was born blind — a fact never mentioned by Nizami Arudi, who wrote long before Awfi. This may confirm the point of view of Said Nafisi and many other investigators who state that Rudaki was made blind by the end of his life. But as the aim of Nizami Arudi's book is to instruct the young monarch on how to treat poets, it becomes clear that he intentionally conceals the fact.

The rest of the above-listed works containing references to Rudaki mainly rely on these two sources (Awfi and Arudi).

It must be noted that the evidence found in Arudi's book may be of use for the investigation of the biography and creative work of many other Persian poets of the above-mentioned period. As yet it has not been sufficiently studied from this point of view.

სუათ დერვიშის რომანი „ეჩინე“

მერი ჟიკლაური

თურქული კრიტიკული რეალიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელი, სუათ დერვიში, სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში. მისი ნამდვილი სახელი საადეთია. მამაკაცის ფსევდონიმი მწერალმა ქალმა თვითონ აირჩია, რადგან ქალს საზოგადოებრივ ასპარეზზე მოღვაწეობის ღირსად თურქეთში არაფერს თვლიდა ([1] გვ. 172).

იმ დროს, როცა სუათ დერვიშმა წერა დაიწყო, თურქულ ეროვნულ კულტურაში ცხარე ბრძოლა მიმდინარეობდა პროგრესულსა და რეაქციულ მიმართულებებს შორის.

პროგრესული მიმართულების წარმომადგენლები მწვავე პროტესტს უცხადებდნენ ცხოვრების აუტანელ პირობებს; ცდილობდნენ ჩაეყენებინათ ლიტერატურა ხალხის სამსახურში, აესახათ თურქი ხალხის ბედკრული ცხოვრების ნამდვილი მიზეზები: ომი, უმუშევრობა, სიღატაკე. რეაქციული მიმართულება ცდილობდა მოეწყვიტა ლიტერატურა სოციალური სინამდვილისათვის ([2] გვ. 105—108).

სუათ დერვიში სამწერლო მოღვაწეობის დაწყებისთანავე გაბედულად ჩადგა პროგრესულად მოაზროვნე მწერალთა რიგებში და თავისი მიზნები თურქი ხალხის ინტერესებს დაუკავშირა.

მისი ნაწარმოებების გმირები თურქი ხალხის წიაღიდან გამოსული „პატარა ადამიანები“ არიან.

მწერალი ქალის ფიქრები და აზრები ხან ყველასაგან მიტოვებულ, ცხოვრებისაგან გარიყულ და ხალხმრავალ თურქეთში მარტოდმარტო დარჩენილ ქალს — სეზას დასტრიალებს თავს, ხან ლუკმაპურის საშოვნელად საკუთარი სხეულით მოვაჭრე საბრალო გოგონას — ვარსკვლავთვალეზა ჯვერიეს მიაცილებს სტამბულის ბნელ ქუჩებში, ხან ბატონებისაგან ნაცემ და შიმშილით დასუსტებულ უმწყო ქმნილებას — ემინეს ეალერსება.

30-იან წლებში, როცა კრიტიკულმა რეალიზმმა თავისი განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწია, სუათ დერვიში უკვე მრავალი ნაწარმოების ავტორი იყო. მწერალი ქალი აქტიურად გამოდიოდა სტამბულის ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე პოლიტიკური სტატიებით. სუათის გაბედული გამოსვლა არ მოსწონდა იმ დროს სტამბულში არსებულ ნამიქ ქემალის სახელობის ახალგაზრდობის რეაქციულ საზოგადოებას. მათ სუათ დერვიშს მოაგონეს, რომ ის ქალია და მისი საქმე არ არის დიდ და სერიოზულ საქმეებში ჩარევა. ამ შეურაცხმყოფელ თავდასხმაში მწერალმა ამოიცირო რეაქციული სული და სიძულვილი პროგრესის მიმართ. მან არ აპატია რეაქციონერებს ეს შეურაცხყოფა: „ახლა XX საუკუნეა, ნუ ცდილობთ ამოეფაროთ ფრაზას „ჩვენ არ გვსურს ლაპარაკი ქალთან“ — მიმართა სუათ დერვიშმა მოწინააღმდეგეებს — თქვენ ეთამაშებით ლიბერალიზმს და ეს იდეოლოგია

კი ცდილობს გზა გაუხსნას უცხოეთის კაპიტალს, ქვეყანა მიიყვანოს კოლონიურ მდგომარეობამდე. თქვენ აცხადებთ: „ხალხი, ქვეყანა, სამშობლო!“ მაგრამ რას აკეთებთ შემდეგ?.. გამოდიხართ სინამდვილის, ხალხის წინააღმდეგ“ (1921, გვ. 99—100).

სუათ დერვიშის ლიტერატურული მემკვიდრეობა მდიდარი და მრავალფეროვანია; მის მოთხრობებსა და რომანებში განსაკუთრებული ინტერესი შეიმჩნევა ალას ბედის მიმართ. მისი ნაწარმოებები გაქვნილია მწვავე პროტესტით ომის, ადამიანთა მკვლელობის, ქალის დამცირების წინააღმდეგ. ამ მხრივ ძალზე საინტერესოა რომანი „ემინე“, რომელიც 1931 წელს დაიბეჭდა სტამბულში.

„ემინე“ წარმოადგენს ომის შედეგად დაობლებული პატარა გოგონას ცხოვრების ისტორიას. რომანის ცენტრალური გმირია ემინე, რომელსაც დედა და პატარა ძმა მტრებმა ცეცხლში დაუწვეს. მამა ომში წავიდა და უგზო-უკვლოდ დაიკარგა. ემინემ ხანძრის დროს სოფლიდან გაქცევით უშველა თავს.

ობოლი გოგონა უპატრონო ბავშვთა სახლში აღმოჩნდა. აქ იზრდებოდა 12 წლამდე; თორმეტი წლისა აფთიაქარის ცოლმა—შადიე ჰანუმმა აიყვანა მოსამსახურედ.

პატარა ემინეს ბატონების სახლში ძალზე მძიმე პირობებში უხდებოდა ცხოვრება. მზის ამოსვლამდე უკვე დაღლილი იყო, მაგრამ დასვენების უფლება არ ჰქონდა. გოგონას გვიან ღამემდე საქმე არ ელეოდა. მთელი დღე შეუსვენებლად მუშაობდა, მაგრამ ყველაფერს იტანდა, რომ შიმშილით არ მომკვდარიყო.

ერთხელ ემინე ბაზრიდან საფე კალათით ბრუნდებოდა. ზურგზე ბატონების პატარა ბავშვი ჰყავდა მოკიდებული. დაღლილმა გოგონამ წონასწორობა დაკარგა და ძირს დაენარცხა. ბავშვმა ტირილი მორთო. ქალბატონმა—შადიე ჰანუმმა ატირებული შვილი რომ დაინახა, ემინეს მამით დაუწყო ცემა. თანაც ქმრის დასაძახებლად აფთიაქში ბავშვი გაგზავნა და ემინეს დაემუქრა, შენს თავს ცემით მოვაკვლევიანებო. აფთიაქარი ნერვიული კაცი იყო და გოგონას მისი ძალიან ეშინოდა. ემინე სახლიდან გაიქცა; დიდხანს იხეტიალა უგზო-უკვლოდ. მოსაღამოვდა, წვიმა წამოვიდა. სიცივისაგან გათოშილმა და შიმშილით დასუსტებულმა გადაწყვიტა კვლავ უპატრონო ბავშვთა სახლში მისულიყო და მფარველობა ეთხოვა. მივიდა კიდევ შენობის კართან, მაგრამ დაკეტული დახვდა. მოხუცი ყარაულის რჩევით პოლიციაში წავიდა. კომისარმა ემინე კვლავ ბატონებთან დააბრუნა, რომ პატიება ეთხოვა, მაგრამ შადიე ჰანუმმა აღარ მიიღო. პოლიციის კომისარს შეებრაღა უპატრონო ბავშვი და თავის დასთან მოსამსახურედ გაგზავნა.

ახალ ბატონებთან ემინეს შედარებით ნაკლები შრომა უხდებოდა, ვიდრე აფთიაქარის ოჯახში, მაგრამ გრძნობდა, რომ ეჭვის თვალთ უყურებდნენ და ძალიან მტკივნეულად განიცდიდა.

ერთ დღეს, როცა კომისარის დამ ქალიშვილი ვათხოვა და სახლში უამრავ ხალხს მოეყარა თავი, პატარა ქალბატონს ოქროს ძეწვევი დაეკარგა. ძეწვევის მოპარვა ემინეს დააბრალეს და ციხეში ჩაგდებით დაემუქრნენ. გოგონას შეეშინდა და გაიქცა. დიდხანს იხეტიალა სტამბულის ქუჩებში. ბოლოს შიმშილისაგან ლონემიხდის მანქანა დაეჯახა და საავადმყოფოში მიიყვანეს. საავადმყოფოში ემინეს ღიძი მზრუნველობით დასტრიალებდა თავს მოხუცი ექიმი ჯემილ შევქეთი. ექიმმა გოგონა თავის გარდაცვლილ ქალიშვილს, სუჰეილას მიაბარა და შვილივით შეიყვარა. გამოჯანმრთელებული ბავშვი ჯემილ შევქეთმა თავის სახლში წაიყვანა. ამ სახლში ემინე ძალიან ბედნიერად გრძნობდა თავს, მაგრამ მალე ექიმი გარდაიცვალა და ობოლი გოგონა კვლავ ქუჩაში უნდა დარჩენილიყო. ექიმის მეზობელმა

ქალმა—სალიმემ ემინე ერთ ხანში შესულ და ავადმყოფ ვაჟარზე, ბეკირ ეფენდი-ზე გაათხოვა.

სუათ დერვიშის რომანი „ემინე“ თმისადმი სიძულვილს გვინერგავს. გვაცნობს ზიზლით ოკუპანტების მიმართ, რომლებმაც დაუნდობლად გაელიტეს უღანაშაუ-ლო ადამიანები. სუათ დერვიშს თმი ხალხის უბედურების მიზეზად მიაჩნია, რად-გან ომმა მრავალი ოჯახი დააქცია, მრავალ ადამიანს აუბნია გზა-კვალი და მრავალი ბავშვი დააობლა.

მწერალი ქალი ომს გაუმძღვარ ურჩხულად წარმოგვიდგენს:

„Aci, aci öten treuler doymayan bir ejderhaya insan eti taşıyor-
lar... Gayet yakın yerlerde insanlar boğuşuyor... Mağnum hastaha-
nelerde, hastahane yapılmış binalarin hepsinde... yaralilarin istirapli
faryadi var... (11, გვ. 54).

„მატარებლები, რომლებიც მწარე მწარედ უსტვენენ, გაუმძღვარი ურჩ-
ხულისაკენ ადამიანთა ხორცს ეზიდებიან, ... აქვე, მახლობლად ადამიანები
ერთმანეთს ახრჩობენ... შეხუთულ საავადმყოფოებში, საავადმყოფოდ ქცე-
ულ ყველა ბინაში ისმის დაჭრილთა განწირული კვნესა“.

● დიდი თანაგრძნობით გვიხატავს მწერალი ქალი თმის შედეგად დაობლებუ-
ლი ბავშვების მდგომარეობას. ომს ყველაფერი წაუტომევია მათთვის; ყველაფერი,
რასაც ბავშვობის სანატრელ წლებში ბედნიერება ჰქვია: დედაც, მამაც, სიხარუ-
ლიც, ღიმილიც. ეს პაწაწა, ნორჩი ქმნილებები მრავალჭირნახულ ადამიანებს უფ-
რო ჰგვანან, ვიდრე ბავშვებს:

„Acaba bu kadar küçükken hangi matemin yorgunluğu, hangi
felâketin acisi var? Bunlar da çocuk. Niçin gülmiyorlar?... Neden
gözleri sanki uzun ve elemli bir hayat yaşamış insan gözleri gibi
yorgun... Ne düşünüyorlar. Niçin gülmiyorlar?...“ (15, გვ. 6.)

„ნეტავ ასეთი პატარები რა ნაღველს შეუბყრია, რა უბედურების სიმ-
წარეს? ესენიც ხომ ბავშვები არიან. რატომ არ იცინიან. რატომ აქვთ თვა-
ლები გრძელ და ტანჯულ ცხოვრებაგამოვლილი ადამიანის თვალებივით დალ-
ლილი. რას ფიქრობენ. რატომ არ იცინიან?...“

ღიმილი დედის ტუჩებს არ უსწავლებია მათთვის, ამიტომ არიან ასე ნაღვე-
ლიანები. ისინი ჰგვანან პაწაწა ნუკრებს, რომლებიც ძალიან აღრე მოწყვიტეს
დედებს.

სუათ დერვიში თანაუგრძნობს ომიდან დაბრუნებულ მებრძოლებს, რომლე-
ბისთვისაც ომის საშინელებას სახე შეუცვლია:


„...Istiraptan değişmiş yüzleriyle, çukura girmiş gözleriyle bu
zavallilarin vücudu hürmet ve merhametle titreten bir heybetleri
var (15, გვ. 51).

„ტანჯვისაგან შეცვლილი სახეებით, ჩაცვენილი თვალებით ადამიანში
პატივისცემისა და სიბრალულის გრძნობას იწვევენ“.

სუათ დერვიში განსაკუთრებული ოსტატობით გვიხატავს რომანის მთავარ
გმირს—ემინეს.

ემინემ თავისი თვალით ნახა ომის საშინელება. ნახა, როგორ წაუკიდეს
მტრებმა სოფელს ცეცხლი და როგორ იწვოდა მისი დაჭრილი დედა მკერდზე მი-

ხუტებულ პატარა ბავშვთან ერთად. ემინეს ყოველწუთს თვალწინ უდგას ეს სწონილი სცენა და ესმის პაწაწა ძმის შემზარავი კივილი. მოსვენება არა აქვს არც დღე, არც ღამე:



„Geceleri yatakhane de küçük beyaz karyolasinin içinde hep bunlari düşündüğü için uyuyamıyor“ (15), გვ. 8).

„ღამდამობით საწოლ ოთახში პატარა თეთრ საწოლში სულ ამაზე ფიქრობს და ვერ იძინებს“.

ემინეს არც მამა ავიწყდება, რომელმაც ომში წასვლის წინ გულში ჩაიხუტა:

„Her gece, her gece toprak rengi üniformasını giydiği gün kendisini göğsü üzerinde sıkın askeri düşünüyor... Küçük her gece sabahlara kadar bunlari düşündüğü için geceyi sevmiyor“ (15), გვ. 23).

„ყოველ ღამე, ყოველ ღამე ფიქრობს ჯარისკაცზე, რომელმაც იმ დღეს, როცა ფორმა ჩიცვა, იგი მკერდში ჩაიკრა. პატარას ღამე იმიტომ არ უყვარს, რომ ყოველ ღამე დილაღე ამაზე ფიქრობს“.

სკოთ დერვიში მრავალ ნაწარმოებში გვევლინება ქალის ინტერესების დამცველად. იგი მარტოხელა ქალის ბედით დაინტერესებული მწერალია. მან ეს პრობლემა მთელი სისრულით დააყენა რომანში „ემინე“, სადაც ქალის საკითხს სოციალურ ფონზე იხილავს. რომანი გაქვინთილია მძაფრი პროტესტით უპატრონო ქალის დამცირების წინააღმდეგ. კიცხავს გულქვა, შეუბრალებელ ადამიანებს, რომლებიც ჩაგრავენ, აბუჩად იგდებენ ემინეს, არაადამიანურ შრომას მოითხოვენ საბრალო გოგონასგან.

აფთიაქარის ოჯახში ცხოვრება ტანჯვა იყო ემინესთვის. იგი ძალიან იღლებოდა, სიცივისაგან ხელები ეყინებოდა, დასვენების უფლება კი არ ჰქონდა.

„... Çalışıyor... Sabahleyin daha onlar uyurken kalkıp odaları, merdivenleri silip süpürüyor, say hazırlıyor... Elleri, soğuktan moraran zavallı elleri öyle sizliyor ki... (15), გვ. 16).

„... მუშაობს, დილით ადრე, როცა მათ ჯერ კიდევ სძინავთ, დგება, ოთახებს, კბეებს გვის, ასუფთავებს, ჩაის ამზადებს... ხელები, სიცივისაგან გალურჯებული საცოდავი ხელები ისე ეწვის, რომ...“

ემინეს ბატონებს ოთხი შვილი ჰყავდათ. მათგან ორი სკოლაში დადიოდა. ყოველ დილით სკოლაში მათი ჩანთების ზიდვაც ემინეს ევალებოდა. ტვირთის სიმძიმე იმდენად არ აწუხებდა გოგონას, რამდენადაც სიცივე. თოვლსა და ყინვაში ძონძებში გახვეული უკან მიჰყვებოდა ბატონების თბილად ჩაცმულ ბავშვებს და მათი ჩანთები მიჰქონდა. შინ რომ დაბრუნდებოდა, ორი პატარა ბავშვისთვის უნდა მოეგო. მათი ტანსაცმელი უნდა დაერეცხა, წყაროდან დღეში რამდენჯერმე კოკით წყალი უნდა მოეტანა. სიცივეც ძალიან აწუხებდა ემინეს. ბატონები ნებას არ რთავდნენ, თბილ ოთახში დარჩენილიყო და მთელი ღამე სიცივისაგან კანკალებდა.

მზავგრელთა შეუბრალებლობა კულმინაციულ წერტილს აღწევს; ქალბატონი შადიე პანუმი უდანაშაულო გოგონას საშინლად სცემს.

ტირილი მაინც შეძლებოდა საბრალო ემინეს, რომ გულში დაგუბებული ნაღველი გადმოენთხია. მის ცრემლებს გარეთ გამოსასვლელი გზა ვერ უპოვიათ და გულში ჩაღვრილან, მთელ ძარღვებს საწამლაგვიით მოსდებიან.

მკითხველის სიძულვილს იმსახურებენ ემინეს ახალი ბატონებიც. გოგონას ყოველ წუთს ესმის მათი შეურაცხყოფელი დარიგება: „არაფერი მოიპარე“-ო. გრძობს რომ არ ენდობიან და გულის სიღრმეში მწვავე ტკივილს განიცდის, თბობა ბავშვმა დიდხანს ვერ მჩინელა, ოქროს ძეწკვის მოპარვა რომ დააბრალებს. საშინელმა ცილისწამებამ ისედაც აფორიაქებული სული კიდევ უფრო აუწეწა. ესიზმრებოდა ჯარისკაცის ფორმიანი მამა და აღმოდებული დედა, რომლებიც უსაყვედურებდნენ: „ძეწკვი რატომ მოიპარე, ემინე!“ გოგონა ცდილობდა დაერწმუნებინა ისინი თავის სიმართლეში, მაგრამ ვერ ახერხებდა. ვერ ახერხებდა და იტანჯებოდა.

სუათ დერვიში კიცხავს საზოგადოებრივ ცხოვრებას, რომელიც ემინესა და მრავალი ემინესნაირი უპატრონო ქალის უბედურების მიზეზი გამხდარა, კიცხავს ადამიანების გულგრილობას.

ბატონებისაგან გაქცეული, შიმშილისა და სიცივისაგან შეწუხებული ემინე ეძებს გულშემატკივარს, მაგრამ ამოდ. მას არავინ უსმენს, მისი ბედი არავის აინტერესებს. მართახელა ქალის ადამიანურ ღირსებებს არავინ სცნობს. ემინეს ბატონები ჩაგრავენ, მოსამსახურეები კი დასცინიან. ისინიც ხომ მოსამსახურეები არიან, მაგრამ ემინე მათზე დაბლა დვას თავისი მდგომარეობით. იგი სრულიად უპატრონო და უთვისტომოა, სხვა მოსამსახურეებს კი გულშემატკივარი ადამიანები ეგულებათ. ამიტომაც ყველაზე პატარა და დამცირებული

მწერალი ზიზღით იხსენიებს ადამიანებს, რომლებიც სიცოცხლეს უწამლავენ ემინეს:

„Insanlar neden bu kadar hain... niçin ötekiler bn küçük kizi bu kadar üzüyor, hirpalıyor, incitiyorlar? Niçin bütün en ağır, en güç işleri ona yükletiyorlar?“ ([5], გვ. 138).

„რატომ არიან ადამიანები ასე მუხანათნი?... რატომ ტანჯავენ, აწამებენ, ავიწროებენ ამ პატარა გოგონას ასე ძალიან, რატომ აკისრებენ მას ყველაზე მძიმე და ძნელ საქმეებს?“.

უთვისტომო ქალი ოჯახშიც დაჩაგრულია. ის მხოლოდ საქმისათვის არის მოწოდებული. უფლებრივად ძალზე შეზღუდული, ქმრის მონა-მორჩილია. ქმრისგან ქალს მრავალი შეურაცხყოფის ატანა უხდება. საშინლად აგინებს ქმარი ემინეს, კოვხებსა და დანებს ესვრის.

დიდხანს უთმინა მან ქმარს, მაგრამ კაცის ლანძღვა-გინებას დასასრული არ უჩანდა და მოთმინებადაკარგულმა ქალმა ხმა აიმაღლა. მისი პროტესტი ქმრის წინააღმდეგ, ავტორის პროტესტია საზოგადოებრივი სინამდვილის წინააღმდეგ.

სუათ დერვიშმა თვალწინ გადაგვიშალა ქალის რთული შინაგანი სამყარო, ჩაგვახედა მის სულში.

ქალებს მთავარ გმირებად პალიდე ედების ნაწარმოებებშიც გვხვებით, მაგრამ მისი ქალები მაღალი წრის წარმომადგენლები არიან, სუათ დერვიშის პერსონაჟი ქალები კი—ხალხის წიაღიდან გამოსული „პატარა ადამიანები“.

ემინეს „küçük“-ი (პატარა) შეარქვა ავტორმა. ის უპატრონო ბავშვთა სახლში ყველაზე უფროსი იყო, მაგრამ მაინც küçük-ს ეძახდნენ. ეს სახელი შემდეგაც შერჩა გოგონას. ის მართლაც პატარაა თავისი სოციალური მდგომარეობით; ყველაზე პატარა, ყველაზე დაჩაგრული.

ძალზე საინტერესოა მოხუცი ექიმის, ჯემილ შევქეთის სახე. ის ერთადერთი ადამიანია, რომელმაც ემინეს მდგომარეობა გულთან მიიტანა და უპატრონო ბავშვს მფარველობა გაუწია.

მკითხველი ჯემილ შევქეთის პირველი გამოჩენისთანავე გრძობს მის სათნო

ბუნებას, კეთილშობილებას. გონმოსულმა ემინემ საავადმყოფოში პირველად ექიმის კეთილი თვალები დაინახა და გულში მშობლიური სითბო ჩაედგა.

ჯემილ შევქეთის სახლში გატარებული დღეები ემინეს ყველაზე ბედნიერ დღეებად მიაჩნდა თავისი ცხოვრების მანძილზე. პირველად ამ სახლში იგრძნო გოგონამ თავი ადამიანად. აქ არაფერი დასცინოდა, პირიქით, დიდ მზრუნველობას იჩენდნენ მის მიმართ.

„Emineye...üşümesin diye yün ceket aliniyor, Emine diğer insanlar gibi misafirlige gidiyor ve ona...fincanla kahve ikram ediyorlar... Bunlar okadar büyük bir saadet ki...“ (15), გვ. 106).

„არ გაცვიდესო, ემინესთვის მატყლის ჟაკეტს ყიდულობენ, ემინეს სხვა ადამიანებივით სტუმრად დადის და მას ფინჯან ყავას სთავაზობენ...“

ეს ისეთი დიდი ბედნიერებაა რომ...“

ექიმი შევქეთი ემინესავით უთვისტომოა. მან საკუთარ თავზე გამოსცადა საყვარელი ადამიანების დაკარგვის სიმწარე. ამიტომ მიხვდა ადვილად უპატრონო გოგონას ტკივილს და თანაუგრძნო.

სუათ დერვიში თავის ნაწარმოებთა სიუჟეტს უმეტეს შემთხვევაში თანამედროვე ცხოვრებიდან იღებს. იგი რეალისტურად გვიხატავს ხასიათებს. მისი გმირების განცდები არ არის მარტო ინდივიდუალური, არამედ ატარებს ტიპიურობის ნიშნებს.

„ემინე“ მხატვრული თვალსაზრისით ძალზე საინტერესოა. ნაწარმოების ფაბულა, სიუჟეტი, კომპოზიცია, გმირთა სახეები და მხატვრული გამოსახვის საშუალებები ნაწარმოების ძირითადი იდეის სრულყოფასა და მის ნათლად გადმოცემას ემსახურება. რომანში არ გვხვდება არც ერთი ზედმეტი ეპიზოდი. სუათ დერვიშის „ემინეს“ ახსიათებს ამბის მოკვეთილობა და იშვიათი დინამიურობა.

რომანი დაწერილია სადა, მარტივი ენით. მწერალი ვერცხვად ვაჭიანურებულ თბრობასა და გრძელ დიალოგებს.

სუათ დერვიში გმირთა დახასიათების ორგვარ ხერხს მიმართავს: იყენებს ავტორისეულ დახასიათებას (მწერალი თვითონ აღწერს გმირს), ან გმირის ხასიათს ხსნის სხვა პერსონაჟებთან ურთიერთობაში (ჯემილ შევქეთი, ბეჩირ ეფენდი).

რომანში უხვად გვხვდება მხატვრული ხერხები: ეპითეტები, შედარებები, მეტაფორები, ბუნების აღწერა.

ბუნების მხატვრული ასახვა წარმოადგენს მოქმედების ფონს. ბუნება ემსახურება გმირის განცდებს, მის სულიერ მოძრაობას.

ავტორი ქარიშხალს გმირის მღელვარე სულის დასახატავად იყენებს, წვიმას კი—ნალღიანი განწყობილების გადმოსაცემად.

სუათ დერვიშს უდიდესი დამსახურება მიუძღვის ახალი თურქული ლიტერატურის განვითარების საქმეში. მან სხვა პროგრესულ მწერლებთან ერთად ახალ საფეხურზე აიყვანა თურქული რეალიზმი. მისი მოთხრობები და რომანები ამშვენებენ XX საუკუნის 30-იანი წლების თურქულ პროზას.

თურქოლოგის კათედრა


ლიტერატურა

1. Радий Фиш, Писатели Турции—книги и судьбы, Москва, 1963.
2. Н. А. Айзенштейн, Из истории турецкого реализма, Москва, 1968.
3. Л. Алькаева, Сюжеты и герои в турецком романе, Москва, 1966.

4. Л. Алькаева, А. Бабаев, Турецкая литература, Москва, 1967.

5. Snat Derviş, Emine, Istanbul, 1931.

6. Р. Фиш, Суад Дервиш, Фосфорическая Джеврие, перевод с турецкого, Москва, 1957.



М. А. ЦИКЛАУРИ

РОМАН СУАД ДЕРВИШ «ЭМИНЕ»

Р е з ю м е

В работе дается опыт изучения романа турецкой писательницы Суад Дервиш, видной представительницы турецкого критического реализма.

Писательница в романе „Эмине“ показывает положение одинокой женщины в семье и обществе, а также положение детей, которых осиротила война.

Героиня произведения, маленькая Эмине, потерявшая в войну родителей и брата, оказалась за бортом общественной жизни.

Писательница осуждает бессердечность людей и несправедливость общества, выражая глубокую ненависть к господам, в руки которых попадает беззащитная Эмине. Господа эти эксплуатируют девушку беспощадно, не видя в ней человека.

В романе критически рассматриваются взаимоотношения между людьми разных социальных положений, выражается резкий протест против существующего строя.

В работе дается краткий идейно-тематический и художественный анализ романа.

М. ZIKLAURI

DER ROMAN „EMINE“ VON SSUATH DERWISCH

Zusammenfassung

In dem Beitrag ist der Roman „Emine“ der türkischen Schriftstellerin Ssuath Derwisch besprochen. Ssuath Derwisch ist eine bekannte Vertreterin des türkischen kritischen Realismus. In ihrem Roman ist das Leben einer einsamen Frau und der Kinder geschildert, die infolge des Krieges elternlos geworden sind. Interessant ist als Persönlichkeit der alte Arzt Dschemil Schewket. Die Hauptperson des Romans ist Emine, deren Eltern und Bruder Opfer des Krieges sind.

Ssuath Derwisch tadelt die ungeregelten gesellschaftlichen Verhältnisse und die Gleichgültigkeit der Menschen. Sie äußert ihren Haß gegen Emins Herren, die keine menschlichen Gefühle haben und das kleine verwaiste Mädchen schrecklich quälen.

Kritisch setzt sich die Schriftstellerin mit den Wechselbeziehungen der Menschen verschiedener sozialen Lage auseinander; die Ideenwelt, die Thematik und die knappe Analyse der künstlerischen Aspekte des Romans stellen auch den Gegenstand dieses Beitrags dar.

ქართული და სომხური ენების ბგერითი სისტემები *

(წინასწარი დასკვნები შეპირისპირებითი ანალიზისა)

ივანე შილაკაძე

ვისაც კი შემთხვევა ჰქონია ქართული და სომხური ენების ბგერითი შედგენილობა, თუნდაც ზერეულად, ერთმანეთისათვის შეედარებინა, უყოყმანოდ ასკენიდა, რომ ისინი ერთმანეთს ძალიან ჰგვანან. ყველაზე ადრე, ასე თუ ისე საფუძვლიანად, ამ მსგავსებაზე ჰუმბანმა მიუთითა [1], შემდეგ ნ. მარმა [2], ხოლო შემდეგ უკვე ყველასათვის სარწმუნოდ იქცა.

აღნიშნული ფაქტი მეცნიერთა თვალში უცნაურად გამოიყურებოდა, რადგან სომხური ინდო-ევროპული ოჯახის ენა და ბგერითი სისტემით იგი ძალიან შორსა დგას ამ ოჯახის ენებისაგან, ხოლო თითქმის იდენტურია სულ სხვა ჯგუფის ენასთან — ქართულთან. მაშასადამე, საკითხი ვერ დაისმოდა ამ ბგერათა სისტემების საერთო წარმოშობის შესახებ. თუ ასეა, რაღაც გავლენასთან უნდა გვეკონდეს საქმე. გავლენაზე ლაპარაკი კი არსებულ სიტუაციაში მაშინ გაბატონებულ ბურჟუაზიულ განწყობილებას აღიზიანებდა, რადგან იგი (გავლენა) სომხურზე ჩანდა მოზღვნილი. სომხურ კულტურაზე კი მაშინდელი გაბატონებული თვალსაზრისით, არ შეიძლებოდა რომელიმე მის მეზობელს რაიმე გავლენა მოეხდინა, რადგან ისტორიული ხანიდან მოკიდებულია წინა აზიის ძველი ცივილიზაციის დაღუპვის შემდეგ ამ მხარეში კულტურტრეგერებდა მხოლოდ სომხები მიაჩნდათ. ასე იცნობდნენ მაშინ სომხეთის მართლაც და მდიდარ კულტურას. ამ განწყობილებით შეკრიბა ჰრ. აჭარიანმა მაშინ ქართული და სომხური საზიარო სიტყვები და მათი შესწავლის საფუძველზე გამოაქვეყნა საკმაოდ სოლიდური ნაშრომი სათაურით — „სომხურიდან ქართულში ნასესხები სიტყვების ფონეტიკა“ [3].

ამ ნაშრომში ავტორის თქმით 900 სიტყვაა მოტანილი (ნამდვილად 600-ზე ცოტა მეტია), რომელიც სომხურსა და ქართულში იხმარება იდენტური ან ერთმანეთთან ახლოს მდგომი მნიშვნელობით, ან არა და აბსოლუტურად იდენტურად ბგერს (იწერება), ან კიდევ მიახლოებით ერთნაირად. ამ სიტყვათა უდიდესი ნაწილი უცხო წარმოშობისაა (უმეტესად სპარსული). ჰრ. აჭარიანი ვარაუდობს, რომ ისინი სპარსული წარმოშობის კია, მაგრამ ქართულში სომხურიდანაა ყველა მათგანი შესული. რაკი აჭარიანის მიერ გაანალიზებული სიტყვების დიდი უმეტესობა მართლაც საზიარო იყო ქართულისა და სომხურისათვის, ცხადია, შედეგი მაინც მართებული უნდა მიღებულიყო: ქართული და სომხური ენის ბგერები შესაბამისად ძირითადად ერთმანეთს ჰვარავენ, მაშასადამე, მათი ბგერითი სისტემები ძალიან ახლოს დგანან ერთმანეთთან. რატომღაც ამ დასკვნას არ აკეთებს ჰრ. აჭარიანი. საერთოდ არავითარ დასკვნას არ აკეთებს კმაყოფილდება მართო ფაქტის ჩვენებით: ესა და ეს ბგერა ამითა და ამით გადმოიცემო, მაგრამ ეს ფაქტი ძალიან ხმამაღლა ყვირის — ეს ბგერათა სისტემები ლამის აბსოლუტურად იდენტურნი

* დავიანებით მიღების გამო ვერ გამოვეყენეთ ქვემოთ ნაჩვენები ნაშრომი: О. С. Широкоев, Армяно-греческие этнографические контакты по данным сравнительно-исторической фонологии, жрн. *սպտմա-բանասիրական հանդես*, 1, 1977.

არიანო. შეეცადნენ აეხსნათ რით იყო გამოწვეული ასეთი სიახლოვე სხვადასხვა სისტემის ენების ბგერათა სისტემებისა. და აი, 1929 წელს პ. პედერსენმა იცვალა და, რომ ყოველგვარი გავლენის გარეშე, თვით სომხური ენის განვითარებამ შედეგად მივიღეთ ასეთი ბგერითი სისტემა ([4], გვ. 120).

1940 წ. თავის „სომხური ენის ისტორიაში“ ამ საკითხთან დაკავშირებით პრ. აჭარიანი წერდა: „იმის გამო, რომ ქალღმრთელი ენა უცნობია, არ შეგვიძლია ვთქვათ, თუ რა გავლენა მოახდინა მან ინდო-ევროპული სქესისა და ორობითი რიცხვის მოშლაზე, ბრუნვათა შენარჩუნებაზე, აშხარაბარის მრავლობითის ჩამოყალიბებასა და სხვადასხვა ნაწილაკის სესხებაზე. მაგრამ შეგვიძლია უფრო დაბეჭითებით ვთქვათ, რომ სომხურის ბგერითი სისტემის (ყრილქილი) გაფორმებაში განსაკუთრებით დავალებული ვართ ქალღმრთელისაგან: სომხური თანმთხვევების ხუთეულთა ჯგუფებს, რომელთაგან თითოეული სამი წევრისაგან შედგება (შ ა ყ და სხვ.) ზუსტად თავისი მსგავსი მოეპოვება კავკასიურ ენებში, კერძოდ, ქართულში, და როგორც ჩანს (ზაქარაიანი) ქალღმრთელშიც ასევეა. ინდოევროპული გრძელი ხმოვნების დაკარგვაც სომხურში, იქნებ (ქხრესა) აგრეთვე ქალღმრთელის გავლენის შედეგია. აღსანიშნავია, რომ ჩვენს მეზობელ ქართულს, ლაზურს და სხვა ენებსაც არა აქვთ გრძელი ხმოვნები“ ([5], II, გვ. 185 — 186).

ამ მსჯელობას იქვე დასძენს, რომ ყველაფერი ეს, ცხადია, ვარაუდი არის, მას არავითარი ფაქტური დასაბუთება არ მოეპოვებაო და საბოლოოდ პედერსენის მოსაზრებასთან მიდის: „შ ა ყ და სხვ ბგერებს შეიძლება შევხვდეთ ავღანურში, იტალიურში, გერმანულში, ინგლისურში, რუსულში და სხვა ენებში, რომლებიც ყველა ინდო-ევროპულია ყოველგვარი ყოყმანის გარეშე. მართო სომხურს არ ეპატიება ჰქონდეს სამეულებრივი სისტემა (დიალექტებში ოთხეულებრივიც კი) თუ ქალღმრთელის გავლენა არ ვივარაუდებთ?“ — კითხვობს ავტორი და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იმოწმებს პედერსენს. ასევე თითოეულად უარყოფს შემდეგ, რიცხვის, ბრუნვის თუ სხვა მოვლენებზე ქალღმრთელის გავლენას ([5], II, გვ. 187).

სხვა მკვლევარებიც სომხური ენის ბგერით სისტემას დამოუკიდებლად, მეზობელ ენებთან შეპირისპირების გარეშე განიხილავენ. სპეციალურად გრაბარის შესახებ დაწერილ მონოგრაფიებშიც კი აღარსადაა მოხსენიებული ქართულისა და სომხურის ბგერითი სისტემების ურთიერთმიმართება ([6]; [11]).

სომხური ბგერების ქართული შესატყვისების საკითხს ხშირად შეჰხებია ილ. აბულაძე, რადგან იგი სომხურიდან ქართულად თუ ქართულიდან სომხურად თარგმნილ ძეგლებს როცა აქვეყნებდა, თან ურთავდა ძეგლის ყოველმხრივი შესწავლის შედეგებს, მაგრამ რადგან ქართული და სომხური ენის ბგერები უმეტეს შემთხვევაში ერთმანეთს ეერთმანეთს. იგი მხოლოდ გადახვევებს გამოჰყოფდა. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი სადოქტორო ნაშრომი ([7], გვ. 83—85). უფრო დეტალურად სომხური და ქართული ბგერების მიმართებაზე მსჯელობს მზია ანდრონიკაშვილი თავის ცნობილ მონოგრაფიაში ([8], გვ. 159—175).

ყველა მკვლევარი საერთო ხმარების ზოგად სიტყვებში ხმარებულ ბგერებს უპირისპირებდა ერთმანეთს. მზია ანდრონიკაშვილი სპეციალურად განიხილავს საკუთარ სახელებსაც, მაგრამ რაკი ბგერათა მიმართებაში ახალს ვერაფერს პოულობს, ამ საკითხზე აქ საერთოდ აღარ ჩერდება. ასე რომ, ჯერ კიდევ არ არსებობს ნაშრომი, სადაც დეტალურად შეპირისპირებული იყოს ქართული და სომხური ბგერითი სისტემები. კვლევას ეს არ უშლიდა ხელს, რადგან ცალკეულ ბგერათა შესატყვისობანი საეჭვო არ იყო, ხოლო თუ სისტემის წევრები ცალკე-ცალკე ერთმანეთს ჰვარავენ, თვითონ სისტემებიც მსგავსი უნდა აღმოჩნდეს. ჩვენი აზრით,

სისტემათა შედარება მანც უფრო ნათელ წარმოდგენას მოგვცემს ამ ბგერათა-
მიმართებებზე, ვიდრე ცალკე, სისტემიდან ამოგლეჯილი ბგერებისა, ამიტომ შევე-
ცდებით ქართული და სომხური ბგერითი სისტემები შევეუბირისპირეთ
მანეთს.


ბგერათა შესადარებლად ჩვენ ავიღეთ არა მარტო ის შემთხვევები, სადაც
გადახვევები გვაქვს, არამედ — დამთხვევებიც, თანაც ყველა პოზიციაში. საზიარო
სიტყვებიც უხვად გვაქვს. ამ სიტყვათა უდიდესი ნაწილი სპარსულიდან ნასესხებია
ორივე ენაში. მაგრამ რადგან ორივე ენაში ერთნაირი ბგერადობა აქვს, ძნელი
სათქმელია ქართულმა სომხურის გზით მიიღო იგი თუ უშუალოდ, როგორც მარ-
თებულად აღნიშნავს მ. ანდრონიკაშვილი ([8]. გვ. 168), ბგერათა სისტემების
იდენტურობის გამო რომელი გზითაც არ უნდა იყოს ამგვარი სიტყვა მიღებული,
სულერთია. ასე უნდა გაფორმებულიყო ორივეგან. ამას კარგად ასაბუთებს საკუ-
თარი სახელები, რომლებიც წმინდა წიგნებში იხმარება. ჩვენ საკმარისად მივიჩ-
ნით მარტო მათეს სახარებიდან ამოღებული საკუთარი სახელების შედარებითაც
დავკმაყოფილებულიყავით, რასაც დაუშმატეთ არასაყოყმანოდ მიჩნეული საერთო
ხმარების ის სიტყვები, რომლებიც პრ. აჭარაინის მიხედვით ან სომხურიდან ქარ-
თულში შესულა ან პირიქით — ქართულიდან სომხურში.

ათეულობით მაგალითი დაგროვდა თითოეული ბგერის ამა თუ იმ პოზიცია-
ში შესატყვისობის შესახებ. გადახვევები კი ერთეულებია და ხშირად ხერხდება
ამ გადახვევის ახსნა. როცა ეს ვერ ხერხდება, საინტერესო ძიების ასპარეზი იშ-
ლება — რამ გამოიწვია გადახვევა? წყარომ, საიდანაც მოდის სიტყვა, სომხურის თუ
ქართულის ბუნება?

სიმოკლისათვის ჩვენს მასალებს მთლიანად აღარ მოვიტანთ, რადგან საყო-
ველთაოდ გაზიარებულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ ქართული და სომხური
ენების ბგერები ძირითადად ემთხვევა ერთმანეთს. დავკმაყოფილებით გადახვევე-
ბის ჩვენებით. საამისოდ გამოვიყენებ მზია ანდრონიკაშვილის შედეგებს (რომელ-
საც თავის მხრივ ილ. აბულაძის ჩვენებანი მთლიანად აქვს გამოყენებული) და
დავუმატებთ ჩვენი მასალებით ნაჩვენებ გადახვევებს. შესატყვისობათა უფრო სრუ-
ლი სურათის წარმოდგენა მოხერხდება იმის შემდეგ, როცა შედარებით ამომწუ-
რავად შეიკრიბება ქართულ-სომხური შემხვედრი ლექსიკური ერთეულები.

სანამ გამონაკლისებზე ვილაპარაკებდეთ, გავითვალისწინოთ მთლიანად ორივე
ენის ბგერითი სისტემა თავისი ქვესისტემებით. ჯერ გავეცნოთ ანბანს.

ანბანის მიხედვითაც ჩანს, რომ ბგერათა შესატყვისობა დარღვეულია რამ-
დენიმე შემთხვევაში. ქართულში არა გვაქვს შემდეგი ასოები: *ა* (რიგით-20), *ე*
(40); სომხურში არა გვაქვს: *ყ* (28), *წ* (36), *ჭ* (39). დარღვევანი გრაფიკულად
რომ ჩანს, რეალურად იმდენი არ არის, მაგ., *ა* (მაგარი *რ*) ძველ სომხურშიც
გვქონდა, ახალშიცაა, მაგრამ ამჟამად, განსაკუთრებით დიალექტებში, იგი უიარა-
ლო სმენით ყოველთვის არც კი განსხვავდება *ე* ბგერისაგან. საფიქრებელია:
ძველად იგი უფრო დატვირთული იყო განმასხვავებელი ნიშნებით. ასევე მოჩვენ-
ებითაა განსხვავება *ო*-სა (41) და *ო*-ს (16) შორის. *ო* ძველ სომხურში არცა
გვქონდა, იგი *აა* დიფთონგისაგან განვითარდა დახურულ მარცვალში და რო-
გორც ბგერა არაფრით არ განსხვავდება იმ *ა*-საგან, რომელიც სიტყვის თავში
არა ზის. დარჩა ერთად-ერთი *ე* და ესეც როგორც ფონემა ძველ სომხურში მე-
ტისმეტად შეზღუდულია: თითქმის მხოლოდ ორ თანდებულს განასხვავებს სხვა
საობოზიციო ერთეულისაგან (ვთქვათ *აააე* „მუნ, იქ“ და *ეეეე* თანდებული, რომე-
ლიც სხვადასხვა ბრუნვას მართავს და სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს; ასევე *აააა*
„აქ“ და *ეეეე* თანდებ.). სხვა დროსაც ხშირად გამოიყენებოდა *ე*, როგორც ჩანს,



რიგ. №№	ქართული	სომხური		რიგ. №№	ქართული	სომხური	
		მთავრული	ნუსხური			მთავრული	ნუსხური
1.	ა	1 Ա	ա	22.	ժ	31 Տ	տ
2.	ბ	2 Բ	բ	23.	չ	34 Ի	լ
3.	გ	3 Գ	գ	24.	უ	Ու	ու
4.	დ	4 Դ	դ	25.	ფ	35 Փ	փ
5.	ე	5 Ե	ե	26.	ქ	36 Ք	ք
6.	ვ	30 Վ	վ	27.	ღ	18 Դ	ղ
7.	ზ	6 Զ	զ	28.	ყ	—	—
8.	ც	7 Է	է	29.	შ	23 Շ	շ
9.	თ	9 Թ	թ	30.	ჩ	25 Զ	չ
10.	ი	11 Ի	ի	31.	ც	33 Յ	ყ
11.	კ	15 Կ	կ	32.	ძ	17 Զ	ձ
12.	ლ	12 Լ	լ	33.	წ	14 Ծ	ծ
13.	მ	20 Մ	մ	34.	ჭ	19 Զ	ճ
14.	ნ	22 Ն	ն	35.	ხ	13 Խ	խ
15.	ძ	21 Ծ	ժ	36.	ղ	—	—
16.	ც	24 Ծ	„	37.	ყ	27 Զ	զ
17.	ვ	26 Կ	ყ	38.	ჰ	16 Զ	հ
18.	გ	10 Ծ	„	39.	„	—	—
19.	დ	32 Ը	„	40.	„	8 Ը	„
20.	—(რ)	28 Թ	„	41.	—	37 Ծ	„
21.	ს	29 Կ	„	42.	—	38 Զ	„

*) სომხური ასოების წინ დაწერილი ციფრები მიუთითებს ამ ასოს ადგილს სომხური ანბანის რიგში, რადგან ანბანის რიგი სომხურისა და ქართულისა არ ემთხვევა ერთმანეთს.

მაგრამ როგორც თანხმოვანთგასაყარი. ახალ სომხურში ეს ბგერა კიდევ უფრო დატვირთულია: იგი მსაზღვრელ ნაწევრად გამოიყენება. ქართულში ეს ბგერა არა გვაქვს. მას გამოვთქვამთ სხვადასხვა შემთხვევაში ქართულშიც (თუნდაც მაშინ, როცა ცალკე გამოთქმული თანხმოვანი გვინდა შორს გავაგონოთ), მაგრამ ფონოლოგიური ღირებულებისა იგი არაა. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ენობრივი სამყაროსათვის ეს ბგერა უცნობი არაა: იგი აქვს მეგრულს, ხოლო სვანურს კი ორი სახისაც — გრძელი და ჩვეულებრივი. ნიშანი ამ ბგერისათვის ქართულში ანტონ კათალიკოსმა შემოიღო (ჩანს, სომხურის გავლენით), მაგრამ მისი და მისი სკოლის რწიგნობართა ნაწერებს გარდა არსად გამოყენებულა.

რაც შეეხება ქართულში არსებულ იმ ბგერებს, რომლებიც სომხურში არაა, ნაწილობრივ უფრო მყარია ქართულის ბგერით სისტემაში მათი ადგილი, ვიდრე ზემო განხილული სომხური ბგერებისა სომხურისაში. აქ მხედველობაში მაქვს

ყ — ჯ, რომლებიც სამეულებს ნაკლული წევრია — მქლერი აკლია. როგორც ვარაუდობენ, ეს მქლერი წევრი ამ სამეულსაც უნდა ჰქონოდა (19], გვ. 86). სომხურში 0 სულ ახალმიღებული ბგერაა და ახლა როგორც ბგერას არავითარი კიდებული ღირებულება არა აქვს, გრაფიკაში ტრადიციითაა შემორჩენილი (თუმცა უმჯობესია მისი დატოვება და „-ს ამოღება, ჩვენ სწორედ ასე გვაკეთებთ, როცა ეს დაგვჭირდება). რაც შეეხება ქართულის მ-ს, რომლის შესატყვისი აგრეთვე არ ჩანს სომხურში, უნდა ითქვას, რომ ის არც ქართულშია მყარი ფონემა. ა. შანიძე ამ ბგერის შესახებ წერს: „მ... იყო თ, მაგრამ უნისაკენ გადახრილი. თითქმის ისე გამოითქმოდა, როგორც ოჟ, ოვ. იგი გვხვდებოდა ბერძნული წარმოშობის სიტყვებში ევრეთწოდებული ომეგის გადმოსაცემად... ქართულ სიტყვებში იგი არ გვხვდება, ოღონდ შეიძლება წოდებითში დასმულ სიტყვას მიუძღოდეს, მაგ.: მ უხრწნელო“. ([10], გვ. 272).

ფ და ჟ აგრეთვე ზუსტად შეესატყვისება ერთმანეთს ქართულსა და სომხურში, მაგრამ არც ერთი ამ ენისათვის დამახასიათებელი არაა ეს ბგერა: არც ერთი ქართული თუ სომხური სიტყვა არ არსებობს ამ ბგერით; იგი შემოიღეს სომხურში XII ს-დან, ხოლო ქართულში XVIII-დან უცხო სიტყვების ზუსტად გადმოსაღებად. ქართულმა დამწერლობამ ჩამოიშორა იგი კარგა ხანია, სომხურმა კი შეინარჩუნა, მაგრამ კვლავ უცხოური სიტყვების გადმოსაცემად.

ესაა ძირითადი განსხვავება ამ ორი ენის ანბანის მიხედვით ბგერათშესატყვისობაში. სხვა განსხვავებანი ბგერათა სისტემების შეპირისპირებისას უფრო ნათლად გამოჩნდება. აქ ჩვენ ქართულის რიგზე გაწყობილი ანბანი შევუპირისპირეთ ერთმანეთს და არა ბგერათა სისტემები.

ქართულისა და სომხურის თანხმოვანთა სისტემები

როგორც ცნობილია, ენის ყველა კომპონენტი სისტემებად ლაგდება. არის ბგერათა, ბრუნვათა, უღლებათა და სხვ. სისტემები. ბგერათა სისტემაშიც სისტემები შეიძლება გამოვყოთ — თანხმოვანთა და ხმოვანთა, ხშულთა და ნაპარალოვანთა და სხვა. ჯერ შევჩერდეთ თანხმოვანთა სისტემებზე.

თანხმოვანთა შორის ქართულში ყველაზე დიდი ჯგუფი გამოიყოფა ხშულებისა. იგი წარმოდგენილია როგორც სამეულების სისტემა: გვაქვს ხუთი სრული და ერთი დეფექტური სამეული. თითოეულ სამეულში შედის ერთ ადგილას წარმოებული სხვადასხვა რომელობის ბგერა: მქლერი, მკვეთრი, ფშვინვიერი. სამეულების ზუსტად ასეთივე სისტემა გვაქვს სომხურშიც. გარდა VI დეფექტური სამეულისა, ყველა გვაქვს სომხურშიც. აი, ეს სისტემა ხშულებისა:

- 1. ბ **բ** ხ **ք** ყ **ղ** ფ **փ** ք
- 2. დ **դ** ძ **ճ** თ **թ** თ **Թ** ტ
- 3. ძ **ձ** ջ **ճ** ծ **ց** ց **ց** ց
- 4. ჯ **ջ** ჳ **ჭ** ճ **ճ** ჩ **չ** շ
- 5. გ **գ** ց **կ** **կ** **ქ** **ք** **კ**
- 6. — ყ — գ յ — գ

ქართული და სომხური საზიარო სიტყვები, რომელშიაც აფრიკატებია (ძ, წ, ც; ჯ, ჳ, ჩ) გამოყენებული, შედარებით ცოტაა, მაგრამ საერთო შთაბეჭდილება დანარჩენი სამეულების მიხედვითაც შეიძლება მივიღოთ. როგორც ვთქვით, სწორედ ამ საერთო შთაბეჭდილებას ეყრდნობიან მკვლევარები, როდესაც ქართულ და სომხურ ენათა ბგერების იდენტურობაზე ლაპარაკობენ. გადახვევებიც გვაქვს,

შაგრამ ზოგჯერ ძნელი გასარკვევია — რითია ეს გამოწვეული: შესატყვისობათა დარღვევით, სხვადასხვა ეპოქაში და სხვადასხვა ენიდან გადმოღებით თუ სხვა-რამეით. — ყოველ შემთხვევაში გადახვევები გვაქვს, მაგ.:

- ბ—ყ: დიდებული > *ღეტყილი* ([5, II], გვ. 222); ტბელი > *ღყელ* ([5, II], გვ. 222); მწიგნობარი > *ბქნსაღყარ* ([5, II], გვ. 222); აბრეშუმი — *აყრქ-ლი* ([3], გვ. 369, I); კომბალი — *ლიაღ* ([3], გვ. 368, II)*.
- ბ—ჩ: იოსებ — *მიხეჩი (მიქსეჩი)* ([17], მ. 1, 16)
- ბ—ღ: კაკაბი — *ღაღაღი (ღაღაღი)* ([3], გვ. 312, I); აბაზანა (II ავაზანი) *აღაღანი* ([3], გვ. 312, I).
- გ—ღ: მწიგნობარი > *ბქნსაღყარ* ([5, II] გვ. 222); ტარიგი — *თარღი* ([3], გვ. 367, II); ანდერძნაბი — *ანდერძნაბაღი* ([3], გვ. 367, II); გუნდ-რუკი — *ღუნდრუკი* ([3], გვ. 314, I); გოჭი > *ღოჭანი* ([5, I], გვ. 213); ნიგო-ზი — *ღნიგოზი* ([3], გვ. 367, II); ოსტიგანი — *ღოსტიგანი* ([3], გვ. 314, II); კალატოზი (|| ღალატოზი) — *ღალატოზი* ([3], გვ. 366, II);
- ღ—თ: ჭყონდიდელი > *ღყონდიდელი* ([5], გვ. 223);
- ძ—ბ: წინამძღვარი > *ბქნსამბღვი* ([5, II], გვ. 222); ძუძუ — *ბქბ* (|| ბიბ, აჭარ.) ([3], გვ. 366, I); [წუწ-ნ-ა]
- ძ—გ: ტაძარი > *თაგარი* ([3], გვ. 366, I).
- ჭ—ძ: ჭანჭი > *ძანძი* ([5, I], გვ. 213)
- ჭ—ღ: ჯოჯოხეთი (აჭარ. < ღოჯოხეთი) — *ღიხი* ([3], გვ. 366, II)
- პ—მ: ამპარტავანი > *ამპართაღანი* ([3], გვ. 366, II)
- პ—ჩ: კაპერნაუმი — *ღაქარნაუმი* ([17], მ. 4, 13)
- ტ—ღ: კეტი > *ღეტი* ([5, II] გვ. 222); ჭაქუნტელი — *ღასუნღელი* ([3], გვ. 312, II); ტბელი > *ღყელ* ([5, II], გვ. 222)
- კ—ღ: შიკრიკი > *ღეტი* ([5, II], გვ. 223); კაკაბი — *ღაღაღი (ღაღაღი)* ([3], გვ. 312, I); დიმაქსენი — *ღიმაქსენი* [8], გვ. 167 — 67)
- კ—თ: დანა (აჭარ. დანაკი) — *ღანაღი* ([3], გვ. 366, II); ვარია *ღარიღი (ღარიღი)* ([3], გვ. 369, II)
- ფ—ყ: ოფოფი — *ღოფოფი (ღოფოფი)* ([3], გვ. 369, II)
- თ—თ: თხილი — *თხიღი* ([5, II], გვ. 223); თრდატ — *ღრდათ* ([8], გვ. 167)
- ქ—ღ: ჭბაქი > *ღიბაღი* ([3], გვ. 313, II).

ეს არის სულ ის გადახვევები, რომელიც გვხვდება ჩვენს მასალებში. აქ აღარ შემოვიტანია X — XI სს-ში წიგნური გზით შემოტანილი რამდენიმე სიტყვა, რომელიც ილ. აბულაძეს ამოუღია აღნიშნული ეპოქის თარგმანებიდან. ისინი შემთხვევითი სიტყვები ჩანან, რომლებიც უხმარიათ მთარგმნელებს თუ გადამწერთ და მხოლოდ მოცემულ ძეგლებს შემორჩენიათ. ასეთი შემთხვევითი სიტყვები სხვაგანაც მოიპოვება, ცხადია, და მათი ერთიანად გათვალისწინება გარკვეული დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას მოგვცემს, მაგრამ ეს შესაძლებელი ვახდებთ იმის შედეგ, რაც მოხერხდება ყოველი საზიარო სიტყვის, სისტემატურად თუ შემთხვევით ნახმარი სიტყვის, აღნუსხვა. ამჯერად ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ იმ სიტყვებზე, რომლებიც ასე თუ ისე სისტემატურად გვხვდება ორივე ენაში.

ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ თითქმის არავითარ გადახვევას არ გვიჩვენებს ხმულების გამოყენებისას ის საკუთარი სახელები, რომლებიც ოთხთავიდან გვაქვს ამოღებული. ჩვენს მასალებში ასეთი ორად ორი შემთხვევა აღმოჩნდა: ერთი

* [3]-ის შემდეგ არაბული ციფრებით ნაჩვენებია გვერდი, რომაულით სვეტი.

ბ—ჟ-სი (იოსებ — *Յոսէփ*) და მეორე პ—ჟ-სი (კაპერნაუმ — *Կափարնաում*) და ისიც შესამოწმებელია ყველა ხელნაწერში ასეა თუ არა.

ვიმეორებთ: ამ თვალწინსაცემი მსგავსების გამო, ქართული და სომხური ხელნაწერების ბგერათა შეპირისპირებისას, ყველა ავტორი აღნიშნავდა ფაქტს: „ქართულსა და სომხურს თითქმის იდენტური ფონეტიკური სისტემა აქვთ“ ([9] გვ. 16). ეს მსგავსება ისეთია, რომ სწორედ რომ — **თითქმის იდენტურობაზე** შეიძლება ლაპარაკი. ამიტომ ჩვენ უმართებულოდ გვეჩვენება, როდესაც ქართული და სომხური ენების ამ რიგის ბგერებისათვის სხვადასხვაგვარ ტრანსკრიპციას ხმარობენ: ქართულისთვის აბრუპტივებს აღნიშნავენ დიაკრიტიკული ნიშნებით (p პ, t ტ, k კ, c წ, g გ, v ვ), ხოლო სომხურისთვის ფონეტიკურებს (p' *ჟ*, t' *შ*, k' *ქ*, c *ყ*, g *ღ*) ([11], გვ. 16).

წყვილეულები

თანხმოვანთა მეორე ჯგუფს ქმნის წყვილეულების სისტემა. ქართულში იგი ასეთია:


ზ z	ს s
ჯ ž	შ š
ღ γ	ხ x
ვ v	ფ f

სომხურში (საშუალსა და ახალში) წყვილეულების ზუსტად ასეთივე სისტემა გვაქვს. ძველში კი სისტემას მთლიანად უცვლის სახეს ის, რომ *ღ γ* ძველ სომხურში არ იყო ახალი სომხურის *ღ γ*, რომელიც ზუსტად ისეთივეა, როგორც ქართულის ღ γ. ძველ სომხურში იგი აკუსტიკურად *ღ* *ღ*-ს შთაბეჭდილებას ტოვებდა, რაც ძველი სომხურის *ღ γ*-ს სხვა ენებზე *ღ*-თი გადმოცემითა და სხვა ენების *ღ*-ს ძველ სომხურზე *ღ γ*-თი გადმოცემით დასტურდება (*ჟიღ* — პილო — პართ. *pil*, ტფილისი *Tpilis* — *Տիփլիս* *Трпilis*); წარმოების ადგილის მიხედვით კი უკანაენისმიერი უნდა ყოფილიყო, რადგან მისგან შემდეგ უკანაენისმიერი *ღ γ* მივიღეთ. ამის გამო *ღ γ* ძველ სომხურში ცალეულების სისტემაში მოექცეოდა. ამის გამოვე *խ x*-ც ცალეულებში თავსდებოდა. ერთი შეხედვით — ძველი სომხურის *ღ γ* და *ღ* *ღ*, აგრეთვე, *ქ x* და *ქ x* წყვილეულებში უნდა მოთავსდეს, რადგან ერთმანეთის პარალელური ბგერები ჩანან, მაგრამ ეს მათი ოპოზიცია მჟღერობა — ყრუობას არ ეფუძნება, ყველა მათგანი მჟღერია. მაშასადამე, ქართულის მსგავსი წყვილეულების სისტემა ძველ სომხურში არა გვაქვს: ძველ სომხურს აკლია ერთი წყვილი (*ღ γ* — *ხ x*), მაგრამ ახალ სომხურში ესეცაა. რაც შეეხება უკანასკნელ წყვილეულს ქართულისას (*ვ v* — *ფ f*), არსებითად რომ ვთქვათ, აქ ცალეული გვაქვს ქართულშიც და სომხურშიც, რადგანაც *ჭ f* არც ქართულისათვის და არც სომხურისათვის დამახასიათებელი ბგერა არაა. ამრიგად, *ვ v* ქართულშიც და სომხურშიც ჯობს ცალეულების სისტემის წევრად მივიჩნიოთ საერთოდ, ხოლო ძველი სომხურისა და ძველი ქართულის დონეზე ეს აუცილებელია.

ამ ანალიზისას ერთი გარემოება იქცევა ყურადღებას: წყვილეულების სისტემა სომხურისა განვითარების პროცესში ქართულს დაუახლოვდა: ცალეულებიდან ორი ბგერა წყვილეულებში გადმოვიდა და ზუსტად ისეთივე წყვილეული შექმნა, როგორც ქართულს ჰქონდა. მაგრამ შეიძლება ესეც შემთხვევითად მივიჩნიოთ.

რაკი სამეულებისა და წყვილეულების სისტემების სურათი წარმოვიდგინეთ, ცალეულების სისტემაში დაგვჩნა ის თანხმოვნები, რომლებიც არც წყვილეულებში

შევიდა და არც სამეულებში. ტაბულაზე კარგად გამოჩნდება, რომ ქართული და სომხური ერთმანეთისაგან ცალეულებით განსხვავდება ყველაზე მეტად.



შევაჯამოთ:

წყვილები:

ზ *z* — ს *s*
 ქ *ch* — შ *sh*
 ლ *l* — ხ *x* (ახ.სომხ.)

ცალეულები:

მ *m*
 ნ *n*
 ლ *l*
 რ *r*
 — *r'*
 — *z* *z* (ძველ სომხ-ში)
 ვ *v*
 — *ch* *ch* (ძველ სომხ-ში)
 'ფ' *f*
 [*g* *j*] (ძვ. ქართული და ძვ. სომხ.)
 [*h* *w*]

როგორც აშკარად ჩანს, განსხვავება ქართულისა და სომხურის თანხმოდანთა სისტემებს შორის მინიმალურია, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ისინი სხვადასხვა სისტემის ენები არიან, მაგრამ ჩვენ აქ მხედველობაში გვაქვს უწინარეს ყოვლისა სამწერლო ენები, ისიც დასავლური სომხური სალიტერატურო ენის გამოკლებით.

ამ გამონაკლისის გაკეთებას გარკვეული გამართლება აქვს: ძველი და ახალი აღმოსავლური სალიტერატურო ენები, ეტყობა, ერთმანეთს თითქმის „სწორხაზობრივად“ აგრძელებენ, რადგან ასე ახლო დგანან ერთმანეთთან. დიალექტებში კი დიდი და სხვადასხვაგვარი ცვლილებები მოხდა განსაკუთრებით საშუალო სომხურიდან მოკიდებული; ხშირთა გადაწევის მოვლენამ ნაირნაირად შეცვალა დიალექტების და დიალექტთა ჯგუფების ბგერითი სისტემები. ყველა ამ თავისებურების აქ გათვალისწინება ვერ მოხერხდება. ზოგი რამე კი უფრო ნათელი გახდება შესაპირისპირებელ ენათა ვოკალური სისტემების გათვალისწინების შემდეგ.

ქართული და სომხური ენების ვოკალური სისტემები

მსგავსება ქართული და სომხური ენების ვოკალურ სისტემებს შორის აგრეთვე თვალსაჩინოა, მაგრამ მეტად საგრძნობია განსხვავებაც, მით უფრო როცა არა წერილობითი გამოხატულებით მიღებულ, არამედ აკუსტიკურ შთაბეჭდილებასაც მოვიშველიებთ. აკუსტიკური შთაბეჭდილებანი, ცხადია, აისახება მწერლობაში და ამას ვეყრდნობით კიდევ, როდესაც მკვდარი ენების ბგერებს ვაპირისპირებთ, მაგრამ ჩვენ ძალიანაც რომ მოგვენდომებინა, გვერდს ვერ ავუვლიდით იმ უშუალო შთაბეჭდილებას, რასაც ვღებულობთ ურთიერთშესაბამისი ქართული და სომხური ბგერების წარმოთქმისას ცოცხალ მეტყველებაში. აქაც, ცხადია, ამას გავითვალისწინებთ და, რადგან მნიშვნელოვნად მიგვაჩნია სომხური ენის ხმოვნების თანამედროვე წარმოთქმაში არსებული განსხვავება ქართულისაგან, ქვემოთ ამაზედაც შევიჩერდებით, რამაც, შესაძლებელია, ზოგი რამ გასაგები გახადოს სომხური ენის დიალექტებში ბგერითი სისტემის ნაირნაირად შეცვლის ბუნდოვანი საკითხიდანაც.

ქართული წარმოთქმისათვის, როგორც ცნობილია, დამახასიათებელია საერთოდ დაკვიმულობა საწარმოთქმო ორგანოთა, რაც განსაზღვრავს მისი ბგერების

მკაფიოობას და მდგრადობასაც ([9], გვ. 68-69. [10], გვ. 28), სომხურს კი, პირი-
ქით, ახასიათებს ბგერათა მოღწეხეული წარმოთქმა. ([6], გვ. 154), რაც განსხვავ-
ღვრავს ამ ენის ბგერათა ცვალებადობას ისტორიულად და დიალექტებში.

ვოკალური სისტემა ქართული ენისა ეყრდნობა თავისი წარმოთქმის თავისე-
ბურებას. იგი (ეს სისტემა) ყალიბდება სათანადო მდგომარეობაში (დაკვიშულ)
მყოფ საწარმოთქმო ორგანოებით, რეზონატორის გაფართოება-დავიწროების სა-
ფუძველზე. თუ ამ დავიწროება-გაფართოებაში ენა არ მონაწილეობს, ვლებულობთ
ა-ო-უ-ს, ხოლო თუ ამ პროცესში ენაც შედარებით აქტიურია, ვლებულობთ
ა-ე-ი-ს. ეს ასეა სომხურშიც, მაგრამ იქ ემატება ერთი ხმოვანი (μ III), რომელიც
ისე იწარმოება, რომ სახმო სიმებს გარდა ყველა საწარმოთქმო ორგანო ინდიფე-
რენტულ მდგომარეობაშია, ოღონდ რეზონატორია ღია. ეს უკანასკნელი ბგერა,
როგორც ფონემა, ქართულისათვის უცხოა.

ქართულისათვის უცხოა აგრეთვე დიფთონგები, მაგრამ ძველ ქართულში რაკი
მოიპოვებოდა ნახევარხმოვანები, აღმავალი დიფთონგების წარმოებაც ხერხდებოდა
და დაღმავლისაც. განსხვავება მაინც დიდი იყო: ქართულში ეს დიფთონგები
პოზიციურად მიიღებოდა: აკ შედეგი იყო ი-ს დასუსტებისა ხმოვნის მეზობლობა-
ში (იორდანია — ა ორდანია — უორდანია, იაკობ — ააკობ, მამა < მამაი), ხოლო
ჟ შედეგი იყო უ-ს დასუსტებისა, რაც შეიძლება არც განხორციელებულიყო წარ-
მოთქმაში, როგორც დღესაცაა: „თვალი“ საუბარში შეიძლება ვინმემ გამოთქვას
ერთ შემთხვევაში ისე, როგორც სწერია, ხოლო ზოგმა გამოთქვას „თვალი“
([10], გვ. 17-18) ([9], გვ. 103). ოღონდ ერთია: ქართულში უმარცვლო უ დამო-
უკიდებლადაც გამოიყენებოდა (სიკუდილი, ჩუენ...), სომხურში კი ამის ბადალი
ბგერა მხოლოდ ხმოვანთან ერთად ჰქმნდა დიფთონგს, მაგრამ რადგან უმარცვლო
უ-ს გამოხატვა ქართულშიც შეეძლო უ-ს და სომხურშიც მხოლოდ ამას გამოხა-
ტავდა, ისინი ადექვატური ბგერითი ერთეულებია და ქართულშიც თავისუფლად
შეეძლო იგივე როლი შეესრულებინა, რასაც სომხურში ასრულებდა.

საკულისხმაოა ის ფაქტიც, რომ ზოგიერთი სხვა ხმოვნის შეერთება-შერწყმაც
ერთნაირად ხერხდებოდა ორივე ენაში. მაგ., სომხურში h და sh შერწყმით hs
დიფთონგს გვაძლევდა. იმავე ხმოვნებს ქართულშიც მსგავსი შედეგი შეეძლო მოე-
ცა, ასე: იამა < ეამა-საგანა მიღებული, ხოლო ია რომ აა-დ იქცეოდა, ზემოთ
იყო ნაჩვენები.

ამრიგად, ქართულში შეიძლებოდა უმტკივნეულოდ და ზუსტად გადმოცე-
მულიყო ძველი სომხური ენის დიფთონგები, თუმცა დიფთონგთა სომხურისებური
სისტემა არ ჰქონდა ქართულს. განსხვავება იმაშიც იყო, რომ სომხურს ტრიფ-
თონგებიც ჰქონდა (hsj , $hsst$), რაც ქართულში არ გვხვდება საერთოდ, თუმცა
სომხურის ტრიფთონგთა ელემენტები ქართულსაც მოეპოვებოდა და საჭიროების
შემთხვევაში მისი ზუსტად გადმოცემაც შეეძლო.

ამრიგად, ერთადერთი μ რჩება, რომლის გადმოცემა ქართულს არ შეეძლო
და არც ახლა შეუძლია.

და მაინც თვალში საცემი განსხვავება იყო ის, რომ სომხურში იკუმშებოდა
სწორედ ის ხმოვნები, რომელთა კუმშვა ქართულს არც შეეძლო და არც შეუძლია
(ი და უ). საერთოდ სომხურში რედუქცია მახვილთან იყო დაკავშირებული და
სწორედ ეს მახვილი უნდა ჰქონოდათ განსხვავებული ქართულსა და სომხურს.
მახვილი განლაგთ ის ღერძი, რომელიც აღუღაბებს ძველი სომხური ენის ვოკა-
ლურ სისტემას. როცა ამ სისტემას დავაკვირდებით, შთაბეჭდილება რჩება, თით-
ქოს ამ მახვილის გარეშე ვერც კი მოხერხდებოდა ასე მტკიცე სისტემად ჩამოყა-

ლიბებულიყო მდიდარი ვოკალიზში ძველი სომხურისა. აი, როგორ წარმოგვიდგება ეს სისტემა.

ძველი სომხურის
ვოკალური სისტემა

ქართულის ვოკალური სისტემა

ტრიფთონგი: IV ხაჟ ხაღ

დიფთონგი: III აჟ, (ჟ) ლ, იჟ, აღ, ლ, ლ, ხა

მონოფთონგი: II ა, ხ, ჯ, ი, იღ

სუსტი ხმოვანი: I ე

ა ე ი ო უ

(ა, ზ)

ეს არის ძველი სომხურის ვოკალური სისტემა. ამ სისტემაში არ შედის, რასაკვირველია, პოზიციურად მიღებული დიფთონგები და ტრიფთონგები (იღა, იღხ, იღი, იღჟ, იღაჟ, იღაღ, იღიჟ). ეს სისტემა, თუ დავაკვირდებით, გრაფიკულადაც კი ერთგვარ საფეხურებად წარმოგვიდგება: სულ ქვედა საფეხურზე ინდიფერენტული ხმოვანი (ე) დგას, რომელზედაც „რალაცათი მეტია“ მეორე საფეხურზე მდგომი თითოეული ვოკალი. ეს „რალაცა“ ამ შემთხვევაში მახვილია, რომელიც არასოდეს არ მოდის —ე-ზე, წინააღმდეგ ყველა დანარჩენი ვოკალისა; II საფეხურზე მდგომი ლიტონი ხმოვნები კი „რალაცათი“ ჩამორჩებიან მის ზემოთა საფეხურზე მდგომ ვოკალებს — დიფთონგებს. ეს „რალაცა“ უკვე ნახევარხმოვანია. ასევე III საფეხურზე მდგომი დიფთონგებიც ერთი ნახევარხმოვანით ნაკლებია ტრიფთონგებზე. რედუქცია სომხურში ნიშნავს ამ სისტემაში ერთი საფეხურით დაბლა ჩამონაცვლებას, ხოლო გაშლა მის საპირისპირო მოვლენას—ერთი საფეხურით ზემოთ ასვლას. შეკუმშვისას არ შეიძლება ტრიფთონგი პირდაპირ მონოფთონგად ან ინდიფერენტულ ხმოვანად იქცეს და პირიქით.

ამას გარდა, შეკუმშვა ყველა ვოკალურ ოდენობას არ ახასიათებს. ტრიფთონგთაგან მარტო ხაჟ იკუმშება, დიფთონგთაგან ლ, იჟ და ხა, ხოლო ხმოვანთაგან ჯ და იღ; შეკუმშვისას კი ტრიფთონგი თუ დიფთონგი მხოლოდ ერთ გარკვეულ ოდენობად იქცევა, არ შეიძლება კუმშვადი დიფთონგი ნებისმიერ მონოფთონგად იქცეს, ან ტრიფთონგი ნებისმიერ დიფთონგად, არამედ მხოლოდ ასე (როგორც ტაბულაზეა ნაჩვენები)::

ხაჟ > ლ: ზრხაჟ ნათ. > ზრლ

ლ > ჯ: ლღ ნათ. > ჯღიჟ, ყარათღ ნათეს. ყარათიჟ, ბქშ > ბქშჯნი *

იჟ > იღ: ჟიჟ ნათ. > ჟიღი, ზამრიჟ > ზამრიღ...

ხა > ხ: ღრხაღ ნათ. ღრხიჟ, მათხან ნათ. > მათხნი...

ქ > ე: კხნი ნათ. კნიღ (კნიღ), ხრქრ > ხრქრ (ხრქრქრ), თქქნი ნათ.

თქქნიღ

იღ > ე: ჟიღ ნათ. ჟრქ // ჟრიჟ (ღრქ // ჟრქ), მიღნი > მიღანი (მრქანი),

ჭიღიღიღი > ჭიღიღიღანი (ჭიღიღიღიღანი), ამიღ > ამიღი

უკანასკნელ ორ შემთხვევაში (ე. ი. ხმოვნების კუმშვისას), როგორც მაგალითებზეა ნაჩვენები, ხმოვანმა შეიძლება ინდიფერენტული (სუსტი) ხმოვანი მოგვცეს, შეიძლება ნუ-ი. ეს დამოკიდებულია სიტყვაში ხმოვანთა განაწილებაზე: თუ ხმოვნის შეკუმშვამ თანხმოვნები ისე შეაჯგუფა, რომ ამ ჯგუფის მომდევნოდ ხმოვანი აღმოჩნდა, შეკუმშული ხმოვნის ადგილას ე-ს ჩანსა ზედმეტი ხდება (ხრქრ > ხრქრქრ, მაგრამ თქქნი > თქქნიღ, მიღნი > მიღანი, მაგრამ ამიღ > ამიღი.)

არაფერი ამის მსგავსი ქართულმა ენამ არ იცის.

* ლ > ჯ-ც გვხვდება (მაგ., ხღჯან „ლერწამი“ ნათ. ხღჯან), მაგრამ როგორც გამოჩაქლისი და ამდენად სინტერესიც.

1913
1913

როგორც სქემაზხედაც ჩანს, სომხური ენის ვოკალური სისტემა საკმაოდ რთულია, ქართულისა უადრესად მარტივი. და მინც, გადმოცემა ამ სისტემისა ქართულად უნაკლოდ ხერხდება ძველ ქართულში, რადგან ძველ ქართულში ისეთივე ნახევარხმოვნებიც გვქონდა, როგორიც სომხურში, მაგრამ ქართული ენის ვოკალურ სისტემას დიფთონგები არ ახასიათებს, ძველ სომხურს — კი.

აღსანიშნავია, რომ ძველი სომხურის აღნიშნული ვოკალური სისტემა თანდათანობით გამარტივდა და ახალი სომხურის ვოკალური სისტემა საკმაოდ დაუახლოვდა იმ სისტემას, რომელიც ქართულში გვქონდა და გვაქვს. მთლიანად მოიშალა ძველი სომხურის ტრიფთონგები და დიფთონგები, დარჩა მონოფთონგები ინდიფერენტული ხმოვანთურთ, მაგრამ ზოგიერთი ძველი დიფთონგიც გადარჩა, ხოლო ზოგი ახალიც დაემატა.

ძველი სომხურის დიფთონგები მოიშალაო რომ ვამბობთ, ვგულისხმობთ ამ დიფთონგების გამონოფთონგებას ან დაშლას შემადგენელ ნაწილებად. *აღ* დიფთონგისაგან მივიღეთ *ო* (დახტურულ მარცვალში) ან *ა + ჟ* (ლია მარცვალში): *აღ* > *ააღ*, *խაღარ* > *ჩააღარ*, *აღრ* > *ორ*. *ააღარ* > *ააა...* *ჩღ* დიფთონგისაგან: *ჩ + ჟ*, ან *ჩ*: *აღჩღ* > *აღჩჩღ*, *ჩღრ* > *ჩრ* (თუმცა ძველებურადაცაა შემორჩენილი — *ჩღრ*).

ხღ და *ჩღ* ძველში ერთმანეთს ცვლიდნენ (*ხღ* უფრო ძველ სახეობად მიიჩნევა და აქაც *ხ + ჟ* // *ჩღ*: *ჩღრღ* > *ჩღრჩღ*, *ჩღრ* // *ჩჩღრ* > *ჩჩღრ* ...).

კ-თი შედგენილი დიფთონგები გადარჩა, თუ იგი სიტყვის ბოლოს არაა. სიტყვის ბოლოს კი: *აკ* > *ა*, *იკ* > *ი*. ლ-ც კ-თი შედგენილ დიფთონგად ივარაუდება, რადგანაც ძველ სომხურში *ხ + ჯ* უგამონაკლისოდ ლ-ს იძლევა, მაგრამ მეორე გარემოებაცაა — ყველა ლ-ს შესახებ ვერ ვიტყვი, რომ იგი ასეთივე წარმოშობისაა. სხვა სიტყვებით: ყველა შემთხვევაში, როცა ლ-ს შემდეგ სიტყვა-ცვალებისას აღმოჩნდება *კ*, ეს *ხ + ჯ* უთუოდ (უგამონაკლისოდ) მოგვცემს ლ-ს, მაგრამ არის მრავალი სიტყვა, რომელშიც ლ-ს გვაქვს, მაგრამ არაფრით არ მტკიცდება ეს ლ-ს რომ ასეთივე წარმოშობისაა: *ლღ*, *ლღ*, *ღღღ*, *აყარაღღ* და მრავალ სხვა სიტყვაში ლ-ს ძირეულია. ამიტომ ზოგიერთი ძველი სომხურისთვისაც ეჭვით უცქერის ლ-ს დიფთონგობას ([6], გვ. 34; [11], გვ. 32). ამ ფაქტის აღნიშვნის შემდეგ იგი მინც დიფთონგად უნდა განვიხილოთ, რადგან ლ + ე + ჯ უეჭველად ლ-ს გვაძლევს. ზუსტად მსგავსი შემთხვევა გვაქვს ქართულში; როგორც ვიცით, ე + ლ + ჯ კომპლექსი ქართულშიც უნდა შეცვლილიყო ლ-ს-ში, მაგრამ დამოუკიდებელი ლ-ს ქართულში ერთადერთ სიტყვაშია — შშნ-ი, რომელიც აგრეთვე სომხურშიც ზუსტად ასევე გვაქვს — ლღღ.

სწორედ იმის გამო, რომ ლ-ს ძველ სომხურში დიფთონგი იყო და შემდეგ გამონოფთონგდა, აუცილებელი გახდა მისი ლე მონოფთონგისაგან გარჩევა და ენამ თანდათანობით ლე ხმოვანი დიფთონგად აქცია, ოღონდ მხოლოდ სიტყვის თავპოზიციაში (დიალექტებმა სხვაგანაც).

ლე სიტყვის თავში ახალ სალიტერატურო ენაში აღმავალი დიფთონგია ლე ლე. ყველაზე მთავარი, რამაც დაშალა ძველი სომხურის ვოკალური სისტემა, მახვილის ფუნქციის დაკარგვაა. მართალია, ახალ სომხურშიც გვაქვს ლ > ლ 1 > 1, იღ > იღ აჯ > იღ. კა > ლ კა > ე აგრეთვე ლ > ლ, ი > ა, იღ > ლ ა > ა, მაგრამ ეს ეხება იმ სიტყვებს და იმ ფორმებს, რომლებიც მემკვიდრეობით მიიღო ენამ (*აააააააა* > *აააააააააააააა*, *აააა* > *აააააააააააა*...) და აღარ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, რომლებიც ძველი სომხურიდანვე არ მოდის; მაგ., *აააააააა*, ნათ. *აააააააა*. როგორც ვხედავთ, იღ ი ხმოვანი შეიკუმშა სიტყვაზე მარცვლის დამატების გამო; მაგრამ *აააააააააააა*. აქაც დაემატა მარცვალი და იგივე იღ ი უკუმშველი დარჩა.

ცხადია. იმიტომ, რომ *ხსრ* *ნერ* მრავლობითის ფორმანტი ძველიდანვე არ მრდის, გვიანდელია და მახვილი თუშცა აქაც გადაადგილდა, *ნ* *უ* მინც არ შეეკუმშა.

ეს დიფთონგები ახალ სომხურში, ამრიგად, უფრო ვადმონაშთია, ვიდრე სისტემის შემქმნელი. ამიტომ ახალი სომხურის ვოკალური სისტემა ამ ხანით უფრო წარმოიდგინება:

ა, է, ი, ი, ი, ი, ი, აქ, ქა, ჯქ, ქქ, იქ, ქი, იი, იი, იი,
ა, ე, ი, ი, ა, ა, აქ, ქა, ჯქ, ქქ, იქ, ქი, აქ, ქა

ახალი სომხურის ტრადიციულ გრამატიკებში ამათ გარდა (დიფთონგები საერთოდ, ცხადია, ცალკე არაა შეტანილი) შეტანილია კიდევ ორი ასო: *ჰე* და *ი ი*, რადგანაც პირველი (*ჰ*) სიტყვის თავში იკითხება როგორც *ქქ* *ქე*, ხოლო მეორე (*ი*) იმავე პოზიციაში იკითხება *ქი* // *ქი* *ვი* // *ვი* ([150], გვ. 17), რის გამოც ორ შემთხვევაში ერთი ბგერა ორი ნიშნითაა გამოხატული: *ი* // *ი* და *ქ* // *ქ*. ეს მდგომარეობა აბუნდოვანებს ახალი სომხურის ვოკალიზმის ნამდვილ სურათს. დიფთონგებშიაც ცალკე შეაქვთ *ქქ* (*ქქ*) და *ქქ*, რაც აგრეთვე მართებული არაა, რადგან *ჰე* შეტანილია ანბანში მხოლოდ იმიტომ, რომ სიტყვის თავში იგი *ქქ* *ქე*-დ იკითხება, ხოლო როცა *ქქ* *ქე* დიფთონგიც ცალკე ერთეულადაა შეტანილი, გამოდის რომ *ქქ* *ქე* გამოხატულია ორი ნიშნით: *ჰ* და *ქქ*-თი, რაც შეეხება *ქქ*-ს დიფთონგებში შეტანას ([13], გვ. 7), აგრეთვე მცდარია, რადგან ამ შემთხვევაში *ქ ქ* თანხმოვნის როლშია, ორი ხმოვანის გასაყარადაა და არც წინამავალ, არც მომდევნო ხმოვანთან ერთად დიფთონგს არა ქმნის.

ამგვარად, შეგვრჩება ქვემოაღნიშნული ვოკალები.

- აქ* — *ჰაქი, მაქი, აქი, მაქი, ჰაქი...*
- ქა* — *ქაქანი, მათქანი, ანეკაქი კათარქაქი...*
- ქქ* — *ქქი, ქქიქიანი, ქქიქანი...*
- ქქ* — *ქქი, ქქიქიანი...*
- იქ* — *ქიქი, ქიქი...*
- ქი* — *ქიქი, აქიქი...*
- იი* — *ქიქი, ქიქიქი, ჰაქიქი...*
- იი* — *აქიქი, ქიქიქი, ჰაქიქი...*

გავიმეორებთ: ეს დიფთონგები ახალი სომხურისათვის, ასე ვთქვათ, მოქმედნი არ არიან. თითქოს გაქვევებულად შემორჩენილან იმ სიტყვებში, რომლებიც ახალ სომხურს მემკვიდრეობად მიუღია ძველისაგან. ამიტომაც ისეთივე მტკიცე სისტემა სხვადასხვა საფეხურის ვოკალებისა ახალ სომხურში არა გვაქვს. ძირითად ბირთვად რჩება მონოფთონგები, რომლებიც *ქ*-ს დამატებით ახერხებს მოგვეცეს აღმავალი ან დაღმავალი დიფთონგიც. უმარცვლო *ნ* კი საერთოდ აღარ ფუნქციონირებს ახალ ენაში. ასეთი გამარტივებული სახით ახალი სომხური ენის ვოკალიზმი, ცხადია, გაცილებით ახლო დგას ქართული ენის ვოკალიზმთან.

მაგრამ განსხვავება ქართული და სომხური ენების ხმოვნებს შორის ახლაც ძალიან დიდია წარმოთქმის მიხედვით. ახალი სომხური ენის ხმოვნები ხასიათდებიან ინტენსიური შემართვით, ქართულისა კი არაინტენსიური შემართვით (ნელი შემართვით). მაგალითად, სლიტერატურო სომხურ წარმოთქმაში ის შედარებით ნაკლებად შესამჩნევია, მაგრამ დიალექტებში, ხალხურ მეტყველებაში, მეტისმეტად საგრძნობია. ამ თავისებურებას სომხური ენის მკვლევარები თითქმის არ აქცევენ ყურადღებას სწორედ იმიტომ, რომ იგი მათთვის არაა თავისებურება. პირიქით, მათთვის თავისებურება სწორედ არაინტენსიური

(ნელი) შემართვა... ეს თავისებურება, ჩვენი დაკვირვებით, სომხურისთვის ძველ-
დაც უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი და წარმოთქმის მოღუნებულობასთან
ერთად ეს უნდა იყოს იმის მიზეზი, რომ სომხური ენის ხშულებმა ნაირნაირ-
ცვლილება განიცადეს. ეს ჩვენი დაკვირვებანი გადმოცემული გვაქვს უფრო აღრინ-
დელ შრომაში [14] და რადგან იგი მნიშვნელოვნად გვეჩვენება, მოკლედ აქაც გავი-
მეორებთ ჩვენს დაკვირვებებსა და მისი გაანალიზების შედეგებს. ჩვენი აზრით, ამის
შემდეგ უფრო ნათელი გახდება ქართული და სომხური ენის ბგერების მსგავსება-
განსხვავება.

სომხური ენის დიალექტებზე (პამშენურზე — აფხაზეთში, კარინისაზე — მესხეთ-
ჯავახეთში) მუშაობისას ერთბაშად თვალშისაცემი გახდა ხმოვნების მკვეთრი (მა-
გარი) შემართვა. სიტყვის თავში მოქცეული ხმოვანი (გარდა *h* და *n*-სი, მაგრამ
l და *o* სხვა ხმოვნებს უდგას მხარში) ძალიან ხშირად და გარკვეულად ამქლავ-
ნებს ამ თვისებას, ე. ი. რომელიმე *აღქჩ* აუჭიკ „ქალიშვილი“ ისმის როგორც
ა'საქჩა ა'აჩიგ, *ჩ'აუ* იჩ „რა“ — *ჩ'აუ* 'იჩ, *ჩ* *აუ* „ვარი“ — *ჩ* *აუ* 'ორ < *o* *ur*
„დღე“, *ა'ურ* *ur* „სად“ — *ა'ურ* 'ურ და სხვ. უფრო უცნაური ის არის, რომ ერთი
და იგივე სიტყვა ერთმა და იმავე პირმა სხვა შემთხვევაში შეიძლება ისე წარმო-
თქვას, რომ წინწამძღვარებული *h*-ს მაგიერ *h* ისმოდეს ან სულაც არაფერი ისმო-
დეს; ე. ი. იგივე *ა'საქჩა* ა'აჩიგ შეიძლება გაიგონოთ *ა'საქჩა* ა'აჩიკ ან *ა'საქჩა*
ა'აჩიგ და სხვ.

მეორე თავისებურება, რომელმაც აგრეთვე ერთბაშად მიიქცია ჩვენი ყურა-
დღება, ის გახლავთ, რომ განსაკუთრებით სიტყვის თავში და განსაკუთრებით
ხშულების შემდეგ მოსული ხმოვანი არ ისმოდა შერწყმულად, ერთიან კომპლექ-
სად, არამედ ისე, თითქოს მომდევნო ხმოვანი იწყებდა არტიკულაციას იმის შემ-
დეგ, რაც წინამავალი თანხმოვანი დაამთავრებდა არტიკულაციას და არა ისე, რო-
გორც მოსალოდნელი იყო წინამავალი თანხმოვნის დამართვის (ექსპლოზიის) დამთავ-
რებამდე დაწყებულიყო მომდევნო ხმოვნის შემართვა.

და კიდევ ერთი თავისებურება: ძველი სომხურის მკვეთრების ადგილას გამოკვე-
თილი მჟღერები ისმოდა (*Պետրոս* Petros — *Բեդրոս* Bedros), ხოლო ძველი სომ-
ხურის მჟღერების ადგილას არამკაფიო მჟღერობის მქონე ბგერები, იმდენად არა-
მკაფიო, რომ ჰქონდა გარკვევა რა ისმოდა — მჟღერი (*բ* *h*), მკვეთრი (*պ* *ք*) თუ
ფშვინვიერი (*փ* *ք*). ეს მოვლენაც შესამჩნევი იყო განსაკუთრებით სიტყვის თავში.

წარმოთქმის ამ თავისებურებათაგან პირველი (შემართვის თავისებურება) სომხურის
დიალექტებში გ. ლაფანციანსაც ჰქონდა შენიშნული, მაგრამ იგი ამას
სპორადულ შემთხვევებად მიიჩნევდა ([15], გვ. 92 — 93).

როგორც ჩანს, სომხური ენის დიალექტებში მკვლევარებს შენიშნული აქვთ
მეორე თავისებურებაც (თანხმოვნის მომდევნო ხმოვანთან შეურწყმელი წარმო-
თქმა), ოღონდ ეს მოვლენა სათანადოდ არაა კვალიფიცირებული: იგი მიჩნეულია
բ ან ხმოვნის დიფთონგიზაციად, როდესაც *բ* ან *ք* ნიშნითაა აღნიშნული, ხოლო
მონოფთონგად, როდესაც *բ* ან *ք* ნიშნითაა გამოხატული ([16], გვ. 45), რადგან
არც ერთი მათგანის დაწვრილებით აღწერა არაა ნორმული, ამგვარ აღნიშვნასა
და კვალიფიკაციაში არ შეიძლება წინააღმდეგობა და არათანმიმდევრობა არ დავი-
ნახოთ: ან ორივე დიფთონგია, ან ორივე ხმოვანია, ხოლო თუ სხვადასხვა რამეა,
მათი აღნიშვნის პრინციპიც განსხვავებული უნდა იყოს. ამიტომ ვფიქრობთ, რომ

ა. ღარბიანის დიალექტოლოგიაში მოტანილ მაგალითებში სომხური წარმოთქმის სწორედ ზემოაღნიშნული თავისებურებაა არეკლილი; მაგ., *սըէղ թըղ* ([16], გვ. 327) < *սէղ տէ* „ადგილი“; *կըէս կա՞ն* ([16], გვ. 328) < *կէս կոյն* „ხანძარი“; *սխպէր* *աքթըր* < *սխպէր* *აქერი* ([16], გვ. 357; 368 — 370) < *სქაქერ* *ეყბაქ* „ძმა“; *ძըէր զըր* < *ძէր* *զեր* ([16], გვ. 111; 235) „მოხუცი“; *ქըէსა* *թըსა* ([16], გვ. 235) < *ქէსა* *թესა* „სიძე“; *կըէլէր* *კա՞ն* ([16], გვ. 369) < *კէլէր* *კან* „იქნებოდა“; *չըէլ* *չա՞լ* < *չէლ* *չალ* „იქნებოდა“ და სხვ. *բ* *թ*-ს ზემოდან დაწერილი პატარა *է* *ղ* ან *ի* *ის* ხმოვანია რომელიც ზის წინამავალი თანხმოვნის შემდეგ, ხოლო *բ* *թ*-თი აღნიშნულია წინამავალი თანხმოვნისაგან მომდევნო ხმოვნის გათიშულობა.

ყველა ამას ექსპერიმენტულად შემოწმება სჭირდება, ცხადია, მაგრამ უიარაღო ყურით მიღებული შთაბეჭდილებების მიხედვითაც შეიძლება ზოგიერთი ვარაუდის გაკეთება, მით უფრო, თუ ეს შთაბეჭდილებანი შემთხვევითი არაა, სისტემატური და დაჟინებული დაკვირვებითაც თუ იგი არ მკრთალდება... ჩვენ, შემდეგ, წლების განმავლობაში ვაკვირდებოდით სალიტერატურო სომხურზე მეტყველთა გამოთქმასაც და უფრო და უფრო ვრწმუნდებოდით, რომ დიალექტებიდან მიღებული შთაბეჭდილებები შემთხვევითი არ იყო. აღნიშვნის ღირსია, მაგ., რომ ქართულის მცოდნე სომხის მეტყველებაში ქართული ბგერებიც კი მგარი (მკვეთრი) შეპართვით ისმოდა, მაგ., ასე: 'არაფერი' *'araperi* „არაფერი“, 'ერთი' *'erti* „ერთი“, 'იქიდან' *'ikidan* „იქიდან“, 'ორმო' *'ormo* „ორმო“, 'ურემი' *'uremi* „ურემი“ და სხვ. ეს დაკვირვებები, ცხადია, ისე ტარდებოდა, რომ დაკვირვების ობიექტმა არ იცოდა, ამავე დროს სომხურად მეტყველებისას ისე მკვეთრად არ შეინიშნებოდა შემართვის თავისებურება მის მეტყველებაში, როგორც დიალექტებში შეიმჩნეოდა ეს.

კიდევ უფრო საინტერესო ფაქტს წვააწყდით უკვე შემთხვევით. — ვბასობდი სალიტერატურო სომხურ ენაზე მოუბარ ქალთან (ფილოლოგი იყო), რომელსაც გამოთქმის ვერაფერით თავისებურებას ვერ შეამჩნევთ; მისი მკდელები, მკვეთრები თუ ხმოვნები ქართულის შესაბამისი ბგერების გამოთქმისაგან უიარაღო ყურით არ განსხვავდება. საუბარში დასჭირდა ეთარგმნა ქართული გამოთქმა — „შური იდიე“. თარგმნა და იგი მომესმა ასე: *վրեժտար* *vrežtar*. ეს რომ მოვისმინე, ვთხოვე დაწერა ეს გამოთქმა. დაწერა *վրեժդար* *vreždar*. წაიკითხე-მეთქი ვთხოვე. წაიკითხა გამოკვეთილად ისე, როგორც დაწერა. უფრო ჩქარა გამოთქვი-მეთქი. გამოთქვა და იგივე გამოუვიდა, რაც პირველად. ამას მისი ყურადღებაც მივაქციე. დაუკვირდა და დამიდესტურა „-პო, ჩქარი გამოთქმისს *դ* *ս*-დ ისმისო“. ამან დამაფიქრა და მომაგონა დიალექტური მასალების ჩაწერისას ფიქსირებული ისეთი მაგალითები, რომელთა „ცვალებადობა კანონზომიერებას არ ემორჩილებოდა“ მაგ.: *Մեզը՞ էլ էր*, *մեզը՞ չունը* (ჰამშენური, 23, 7), * *Մէս քէլի ասած ունիմ* (ჰამშ. 11, 8), *բընսած ունիմ* (ჰამშ. 7, 8).

მაფიქსირებლის სმენის ნდობა რომ არ მქონოდა, შეცდომად უნდა მიმეჩნია ერთი და იგივე სიტყვა ერთ შემთხვევაში, რომ *դ*-ს გვიჩვენებს (*մեզըլ*), მეორეში *թ*-ს (*մեզըթ*), ერთ შემთხვევაში მოსალოდნელი *ձ* (*բընսած*) და მეორეში მოულოდნელი *ն* (*ասած*). დიალექტებზე მუშაობისას მსგავსი, გაუგებარი შემთხვევები ხანდახან გვხვდებოდა. ზემოაღნიშნულ ფილოლოგის მეტყველებაში დაჭერილი თავისებურ-

* ნაჩვენებია ჩვენს შრომაზე (სომხური ენის ჰამშენური კილო, რომელიც ხელნაწერი სახით წარდგენილ იქნა საკვალთმცოდნეობის ინსტიტუტში 1944 წ.) დართული ჰამშენური ტექსტების გვერდები და სტრიქონები.

ბის შემდეგ იგი გასაგები გახდა: მიმდევნო ხმოვნის შემართვამ განაპირობა წინამდ-
ვალი თანხმოვნის დამართვა (ექსპლოზია) და სახეუცვლა ამ თანხმოვანს, *ქსტე*
გასათვალისწინებელია, რომ მეტყველების პროცესში ორი სიტყვა (*ქსტე* *ან*)
მახვილით გავრთიანებულ მთლიანობად წარმოგვიდგება, ე. ი. *ქსტე* სიტყვის შიგნით
მოქცეა. სწორედ იმიტომ, რომ სიტყვის „შიგნით“ მოქცეულ ხმოვანს არა
აქვს საშუალება წარმოაჩინოს წარმოთქმის საკუთარი თავისებურება, იძულებ-
ულია მისი შემართვა წინამდევალ თანხმოვანს გადასცეს, როგორც დამართვა,
მსგავსი მაგალითები ისტორიულადაც დასტურდება სომათურ ენაში. მაგ, *საჰაჰსან*
sepaḡan < *საჰაჰსან* *sephaḡan* *საჰაჰს* + *საჰან* *sepuh* + *aḡan*.


ამის კიდევ უფრო დამაჯერებელი ფაქტები მოიპოვება მეგრულში, სადაც
სისტემებრ გვხვდება აწმყოში ზმნის პირველი პირის ნიშანი ბ ხ (< მ მ) > პ p:
მა პ-უნ-ს *ma p-un-s* „მე მ-ყავ-ს“, სადაც პ-უნ-ს *p-un-s* < მ-ყუნ-ს *m'un-s*
„მ-ყავ-ს“-ში ბ (< მ) > პ-ხ (< მ) > p გვაქვს. ასევე: მა პ-ილუნ-ც *ma p-i-lun-c* <
ბ-ყვილუნ-ს *b-wilun-s* „მ-კლავ-ს“, ჩქგ პ-აშენქ *ḡka p-ašənk* < ბ-ყაშენქ *b-ašənk*
„ჩვენ ვამყნობთ“ — ყაშუა „მყნობა“) და სხვა.

მეგრულის ყ, რომელიც ხმოვნის წინ ზის, ფონეტიკურად ხმოვნის მკვეთრ
შემართვას უღრის. პირის ნიშნის დართვისას ეს შემართვა წინამდევალ თანხმოვანს
გადაეცემა და ამ თანხმოვანს სახეს შეუცვლის — მქლერს ამკვეთრებს, მაგრამ
საჰაჰსან *sepaḡan* < *საჰაჰსან* *sephaḡan*-ის მაგალითმა კი დავგარწმუნა,
რომ ფშინვიერმა შემართვამ ხმოვნის წინ მდგომი მკვეთრი გააფშინვიერა. აქე-
დან ლოგიკურად ისმის კითხვა: თუ გვექნებოდა მქლერი შემართვის მქონე ხმოვა-
ნი, იგი, ცხადია, წინამდევალ არამქლერ ხშულ თანხმოვანს ვამქლერებდა, ე. ი.
რომელიმე *ყაჰა* *paḡ* „კედელი“ შეიძლებოდა ქცეულიყო *ყაჰა* *haḡ* და დისტან-
ციური ასიმილაციით *ყაჰ* *baḡ* ფორმადაც, როგორც კიდევ გვაქვს დიალექტებში.

ყველა ზემოთქმულმა ლოგიკურად მიგვიყვანა დასკვნამდე, რომელიც ექსპე-
რიმენტულ შემოწმებას საჭიროებს. ეს დასკვნები ასეთია: როგორც ჩანს, ენები
განსხვავდებიან ერთმანეთისაგან იმიტაც, რომ ახასიათებთ ხმოვნის ინტენსიური
ან არაინტენსიური შემართვა და არა ცალ-ცალკე მაგარი, ფშინვიერი
და ნელი (არაინტენსიური) შემართვა.

მაგარი და ფშინვიერი შემართვა ინტენსიური შემართვის სახეობებია ე. ი.
თუ ენას ახასიათებს ინტენსიური შემართვა, იგი შეიძლება გამომქლავნდეს ხან
ფშინვიერი, ხან მაგარი შემართვით, ამავე დროს, ამ თვისებას ბგერა არ კარგავს
არასოდეს მეტყველებაში, ოღონდ მხოლოდ სიტყვის თავში შეუძლია აშკარად
გვიჩვენოს საკუთარი თვისება, სხვა პოზიციაში ის ამის გამომქლავნების შესაძლებ-
ლობას მოკლებულია. ამის მიუხედავად, ცდილობს „შემოვლილი“ გზით მაინც
მიალწიოს საკუთარი ბუნების ჩვენებას და თუ ისეთი თანხმოვანი აღმოჩნდა მის
წინ, რომლის დამართვის (ექსპლოზიის) შეცვლა შეიძლება, ინტენსიური შემარ-
თვის მქონე ხმოვანი თავის შემართვას გადასცემს წინამდევალ თანხმოვანს: ფშინ-
ვიერი შემართვის ხმოვანი გააფშინვიერებს წინამდევალ თანხმოვანს, მკვეთრი (მაგა-
რი) შემართვის მქონე — გაამკვეთრებს, ხოლო თუ დავეუშვებთ მქლერი შემართვის
არსებობასაც, იგი, ცხადია, გაამქლერებს წინამდევალ თანხმოვანს.

შეიძლება თუ არა დავუშვათ მქლერი შემართვის არსებობა? შეიძლება, რად-
გან ასეთი შემართვა უძიარალო ყურით აღუქმელი უნდა დარჩენილიყო; თუ ბგერის
შემართვის მომენტი არ განსხვავდება მისი წარმოთქმის შემდგომი მომენტებისაგან,
ე. ი. თუ ჟღერა ბოლომდე გაგრძელდა ჟღერით, ცხადია, ამ შემართვას ვერ
აღვიქვამთ ისე ადვილად და ნათლად, როგორც ფშინვიერ ან მაგარ შემართვას.



რაც „თავისებური“ იერის მქონე ხმოვნად შევიცნობდით, მაგრამ არა „მჟღერ“ შემართვად.

მჟღერი შემართვის არსებობის დაშვების შემდეგ ხერხდება ინტენსიური შემართვის რაობის დახუსტება: ინტენსიური შემართვა თუ აქვს ენას, იგი შეიძლება გამოძღვანდეს ან ფშვინვიერ, ან მკვეთრ (მაგარ) ან მჟღერ შემართვაში, რაც შესაბამის გავლენას ახდენს მეტყველების დროს წინამავალ თანხმოვანზე, ინტენსიური შემართვის მქონე ენას უპირისპირდება არაინტენსიური (ნელი) შემართვის მქონე ენა.

ამ თეორიულმა მსჯელობამ თავისთავად მიგვიყვანა სომხური ენის დიალექტებში მომხდარი ხშულთა გადაწვეისა და „მჟღერი ფშვინვიერების“ ახსნის ცდასთან. სომხური ენის დიალექტებში არსებული ხშულთა გადაწვევა (*Կարպէս քարպէ — Գարպէք Garabed*) ხმოვნის ინტენსიური შემართვის შედეგია: „მჟღერი ფშვინვიერი“ კი ის ბევრებია, რომლებიც ჯერ კიდევ საცხებით არ „დამორჩილებიან“ წინამავალ ხმოვანს, ცდილობენ შეინარჩუნონ თავისთავადობა, მაგრამ მომდევნო ხმოვნის გავლენაც დიღია და ვლებულობთ ხშულს, რომელსაც თავისი ძირითადი თვისება (მჟღერობა) საგრძნობად დაქვეითებია, ყრუობისკენ გადახრილა.

ცხადია, ყველაფერი ასე მარტივად არ მიმდინარეობდა ხშულთა გადაწვეის ისტორიული განვითარების გზაზე, მაგრამ ფაქტების და მოვლენების ლოგიკას აქეთკენ მივყავართ. ისიც მოვიგონოთ, რომ ხშულთა მსგავსი გადაწვევა ინდოევროპული ენებიდან გერმანულს აქვს და იმავე გერმანულს ხმოვნის ინტენსიური შემართვაც ახასიათებს: ([9], გვ. 105 — 106); ([15], გვ. 91 — 92). შემთხვევითია ყველაფერი ეს? — არა გვეონია. იმასაც დავძენთ, რომ შ. გაფრინდაშვილის დახმარებით ჩვენ შევეცადეთ ერთგვარი წინასწარი ექსპერიმენტული მონაცემებიც მოგვეპოვებინა სომხური ენის დიალექტების წარმოთქმის შესახებ. დიქტორად ავიყვანეთ პუშკინის სახ. პედინსტიტუტის სტუდენტი ახალქალაქის რაიონიდან (კარინის დიალექტი). წინასწარი მონაცემებით ბევრი რამ მართალი აღმოჩნდა ჩვენს უშუალო დაკვირვებაში, როდესაც ექსპერიმენტული მონაცემები გაშიფრა თვითონ შ. გაფრინდაშვილმა.

ცხადია ისიც, რომ მარტო ინტენსიური შემართვა ვერ მოაწესრიგებდა ხშულთა გადაწვეის მოვლენას სომხური ენის დიალექტებში. ამასთან ერთად ამ საქმეში, ალბათ, მონაწილეობა მიიღო სხვა ფონეტიკურმა მოვლენებმაც (ასიმილაციამ, დისიმილაციამ, ანალოგიამ...) და ყველაზე მეტად სომხური არტიკულაციის მოდუნებულობამ. შეიძლება იმის მტკიცება, რომ ინტენსიური შემართვა ძველ სომხურ ენასაც ახასიათებდა. მის სახესხვაობათაგან გრაფიკულად შემორჩენილია ფშვინვიერი შემართვის აღნიშვნა; მაგ.: *հագանիկ // ագանիկ hagenel // aganel* „ჩაცმა“, *հարբელ // არբელ harbel // arbel* „სმა, თრობა“, *հიգი // იგი hogi // ogi* „სული“, *հამբակ // ამբაკ hambak // ambak* „ჩვილი, ყრმა, ბავშვი, მოზარდი“, *հამբარნალ // ამბარნალ hambarnal // ambarnal* „აღება, აწვევა, ამალღება“, *հამբარ // ამბარ hambar // ambar* (<ფაღ. anbar, სპარს. ambar) „ბედელი“ და სხვ.

მაშასადამე, ძველი სომხურისათვის სულერთი იყო ეს სიტყვები h-თი იქნებოდა დაწერილი თუ უმისოდ, ე. ი. ეს h ამ სიტყვების ფუძის ნაწილი დამოუკიდებელი ფონემის სახით არ ყოფილა. ახალმა ენამ კი ამ სიტყვებში h-საბოლოოდ დაამკვიდრა და ახლა ფუძისეულ ფონემად აღიქმება. საერთოდ h ბგერის ესოდენ გამძლეობა სომხურში და განსაკუთრებით სწორედ ხმოვნის წინ, ხოლო ამ ბგერის თანდათანობითი გადაშენება ქართულში უწინარეს სწორედ ხმოვნების წინ, ჩვენი აზრით, კარგად გვანიშნებს იმ დიდ განსხვავებას, რომელიც არსებობდა და არსებობს ქართული და სომხური ენების ხმოვნების წარ-

მოთქმაში. რაც შეეხება პედერსენიდან მომდინარე და მეიეს მიერაც გაზიარებულ
 3. ფოქტისა და ბენვენისტის ერთმანეთისგან დამოუკიდებლად წამოყენებულ მოსა-
 ზრებას იმის შესახებ, რომ ძველ სომხურში „მჟღერი ფშვინვიერები“ — გამოსწავლი
 მაგრამ გრაფიკულად არ გამოიხატებოდა, ჩვეულებრივი მჟღერებით ნამდვილი
 მჟღერებიც ვადმოიცემოდა და „მჟღერი ფშვინვიერებიცო“ ([18], გვ. 40 — 41),
 ცხადია, შეიძლება ასედაც ყოფილიყო ჩვენი მასალებისა თუ მსჯელობის მიხედ-
 ვითაც, რადგან ინტენსიური შემართვის მქონე ხმოვანს მაშინაც შეეძლება წინა-
 მავალ ხშულზე გავლენის მოხდენა. ჩვენი აზრით, მხოლოდ ამდენად, ძველი სომ-
 ხურის „მჟღერი ფშვინვიერები“ ვერ იქნებოდა იგივე წინარე ენის „მჟღერი ფშვი-
 ნვიერები“.

თუ ექსპერიმენტულადაც მთლიანად დადასტურდება ჩვენი ვარაუდები ინ-
 ტენსიური შემართვის შესახებ სომხურ მეტყველებაში, მაშინ შეიძლება კიდევ
 ახალი საკითხი დაისვას: სწორედ ეს ინტენსიური შემართვა ხომ არ განაპირობებ-
 და ხშულთა სამეულეობრივი სისტემის ჩამოყალიბებას სომხურ ენაში (p ხ ყ p ჟ p)?
 ცხადია, რაღაც სხვა მიმბუღუსირებელი ძალაც სჭირდებოდა ამას, მაგრამ იქნებ
 ესეც იყო ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი? მაშინ სხვა ენების გავლენის როლი
 სომხურზე შემცირდებოდა.

ამრიგად შეიძლება დავასკვნათ: მიუხედავად უაღრესად დიდი მსგავსებისა,
 ქართული და სომხური ენის ბგერითი სისტემები საგრძობლად განსხვავდებიან
 ერთმანეთისაგან. განსაკუთრებით განსხვავებულია ვოკალური სისტემები და მინც
 აღსანიშნავია, რომ სამწერლობო სომხური ენის ბგერითი სისტემები საუკუ-
 ნეთა განმავლობაში კი არ შორდებიან ქართულისას, არამედ უახლოვდებიან.
 ამავე დროს, ქართულის ბგერითი სისტემა შედარებით მყარად დვას საუ-
 კუნეთა მანძილზე, სომხური სამწერლო ენის ბგერითი სისტემა (განსაკუთრე-
 ბით გრაფიკულად გამოხატული) თანდათან იცილებს ზოგიერთ ისეთ რამეს,
 რაც ქართულს არა ჰქონდა და ამით უახლოვდება მას (მაგ., ტრიფთონგებისა და
 დიფთონგების მოშლა, *ღ* *ყ* ბგერის ჩამოყალიბება...). არ შეიძლება აქ მანცდა-
 მანც უშუალო ფიზიკური გავლენა ვივარაუდოთ. არის სომხური ენის განვითარე-
 ბის ერთგვარი ტენდენცია, რომელსაც მიჰყავს ენა გამოთქმის მეტი გამოკვეთი-
 ლობისა და ელემენტთა სტაბილურობისაკენ, ხოლო სისტემათა გამარტივებისაკენ
 სწრაფვა ენის განვითარების საერთო კანონია.

არმენოლოგიის კათედრა

ლიტერატურა

1. H. Hübschmann. Armenische Grammatik. I. Teil: Armenische Etymologie, Leipzig, 1897.
2. Н. Я. Марр, Грамматика древнеармянского языка, СПб, 1903.
3. ჯრ. Ա ճ ա ո խ ս ի ն Ջ ա յ ն ար ն ո լ ժ ժ ի ն Վ ր ա ճ ե ի ն Հ ա յ ե ի ն ի չ ք ի ի խ ո խ ն ա լ ր ա ժ ժ ի ՚ , 1898, № 7, էջ 309 — 315; № 8, էջ 365 — 371
4. Հ ա ն դ է ա մ ա ի ր ա յ, Վ ի ի ն ի ա, 1929.
5. ჯრ. Ա ճ ա ո խ ս ի ն. Հ ა յ ի չ ք լ ժ ժ ի պ ა თ ա մ ո լ ժ ժ ի ն, հ ა თ ի ր 1, 1940; հ ა თ ի ր 2, 1953.
6. է. Բ. Ա ղ ա յ ա ն. Գ ր ա ր ա ի ք ի ր ա կ ա ն ո լ ժ ժ ի ն, 1. Ս ի ն ք ի ր ի ի ա, գ ի ի ր Ա. հ ն յ լ յ յ ն ար ն ո լ ժ ժ ի ն, Երևան, 1964.
7. ილ. ა ბ ლ ა ძ ე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX — X სს-ში, თბილისი, 1944.
8. ში ა ნ დ რ ო ნ ე კ ა შ ვ ი ლ ი, ნ არ კ ვ ე ე ბ ი ო ა ნ ზ ლ - ქ ა რ თ უ ლ ი უ რ თ ი ე რ თ ო ბ ი დ ა ნ, თ ბ ი ლ ი ს ი, 1966.
9. გ. ა ხ ლ ე დ ი ა ნ ი, ზ ო ვ ა დ ი ფ ო ნ ე ტ ი კ ი ა ს ა ფ უ ძ ე ლ ე ბ ი, თ ბ ი ლ ი ს ი, 1949 წ.

кие (абруптивы), т. е. применяем транскрипцию, принятую для грузинского языка.

Сходство имеется и в парных и одиночных системах согласных, но есть и различия.

Вокальная система обоих языков тоже очень схожа, хотя есть и значительная разница: армянский характеризуется интенсивным приступом гласных, грузинский — неинтенсивным (тихим).

Непосредственное наблюдение над произношением, армянской речью даёт возможность констатировать следующее: если для языка характерен интенсивный приступ гласного, эта характерная черта гласного обычно сохраняется везде, но самые оптимальные условия для выявления этой черты в начале слова: *'wʰuɹʰq // hʰwʰuɹʰq // wʰuɹʰq* т.е. *'axčig // haxčig // axčig < wɹʰɹʰq aɹʰik* „девушка, девка“.

Но если перед гласным окажется согласный, это свойство гласного исчезает и становится свойством соседнего согласного. Этим объясняется *ч р > ф р: wʰfʰwʰwʰb seraƿan* „собственный“ < *wʰuɹʰwʰwʰb serhaƿan wʰuɹʰwʰb + wʰwʰb seruh + aƿan*, или же *q d > m t*, замеченный в литературном произношении новоармянского языка *q r h d m u n v r e ʒ a r < q r h d q u n* „отомсти!“ или же обыкновенный случай в мегрельском *ɔb > ʒp: ɔ ʒ ɔ b - b m a r - u p - s* „Я имею (что-нибудь одушевленное)“ < *ɔ - ʒ b - b b - ʒ u n - s*, т. е. приступ гласного стал эквивалентом предыдущего согласного.

Как видно, если последующий гласный, имеет интенсивный приступ который выражается *ʰ h*- или *'*-образным звучанием в начале артикуляции, то он старается это свойство передать предшествующему согласному. Поэтому мы вынуждены думать, что известное передвижение смычных в армянском языке (*р b > ч р, р ч > р b*) вызвано как раз этим свойством армянского гласного. Более того, на наш взгляд, так называемые „звонкие придыхательные“ в армянских диалектах не опровергают наше положение, а подтверждают, т. е. показывают, что в таких случаях „борьба“ между последующими гласными и предшествующими согласными не закончилась и обе стороны так или иначе пока еще стараются удержать за собой свою самостоятельность. Значит, диалекты армянского языка, в которых встречаются т. н. „звонкие придыхательные“, нельзя считать древнейшими диалектами по этой причине, как допускал А. Гарибян.

Надо отметить, что интенсивный приступ гласного не мог быть единственной причиной в передвижении согласных в армянском языке. Здесь, наверно, огромную роль играл и тот факт, что армянское произношение характеризуется ненапряженной артикуляцией (Э. Агаян), чему способствуют и другие фонетические явления (диссимиляция, ассимиляция, аналогия...), но решающим можно считать интенсивный приступ. Поневоле напрашивается аналогия с немецким языком, для которого характерен такой же твердый и придыхательный (т. е. интенсивный) приступ гласного и аналогичное передвижение согласных. Случайно ли такое совпадение?

В труде приведены факты, доказывающие, что интенсивным приступом характеризовался и древнеармянский язык.

Если это так, мы тоже можем принять положение (Педерсен, Мейе

Фогт и Бенвенист), что „звонкими придыхательными“ звуками характеризовался и древнеармянский язык, но они графически выражались теми же знаками, значит, *բ, զ, գ* ... одновременно употреблялись для выражения как обыкновенного звонкого, так и „придыхательного звонкого“. Если древнеармянский язык характеризовался интенсивным приступом, конечно, он тогда мог повлиять на предшествующий согласный и образовались бы тоже „звонкие придыхательные“, но они не могли бы быть такими же „звонкими придыхательными“, какими подразумеваются в т. н. и. - е. праязыке, как думают некоторые.

Таким образом, звуковые системы армянского и грузинского языков имеют много общего, но еще больше имеется различий, хотя эти различия преимущественно замечаются в произношении гласных, а не в графике.

I. SCHILAKADSE

LAUTSYSTEME DES GEORGISCHEN UND ARMEHISCHEN

Zusammenfassung

Das Armenische — seiner Herkunft nach eine indoeuropäische Sprache — erwies sich nach seinem Lautsystem dem Georgischen näher als irgendeiner anderen ihm verwandten Sprache. Das ließ die Vermutung über den Einfluß des georgischen Lautsystems auf das Armenische aufkommen.


Wir enthalten uns der fruchtlosen Debatten darüber, welche Sprache die andere beeinflusst hat. Unseres Erachtens genügt es, ein objektives Bild von den Lautsystemen dieser Sprachen darzulegen, da auch die Unterschiede zwischen den Lautsystemen dieser Sprachen erheblich sind. Erstens drückt sich dieser Unterschied darin aus, daß die georgische Sprache vom V. Jh. an bis heute fast vollständig ihr Lautsystem sowohl in der Literatursprache als auch in Dialekten erhalten hat, während die armenische Sprache große Abänderungen erfuhr. Eine Reihe von Dialekten, auf die sich die moderne armenische Literatursprache gründet, bewahrte das Konsonantensystem des Altarmenischen, die Mehrzahl der Dialekte aber haben es sehr verändert. Wir haben uns bemüht, auch die Gründe dieser Veränderungen zu erklären — der nicht gespannten Aussprache und dem intensiven Einsatz der armenischen Vokale ist diese Veränderung zuzuschreiben, die gespannte Artikulation und der nicht intensive Einsatz der georgischen Vokale aber bewahrten sie vor Veränderungen.

In unserer Arbeit wird hauptsächlich die Analyse gemeinsamer Eigennamen vorgenommen (entnommen dem Evangelium des Matthäus); Hinzugefügt wurde auch ein Teil allgemeiner Wörter, deren Entlehnung von einer gemeinsamen Quelle in beiden Sprachen oder gegenseitige Entlehnung keinem Zweifel unterliegt.

Vom Konsonantensystem ist das System der Verschußlaute (und zwar das, wodurch sich im wesentlichen das Armenische von den anderen

indoeuropäischen Sprachen unterscheidet) im Armenischen und im Georgischen völlig gleich:

ժբբ Յպր Յփր Շդճ Օտտ օթտ ժճՅ ՎճԸ
 ՕԿԸ ՅճՅ ՅճՅ ԿճՅ ՅԿԿ ՅԿԿ



Ungeachtet dessen, daß diese Ähnlichkeit nicht absolut sein kann, halten wir es für richtiger, mit dem diakritischen Zeichen nicht die stimmlos Behauchten des Armenischen (wie es allgemein üblich) anzumerken, sondern die Nichtbehauchten (Abruptiva), d. h. wir verwenden die Transkription, die für georgische Sprache angewendet wird.

Die Ähnlichkeit besteht sowohl im Doppel- als auch im Einzelsystem der Konsonanten, allerdings gibt es auch Unterschiede.

Das Vokalsystem der beiden Sprachen ist auch sehr ähnlich, obwohl es auch einen wesentlichen Unterschied gibt: das Armenische ist durch den intensiven Einsatz der Vokale charakterisiert, das Georgische aber durch den nichtintensiven (stillen).

Die unmittelbare Beobachtung der Aussprache der armenischen Rede erlaubt folgendes festzustellen: wenn für die Sprache der intensive Einsatz eines Vokals charakteristisch ist, so bleibt dieses charakteristische Merkmal des Vokals gewöhnlich überall erhalten, doch die optimalsten Bedingungen für den Ausdruck dieses Merkmals hat der Anfang eines Wortes: 'ախչիկ // հախչիկ // ախչիկ 'axčig // haxčig // axčig < աղջիկ աջիկ „Mädchen, Jungfrau“.

Wenn aber vor dem Vokal ein Konsonant steht, wird diese Eigenschaft des Vokals eingeschränkt und auf den Nachbarkonsonanten übertragen.

Dadurch wird erläutert, daß պք>փք—սեփական sепакан, „ligen“ < սեպհական sephakan < սեպուհ + ական sepuh + akan oder դ-ճ>տտ, was in der literarischen Aussprache des Neuarmenischen zu bemerken ist: վրեժաւան vrezhtar < վրեժաւան vrezd ar „räche dich!“, oder gewöhnliche Erscheinungen im Megrelischen ծբ>ծք: ծ ծ-ՅԵ-Ե ma p-un-s „ich habe“ (irgendetwas Beseeltes) < ծ-ՅԵ-Ե b'un-s, d. h. der Einsatz des Vokals wurde zur Explosion des vor ihm stehenden Konsonanten.

Offenbar versucht der nachfolgende Vokal, wenn er einen intensiven Einsatz hat (der durch չհ“ oder „“ bezeichnet wird — durch einen besonderen Klang am Anfang der Artikulation), diese Eigenschaft auf den vorangehenden Konsonanten zu übertragen. Deshalb sind wir gezwungen anzunehmen, daß die bekannte Verschiebung der Verschlußlaute im Armenischen (բբ>պք, պք>բբ) gerade auf diese Eigenschaft des armenischen Vokals zurückzuführen ist. Noch mehr, wie es scheint, widerlegen die sog. „stimmhaftbehauchten Konsonanten“ in den armenischen Dialekten unsere Behauptung nicht, sondern bestätigen sie, weil sie zeigen, daß in solchen Fällen der „Kampf“ zwischen den nachfolgenden Vokalen und den vorangehenden Konsonanten nicht beendet ist und beide Seiten versuchen sowieso immer noch, ihre Unabhängigkeit zu bewahren. Folglich kann man aus diesem Grunde die Dialekte des Armenischen, in denen die sog.

„stimmhaft Behauchten“ vorkommen, nicht als älteste Dialekte betrachten, wie das A. Garibjan annimmt.

Es ist zu betonen, daß der intensive Einsatz des Vokals nicht der einzige Grund der Lautverschiebung der Konsonanten im Armenischen sein konnte. Hier spielte sicher auch jene Tatsache eine große Rolle, daß die armenische Aussprache durch die nicht gespannte Artikulation charakterisiert wird (E. Agajan), was auch die anderen phonetischen Erscheinungen (Dissimilation, Assimilation, Analogie u. a.) fördern, aber den intensiven Einsatz kann man jedoch als entscheidend betrachten. Unwillkürlich liegt eine Analogie zum Deutschen nahe, da für diese Sprache ein ebensolcher harter und behauchter (d. h. intensiver) Einsatz des Vokals und eine analoge Verschiebung der Konsonanten charakteristisch ist. Ist diese Übereinstimmung etwa ein Zufall?

In dem Beitrag sind Tatsachen angeführt, die beweisen, daß der intensive Einsatz auch für das Altarmenische kennzeichnend war. Wenn das so ist, so können wir auch die Vermutung von Pedersen, Meillet, Vogt und Benvenist annehmen, daß für das Altarmenische auch „stimmhaft Behauchte“ charakteristisch waren, graphisch aber wurden sie mit gleichen Zeichen ausgedrückt, das heißt, p b, t d, q g sind gleichzeitig für die Bezeichnung sowohl der gewöhnlichen Stimmhaften als auch für die „stimmhaft Behauchten“ verwendet worden.

Wenn für das Altarmenische der intensive Einsatz charakteristisch war, dann konnte er auch den vorangehenden Konsonanten beeinflussen und es hätten sich auch „stimmhaft Behauchte“ bilden können; aber sie könnten nicht, wie das einige meinen, ebensolche „stimmhaft Behauchte“ sein, wie man das von der sog. indoeuropäischen Ursprache annimmt.

Somit haben die Lautsysteme der armenischen und georgischen Sprache viel Gemeinsames, jedoch noch mehr Unterschiedliches; die Unterschiede sind vorwiegend in der Aussprache der Vokale zu bemerken.

სიმბოლო მუ'ალლაკ-ათაში

ნანა ფურცელაძე

მუ'ალლაკები ისლამადელი პოეზიის სხვა ძეგლებთან ერთად იმ ნაწარმოებთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებმაც ხანგრძლივი დროით განსაზღვრეს მომდევნო ხანის არაბული პოეზიის ხასიათი, თემატიკა, ფორმა. მუ'ალლაკათის (მუ'ალლაკების კრებული) პოეტიკის კვლევამ შესაძლოა შექმნოს მოჭფინოს არაბული პოეზიის მთელ რიგ თავისებურებას. წინამდებარე ნაშრომში განხილულია ე. წ. არაბული სიმბოლოს ზოგი ასპექტი.

ამ კრებულის შედგენა, რომელიც შეიცავს ისლამადელი არაბული პოეზიის შვიდი გამოჩენილი წარმომადგენლის: იმრუ'უ ლ-კასის, ტარაქას, ზუჰაერის, 'ანთარას, 'ამრ იბნ ქულსუმის, ჰარის იბნ ჰილლიზასა და ლაბრდის თითო კასიდას, ტრადიციული თვალსაზრისით, მიეწერებოდა ჰამმად არ-რანვიდას (714—772)*, უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებული გამოკვლევების საფუძველზე ეს თვალსაზრისი საკმაოდ შეირყა. ალვანი [2,263—265] კატეგორიულად უარყოფს ჰამმადის მიერ აღნიშნული კრებულის შედგენას. შვიდი მუ'ალლაკის შედგენის დროს, შემდგენლის ვინაობას, შედგენის მიზანსა და ცვლილებებს, რომელიც კრებულმა განიცადა, ახალ შექს ჰვენს კისტერის გამოკვლევა [3,27—36]. სხვადასხვა არაბულ წყაროში დაცული ცნობების სკრუპულოზური ანალიზის საფუძველზე იგი მიდის იმ დასკვნამდე, რომ მუ'ალლაკათი ცნობილი უნდა ყოფილიყო ჰამმადამდე დიდი ხნით ადრე. განსაკუთრებით საინტერესოა ის ცნობა, რომელსაც მან მიაკვლია ბრიტანეთის მუზეუმში დაცულ აჰმად იბნ აბუ ტაჰირ ტაიქურის თხზულებაში „ქითაბ ალ-მანსურ ვა-ლ-მანსურ“, საიდანაც ჩანს, რომ პირველი კრებული, სადაც შევიდა ზემოაღნიშნული შვიდი პოეტის კასიდები სხვა კასიდებთან ერთად, შედგენილი ყოფილა ჯერ კიდევ ხალიფა მუავიას დროს (VII ს.) მისივე ბრძანებით და გამიზნული იყო როგორც ანთოლოგია მუავიას ვაჟის განსასწავლად არაბულ პოეზიაში. იგი შეიცავდა ისლამადელი ხანის ათ** და მის თანამედროვე პოეტთა ორ კასიდას. შემდეგში ხალიფა აბდ ალ-მალექს მუ'ალლაკების რიცხვი თორმეტიდან შევიდამდე შეუკვეცა. ეს ანთოლოგიები დავიწყებას მიეცა ომაიანთა დინასტიის დაცემასა და აბასიანთა აღზევებასთან ერთად. ჰამმადის დამსახურება, კისტერის აზრით, მხოლოდ ის არის, რომ მან უკვე აბასიანთა ხანაში „გადმოგვცა მუავიას კრებულიდან წარმომავალი შვიდი ოდა. გვიანდელმა ლიტერატურულმა ტრადიციამ კი ჰამმადს მიაწერა მათი შერჩევა“ [3,36]. ამრი-

* „ილიარებულია როგორც დღეს, ისე ძველად, რომ კაცი, რომელმაც პირველად შეკრიბა ეს შვიდი ლექსი და შეიტანა დამოუკიდებელ ანთოლოგიაში, იყო ვინმე ჰამმადი, წოდებული ალ-რავიად (მთქმელი)“—წერს არბერი [1,16].

** მუ'ალლაკათა შვიდეულს და ალ-აშას, ან-ნაბილას, 'აბრდ იბნ ალ-აბრასის კასიდებს [3,29—34].

გად, როგორც ჩანს, კრებულის შედგენის თარიღი VIII-დან VII საუკუნეში გადაინაცვლებს.

აღრინდელი არაბული წყაროები ამ კრებულს სხვადასხვა სახელით მიაჩნებენ. როგორც მაგ.: ას-საბ'უ ლ-მაშჰრათუ ან ას-საბ'უ ლ-ტივალ ალ-ჯ-აბ-ლ-ნ-ჰ-ჰ-ჰ (იბნ ქადასანი), ას-სუმშტ (აბუ ზად ალ-კურაში), ალ-მუშაჰჰაბათ და ალ-მუა'ლლაკათ (იბნ აბდ რაბბიჰი) [3,27]. აზრთა დიდი სხვადასხვაობა გამოიწვია სამეცნიერო ლიტერატურაში კრებულის სათაურის გაგებამ. ლეგენდა იმის შესახებ, რომ ამ ლექსებს ქაბას კედელზე ჰკიდებდნენ და აქედან წარმოდგება მისი სახელწოდება — „ალ-მუ'ალლაკათ“ — „ჩამოკიდებული“ ერთსულოვნად იქნა უარყოფილი მეცნიერთა უმრავლესობის მიერ. სანაცვლოდ წამოყენებულია სხვადასხვა ინტერპრეტაცია ამ სახელწოდებისა. ნოელდეკე ასაბუთებს რა ამ ლეგენდის უსაფუძვლობას, ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ „მუ'ალლაკათ“-ი იხმარება „სუმშტის“ პარალელურად (სიმტ მრ. სუმშტ — არაბულად ყელსაბამს ნიშნავს), რაც თავის მხრივ, „ნაზმის“ „ასხმული, წყობილი მარგალიტის“ სინონიმია და ამავე დროს, როგორც ცნობილია, არაბულად პოეტურ ნაწარმოებს — ლექსს ნიშნავს (საპირისპიროდ ნასრ სიტყვისა, რაც „გაბნეულ მარგალიტებს“ ან პროზას აღნიშნავს). ამრიგად, მუ'ალლაკა ნიშნავს წყობილ მარგალიტს ანუ ლექსს. ამ მოსაზრებამ ვეროპელ ორიენტალისტთა შორის ფართო აღიარება პოვა [1,22], [4,152]. ასეთივე აღიარება ხვდა წილად ლაილის მოსაზრებას [1,22], [5,75], რომლის თანახმად, სიტყვა მუ'ალლაკა უნდა წარმოდგებოდეს სიტყვიდან „ილკ“, რაც ნიშნავს „ძვირფას რაიმეს“, რასაც „მაღლა აყენებენ“ ე. ი. დიდად აფასებენ [6]. არბერიმ წამოაყენა ახალი, განსხვავებული ვარაუდი „მუ'ალლაკას“ გაგებისა. მისი აზრით, იგი ნიშნავს სანახევროდ „გაყრილს, განშორებულს“, რამდენადაც ისინი ამოღებული არიან ავტორთა თხზულებებიდან და ქმნიან ცალკე კრებულს. ამ მოსაზრებას, მისი სიტყვით, ამაგრებს კრებულის სხვა სახელწოდება „მუშ-აჰჰაბათ“, რომელსაც ჩვეულებრივ განმარტავენ როგორც მოოქროვილს. ამ სიტყვას იგი კითხულობს როგორც მუშჰაბათ. მისი აზრით, ის უნდა წარმოდგებოდეს „ზაჰაბა“ (წავიდა) ზმნიდან და აღნიშნავდეს „გარიცხულს, გაგდებულს“ ანუ განცალკევებულს [1,22]. მაგრამ ლეგენდას იმის შესახებ, რომ მუ'ალლაკების სახელით ცნობილ კასიდებს იწერდნენ და ქაბას კედელზე ჰკიდებდნენ, როგორც ჩანს, საფუძველი ჯერ კიდევ არ გამოცლია სამეცნიერო ლიტერატურაში. არაბი ლიტერატურათმცოდნე უმარ ქარრუჰი ეყრდნობა რა ნასირ ად-დინ ალ-ასადის გამოკვლევას [7,169—172] აცხადებს: „საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს, რომ მუ'ალლაკებს იწერდნენ და ჰკიდებდნენ ქაბაზე, თანამედ უამრავი გადმოცემისა“ [5,75].

ე. კრაჩკოვსკი მუ'ალლაკათ-ს თარგმნის როგორც „отборные“ — რჩეული [8,247]. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ძველი არაბული პოეზიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და პოპულარული კრებულის სათაური ლეგენდის არ არის ახსნილი და განმარტებული დამაკმაყოფილებლად. ცხადია ერთი რამ, აღნიშნულ კრებულში შესული კასიდები შერჩეულია ისლამამდელი პოეზიის სხვა კასიდებს შორის და, როგორც ეს კისტერმა ცხადპყო, სრულიად გარკვეული მიზნით. ამდენად კვლევის ამ ეტაპზე დამაკმაყოფილებლად ჩანს მუ'ალლაკათ-ის გაგება, როგორც „რჩეული“ ან „შერჩეული“ კასიდებისა. თუმცა, რა თქმა უნდა, ეს არ უნდა მივიჩნიოთ ამ სიტყვის ეტიმოლოგიად.

სამეცნიერო ლიტერატურაში ამ კრებულთან დაკავშირებით დგას საკითხი მასში შემავალი კასიდების აუთენტურობისა — ისლამამდელი პოეზიის სხვა ძეგ-

ლებთან ერთად. ერთ-ერთი პირველი, ვინც აღძრა აღნიშნული საკითხი იყო გერმანელი არაბისტი ალვარდტი [9]. განსაკუთრებით მწვავედ დადგა ეს საკითხი ცნობილი ინგლისელი არაბისტის მარგოლიუსის შრომაში [10], რომელმაც ისლამამდელი არაბული პოეზია თითქმის მთლიანად გვიანდელ ნაყალბევად გამოაცხადა. ამავე თეზისს იცავს ცნობილი ეგვიპტელი მწერალი და ლიტერატურის ისტორიკოსი ტაჰა ჰუსეინი, რომელიც თავის ნაშრომში ისლამამდელ პოეზიას განიხილავს როგორც მთქმელთა — რაეების ფაბრიკაციას, ბედუინთა ნაყალბევს, გრამატიკოსთა და ისტორიკოსთა ნახელავსა და კომენტატორებისა და ტრადიციონალისტების გამონაგონს [11]. ეს შეხედულება გაზიარებული არ იქნა არც ევროპელი და არც არაბი არაბისტების მიერ [12, 189—222]*.

მარგოლიუსის კონცეფცია ისლამამდელი პოეზიის სიყალბის შესახებ დაწვრილებით განიხილა არბერიმ და თითოეულ მის არგუმენტს დაუპირისპირა მეტად დამაჯერებელი კონტრარგუმენტები [1, 230—245]. დღესდღეობით გასაზიარებლად უნდა ჩაითვალოს ის აზრი, რომ ისლამამდელი არაბული პოეზიისა საერთოდ, და კერძოდ, მუ'ალლაკათის ზოგიერთმა ადგილმა მისი შექმნიდან ჩაწყვრამდე რაღაც ცვლილება განიცადა, მაგრამ როგორც ზემონახსენები სამეცნიერო ლიტერატურის განხილვა გვარწმუნებს, არ არსებობს საფუძველი იმისათვის რომ იგი მთლიანად ყალბად ან გვიანდელ ფილოლოგთა მიერ შეთხზულად მივიჩნიოთ. მუ'ალლაკები, როგორც ამას არაბთა ფილოლოგიური ტრადიცია ამტკიცებს სწორედ V—VI საუკუნის არაბული პოეზიის ძეგლებს უნდა წარმოადგენდეს, ოღონდ კრებულის შედგენა, უკანასკნელი გამოკვლევების საფუძველზე, როგორც ითქვა, VIII საუკუნიდან VII საუკუნეში გადაინაცვლებს.

ალ-მუ'ალლაკათი წარმოადგენს არაბული პოეზიის ერთ-ერთ ყველაზე აღრინდელ ძეგლს, მაგრამ არა პირველთაგანს. ისლამამდელი პოეზიისა, და კერძოდ, ალ-მუ'ალლაკათის ანალიზს მკვლევარები მიჰყავს იმ დასკვნამდე, რომ ამ პოეზიას წინ უძღოდა საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია. არბერი ალ-მუ'ალლაკათ-ში ხედავდა „მრავალ ნიშანს უკვე საკმაო წინასული ლიტერატურული ტრადიციისას: ხანდახან ისინი დეკადანსის ოდნავ სიმპტომებსაც კი ავლენენ“ [1, 251]. ბეიტსონის აზრით, „მუ'ალლაკათის კრებულში შემავალი კასიდები მიჩნეული უნდა იქნეს, როგორც „კულმინაცია ძველი ტრადიციისა“ [15, 23]. პეტრაჩეს არაბული პოეზიის საწყისები გადააქვს ჩვ.წ. V ს. ბევრად უფრო ადრე. არაუშუალო: ასირიული, ებრაული, უგარიტული, ძველევგებტური წყაროების ანალიზის საფუძველზე იგი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ჩრდილო არაბების ლიტერატურის ზოგიერთი უნარი ჰქონდათ ჯერ კიდევ პირველ ათასწლეულში ჩვენს წელთაღრიცხვამდე, ხოლო უშუალო წყაროები: საფას, თამუდის, ლიჰიანური წარწერები მოწმობენ, რომ არსებობდა ერთგვარი მემკვიდრეობითობა ლიტერატურული ტრადიციებისა. წარწერებში გვხვდება ისლამამდელი კასიდების ზოგიერთი მოტივი:

* ჯერ კიდევ ძველი არაბი ფილოლოგები და კომენტატორები აღნიშნავდნენ ამა თუ იმ ბეითის ინტერპოლაციის ფაქტს მუ'ალლაკათის ტექსტში და აზრთა სხვადასხვაობას ამა თუ იმ ბეითის მიკუთვნების გამო სათანადო ავტორისადმი. ასე მაგ., იმრუ'უ ლ-კაჰსის მუ'ალლაკის 49—52 ბეითებს ძველი არაბი ფილოლოგები ალ-ასმა'ი, აბუ ჰანაფა ად-დინავარი და იბნ კუთაბა მიაწერდნენ თა'აბბატა შარრანს. ას-სუჟქარის აზრით კი იგი იმრუ'უ ლ-კაჰსს ეკუთვნის და ჩართული აქვს მის მუ'ალლაკაში, ას-სუჟქარის შემდეგ ისინი სხვებმაც შეიტანეს იმრუ'უ ლ-კაჰსის მუ'ალლაკაში, მაგ., ათ-თიბრიზმი [13, 21] და მუჰამმად ალ-ხატტაბმა. შღრ. [14, 57].-ე. კრაჩკოვსკი ტაჰა ჰუსეინის ნაშრომის გამო აღნიშნავს, რომ „Едва ли в настоящее время кто-нибудь из ученых сомневается в том, что часть произведений так называемой доисламской поэзии подложна. Однако отсюда остается еще очень большой шаг до признания всей доисламской поэзии за позднюю подделку“ [12, 197] (ხაზი ავტორისა).

გლოვა სატრფოს გამო, მოტივი მეგობრებისა, საკუთარი თავის ქებისა, სახე სატრფოსი, რომელიც პოეტს ოცნებაში წარმოუდგება და სხვ. ისინი შეიცავენ აგრეთვე ანალოგიურ მოვლენებს ნაწარმოების ფორმისა — გართმულ ფორმისა და *parallelismus membrorum* [16,35—51]. ქვემოთ განხილული ძველი არაბული პოეზიისა, და კერძოდ, მუყალაკათის პოეტიკის ერთი თავისებურება — ე. წ. რთული არაბული სიმბოლოს გამოყენება, აგრეთვე უნდა მოწმობდეს საკმაოდ განვითარებული ლიტერატურული ტრადიციის არსებობას მსგავსი პოეტური კონვენციების შესაქმნელად.

მუყალაკების ადრინდელი კომენტარები ეკუთვნის გამოჩენილ ქუფელ ფილოლოგს ალ-ანბარის (გარდ. 939 წ.) და იბნ ქაჰსანს (გარდ. 932 წ.). ჩვენ ვეყრდნობით მათზე შედარებით გვიანდელ, მაგრამ როგორც შუა საუკუნეებში, ისე დღეს ყველაზე მეტად დაფასებულ და პოპულარულ აზ-ზაფჰანსსა (გარდ. 1093) [17] და ძველი არაბული პოეზიის ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული კომენტატორის ათ-თიბრინის (გარდ. 1109 წ.) ტექსტსა და კომენტარებს [13].

საკითხი, რომელიც განხილულია ამ ნაშრომში ეხება არაბული პოეზიის ერთ თავისებურებას, რომელიც ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ ისლამამდელ პოეზიაში და გვხვდება არაბული პოეზიის განვითარების თათქმის მთელ მანძილზე — დასახელონ არა საგანი, რომელსაც აღწერენ, არამედ მისი თვისებები. არსებითი სახელი შეეცვლილია სათანადო ზედსართავით. თვისება გვევლინება საგნის რეპრეზენტად — სიმბოლოდ. მაგ.:

تمسى وتصبح فوق ظهر حشية وابت فوق سرة ادهم ملجم

„დილას და საღამოს იგი (ქალი) ბალიშზე ატარებს, მაშინ, როცა მე ღამეს ვათევ ზურგზე შავისა, შეეკაზმულისა“ (ანთარა, 20) * VI ს. „შავი, შეეკაზმული“ აქ ცხენს აღნიშნავს.

يا من يلوم على حمراء صافية صر في الجنان ودعى اسكن النار

„შენ, ვინც ილანძობი წითელისა, კამკამას გამო, წადი საოთხეში, დაე, მე (ჯოჯოხეთის) ცეცხლში დავსახლდე“. აბუ ნუფსი [18, 111] IX ს. ** „წითელი, კამკამა“ აქ ღვინოს აღნიშნავს.

აღნიშნული მოვლენა შენიშნული აქვთ ჯერ კიდევ არაბ კომენტატორებს. მათ შრომებში ამ მოვლენის კვალიფიკაცია მოცემულია მხოლოდ გრამატიკულ დონეზე. არაბი კომენტატორები, რომლებიც ძირითად ყურადღებას უთმობენ ტექსტის გაგებას, ამა თუ იმ სიტყვისა და ფრაზის მნიშვნელობის დადგენასა და განმარტებას, სიტყვის მორფოლოგიურ დახასიათებას, როგორც ცნობილია, უმეტესად უყურადღებოდ ტოვებდნენ ნაწარმოების მხატვრულსა და იდეურ მხარესა და სტილის თავისებურებას. ეს მათ ამოცანას არც შეადგენდა.

აზ-ზაფჰანნი იმ ბეითის განმარტებისას, სადაც ადგილი აქვს ანალოგიურ მოვლენას აღნიშნავს ხოლმე, რომ „მოკვეცილია არსებითი სახელი, რადგან ზედსართავი მიუთითებს მასზე „შდრ. მაგ. [17,59], ზოგჯერ საგანგებოდ არ აღნიშნავს, რომ არსებითი მოკვეცილია, მაგრამ არსებითის გარეშე ნახმარი ზედსართავის გვერდით ასახვლებს არსებითსაც [17,18]. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ

* აქ და შემდეგაც მრავალ ფრჩხილებში აღნიშნულია მუნაღლაკის ავტორი და ბეითის ნომერი აზ-ზაფჰანის [17] ტექსტის მიხედვით.

** სიმბოლოს ხმარების შესახებ აბუ ნუფსთან შდრ. [19].

აზ-ზაგზანის აღნიშნული მოვლენა განხილული აქვს როგორც სინტაქსური ელემენტი სისის ერთ-ერთი სახეობა იმავე რიგისა, როგორც მაგ., წინადადებაში ზმნიცხანსა თესაობითი ბრუნვით განსაზღვრული სახელის გამოტოვება, როდესაც კონტექსტში ისედაც ცხადია მისი მნიშვნელობა [17, 18—21]. ათ-თიბრწინ ანალოგიური ზედსართავების განმარტებისას მიუთითებს მათ საგნობრივ მნიშვნელობაზე. მაგ. [13, 54]. იგი ან აიგივებს ზედსართავს არსებითთან, ან ზედსართავის გვერდით ასახელებს ნაგულისხმევ არსებითს. იშვიათად აღნიშნავს, რომ მოკვეცილია წინადადების რომელიმე წევრი [13, 34]. საინტერესოა ალ-ანბარის კომენტარი ამ მოვლენის კვალიფიკაციის თვალსაზრით. იგი მიიჩნევს, რომ ასეთ შემთხვევებში ზედსართავი ცვლის არსებითს, მას ამ უკანასკნელის ადგილი უჭირავს [20, 31—33] (ხაზი ჩენია, ნ. ფ.).

ამრიგად, ალ-ანბარის ხაზგასმული აქვს ერთი მეტად მნიშვნელოვანი მომენტი, არსებითის ჩანაცვლება ზედსართავით, თვისებით საგნის წარმოდგენა ტექსტში. შუა საუკუნეების არაბი ლექსიკოგრაფები ამ სიტყვებს. ხშირად განიხილავენ როგორც საგნის აღმნიშვნელ ცალკეულ სიტყვებს. შდრ. [21, 58]*.

ზოგჯერ ადგილი ჰქონდა საწინააღმდეგო მოვლენას. ზედსართავი ცხადდებოდა პოლარული მნიშვნელობის მქონე სიტყვად, როგორც მაგ., جو-ის შემთხვევაში. შდრ. [22, 27].

საყურადღებოა სენკოვსკის, კრაჩკოვსკის, ფიშერის მოსაზრებები, რომელნიც ეხებიან ამ მოვლენას სხვა საკითხებთან დაკავშირებით. სენკოვსკი იძლევა ამ მოვლენის დახასიათებას ისლამმდელი არაბული პოეზიის ნიმუშებისა და კერძოდ ლაბრდის მუ'ალლაკის თარგმანთან დაკავშირებით. მისი მთავარი თეზისია, რომ მუ'ალლაკათა თარგმანები ევროპულ ენებზე არ ითვალისწინებენ არაბული პოეზიის აღნიშნულ თავსებურებას და ამიტომ ისინი მხოლოდ მკრთალ და არაზუსტ წარმოდგენას იძლევიან არაბთა პოეტური აზროვნების ამ მხარეზე [23]**. ამ ზედსართავებს იგი უწოდებს ეპითეტებს. კრაჩკოვსკის ისინი მიაჩნია შედარების ერთგვარ სახედ — „კონდენსირებულ შედარებად“ (რაც, როგორც ცნობილია, იგივე მეტაფორა) ან ეპითეტად, რომელიც ცვლის საზოგადო სახელს [8, 253]. ლიპტენ-შტადტერი მას უწოდებს „სტერეოტიპულ მეტონიმის“ [24, 17—96], ფილშტინსკი—მეტონიმის [25, 224]. შიდფარი—ეპითეტს [26, 21, 36]. შედარებით ვრცლად ამ საკითხს ეხება ვ. ფიშერი. გამოკვლევაში „ფერისა და ფორმის აღნიშვნა ძველი არაბული პოეზიის ენაში“ (22) იგი შეეცადა დაედგინა სემანტიკური ბუნება ფერისა და ფორმის აღმნიშვნელ ზედსართავებისა საერთოდ, განურჩევლად იმისა, იხმარება ეს ზედსართავი სიმბოლოს სახით, თუ უბრალოდ მსაზღვრელის ფუნქციით. პირველი მას მიაჩნია სტილით შეპირობებულ მაიგივებელ დახასიათებად და უწოდებს ხან მეტონიმის [22, 20], ხან ეპითეტს [22, 40], ხან შემცვლელ სიტყვას (Ersatzwort) (21, 41). იგი არჩევს ნიშანთა (სიტყვათა) პრიმარულ და სეკუნდარულ მნიშვნელობას ან სახელდებას (Benennung), რაც, მისი სიტყვით, პოლისემიის საფუძველს წარმოადგენს. (მაგ., გერმ. სიტყვა Flügel ნიშნავდა „ფრთას“. ამ უკანასკნელთან მსგავსების გამო მუსიკალურ ინსტრუმენტს — რო-

* აქედან მთარული წარმოდგენა იმის შესახებ, რომ თითქოს აქლემის აღსანიშნავად არაბულს აქვს სამითასამდე სინონიმი, ხმლისა — თხასი და ა. შ. სინამდვილეში ეს სიტყვები წარმოდგენდა ამა თუ იმ პოეტის მიერ საგნის სხვადასხვა თვისების აღნიშვნას და მხოლოდ გარკვეულ პოეტურ, და არა ყოველ, კონტექსტში ეს ზედსართავი მიუთითებდა და წარმოადგენდა არსებითს. ერთი და იგივე არსებითი მრავალი სხვადასხვა ზედსართავით შეიძლება ყოფილიყო გამოხატული.

** უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ ხანებში შესრულებული თარგმანი მ. ბეიტსონისა [15, 135—176] არ იძლევა საამისო საფუძველს.

ილსაც დაერქვა იგივე სახელი. ამდენად Flügel -ის პრიმარული მნიშვნელობა „ფრთა“, სეკუნდარული — „როიალი“, ორივე მოქმედი და მყარი გერმანულში). მაგრამ ფიშერი სეკუნდარულ მნიშვნელობად მიიჩნევს არა მხოლოდ პრიმარული მნიშვნელობის საფუძველზე აღმოცენებულ მყარ მეორად მნიშვნელობებს, არამედ ზედსართავთა იმ ნებისმიერი, არამყარი მნიშვნელობით ხმარებასაც, რასაც ადგილი აქვს არაბულ პოეზიაში ზედსართავით არსებითის შენაცვლებისას. მაგ. **حون** პრიმარულ მნიშვნელობად მიჩნეულია „ფერიანი, მკაზნე ფერის მქონე“, სეკუნდარულად — „ინტენსიური შავი, თეთრი, მწვანე, ყავისფერი“ (22,30). სეკუნდარულად არის მიჩნეული აგრეთვე **جود**-ის ის სხვადასხვა სპორადული მნიშვნელობა, რასაც ის იძენს სხვადასხვა პოეტურ კონტექსტში: „ჩამავალი მზე“, „დღე“, „კუპრით შეფერილი დოჭი ან სათლი“, „მთის მწვერვალი“ [22,31] და სხვა.

ამრიგად, არაბ ფილოლოგთა შრომებში აღნიშნული მოვლენა კვალიფიცირებულია, როგორც სინტაქსური ელიპსისი (ან-ზავხანნ, ათ-თობრნზნ, ალ-ან-ბარნ), ან შენაცვლება არსებითისა ზედსართავით (ალ-ანბარნ, შდრ. ფიშერი (შემცვლელი სიტყვა—ერზაცვორტ). ორიენტალისტთა შრომებში გაკვრით მაგრამ მაინც ყურადღება ძირითადად გამახვილებულია ამ მოვლენის პოეტური გამომსახველობის მხარეზე და კვალიფიცირებულია როგორც ეპითეტი (სენკოვსკი, კრაჩკოვსკი, ფიშერი), კონდენსირებული შედარება (კრაჩკოვსკი), მეტონიმია (ლიპტენშტადტერი, ფიშერი, ფილშტინსკი).

რა შეიძლება მივიღოთ არაბ ფილოლოგთა დაკვირვებებიდან? მართებული ჩანს მათ მიერ ამ მოვლენის კვალიფიკაცია როგორც ელიპსისისა, ოღონდ ერთ სიბრტყეზე განხილვა ამ მოვლენისა ელიპსისის სხვა შემთხვევებთან ერთად არ გვეჩვენება მიზანშეწონილად, რადგან მიჩქმალება მისი თავისებური, განსხვავებული ბუნება ელიპსისის სხვა სახეებისაგან. არსებითის შენაცვლება ზედსართავით არაბულ პოეზიაში—ატარებს სისტემატურ ხასიათს, რაც წარმოადგენს ხატის შექმნის ერთ-ერთ პოეტურ ხერხს და ემყარება გარკვეული სემანტიკური სტრუქტურების არსებობას ენაში. შდრ. [27], ხოლო მოკვეცას (**حذف**), ან ელიპსის სხვა შემთხვევებს, რაზეც არაბი ფილოლოგები მიუთითებენ: შემასმენლის გამოტოვება წინადადებაში, ნათესაობითი ბრუნვით განსაზღვრული სახელის გამოტოვება და სხვ., არა აქვს სისტემატური ხასიათი, ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც საჭიროა თავი აარიდონ ერთი და იმავე სიტყვის გამეორებას, რადგან სიტყვა უკვე ნახსენებია წინ ტექსტში. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ერთი სიტყვა მეორის შემნაცვლებლად, რეპრეზენტატად არ იხმარება და არც „სტილით არის შეპირობებული“, როგორც პირველ შემთხვევაში. მართებულად აქვს შენიშნული ალ-ანბარნს, რომ ზედსართავი ასეთ შემთხვევაში დგას არსებითის ადგილას, რაც იგივეა, რაც ფიშერის „შემცვლელი სიტყვა“. ელიპსისის სხვა შემთხვევებში კი ასეთი შემცვლელი სიტყვა ჩვეულებრივ არ არის. რაც შეეხება ასეთი ზედსართავისათვის საგნობრივი მნიშვნელობის მინიჭებას, ეს მართებულად არ მიგვაჩნია. რადგან ზედსართავი რომ საგნისა და არა თვისების აღმნიშვნელ სიტყვად მივიჩნიოთ, მნიშვნელობა უნდა იყოს მუდმივი და მყარი და არა სპორადული. მაშინ იგი ჩაითვლებოდა ე. წ. გასუბსტანტივებულ ზედსართავად, რისი მაგალითებიც სხვა ენებშიც მოიძებნება (მაგ. მახვილი—ხმალი). ფიშერის შრომაში საყურადღებოა ასეთი ზედსართავების მიჩნევა სტილით შეპირობებულ მაიგივებელ დახასიათებად, შემცვლელ სიტყვად (ერზაცვორტ). მაგრამ მართებულად არ მიგვაჩნია მყარი და სპორადული მეორადი მნიშვნელობების ერთ სიბრტყეზე განხილვა, რადგან დაიკარგება არსებითი თავისებურება ამ მოვლენისა და მაშინ თითოეული ასეთი ზედსართავი მიჩნეული იქნება ან ომონიმად რამოდენიმე სრულიად განსხვავებული

მნიშვნელობით (جون = „ჩამავალი მზე“, „მწვერვალი“, „ლოქი“) ან პოლისემიის გასაოცარ მოვლენად.

ეროვნული
კვლევითი ცენტრი

არის თუ არა ასეთი ზედსართავი „კონდენსირებული შედარება“, ან „მეტონიმია“? შედარებად მიჩნევა ამ ზედსართავებისა გაძნელება, რადგან სწორედ შედარების მომენტი აქ გამოირიცხული. ამ ზედსართავებით ჩვეულებრივ ფიქსირებულია საგნის რეალური, ობიექტური თვისებები, ან ობიექტურად შესაძლებელი თვისებები. აქ გამოირიცხულია შეფასების მომენტი, ან სხვა საგნის თვისებებთან შედარება. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი სრულიად გაუგებარი იქნებოდნენ. ვინაიდან საგანს მისი რეალური თვისება წარმოგვიდგენს, თვისებაში უნდა ამოვიცნოთ საგანი. შვიდი მუ'ალლაკის ტექსტში ნახმარი ამგვარი ზედსართავებიდან ყველა ასახავს ამა თუ იმ საგნის რეალურ თვისებას და არა მის შედარებას სხვა საგნის თვისებასთან ან სხვა საგნის თვისების გადმოტანას, რაც მეტაფორისთვისაა ნიშანდობლივი. მაგ., „თეთრი“—ხმალი, „სათუთი“—ლაწვი. „ავგაროზებიანი, ერთი წლისა“—ბავშვი. „იემენელი, ტყავის ჩანთებიანი, დატვირთული“—უკარი და სხვ. იშვიათად ამგვარ ზედსართავთა რიგში შეიძლება აღმოჩნდეს ე. წ. მეტაფორული ზედსართავიც. შდრ. [28, 137—138].

ეპითეტი, მეტაფორა, მეტონიმია, შედარება ტროპის სახეებად ითვლება, რომლის ძირითად თავისებურებად გვევლინება ერთი საგნის თვისების მეორეზე გადატანა პოეტის მიერ მათ შორის მსგავსების აღმოჩენის საფუძველზე. შედარების და მსგავსების მომენტის გამოირიცხვა თავისთავად ხსნის მათი ტროპისადმი მიკუთვნების საკითხს. გარდა ამისა, ეპითეტი ან „მხატვრული განსაზღვრება“, ჩვეულებრივ იხმარება სათანადო არსებითთან ერთად. აქ კი როგორც წესი განსაზღვრება საზღვრულის გარეშე იხმარება და თუნდაც მხოლოდ ეს უკანასკნელი მომენტი მათ შორის უდიდეს ფორმალურ განსხვავებას ქმნის.

აღნიშნული ხერხი მუ'ალლაკების ავტორებთან შემთხვევით ხასიათს არ ატარებს, იგი საკმაოდ ხშირია. მუ'ალლაკათის ტექსტის 567 ზედსართავიდან (სახელთა საერთო რაოდენობაა 2381) დაახლოებით 50% ნახმარია ამგვარად.

აღნიშნული ხერხი ჩვენ მიერ კვალიფიცირებულია, როგორც სიმბოლო—პირობითად—არაბული სიმბოლო [27], სიმბოლოს გუწოდებთ სიტყვას (ან სიტყვათა ჯგუფს), რომელიც გარკვეულ პოეტურ კონტექსტში გვევლინება სხვა სიტყვის რებრეზენტატად. ე. ი. სიტყვა ცვლის მეორე სიტყვას და ეს მიმართება მათ შორის მოცემულ პოეტურ კონტექსტში (და არა ენაში საზოგადოდ) არის ცალსახა. ეს უკანასკნელი განსხვავებას მას მრავალნიშნად სიმბოლოსაგან, ამ სიტყვის გაგებით ტრადიციულ პოეტიკაში. სიმბოლოთა დიდი ნაწილი (დაახლ. 52%) მუ'ალლაკათში წარმოადგენს

სხვადასხვა ტიპის ზედსართავებს 'فعل , فعل , فعل , فعلة , فعل , فعلاء—افعل

فعلة فعل فعالية فعل مفعول مفعلة فعل فعالة—فعال فعلول فعيلة فعيل فعل

არის რამოდენიმე იძულებულია ზედსართავი عندل طمطم بكنة status
constructus-ში, ნისბიანი ზედსართავები, فعل فعالية فعل فعيل فعالية فعل فعيل فعيل مفعول
არამოდენიმე ზედსართავი და არსებითი, დანარჩენია სხვადასხვა თემის მიმღებები.

„მუ'ალლაკათში“ აგებულების მიხედვით გამოიყოფა სიმბოლოთა სამი ტიპი:

1. მარტივი—სიმბოლოს ქმნის ერთი სიტყვა: მაგ., „სათუთი“—ლაწვი خفلاء

—„გლუვი“, „სიპი“—ლოდი, კლდე. عشاء — „ბეცი“ (დედალი) აქლემი, მსახურ
„ყურმოკლე“, სირაქლემა და სხვა.

م من تخطىء فيهم رأيت المانيا خيط عشاء * من تصب تمته ومن تخطىء فيهم
ბეცის წიხლად, ვისაც მოახვედრებს, მოკლავს, ვისაც ააცდენს, ის კი მიიხრწნე-
ბა“ (ზუჰაჰარი, 48). عشاء—აქ ბეც აქლემს ნიშნავს.

შებრუნდება და გა-
მოაჩენს სათუთს (ოვალურს) და მიგვიჩვენებს ვაჯრის (სანახთა) ნუკრიანი ქურ-
ციკის მზერით“ (იმრუ'ულ-კაჰსი). 2. მეორე ტიპის სიმბოლოა შედგენილი სიმბოლო.
ამ შემთხვევაში სიტყვის რეპრეზენტატს წარმოადგენს ორი ან რამოდენიმე ზედ-
სართავი, რომელიც აზუსტებს ერთმანეთის მნიშვნელობას და ყველა ერთად მიუთი-
თებს შესაცვლელ (ნაგულისხმევ) სიტყვაზე.

اغضف داجنة قافل اعصاما — „ყურჩამოყრილი, გაწვრთნილი, მუცელმიკრული“
იგ. ძალი (მწვეარი).

حتى اذا يشس الرماة أرسلوا غضفا دواجن قافلا اعصاما
გაუწყდათ, მიუშვეს ყურებჩამოყრილნი, გაწვრთნილნი, მუცელ-
მიკრულნი“ (ლაბნდი, 49).

الياماني ذوالعياب المحمل — „იემენელი, ტჭავის ჩანთებიანი, დატვირთული“ აქ
ვაჭარს აღნიშნავს.

القي بصحراء الغبيط بعاهه * نزول اليماني ذى العياب المحمل
ტივრითი ალ-ღაბრის უღაბნოში, როგორც იემენელმა, ტყავის ჩანთები-
ანმა, დატვირთულმა“ (იმრუ'ულ-კაჰსი, 78).

عيطل ادماء هجان اللون بكر — „გრძელკისერა, მოთეთრო, უმწიკვლო ფერისა,
ნამიანი იალალით გამოკვებილი.“ აქლემს აღნიშნავს შემდეგ ბეითში:

تريك ... ذراعى عيطل ادماء بكر هجان اللون لم تقرأ جيننا

„დავანახებს იგი (ქალი) მკლავებს (ისეთს როგორც არის წინა ფეხები) გრძელ-
კისერასი, მოთეთროსი, ნამიანი იალალით გამოკვებილისა, რომელსაც
ჯერ არ უშობია“ (ამრ იბნ ქულსუმი, 15). უფრო ხშირია სიმბოლოები,
რომელნიც ორი ან სამი ზედსართავისაგან არიან შედგენილი. მუ'ალლაკაში
გვაქვს ორი საკმაოდ გრძელი სიმბოლოც; იმრუ'ულ-კაჰსთან 12 ზედსართავისაგან
შედგენილი სიმბოლო, რომელიც ცხენს აღნიშნავს და 16-საგან შედგენილი
— აქლემის აღსანიშნავად ტარაქასთან. 3) გამოვეყოფთ აგრეთვე მესამე ტიპის
სიმბოლოებს, რომელსაც ვუწოდებთ რთულ სიმბოლო; იგი შედარებით იშვი-
ათად გვხვდება. მუ'ალლაკაშიც ტექსტში სულ რამოდენიმე ასეთი სიმბოლოა და-
დასტურებული. თუკი პირველი ორი ტიპის სიმბოლოში გვაქვს სიტყვა, რომელიც
იგულისხმება და სიტყვა ან სიტყვათა ჯგუფი, რომელიც ამ ნაგულისხმევ სი-
ტყვას ცვლის და მასზე მიუთითებს, ვთქვათ, „მოწითალო“ (ცხენი) ან
სწრაფი, ვეება, დაჭრილი (ცხენი) და ამდენად, აქ ერთი საფეხური გვაქვს
უცნობი სიტყვის შესაცნობად, არის სიმბოლოები, სადაც ორი უცნობი გვაქვს,
სადაც ორი საფეხური უნდა განვლოთ უცნობის შესაცნობად, მაგ. حلت بأرض
محرمة „ის დაესახლა მბღღვინათა მხარეში, და
ძნელი შეიქნა ჩემთვის შენთან მოღწევა, მახრამის ასულო“ (ანთარა, 10).

„მბღღვინავი“ აქ ნიშნავს ლომს, ხოლო ლომი — მტერს. ამრიგად აქ იქნება მბღღვინავი → (ლომი) → (მტერი). ასევე გარკვეულ კონტექსტში შლილი, გაფურჩქნული ნიშნავს გვირილას, ხოლო—გვირილა მოლიმარ ბაგეს.

منور — გამწლილი → გვირილა → ბაგე (ტარაქა, 8).

احوى — მუჭქუთუთობა → ქურციკი → ქალი, სატრფო (ტარაქა, 6)

اغلب — სქელკისრიანი → ლომი → ძღვეამოსილი კაცი (ლაბნდი, 71).

ذية — მაჩანჩალა → გაძვალტყავებული აქლემი → ღარიბი დედაკაცი (ლაბნდი, 76).

ز فوف — სწრაფმორბენალი → სირაქლემა → აქლემი (პარის იბნ ჰილიზა, 10).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რთული სიმბოლოს გამოყენება უნდა მოწმობდეს საკმაოდ ხანგრძლივ ლიტერატურულ ტრადიციას. და რატომ? თუკი გამოტოვებული სიტყვის მნიშვნელობას ტექსტში (და ამდენად, სიმბოლოს მნიშვნელობას) გამოგვაცნობინებს სემანტიკური ველი, რომლის წევრადაც იგი გვევლინება, ზოგიერთი სინტაქსური მაჩვენებელი, სიტუაციური კონტექსტი და სხვა შდრ. [27], რთულ სიმბოლოში ეს გამოტოვებული სიტყვა, ჩვეულებრივ, მეტაფორაა, რომელიც თავის მხრივ გამოსაცნობია. ამ შემთხვევაში მეტაფორის მნიშვნელობას ვერ ამოგვაცნობინებს ვერავითარი ენობრივი მაჩვენებელი. ვინაიდან იგი სრულიად კონვენციონალურია. ეს უკვე პოეტიკის ე. წ. „მეორადი მამოღელირებელი“ სისტემის დონეა. აქ უნდა ჩაერთოს მკითხველის (resp, მსმენელისა — ისლამამდელ ხანაში) ცოდნა, რომელმაც უნდა იცოდეს, რომ „ქურციკი“ ამ პოეზიაში პოეტური კონვენციის ძალით ღამაზი ქალის, სატრფოს მეტაფორაა. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს „ორმაგი გამოცანა“ გამოუცნობი დარჩება. ასეთი ცოდნა მკითხველისათვის, ცხადია, რაღაც პოეტურ ტრადიციას უნდა ემყარებოდეს.

ამ სიმბოლოებს არა აქვთ ერთი და იგივე, მყარი და მუდმივი მნიშვნელობა. მათი მნიშვნელობა სპორადულია და ჩნდება და ქრება კონტექსტთან ერთად. ამიტომაც ხშირად ერთი და იგივე სიტყვა — ზედსართავი შესაძლებელია სხვადასხვა შინაარსის სიმბოლოდ მოგვევლინოს, მაგ. كميء „მოწითალო“ — მუ'ალლაკათ“—ში გვხვდება, ორჯერ. ერთხელ ცხენისა და მეორედ ღვინის სიმბოლოდ. ضاف — „სქელი, ხშირი“ ადამიანის თმისა და ცხენის კუდის, ძუის სიმბოლოდ. جون და جونة „მუქად მოელვარე“ — დოქისა და მთის მწვერვალის სიმბოლოდ. მეორე მხრივ, ერთი და იგივე საგანი გამოხატულია სხვადასხვა სიმბოლოთი, მაგალითად აქლემისათვის „მუ'ალლაკათში“ გვხვდება 21 სხვადასხვა სიმბოლო, ცხენისათვის—9, ხმლისათვის—8, ქალის აღსანიშნავად—4, კლდისა-ლოდისა—4, შუბისა—2, კუდისა 2 და ა. შ.

ერთსადაიმევე მუ'ალლაკაში, ჩვეულებრივ, არ მეორდება ერთიდაიგივე სიმბოლო. გამონაკლისს წარმოადგენს პარის იბნ ჰილიზას მუ'ალლაკა. სადაც— „მტერიანი“ ორჯერ გვხვდება — გვალვის, გვალვიანი წლის სიმბოლოდ.

„განა ჩვენ გვაწვევს ბრალი ჰანბიას (ტომისა), ან იმ მებრძოლთა, მტერიანმა (გვალვიანმა წელმა) რომ შეკრიბა (საძარცვად)? (პარის იბნ ჰილიზა, 76).

اسد في اللقاء ورد هموس وبيع ان شمريت غبراء


„ლომი — ბრძოლაში, წითური; ხმაურიანი, გაზაფხულის (წვიმა), როდესაც მტერიანი (გვალვიანი წელი) დააპირებს მოსვლას“ (პარის იბნ ჰილიზა, 57).

ქვემოთ წარმოდგენილია ლაბინდის მუ'ალლაკის თარგმანი, რომელსაც საფუძვლად უდევს აზ-ზავზანნს [17] ტექსტი და კომენტარები და ბრუნს [13] კომენტარები. თარგმანში დაყოფით მოცემულია სიმბოლოები მნიშვნელობა ახსნილია განმარტებებში.

ლაბინდის მუ'ალლაკა


1. გაუჩინარდნენ სავანენი მისნი მინაში, ხანმოსათევი, თუ ხანდახანით
სასუფეველი,
გაუდაბურდა მისი ლავლი, მისი რიჯამი.
2. და არ-რიანის ღარტაფები. გაშიშვლებულა მათი კვალი—გადაცვეთილი,
ვით წარწერა ძველი ლოდებზე.
3. ჩაშავებული ნაშთები კარვის... წარვიდნენ წყლნი, რაც დატოვეს მისთა
მცხოვრებთა.
ამ წელიწადთა აკრძალულნიც, ნებადართულნიც.
4. ასაზრდობდა მათ გაზაფხულის მნათობებთან (შობილი წვიმა),
მგრგვინავთ ნაჟური დასდიოდა — თქეში და თქორი,
5. ყოველი ღამით მოსულისა, დილით მოსულის, მოქუფრულიც
და დაისისა, ერთმანეთთან, გრუხუნით რომ მუსაიფობენ.
6. ამოწვერილან ინდაუს რტონი, მომრავლებულან
ორივ ფლატეზე ქურციკები და სირაქლემანი.
7. თავის ჩვილებთან დასახლებულან აქ თვალფართონი, ახლადზვებულნი,
ხოლო ტრამალზე ჯოგად დადიან წამოჩიტული მათი ნუკრები.
8. ნაკადულები სადგომთა კვალს წარმოაჩენენ,
თითქო ნუსხაში აღადგენენ ნაწერს კალმებით.
9. ანდა დიაცი (ხელზე) სვირინგს განიახლებდეს,
ქუპლს აყრის რგოლებს და სვირინგი ამოდის ზემოთ.
10. ვიდექი და ვკითხულობდი, (საით წავიდნენ),
მაგრამ რა ვკითხოთ, მყაროთ, მარადიულთ, მეტყველება ვისაც არ
ძალუძს?!
11. დაცარიელდნენ (დრო იყო როს) ყველა იქ იყო. განთიადისას გავმართნენ
და თხრილები-ლა დარჩენილა (სადგომის ირგვლივ) და საცობები, (კარავში
რომ ხვრელებს ჰგმანავენ).
12. შენ აგათრთოლა, ტომის ქალნი (აქლემზე შედგმულ) ტახტრევენებში გზას
რომ დაადგენ
და ჩამალნენ ტილოს მიღმა, მიჭრიალებდა ჩარდახები (ტახტრევენებისა).
13. სამოსი ყოველ შეფუთულზე გადმოფენილი, ჩრდილს რომ ჰფენდა
ტახტრევენის სვეტებს
იყო თითქო კრეტსაბმელი და (თხელი) ფარდა.
14. გუნდ-გუნდად (ისხდნენ). ვით ფურირემნი თუდიპის (მხარის),
ან ქურციკნი ვაჯრის (სანახთა), ალერსიანად რომ ჩასცქერენ თეთრ ნუკრებს
თვისას.
15. აჩქარეს და გაიელვეს (შუა) მირაჟში
და იყვნენ თითქოს ხვეულები ბიშას (ვადისა), თამარინდები, ლოდები
მისი.
16. მაგრამ ნავარს რად იხსენებ, ის შორს წავიდა
დაწყვეტილია (ყველა) ძაფი, (ყველა) ევანი.

17. მუროველი ქალი დაბინავდა (აღბათ) ფაიდას,
დაუმეზობლდა ჰიჯაზელებს და ნანდაურს როგორ მისწვდები?!
18. სუფევს ორი მთის აღმოსავლეთით ან მუჰაჯირას,
ან ფარდაშია ანდა რუხამში
19. ან სავაიკში, თუ გაუყვა იამანისკენ,
იქ არის იგი—ვიხად ალ-კაპრს, ანდა ტილხამას.
20. ო, წარიკვეთე ლტოლვა მისდამი, ვისაც მეტად ვეღარ მიადწევ,
მიჯნურთა წორის უარესია ის, რომელიც გასწყვეტს (სიყვარულს).
21. და შეიყვარე თავდავიწყებით მარტოოდენ ის, ვინც შენ გაამებს,
მაგრამ როდესაც წაიფორხილებს ან გზას ასცდება (მისი გრძნობა),
მიიტოვე და
22. (გააქროლე) მოგზაურობით ქანცგამოცლილი,
(გრძელმა სავალმა) რომ დაამჭლევა, და ჩამოუხმო ზურგი და კუხი.
23. და თუმცა ხორცი დაუყრია გაძვალტყავებულს,
თუმცა ნალებიც დამსხვრევია ილაჯგაწყვეტილს,
24. მიინც ხალისით მიჰქრის აღვირში, ვით მეწამული,
რომლის ნაფლეთს, წვიმისაგან დაცლილს მიაქრიალებს ქარი სამხრეთის.
25. ან ისე, როგორც ჯიქანსავსე, თეთრგავიანმა, რომ დაამკა,
სხვა ულაცთ დევნით ჩამომხმარმა, ცემით და კბენით.
26. აპყავს კუზიან ბექობზე გადატყავებულს
და აბნევს მისი ურჩობა და უინიანობა
27. და უკაცრიელ თვალსაწიერს გადმოსცქერის თალაბუთის დარანებიდან
და გზის სანიშნე ლოდები აკრთობს.
28. და ჯუმიდაც რომ მიიწურა ექვსი თვის მერე.
თავი გაჰქონდათ წყლის მაგიერ ოდენ ცვარნამით,
29. მაშინ გადაჭრით განიზრახა გამობრუნება
და წარმატება მუდამ ახლავს მტკიცე განზრახვას.
30. გამოექანენ, ესობოდათ ჩლიქებში ნარი.
ზაფხულის ქარი ტრიალებდა, მისი ნიავი და მისი ხვატი.
31. და მოათრევდნენ — წაგრძელებულს
და მისი ჩრდილი მიაგავდა დანთებულის კვამლს, მოგიზგიზისას.
32. ჩრდილოს ქარისგან გაჩადებულს, ნედლი და ხმელი შეშით ანთებულს,
ვით იმ ცეცხლის ალს, ბოლქვები რომ ზემოთ მიქრიან.
33. მიდის ულაცი, წინ გაიგდო (ჭაკი კანჯარი),
ასე სჩვევია ჩამორჩება ოდესაც (ჭაკი).
34. მერე შევიდნენ შუა დღეში,
გააპეს სავსე, ხშირი ლერწმით შემოჯარული.
35. ლელიანს შუა, დაბურული, ჩრდილს რომ ჰფენდნენ
ჭალის ლერწამნი დახრილნიც და ზეადმართულნიც.
36. ასეთია თუ ჰვავს იმ ფურირემს,
მხეცმა რომ ნუკრი დაუვლიჯა, ჯოგის ბელადთან დატოვებული და
მინდობილი.
37. ბრტყელდრუნჩას ნუკრი დაუკარგავს და არ ეშვება
წრიალს და ბლავილს (ქვიმებშუა) დაცემულ ველზე.
38. ძირს დაგდებული თეთრისათვის, რომლის ნაწილთ
აქეთ-იქით ითრევენ რუხნი, მომპოვებელნი და ჩანთქავენ
შეუჩერებლად.



39. მოუღიანებულად თავს დააცხრნენ. მიზანს ეწივნენ.
ბედისწერა ხომ არ ააცდენს ისარს სამიზნეს.
40. ღამით ფურჩრემს თავს ესხმოდა (წვიმა) მწვეთავი შეუწყვეტიდან
მორწყო ქვიშნარი ჭალიანი მისმა ღენამ შეუჩერებმა.
41. კუდიტ კისრამდე დასდიოდა გადაუღები
იმ ღამით, ოდეს ვარსკვლავები ჯანღმა დაფარა.
42. და შეეფარა გაფანჯრის ძირს, განაპირებულს,
ქვიშის ბორცვებთან, რომ სცვიოდა ქვიშა ფხვიერი.
43. და ლიცლიცებდა ის წყვილიადში, შუქთამფინარი,
ვით მარგალიტი ზღვაში მყოფის, მიძევებიდან ამოღებული,
44. განთიადისას გამოვიდა, როცა განათდა და უკუნი მიმოიფანტა
და უსხლტებოდა ნოტიოზე (ფეხი) ისრის (დასაღარები).
45. დამწუხრებული დაძრწოდა იგი შვიდი ღამე და (ღამის) ტოლი შვიდი
სრული დღე
სუიადის ნაკადულებთან.
46. მერე როდესაც რძე გაუშრა სასოწარკვეთილს,
არ გაუქვრია, ის წოვას და ძუძუს მოწყვეტას,
47. და ყური მოჰკრა ხალხის ხმაურს,
დაფრთხო ჩქამმა მოღწეულმა შეუცნობრდან, და ხ.ლხია სამსალა მისი,
48. თავაწყვეტილი გაექანა, ასე ჰგონია,
საშიშროება წინ მოელის და უკან მოსდევს.
49. ხოლო მოისართ როს იმედი გარდაიწყვიტეს,
გამოადვენეს ყურჩამოყრილნი, გაწვრთნილნი და
ფერდებმჭკრულნი
50. და დაეწიენ. მობრუნდა, რქები მოუღერა მკრელი, სრულქმნილი,
ისეთი, ვით სამჰარიული.
51. უწყოდა, თავს თუ ვერ დაიხსნის, მოახლოვდება აღსასრული,
სიკვდილთ შორის მისი კუთვნილი.
52. აი, განგმირა მან ქასაბი, სისხლში შეღება,
დანარცხებული ბრძოლის ველზე დარჩა სახამი.
53. და შუადღის წინ, როს ელვარე როკავს (აღმური),
ბორცვნი მირაჟის წამოსასხამს წამოისხამენ, (ყინს) ასეთი.
54. (აქლემით) ვიკლავ, თუმცა იჭვს შინაგანს არ დავტოვებ უგულისყუროდ,
რათა არ ჰკიცხონ გამკილავთა ჩემი სურვილი.
55. ო, ნავარ, ნუთუ არ უწყოდნი.
მე კვანძის შეკვრა თუ შემიძლია, გაწყვეტაც ძალმიძს?
56. ვტოვებ იმ ადგილთ, სად სიამეს ვეღარ ვპოულობ,
თუ სული ჩემი აღსასრულმა არ მიაჯაჭვა.
57. ო, შენ არ უწყვი, ამო ლხინსა, გარემოცულს საამური მენახებით,
თუ რაოდენი მყუდრო ღამე
58. გამითევია მასლაათში, სირაჯს (აღამი) რომ აუღია
და ღვინის ფასს აუწევია, მაშინ მისულვარ
59. და მიყიდა ძვირად ყოველი კუბრის ფერით ძველით ან
შავით.
- გადმოსხმულა, საცობი რომ მოუმსხვრევიათ.
60. რამდენჯერ დილით თავანკარას დავწაფებვიარ,
ოდეს მხევალი მოზიდავდა სიმებდაჭიმულს და თითებით შეეხებოდა.

61. (მისი) წყურვილით გარიჟრაჟისას დავასწრებდი მამლების ყივილს,
თასს თასზე ვცლიდი, მძინარენი რომ იღვიძებდნენ.
62. ბევრჯერ ლაგამი ამომიღვეს ქარიანი და ცივი დილისთვის,
რომლის სადავე ჩრდილოეთის ხელში ყოფილა.
63. მე ტომს ვიცავდი, საჭურველი მიჰქონდა სხარტსა
და აღვირს (მხარზე) სარტყელივით გადავივდებდი.
64. და ავდიოდი მე სამზირზე ვიწროს, მტვრიანის
კორიანტელი იქ ავარდნილი მტრის აღმებამდე გადასწვდებოდა.
65. მანამდე ვიდრე ყოვლისმფარველს მზე ხელს არ ჰყოფდა
და უკუნეთი მოიცავდა საშიშ ხევ-ხუეებს.
66. ჩამოვივაკე, ჩემი ცხენი, ყალყზე დამდგარა,
ვითარცა ღერო ცადაწვდილის, ბალანმოკლესი, დამკრფეს რომ
აკრთობს.
67. და გავაჭენე და გავდეენე ვით სირაქლემა,
როცა შეხურდა და ძვლები კი შეუშუსუბუქდა,
68. უცახცახებდა უნაგირი, მკერდზე ხვითქი გადასდიოდა
და ქაფისაგან დაუსველდა მოსართავეები.
69. ყელს მოიღერებს, თითქო ლაგამს დაძგერებაი,
მიჰქრის, ვით მტრედი წყურგილესკენ, მტრედის გუნდი რომ მისწრაფვის.
70. ბევრჯერ ყოფილა, უცხოელნი, უცნობები
სასობენ წყალობას და აკრთობთ გაკიცხვა.
71. სქელკისრიანნი სიძულვილით იღრინებიან
აღ-ბედიელი ჯინებივით, ფეხზე რომ მედგრად გაჩერებულან.
72. უარმიყვია მე იმათი (დავა) ამო და მიმიგია, ჩემი რწმენით, რისი
ღირსიც იგი ყოფილა.
კეთილშობილნი იქაურნი ჩემთან ვერას დაიქადნიან.
73. ბევრჯერ ხალხი მომიწვევია, რომ დაეკლათ ტოლ ისრებზე მაისირისა
აქლემები მაისირის მოთამაშეთა.
74. ვიწვევდი, ისრით აერჩიათ ხორცი ბერწის თუ შვილიანის,
იხარჯებოდა ხორცი ყველა მეზობლისათვის.
75. სტუმარიცა და მეზობელიც შორით მოსული ისეა ჩემთან,
თითქო თაბალას ჩამოსულიყოს (უხვ გაზაფხულზე).
76. მოდის ყოველი მაჩანჩალა თავშესაფარად ჩემი კარვის წალაებისკენ,
დასადარი სვედავისილისა, (შემოსილი) მოკლე ძონძებით.
77. და გვირგვინივით შემოერთყმინ (ჩემი წვნიანის) გრძელ ნაკადებს მისი
ობლები,
როცა ერთმანეთს ასკდებიან პირის ქარები.
78. ოდეს შეკრება ჯამათი (სხვადასხვა ტომის), ყოველთვის არის
ჩემი (ტომიდან კაცი) ჩამქრობი უთანხმოების, ვინც სიმძიმეს თვითონ
იტვირთავს.
79. განმრიგებელი, ვინც ტომს მიაგებს თავის კუთვნილს,
თავგამოდებით რომ დაიცავს მის უფლებებსა და დათრგუნავს (ზოგიერთ
სურვილს).
80. მაღლით (მჭმნელი ყოვლისა ამისა), ხელგაშლილი, სულგრძელი და
კეთილშობილი,
ვინც მოიპოვებს (ვითარცა) ნადავლს ღირსებათაგან საუკეთესოდ.



81. (შთამომავალი) იმ ტომისა, მამა-პაპათ რომ დაუდგინეს ადათწესები, და ყოველ ხალხს აქვს თვისი წესი, ჰყავს იმამი (რომელსაც მისდევს).
82. არ შეზღუდულა ღირსება მათი, არ არის ფუჭი მათი საქმენი, რამეთუ ვენებას არ აპყვება მათი გონება.
83. იყავ ნეტარი შით, უფალმა რაიც გარგუნა, რამეთუ ჩვენში თვისებანი ყოვლადმცოდნემ განაწილა.
84. როდესაც ხალხში განაწილდა პატიოსნება, განმრიგემ წილი უმეტესი ჩვენ მოგვაკუთვნა.
85. და ავფიგო მან სადგომი ჭერით მაღალით და აღმაღლდნენ (იმ ჭერამდე), როგორც ყრმანი, ისე ვაჟკაცნი.
86. ტომს რომ იცავენ ძნელბედობისას, რაინდები და მსაჯულნი მისნი.
87. გაზაფხულივით (ხელგაშლილნი) მეზობლისათვის, და უსახსრო დედაკაცთათვის გრძელ წელიწადს (ვაჭირვებისა).
88. ეს (ის) გვარია მოშურნე რომ ვერ შეაყოვნებს ერთმანეთის დასახმარებლად და მტერს იმათგან, მდაბალიც რომ არ მიემხრობა.

ს ი მ ბ ო ლ ო ე ბ ი

- ბ. 3 აკრძალული → თვე
ნებადართული → თვე *
- ბ. 4 მგრგენავი → ღრუბელი
- ბ. 5 დამით მოსული → ღრუბელი
- დილისა { → ღრუბელი
მოქუფრული {
- დაისისა → ღრუბელი
- ბ. 7 თვალფართო → ფურირემი
- ბ. 10 მყარი { → ლოდი
მარადიული {
- ბ. 13 შეფუთული → ჩარდახი ტახტრევისა
- ბ. 22 ქანცგამო ცლილი → აქლემი
- ბ. 24 მეწამული → ღრუბელი
- ბ. 25 ჯიქანსაესე → ჭაკი კანჯარი
თეთრგავიანი → უღოყი კანჯარი
- ბ. 31. წაგრძელებული → მტერის კული
- ბ. 31—32 დანთებული { → ცეცხლი
შოვიზვიზე {
- ჩრდილო ქარისგან გაჩაღებული
- ბ. 34—35 საესე { → წყარო
შემოჯარული {
დაბურული {

* აკრძალული—იგულისხმება მუსლიმური კალენდრის დღეები თვე (ზუ ლ-კა'და, ზუ ლ-ჰიჯა, ალ-მუჰარამი და რაჯაბი), როდესაც აკრძალული იყო მტრული მოქმედება. ნებადართული — დანარჩენი თვეები, რადესაც ეს აკრძალვა აღარ მოქმედებდა.

- ბ. 38 თეთრი→ნუკრი
რუხი } მგელი ან
მომპოვებელი } ძაღლი
- ბ. 42 გაფანჩული }
განაპირებული } →ხე
- ბ. 43 ზღვაში მყოფი→ნიქარა ან მარგალიტის მაძიებელი.
- ბ. 49 ყურჩამოყრილი }
გაწვრთნილი } →მწვეარი
ფერღებმიკრული }
- ბ. 50 სამპარიული → შუბი
- ბ. 59 ძველი }
კუპრისფერი } →ტიკი
შავი→კოკა
- ბ. 60 თავანკარა→ღვინო
სიმებდაჭიმული→უღი
- ბ. 63 სხარტი→ცხენი
- ბ. 64 ვიწრო }
მტვრიანი } →ბორცვი
- ბ. 65 ყოვლისმფარველი→ღამე
- ბ. 66 ცაღაწვდილი }
ბალანმოკლე } →პალმა
- ბ. 71 სქელკისრიანი→ლომი→მტერი ძღვეამოსილი კაცი
- ბ. 72 მაჩანჩალა→გაძვალტყავებულ აქლემი→ღარიბი ღედაკაცი
- ბ. 77 სვედავსილი→შიმშილისაგან სასიკვდილოდ განწირული აქლემი,
რომელსაც გარდაცვლილი პატრონის საფლაოზე აბამენ.

სემიტოლოგიის კათედრა

ლიტერატურა

1. A. J. Arberry, The Seven Odes; The First Chapter in Arabic Literature, London 1957.
2. M. B. Alwan, Is Hammad the Collector of the Mu'allaqāt? IC, 45 (1971) 263—265.
3. M. I. Kister, The Seven Odes; Some Notes on the Compilation of the Mu'allaqāt, RSO, 44 (1969), 27—36.
4. А. Крымский, Арабская литература в очерках и образцах. Москва, 1911.
5. بيروت, تاريخ الادب العربي, عمر فروخ, 1965
6. I. Lyall, Translations of Ancient Arabic Literatur, London, 1930.
7. القاهرة, مصادر الشعر الجاهلي و قيمتها التاريخية, ناصر الدين الاسد, 1906
8. И. Ю. Крачковский, Арабская поэзия. Избранные сочинения., II, Москва-Ленинград, 1956.
9. W. Ahlwardt, Bemerkungen über die Aechtheit der alten arabischen Gedichte, Greifswald, 1872.
10. D. S. Margoliouth, The Origins of the Arabic Poetry, IRAS, 1925, 417—449.
11. القاهرة, في الادب الجاهلي, طه حسين, 1978 (პირველი გამოცემა—1926 წ.)
12. И. Ю. Крачковский, Таха Хусейн о доисламской поэзии арабов и его критики, Избранные сочинения. т. III, Москва-Ленинград, 1956.
13. C. I. Layall (ed.) al-Tibrizī, A commentary on Ten Ancient Arabian Poems Calcutta, 1894.


14. القاهرة، شرح المعلمات واخبار قائلها العشر، احمد الامين الشنقيطي، ١٣٣٨
15. M. C. Bateson, Structural Continuity in Poetry. A Linguistic Study of Five Pre-Islamic Arabic Odes, Paris, The Hague, 1970.
16. K. Petráček, Die Vorbereitungsperiode der arabischen Literatur, Acta Universitatis, Carolinae-Philologica, 3, 1964, 35—51.
17. ١٣١٥ هـ، مصر، كتاب شرح المعلمات السبع، الزورني
18. القاهرة، ديوبن ابى نواس، خفقه ضبطه وشرحه احمد عيد المجيد الفزلي، ١٩٠٣ ١٩٠٢
19. Н. Н. Пурцеладзе, К пониманию символа у Абу Нуваса, Семитские языки в. 2. 1965. стр. 645—656.
20. ١٣٢٩ هـ، قسطنطينية، شرح المعلاة طرفة، الانباري
21. Th. Nöldke, Die semitischen Sprachen, Leipzig, 1899.
22. W. Fischer, Farb- und Formbezeichnungen in der altarabischen Dichtung, Wiesbaden, 1965.
23. О. Сенковский, Русский перевод Лябидовой моаллаки, А. Крымский, Арабская литература в очерках и образцах, М., 1911, стр. 230—240.
24. I. Lichtenstädter, Das Nasib der altarabischen Qaside, Islamica, 1932 17—96.
25. И. М. Фильштинский, Арабская литература, сб. Литература востока в средние века, ч. II, М., 1970.
26. Б. Я. Шидфар, Образная система арабской классической литературы (VI—XII вв) М., 1974 г.
27. Н. Н. Пурцеладзе, К пониманию одной особенности семантики доисламской поэзии арабов, Problemy Literatur Orientalnich, Warszawa, 1974, 131—141.
28. R. Jacobi, Studien zur Poetik der altarabischen Qaside, Wiesbaden, 1971.

Н. Н. ПУРЦЕЛАДЗЕ

СИМВОЛ В МУ'АЛЛАКАТЕ

Резюме

Исследование поэтики Му'аллакāта, одного из важнейших памятников доисламской арабской поэзии, может пролить свет на целый ряд особенностей арабской поэзии последующих эпох. В данной работе на основе анализа научной литературы рассматриваются вопросы происхождения, даты составления и названия сборника (Му'аллакāта), подлинности входящих в сборник произведений; исследуется использованный в му'аллаках прием создания образа путем замещения прилагательным существительного, названного нами условно арабским символом АС. В му'аллаках нами выделены три типа АС. 1. простой—состоящий из одного прилагательного (гремящее→облако, прозрачное→вино и т. д.), 2. составной—состоящий из двух или более прилагательных (желтая, выжженная→стрела, индийский, из чистого железа, быстрорежущий→меч и т. д.) 3. сложный—состоящий из одного прилагательного, замещающего существительное, являющееся метафорой, которая со своей стороны замещает другое существительное (рыкающий→лев→враг). Из 140 АС в му'аллаках, составленных 240 прилагательными, 68 являются простыми, 63 составными и лишь 8 сложными символами. Наличие последних в му'аллаках должно свидетельствовать о довольно долгой литературной традиции предшествовавшей созданию Му'аллакāта.



АС не имеет одного и того же постоянного значения, поэтому одно и то же прилагательное может иметь различное спорадическое значение. С другой стороны, одна и та же вещь может быть выражена разными АС. Так, например, в му'аллаках засвидетельствована 21 различных АС, обозначающих „верблюд“, 9 — „лошадь“, 8 — „меч“, 4 — „женщину“ и. т. д.

В одной и той же му'аллаке обычно не повторяется один и тот же АС, за исключением му'аллаки Хārиса ибн Хиллизы, где один и тот же АС („пыльный“ — в смысле засушливого года) встречается два раза.

N. PURTSELADZE

SYMBOL IN MU'ALLAQĀT

Summary

The paper is devoted to analysis of one peculiarity of arabic poetics: creation of images by means of substituting adjectives for nouns, e. g. sāfiatun ('pure') in definite context means 'vine'; 'plastered', 'overtopping' means 'palace', etc. The poetic device in question is referred to by the author as symbol, conventionally 'Arabic symbol'. Symbol is used in reference to a word (or a group of words), usually an adjective, which in a definite poetic context (and not in the language in general) is a representative of another word (a noun).

The author has identified three types of symbols in Mu'allaqāt: 1. simple—consisting of a single adjective ('thunderer' → 'cloud', 'pure' → 'vine' and so on), 2. compound—consisting of two or more adjectives ('yellow', 'singed' → 'arrow'), 3. complex—consisting of an adjective which stands for noun that constitutes a metaphor, the latter in turn replacing a noun (roarer → lion → enemy).

The existence of the latter in Mu'allaqāt testifies to a long standing literary tradition preceding the emergence of this device.

One and the same adjective in Mu'allaqāt often serves as different symbols, e. g. kumaytun ('reddish') → 'horse', (Imru l-Qays), 'ruddy', → 'vine' (Tarafa). On the other hand one and the same thing can be expressed by means of different symbols. In Mu'allaqāt there are 21 various designating 'camel', 9—'horse', 8—'sword', 4—'woman', etc.

As usual in Mu'allaqāt there is no repetition of the same symbol. An exception to this is the mu'allaqa by Hārith ibn Hilliza where 'dusty' meaning 'drought' occurs twice.

აღმოსავლეთის ისტორია

მახლობელი აღმოსავლეთის სამართაშორისო ურთიერთობანი XVI საუკუნის პირველი ნახევრის ფრანგული დიპლომატიური კორესპონდენციის მიხედვით

გიტალი ჩოჩიევი

XVI ს-ის პირველი ნახევრის მახლობელი აღმოსავლეთის სამართაშორისო ურთიერთობათა ისტორიის შესასწავლად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ფრანგულ წყაროებს. ისინი, ვენეციურის მსგავსად, ოფიციალურ დიპლომატიურ მასალებს წარმოადგენენ, მაგრამ მათ აღემატებიან რაოდენობით.

საფრანგეთს მახლობელ აღმოსავლეთთან ურთიერთობის ხანგრძლივი ისტორია ჰქონდა. ჯერ კიდევ ჯვაროსნული ომების ხანაში ფრანგმა ვაჭრებმა ფაქტორიები შექმნეს ლევანტში. მაშინვე სამხრეთ საფრანგეთის სავაჭრო ქალაქებმა კონსტანტინოპოლის უფლება მოიპოვეს სირია-ეგვიპტის მამულეტი სულთნებისაგან ([1], გვ. 50). მახლობელი აღმოსავლეთით დაინტერესება ძლიერდება საფრანგეთში ბურჟუაზიულ ურთიერთობათა განვითარებისა და აბსოლუტიზმის ჩამოყალიბების პერიოდში. XVI საუკუნის პირველ ნახევარში საფრანგეთმა მახლობელ აღმოსავლეთში შექმნა ყველაზე განვითარებული დიპლომატიური სამსახური. დამახასიათებელია, რომ სხვადასხვა სახელმწიფოებთან ინტენსიური ურთიერთობის განვითარებამ განაპირობა საფრანგეთში საგარეო საქმეთა დეპარტამენტის წარმოქმნა XVI საუკუნის მეორე ნახევარში [2].

1536 წლიდან საფრანგეთს მუდმივი ელჩები ჰყავდა სტამბოლში, რომლებიც რეგულარულ მოხსენებებს უგზავნიდნენ მეფეებს ოსმალეთის საშინაო მდგომარეობის შესახებ. მათთან ერთად ვრცელ ინფორმაციას მახლობელი აღმოსავლეთის შესახებ აგროვებდნენ საფრანგეთის ელჩები რომსა და ვენეციაში. ამდენად საფრანგეთის მდგომარეობა განსხვავდებოდა ჰაბსბურგების მდგომარეობისაგან, რომელთაც ამ პერიოდში ოსმალეთში მუდმივი ოფიციალური წარმომადგენლები არ ჰყოლიათ და ინფორმაციის მადების შეზღუდული წყაროები გააჩნდათ.

საფრანგეთის სტამბოლელ, ვენეციელ და რომაელ ელჩებს თავის მხრივ ჰყავდათ საიდუმლო აგენტები ოსმალეთის სულთნების სამფლობელოებში: დიდ სავაჭრო და სანავსადგურო ქალაქებში, ეგეოსის ზღვის კუნძულებზე და სხვა ადგილებში, რომლებიც მათ სისტემატურად ამარაგებდნენ ცნობებით.

ფრანგული დიპლომატიური დოკუმენტების პირველ პუბლიკაციას ადგილი ჰქონდა XVII ს.-ში. გიომ რიბიემ 1666 წელს გამოსცა ზოგიერთი გამოჩენილი ფრანგი მოღვაწის პირად არქივებსა და კოლექციებში თავმოყრილი საბუთები:

„მეფეების, უფლისწულების და ელჩების წერილები და სამახსოვრო ბარათები ფრანსუა I და ანრი I-ის დროს“.

XVII ს-ის პირველი ნახევრის ფრანგული დიპლომატიური კორესპონდენციის მეცნიერული გამოცემა განხორციელდა XIX ს-ში ე. შარიერის მიერ. მან გამოსცა ოთხი ტომი, რომელთაგან პირველ და მეორე ტომებში თავმოყრილია XVI ს-ის პირველი ნახევრის მასალები ([3], გვ. 6) ესაა ფრანგი ელჩების, სავაჭრო და პოლიტიკური რეზიდენტების საიდუმლო მიმოწერა ცენტრალურ ხელისუფლებასთან.

აღნიშნული კორესპონდენცია წარმოადგენს პირველხარისხოვან წყაროს მახლობელი აღმოსავლეთის შესახებ. მათში მოიპოვება არა ერთი უნიკალური ცნობა ოსმალეთის ურთიერთობის შესახებ ირანთან და სხვა სახელმწიფოებთან.

ფრანგული მასალების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მათი ავტორები მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ვითარებას სწავლობდნენ საფრანგეთ-ჰაბსბურგების მეტოქეობის ასპექტში. XVI საუკუნის პირველ ნახევარში საფრანგეთის მთავარი ამოცანა ჰაბსბურგების დამარცხება იყო. ამ ამოცანის მიღწევას იგი ოსმალეთთან სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობით ცდილობდა. საფრანგეთის საჭირო მომენტში აინტერესებდა ოსმალეთის ლაშქრობის ჩატარება ჰაბსბურგთა სამფლობელოებზე: აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში ან ხმელთაშუა ზღვის აუზში. აქედან გამომდინარე, საფრანგეთს ამ პერიოდში არ უნდოდა ოსმალეთის ურთიერთობის გამწვავება ირანთან. ირან-ოსმალეთის ომები შეუძლებელს ხდიდა ამ უკანასკნელის მონაწილეობას ჰაბსბურგებთან ბრძოლაში ევროპის ასპარეზზე. რადგან საფრანგეთის მეფისა და მისი სტამბოლელი ელჩების აზრით ოსმალეთის ურთიერთობა ირანთან და, ასევე საქართველოსთან, დიდ გავლენას ახდენდა მის ევროპულ პოლიტიკაზე, ფრანგები გულმოდგინედ სწავლობდნენ ოსმალეთის დამოკიდებულებას აღნიშნულ ქვეყნებთან.

ფრანგული წყაროების შეფასების დროს უნდა გავითვალისწინოთ ერთი მომენტი, კერძოდ ის გარემოება, რომ მათში ვაცილებით ობიექტურადაა ასახული მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო მდგომარეობა, ვიდრე ოსმალეთის და ირანის მმართველი წრეების ინტერესების გამომხატველი ჟამთააღმწერლების თხზულებებში, რომლებიც სულთნის და შაჰის პრესტიჟის დაცვის ან სხვა მიზეზის გამო შეგნებულად მიმართავდნენ ფაქტების დამახინჯებას და ტენდენციურად აშუქებდნენ მოვლენებს.

ბოლო წლებში მიკვლეული იქნა ფრანგული დოკუმენტების კიდევ ერთი კოლექცია, რომელიც საფრანგეთში დაკარგულად მიაჩნდათ. ეს არის XVII ს-ის სახელმწიფო მოღვაწის, პარიზის პარლამენტის პირველი პრეზიდენტის ლამუანიონის არქივი. იგი აღმოჩნდა ლენინგრადში. დოკუმენტების დედნები რუსული თარგმანებით, წინასიტყვაობით და შენიშვნებით გამოსცა პროფ. ა. დ. ლუბლინსკაიამ [4]. კრებულის მასალები (ელჩებისა და მეფეების წერილები, საგანგებო წარმომადგენლებისა და სხვადასხვა დიპლომატიური აგენტების მოხსენებები, მათ სახელზე გაცემული ინსტრუქციები და სხვ.) შეიცავს საყურადღებო ცნობებს იმ მწვავე დიპლომატიური ბრძოლის შესახებ, რომელიც მიმდინარეობდა ევროპისა და მახლობელი აღმოსავლეთის სახელმწიფოებს შორის 1547—1548 წლებში.

ფრანგული პუბლიკაციებიდან აღვნიშნავთ აგრეთვე ტესტას მიერ გამოცემულ დოკუმენტებს. მათში შედის ოსმალეთის მიერ უცხო სახელმწიფოებთან დადებული ხელშეკრულებები და სხვა დიპლომატიური საბუთები, რომლებიც ასახავს მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ვითარებას XVI—XIX სს. [5].

განხილულ პუბლიკაციებში შეტანილი დოკუმენტების ქრონოლოგიური დასაწყისი 1515 წელს განეკუთვნება.

დოკუმენტების შესწავლა საფუძველს გვაძლევს XVI ს-ის პირველი ნახევრის საფრანგეთის ახლო აღმოსავლური პოლიტიკა ორ პერიოდად გავყოთ. პირველი პერიოდი მეტად მცირე მონაკვეთს მოიცავს: 1515—1521 წწ. ჰაბსბურგებთან აშკარა ბრძოლის დაწყებამდე და მეორე 1521-დან XVI საუკუნის შუა წლებამდე, როცა საფრანგეთსა და ჰაბსბურგებს შორის მწვავე ბრძოლა მიმდინარეობს ევროპაში.

როგორც სათანადო დოკუმენტები მოწმობს, პირველ პერიოდში საფრანგეთი მონაწილეობდა იმ დიპლომატიურ მიმოწერაში, რომელიც რომის პაპების ინიციატივით წარმოებდა ქრისტიანულ სახელმწიფოებს შორის. ეს მიმოწერა ერთ საკითხს ეხებოდა — ანტიოსმალური კოალიციის შექმნას. აღნიშნული საკითხი ევროპის სახელმწიფოების წინაშე დაისვა სელიმ I-ის სამხედრო წარმატების ზეგავლენით. ჩალდირანის ბრძოლაში ოსმალთა გამარჯვებამ სათანადო რეაქცია გამოიწვია ევროპაში [იხ. რომის პაპის ლეონ X მიმოწერა საფრანგეთის და ესპანეთის მეფეებთან] ([3], გვ. 9—11).

1514 წელს ირანზე გამარჯვების შემდეგ პაპისთვის გაურკვეველი რჩებოდა, თუ საით გაემართებოდა სელიმ I. იტალიის სანაპიროებთან მეკობრეების ყოველი გამოჩენა თურქების ფლოტის მოახლოებად და მათი შემოსევის დაწყებად მიაჩნდათ. ევროპაში შვებით ამოისუნთქეს 1516 წელს, როდესაც ცნობა მიიღეს სელიმ I-ის სირია-ეგვიპტეზე გალაშქრების შესახებ. მაგრამ ევროპელი პოლიტიკოსებისათვის მოულოდნელი აღმოჩნდა ოსმალეთის სწრაფი გამარჯვება მამლუქებზე. ირანზე და მამლუქების სახელმწიფოზე მოპოვებულმა გამარჯვებებმა ახალი ვითარება შექმნა ოსმალეთ-ევროპის ურთიერთობაში. აქამდე თურქეთი, რამდენადაც საშიში არ უნდა ყოფილიყო ევროპისათვის, იძულებული იყო ანგარიში გაეწია აზიის ძლიერი სახელმწიფოებისათვის, რომლებიც ევროპელებს ბუნებრივ მოკავშირეებად მიაჩნდათ. სეფიანთა ირანის სასტიკმა მარცხმა, ზულკადარის ბეილიქის და მამლუქთა სახელმწიფოს მოსპობამ ანტიოსმალური კოალიციის გეგმებიდან ამოშალა ისეთი ძალები, რომელთა გამოყენებას ოსმალეთის ზურგში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ევროპისათვის. მეფე ფრანსუა I-ის ერთ საპასუხო წერილში ლეონ მეათისადმი ნათქვამია, რომ თურქებზე გამარჯვების მისაღწევად აუცილებელია კავშირი სოფისტან (ასე უწოდებდნენ ევროპელები ირანის შაჰებს) ან სხვა რომელიმე ურწმუნო მეფესთან ([3], გვ. 45). ფრანსუა I-ის წერილი წარმოადგენს მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების როლის აღიარებას ევროპის თავდაცვის საქმეში. მაგრამ საფრანგეთის დიპლომატიური ღონისძიებანი მახლობელ აღმოსავლეთში XVI ს-დან აღარ ვითარდება ანტიოსმალური კოალიციების ასპექტში. ჰაბსბურგების დიდი იმპერიის წარმოქმნამ საფრანგეთი ჩამოაყალიბა თურქეთთან ბრძოლის საქმეს. საფრანგეთის პოზიციის შეცვლა თურქეთის მიმართ გამოაშკარავდა 1522 წელს, როდესაც სულეიმან კანუნიმ (1520—1566) განახორციელა კუნძულ როდოსის გარემოცვა. თუმცა ჯვაროსანთა ხანის ამ უკანასკნელი სახელმწიფოს მფარველად საფრანგეთის უქრისტიანესი მეფე ითვლებოდა, მაგრამ ფრანსუა პირველმა ყურად არ იღო როდოსელი რაინდების დიდი მავისტრის მიმართვა. უბასუზოდ დარჩა აგრეთვე რომის პაპის მოწოდებანი როდოსისათვის დახმარების გაწევის თაობაზე.

XVI ს-ის 20-იანი წლებიდან საფრანგეთი ადგება ოსმალეთთან თანამშრომლობის გზას. საფრანგეთის მეფის ინიციატივით, რომელიც 1525 წ. ტყვედ ჩაგარდა პავის ბრძოლაში, მყარდება კავშირი სულეიმანთან. აღნიშნულ საკითხზე

შარიერის კრებულში მოიპოვება სათანადო ფრანგული და თურქული დოკუმენტები ([3], გვ. 112—131).

სულთანი სულეიმანი გამოეხმაურა საფრანგეთის მეფის და მისი ტერიტორიების მართვას — დაეწყო შეტევა ჰაბსბურგების სამფლობელოებზე ევროპაში. XVI ს-ის 20-იანი წლებიდან ოსმალეთი ხელსაყრელ პირობებში განაახლებს აგრესიას ევროპის ხალხების წინააღმდეგ. მან ისარგებლა განხეთქილებით ქრისტიანულ ქვეყნებს შორის. დამახასიათებელია, რომ ოსმალეთი XVI ს-ში ერეოდა ქრისტიანული სახელმწიფოების შიგნით მიმდინარე კლასობრივ და რელიგიურ ბრძოლაშიც. ამას მოწმობს სულეიმანის წერილები გერმანელი პროტესტანტებისა და ლუთერანებისადმი.

საფრანგეთის ურთიერთობა ოსმალეთთან არ იფარგლებოდა სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობით. იმათივე მას ახლდა ეკონომიკური მომენტიც. ამას მოწმობს დოკუმენტი, რომელიც 1528 წლით თარიღდება. ესაა სულთან სულეიმანის სიგელი, რომელიც ადასტურებდა მამულუქების დროს მარსელელი ვაჭრებისათვის ნაბოძებ პრივილეგიებს (3.121—129). მარსელელი ვაჭრები თავის დროზე პირველები იყვნენ ფრანგებს შორის, რომლებმაც ურთიერთობა დაამყარეს მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებთან. XVI ს-დან საფრანგეთის გაძლიერებული მონარქია მფარველობას უწევს ყველა ფრანგ ვაჭარს აღმოსავლეთში. ამდენად ფრანგების მდგომარეობა დადებითად განსხვავდებოდა იტალიელი ვაჭრების მდგომარეობისაგან, რომლებიც იტალიის პოლიტიკური დაქსაქსულობის გამო, სუსტ სახელმწიფოებზე რჩებოდნენ დამოკიდებული. იტალიის წვრილ ერთეულებს (ვენეცია, გენუა და სხვ.) უჭირდათ ოსმალეთის წინაშე თავიანთი სავაჭრო ინტერესების დაცვა. ფრანგ ვაჭრებს სამეფო ხელისუფლების მფარველობის წყალობით პრივილეგიების მოპოვებისა და სავაჭრო სარბიელის გაფართოების შესაძლებლობანი გააჩნდათ. ამიერიდან საფრანგეთის მონარქია ოსმალეთთან პოლიტიკური კავშირის განმტკიცებას ლევანტში ვაჭრობის გასაფართოებლადაც იყენებდა. მაგრამ ამთავი ივე უნდა შევნიშნოთ, რომ ოსმალეთთან ურთიერთობა საფრანგეთს XVI ს-ში ძირითადად ჰაბსბურგის წინააღმდეგ მისი გამოყენების მიზნით უნდოდა. ფრანგულ დოკუმენტებს შორის გვხვდება ფრანსუა I-ის საიდუმლო წერილი სულეიმანისადმი. იგი 1528 წელსაა გაგზავნილი (მისი წამლების ვინაობა დღემდე დაუდგენელია): ამ წერილის შედგეი იყო სულეიმანის მისვლა ვენასთან 1529 წელს. თავისი ნამდვილი ზრახვის დასაფარავად ფრანსუა წერილით სთხოვდა სულთანს იერუსალიმის მეჩეთის (თავდაპირველი ეკლესიის) ეკლესიად გადაკეთების ნებართვას და ქრისტიანთა მფარველის უფლების მინიჭებას საფრანგეთის მეფისათვის ([3], გვ. 130—132). ქრისტიანთა საქმეებზე ფორმალური მზრუნველობის გამოვლენით ფრანსუა ფარავდა თავისი ელჩის მისიის ნამდვილ დანიშნულებას. როგორც ჩანს, სარწმუნოებრივ საქმეებზე მზრუნველობის მოტივით გაგზავნილმა ელჩმა სტამბოლში მეტი ყურადღება დაუთმო სულთანის ამხედრებას აესტრიის წინააღმდეგ. შარიერის პუბლიკაციაში გვხვდება ისეთი დოკუმენტებიც, რომელთა ანალიზი გვიჩვენებს, რომ საფრანგეთის მეფემ ხელი შეუწყო ოსმალეთის სულთანის ლაშქრობას უნგრეთზე 1526 წელს. მოჰაჩის კატასტროფა საფრანგეთისათვის ოსმალეთთან პოლიტიკური თანამშრომლობის გაუთვალისწინებელი შედეგი იყო. საფრანგეთის მიზანი აღმოსავლეთ ევროპაში პატარა ერთეულების შენარჩუნება და მათი საკუთარ გავლენაში მოქცევა იყო. ჰაბსბურგები კი მათ ანექსიას ცდილობდნენ. ოსმალეთმა ისარგებლა საფრანგეთ—ჰაბსბურგების წინააღმდეგობით და ბოლო მოუღო უნგრეთის სამეფოს. ამის მიუხედავად, საფრანგეთის მეტოქეობა ჰაბსბურგებთან იმდენად სერიოზული იყო, რომ იგი ამის შემდეგაც განაგრძობდა

ოსმალეთის აგრესიისათვის ხელის შეწყობას ცენტრალური ევროპისაკენ. საფრანგეთთან პოლიტიკური კონტაქტების პირობებში ჩატარდა სულთნის როგორც 1529, ისე 1532 წლის ლაშქრობა ავსტრიაზე.

როგორც ჩანს, საფრანგეთ-ოსმალეთის ურთიერთობა ცნობილი იყო სეფიანებისათვის. ასეთი დასკვნის საფუძველს გვაძლევს შაჰ ისმაილ I-ის (1502—1524) მიერ 1518 წელს გაგზავნილი წერილები რომის საღმრთო იმპერიის იმპერატორისა, უნგრეთის და პოლონეთის მეფეებისადმი. ოსმალეთის წინააღმდეგ შესაძლო მოკავშირეებს შორის შაჰს არ ეგულებოდა საფრანგეთის მეფე.

ფრანგული დოკუმენტების მიხედვით შეიძლება შევისწავლოთ მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ურთიერთობის ისეთი მნიშვნელოვანი ასპექტი, როგორცაა ირანის პოლიტიკა ოსმალეთისა და ევროპის სახელმწიფოების მიმართ. ყურადღებას იქცევს 1532 წლით დათარიღებული ორი ფრანგული დოკუმენტი. ეს არის საფრანგეთის ვენეციელი ელჩის ბაიფის წერილები ოქსერის ეპისკოპოსისადმი. 24 მაისის წერილში ნათქვამია, რომ სტამბოლს ჩავიდა შაჰ თამაზის ორი ელჩი, რომლებიც პატივით მიიღეს. ეს ფაქტი აღნიშნული არ არის არც თურქულ, არც ირანულ ისტორიოგრაფიაში. 9 ივნისის წერილში ბაიაფი იმავე ადრესატს უდასტურებდა უწინ გამოთქმულ აზრს და აღნიშნავდა, რომ ირანსა და ოსმალეთს შორის ურთიერთგაგებაა და რომ სულთანმა ახლა უფრო მეტი ხალხით ჩაატარებს ლაშქრობას უნგრეთისა და გერმანიის წინააღმდეგ ([3], გვ. 204). ფრანგი ელჩის დასკვნა დაადასტურა იმავე წლის მოვლენების განვითარებამ. სულთანმა მართლაც დალაშქრა გერმანია. ირკვევა, რომ ოსმალეთის აგრესიის განახლება ცენტრალური ევროპისაკენ კავშირში იყო არა მარტო საფრანგეთის პოლიტიკასთან, არამედ დამოკიდებული იყო ირანის პოზიციაზეც.

XVI საუკუნის 20-იანი წლებიდან ირანი სამხედრო აქციებს აღარ ახორციელებდა ოსმალეთის მიმართ, როდესაც სულთანმა ომი იყო დაკავებული ევროპაში. ირანის შაჰი ამით ხელს უწყობდა ოსმალეთის აგრესიის განვითარებას დასავლეთისაკენ. სულთნების ხანგრძლივ ომებში ჩაბმას ევროპაში შაჰი იყენებდა ირანის შეტევითი პოლიტიკის გასაძლიერებლად ამიერკავკასიაზე. დამახასიათებელია, რომ შაჰ თამაზ I-მა (1524—1576) უპასუხოდ დასტოვა იმპერატორ კარლოს V მიმართებული 1525 და 1529 წლებში თურქებზე ორმხრივი შეტევის ჩატარების შესახებ. ოსმალეთის აგრესიას ევროპისაკენ შაჰი სთვლიდა მახლობელი აღმოსავლეთის საქმეებისაგან სულთნის ყურადღების ჩამოცილების საშუალებად. ამდენად საფრანგეთის ახლოაღმოსავლური პოლიტიკა, რაც ჰაბსბურგების წინააღმდეგ თურქეთის წარმართვას გულისხმობდა, ხელსაყრელი იყო ირანისათვის. ობიექტურად საფრანგეთი ირანის მოკავშირის როლს ასრულებდა. საფრანგეთი ოსმალეთის მეშვეობით ცდილობდა ჰაბსბურგების დასუსტებას ევროპაში. ამიტომ მას აშფოთებდა ოსმალეთის ომები ირანთან. ასეთი განწყობილება ასახულია საფრანგეთის სტამბოლელი, ვენეციელი და რომაელი რეზიდენტების 1534—1536 წწ. კორესპონდენციაში ([3], გვ. 247—250). სულთნის ლაშქრობა ირანის წინააღმდეგ დიდხანს გაჭიანურდა. საფრანგეთში ემინოდან, რომ ამ დროს ჰაბსბურგები გააქტიურდებოდნენ ევროპაში და მას შეევიწროებდნენ. მართლაც, ოსმალეთ-ირანის ომით, ისარგებლა იმპერატორმა კარლოს V და 1534 წელს ჩაატარა საზღვაო ლაშქრობა ტუნისზე. ჰაბსბურგების დამკვიდრება ჩრდილოეთ აფრიკაში, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ისინი ბატონობდნენ სიცილიაზე, სხვა კუნძულებზე და იტალიის სამხრეთ ნაწილში, კიდევ უფრო გაუძნელებდა საფრანგეთს ხმელთაშუა ზღვით ოსმალეთთან დაკავშირებას. სწორედ ამიტომ საფრანგეთის მეფემ გაგზავნა ელჩი ლა ფორე სულთანთან. როგორც კი სულეიმან კანუნი სტამბოლს დაბრუნდა, 1536 წლის დასაწყის-

ში საფრანგეთის ინიციატივით მასთან დაიღო ხელშეკრულება ([3], გვ. 284—294). ამ აქტით საფრანგეთს უნდა გადაეცია ვატიკანის ოსმალეთთან ეკონომიკური და პოლიტიკური თანამშრომლობა, რათა სულთნის ძალები დაეხმებინა ეგვიპტის და ხმელთაშუა ზღვის აუზის ასპარეზზე.

ასევე შეუშფოთებია საფრანგეთი ოსმალეთის ლაშქრობებს ირანის და საქართველოს წინააღმდეგ 1548—49 და 1554 წლებში. ამას მოწმობს საფრანგეთის სტამბოლელი ელჩის არამონის წერილები. იგი 1548 წელს მეფის მითითებით თან გაჰყვა სულთნის ლაშქარს აღმოსავლეთში. არამონი, როგორც მისი წერილებიდან ჩანს, სულთნისა და მისი ვეზირების წინაშე ახორციელებდა სათანადო დემარშებს, რათა სწრაფად დაემთავრებინათ ირანთან ომი. ამის არგუმენტად არამონი იმომბედა ჰაბსბურგების გააქტივებას დასავლეთში. უმოკავშირეოდ დარჩენილ საფრანგეთს კი იმედი არ ჰქონდა, რომ მარტო დაამარცხებდა ძლიერ მეტოქეს.

ფრანგული დოკუმენტები შუქს ჰფენს აგრეთვე ჰაბსბურგების ახლოაღმოსავლურ პოლიტიკას. საფრანგეთის მეფისათვის გაგზავნილ წერილებში მრავალი ცნობაა ოსმალეთ-ჰაბსბურგებისა და ირან-ჰაბსბურგების ურთიერთობის შესახებ. ოსმალეთი ირანზე გალაშქრების წინ აუცილებლად ცდილობდა დაზავებოდა ჰაბსბურგებს, რადგან ისინი სულთნის ძალების გადასროლას მახლობელ აღმოსავლეთში პასუხობდნენ აღმოსავლეთ ევროპის საცილო ქვეყნებსა და საფრანგეთზე შეტევის გაძლიერებით. მაგალითად, იმპერატორსა და სულთანს შორის 1547 წლის ზავის დადების გამო ფრანგი ელჩი მორვილი სწერდა მეფე ანრი მეორეს: „ამ ზავის წყალობით დიდი სენიორი (ასე ეწოდებოდა ოსმალეთის სულთნებს ფრანგულ წყაროებში—ვ. ჩ.) მომავალ წელს ჩაატარებს ლაშქრობას სოფის წინააღმდეგ“ ([6], გვ. 26).

საფრანგეთის მეფის ინსტრუქციებში თავისი წარმომადგენლებისადმი ოსმალეთთან ამოცანად დასახულია სულთნის დარწმუნება იმაში, რომ იმპერატორს ზავი სჭირდება მხოლოდ დროის მოსაგებად. როდესაც სულთანი ირანის წინააღმდეგ გაილაშქრებდა, იმპერატორი თვითონვე დაარღვევდა მას, რათა ვითარება თავის სასარგებლოდ შეეცვალა ევროპაში.

ასეთ ვითარებაში საფრანგეთი ცდილობდა ახალი მომენტი შეეტანა ოსმალეთ-ჰაბსბურგების ზავებში, თუ ისინი მაინც დაიდებოდა. საფრანგეთის მეფის აზრით, ჰაბსბურგებს ასეთი ზავებით უნდა ეკისრათ ვალდებულება, რომ სულთნის აღმოსავლეთში ლაშქრობის პერიოდში ისინი საომარ მოქმედებას არ დაიწყებდნენ ევროპაში. მაშასადამე, ოსმალეთ-ირანის ომის დროს ჰაბსბურგებს ზავი უნდა დაეცვათ როგორც სულთანთან, ისე საფრანგეთის მეფესთან. საინტერესოაა ფრანგულ დოკუმენტებში ასახული ირან-ოსმალეთის 1555 წლის ზავის დადების ვითარება. საფრანგეთის ელჩი კოდინიაკი ამასიიდან გაგზავნილ წერილებში მეფეს აუწყებდა ორი სახელმწიფოს საზავო მოლაპარაკების მსვლელობას. საფრანგეთი ყოველნაირად უწყობდა ხელს მათს დაზავებას. იმავე დროს ფრანგული დოკუმენტები მეტყველებენ ავსტრიის საწინააღმდეგო პოზიციაზე აღნიშნულ საკითხში. კოდინიაკი ხელს უშლიდა ავსტრიის ელჩის ბუსბეკის შეხვედრას სულთანთან, რადგან მას შეეძლო უარყოფითი გავლენა მოეხდინა ირან-ოსმალეთის ზავის ჩამოგდებაზე. კოდინიაკი მეფე ანრი მეორეს 1555 წლის 10 მაისს შემდეგს აუწყებდა ავსტრიელების გეგმების შესახებ: „ისინი (ავსტრიელები) ამბობენ, რომ უფრო ხელსაყრელი იქნებოდა, თუ სულთანი ზავს დასდებდა რომაელთა მეფესთან (ავსტრიის მეფე—ვ. ჩ.). ეს გონივრული იქნება, ვიდრე ის, რომ ყიზილბაშებისა და ქართველების წინააღმდეგ ლაშქრობის დროს ზურგში ჰყავდეს მეტერი“ ([6], გვ. 558). ავსტრია თვითონ სთავაზობდა ზავს სულთანს და მას უბიძგებდა ქართ-

ველებსა და ირანის წინააღმდეგ. ეს აიძულებდა ოსმალეთს ძალები გაეყვანა ევროპიდან. ავსტრიას აღნიშნული განზრახვის ჩასაშლელად იღვწოდა საფრანგეთი, რომელსაც ირან-ოსმალეთის 1555 წლის 29 მაისის ზავი თავის გამაგრებლად მიაჩნდა. ამ ზავმა დიდი ხნით განსაზღვრა ოსმალეთის შეტევითი პოლიტიკის მიმართულება ევროპისაკენ.

ფრანგული დოკუმენტებიდან ჩანს აგრეთვე, რომ ირანი თავისი აგრესიის განვითარებას ამიერკავკასიისაკენ უკავშირებდა ოსმალეთის დაკავებას ევროპაში. ამიტომ შაჰს აშფოთებდა ოსმალეთის მიერ ევროპის სახელმწიფოებთან ზავის დადება. სათანადო დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ შაჰ თამაზი საქართველოზე პირველი ლაშქრობის მზადების პერიოდში თვალს ადევნებდა ოსმალეთის ურთიერთობას ევროპასთან. ამის შესახებ საყურადღებო ცნობებს ვხვდებით საფრანგეთის ვენეციელი ელჩის მონპელიეს წერილებში მეფე ფრანსუა პირველისადმი. მისი 1541 წლის 15 თებერვლის წერილში ნათქვამია, რომ შაჰმა თავისი სომეხი აგენტისაგან, რომელიც კვიპროსზე ჰყავდა, შეიტყო, რომ ვენეციასთან სულთან-ნი ზავს სდებს. ეს გარემოება აშფოთებს შაჰს ([3], გვ. 441). იმავე წლის 31 მარტის წერილში მონპელიე მეფეს აცნობებს, რომ შაჰი აპირებს თავს დაესხას ერთ ქართველ სენიორს, რომელმაც ელჩი გაუგზავნა სულთანს ([3], გვ. 473). ფრანგი ელჩის წერილში მოხსენიებული ქართველი სენიორი, ჩვენი აზრით, ქართლის მეფე ლუარსაბ I უნდა იყოს. ირკვევა, რომ მას 1541 წელს სულთნისთვის ელჩი გაუგზავნია. მისი მიზანი, ცხადია, ირანის წინააღმდეგ ოსმალეთის ამხედრება იყო. ასეთი ცდა მკვეთრად ეწინააღმდეგებოდა საფრანგეთის პოლიტიკას, რომელიც ირანის და ოსმალეთის დაზავებას გულისხმობდა. ამჯერადაც საფრანგეთი ცდილობდა ოსმალეთის ლაშქრობის ორგანიზებას ავსტრიის წინააღმდეგ. ქართლის ელჩის ჩასვლა კი სულთნის ყურადღებას აცილებდა ევროპის საქმეებისაგან. ფრანგი ელჩის 31 მარტის წერილიდან ირკვევა, რომ შაჰი იმპერატორს შეუთანხმდა და აღუთქვა, რომ ის შეესეოდა სულთანთან სადაო ქვეყნებს, როდესაც იგი სალაშქროდ გამართებოდა ავსტრიაზე ([3], გვ. 471).

ფრანგული დოკუმენტები მოწმობს, რომ აღმოსავლეთ საქართველოსათვის გადამწყვეტი ბრძოლის დაწყების გამო გაიზარდა ირანის დაინტერესება — უფრო ძეტად ჩაება ოსმალეთი ევროპის სახელმწიფოებთან ომებში. ამან აიძულა შაჰი გაეძლიერებინა ჰაბსბურგებთან თანამშრომლობა. ნიშანდობლივია, რომ შაჰმა 1541 წელს, იმპერატორის გარდა, ელჩები გაუგზავნა პორტუგალიის მეფეს. ამავე ხანებში მან ელჩი გაგზავნა სტამბოლს, რათა სამავიერო მიეზღო ქართველი სენიორისათვის. როგორცა ჩანს, შაჰს სურდა დაესაბუთებინა სულთნისთვის, რომ ქართლი ირანის გავლენის სფეროა და ამიტომ ქართველ მეფეს არ აქვს უფლება სტამბოლს მიმართოს დასახმარებლად.

შემოხსენებული ფრანგი ელჩის 30 აპრილის წერილიდან ჩანს, რომ შაჰი შეესია საქართველოს და ყოზილბაშუმბსა და ქართველებს შორის ბრძოლა მოხდა ([3], გვ. 473). ცხადია აქ ლაპარაკია შაჰ თამაზის პირველ შემოსევაზე ქართლში. ამასთან უფრო ზუსტად, ვიდრე სხვა წყაროებში, მითითებულია ამ მოვლენის თარიღიც.

საინტერესოა ოსმალეთის რეაქცია ქართლზე შაჰის ამ თავდასხმის გამო. ცნობა ამის შესახებ გვხვდება მონპელიეს 4 ივლისის წერილში ფრანსუა პირველისადმი. მასში ნათქვამია: „(1541 წლის) 23 მაისს დიდი ვეზირი სულეიმან ფაშა გამართა სოფის მხარისაკენ, რომელმაც გაულიტა და დაიმორჩილა კასპის ზღვის მხარეზე განსახლებული ქართველების ნაწილი ([3], გვ. 499)“. ოსმალეთის ჯარების გაგზავნა „სოფის“ (ირანის) მხრისაკენ დაკავშირებული იყო შაჰის შესევასთან

აღმოსავლეთ საქართველოში. მხოლოდ ამის შემდეგ გაემართა სულეიმან კანუნი
აესტრიაზე სალაშქროდ.

საქართველოს შესახებ ცნობების გაჩენა ფრანგულ კორესპონდენტმა
პირობებული იყო იმ როლით, რასაც ეს ქვეყანა ასრულებდა იმდროინდელ სა-
ერთაშორისო ცხოვრებაში.

ფრანგული წყაროების ერთ ღირსებად ისიც უნდა მივიჩნიოთ, რომ მათი
ავტორები პოლიტიკური ამბების შესწავლით არ კმაყოფილდებიან და ირან-ოსმა-
ლეთის ურთიერთობის გაშუქებისას ყურადღებას აქცევენ აგრეთვე ამ სახელმწი-
ფოების საშინაო ვითარებას. ეს განსაკუთრებით ოსმალეთს ეხება. მათთვის ცნო-
ბილია მრავალი დეტალი სულთანის კარის შიგნით არსებული მდგომარეობის შე-
სახებ. ასეთია ურთიერთობა სულთანსა და უფლისწულებს შორის, ჰარამხანის
ინტრიგები, დიდმოხელეთა შეთქმულებები და სხვა. საშინაო რიგის მოვლენებიდან
უფრო საინტერესოა ანატოლიის სოციალური ვითარების დახასიათება, რასაც
ფრანგები ოსმალეთ-ირანის პოლიტიკურ ურთიერთობის ასპექტში განიხილავდნენ.
საამისოდ შეიძლება დავიმოწმოთ საფრანგეთის ვენეციელი ელჩის, ჩვენს მიერ უკვე
ნახსენები, მორვილის 1548 წლის 7 იანვრის წერილი მეფე ანრი მეორესადმი.
მასში ლაპარაკია სულთან სულეიმან კანუნის საომარ სამზადისზე ირანის წინააღ-
მდეგ. მორვილი აღნიშნავს, რომ სულთანს შაჰის ეშინია არა მისი ძლიერების
გამო, არამედ თავის ანატოლიელ ქვეშევრდომებში დიდი ავტორიტეტის გამო.
ანატოლიაში სოფი უყვართ, ხალხი სთვლის, რომ იგი გაცილებით რბილად ეკი-
დება ქვეშევრდომებს, ვიდრე დიდი სენიორი. სწორედ ამიტომ, დასძენს მორვი-
ლი, სულთანს განზრახული აქვს მთლიანად გაანადგუროს შაჰი [3].

ირაკვეა, რომ ანატოლიის მოსახლეობის დიდი მასა—გლეხობა და მეწიეები
თავის უკმაყოფილებას სულთანის ხელისუფლებისადმი XVI ს-ის შუა ხანებში,
ისევე როგორც მის დასაწყისში, გამოხატავდა შიიტური ირანისაკენ გადახრით.
სეფიანთა დამარცხების წადილს სულთანი უკავშირებდა ანატოლიაში ანტიფეო-
დალური განწყობილების ჩახშობას.

ფრანგული დოკუმენტების ავტორები ეხებიან მასობრივ აღმოსავლეთის
საერთაშორისო ურთიერთობათა კიდევ ერთ რგოლს, რომელსაც ჰქმნიდა პორტუ-
გალიის შეჭრა ინდოეთის ოკეანის აუზში. საფრანგეთის ვენეციელი ელჩი ებისკო-
პოსი მონპელიე 1541 წლის 15 თებერვალს მეფეს სწერდა, რომ პორტუგალი-
ის მეფემ დაიკავა კუნძული ბალსარადა, რომელიც ისე ჰკეტავს წითელი ზღვის
შესავალს, როგორც ჰორმუზი სპარსეთის ყურის შესავალს [3.] ერთი თვის შემ-
დეგ, 7 მარტს გაგზავნილ წერილში მონპელიე მეფეს ატყობინებს, რომ პორ-
ტუგალელები ამავრებენ ბალსარადას და იქ დიდ მარაგს აგროვებენ, რაც გამო-
იწვევს ვაჭრობის მოშლას ლევანტსა და მთელს ხმელთაშუა ზღვაზე ([3], გვ. 469).
ელჩის ასეთი დასკვნა ნიშანდობლივად მომოსცემს საფრანგეთის სავაჭრო ინტერე-
სებს ახლო აღმოსავლეთში. საფრანგეთს აშფოთებდა ინდოეთის ოკეანეში პორ-
ტუგალიის გაბატონება, რასაც უარყოფითი გავლენა უნდა მოეხდინა ლევანტის
ვაჭრობაზე. პორტუგალია შლიდა ინდოეთის ვაჭრობას ლევანტთან და აღმოსავ-
ლური საქონელი ევროპაში საოკეანო გზით გაჰქონდა. თავის დროზე ამან დასცა
ეგვიპტელი მამლუქების ხაზინის შემოსავალი. აღნიშნული გარემოება აკნინებდა
ოსმალეთის და მისი ეკონომიკური და პოლიტიკური მოკავშირის, საფრანგეთის
საშუამავლო როლს ინდოეთსა და ევროპას შორის. საფრანგეთს არ შეეძლო ოკეა-
ნებში დამარცხებინა ესპანეთის და პორტუგალიის ძლიერი ფლოტი. ხმელთაშუა
ზღვისა და ოსმალეთის ნავსადგურების მეშვეობით ის ახერხებდა აღმოსავლური
საქონლის მიღებას მარსელში. პორტუგალია კი ემუქრებოდა ამ კომუნიკაციასაც.

გასაგებია აგრეთვე ის კმაყოფილება, რაც ფრანგულ დოკუმენტებში ვხვდებით პორტუგალიასთან ბრძოლაში ოსმალეთის წარმატებებთან დაკავშირებით, ასეთია 6 წლის შემდეგ, 1547 წლის 3 და 9 მარტს შედგენილი წერილები, რომელთა ავტორი იყო საფრანგეთის ახალი ელჩი ვენეციაში მორვილი. ის მეფეს აუწყებდა სულთნის ფლოტისა და ლაშქრის მიერ ბასრის აღებას ([3], გვ. 644—645).

ფრანგები მხარს უჭერდნენ აგრეთვე ოსმალეთის საზღვაო ლაშქრობებს, რომლებიც XVI საუკუნის 30-40-იან წლებში ჩატარდა პორტუგალიის წინააღმდეგ ინდოეთის სანაპიროებზე, სპარსეთის ყურეში, მასკატისა და სხვა საყრდენი პუნქტების დასაკავებლად. პორტუგალიის დამარცხება ინდოეთის ოკეანის აუზში არა მარტო ახლო აღმოსავლეთის საშუამავლო როლს გაზრდიდა, არამედ ჰაბსბურგებს დაუხმობდა შემოსავლის დიდ წყარობებს, რომლებიც მათ საოკეანო ვაჭრობიდან ჰქონდათ. საფრანგეთში ესმოდათ, რომ ოსმალეთის აქტივობა ინდოეთის ოკეანეში ხელს უწყობდა საფრანგეთის პოზიციების განმტკიცებას ახლო აღმოსავლეთის ვაჭრობაში და ეკონომიკურად ასუსტებდა ჰაბსბურგებს ევროპაში.

ასეთია მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო მდგომარეობა XVI საუკუნის პირველ ნახევარში ამ პერიოდის ფრანგული დიპლომატიური დოკუმენტების მიხედვით.

აღმოსავლეთის ისტორიის კათედრა

ლიტერატურა

1. M. Belin, Des capitulations et des traités de la France en Orient, Paris, 1870.
2. Петров В. П. и Владимиров Ю. В., КЭД:ОРСЭ (Краткий очерк дипломатической службы Франции), Москва, 1968.
3. E. Charrière, Négociations de la France dans le Levant (collection des documents inédits sur l'histoire de France), t. I—II, Paris, 1848—1850.
4. Документы по истории внешней политики Франции 1547—1548, под ред. проф. А. Д. Люблинской, М.-Л., 1963.
5. Testa(de), Recueil des traités de la Porte Ottomane avec les puissances étrangères depuis le premier traité, conclu en 1536 entre Suleyman I et François I jusqu'à nos jours, t. I, Paris, 1865.
6. E. Charrière, Op.cit., t. II, Paris, 1850.


В. Г. ЧОЧИЕВ

МЕЖДУНАРОДНЫЕ ОТНОШЕНИЯ БЛИЖНЕГО ВОСТОКА В СВЕТЕ ФРАНЦУЗСКОЙ ДИПЛОМАТИЧЕСКОЙ КОРРЕСПОНДЕНЦИИ ПЕРВОЙ ПОЛОВИНЫ XVI ВЕКА

Резюме

В труде дан обзор французских дипломатических документов первой половины XVI века (публикации Е. Шарриера). Изучены следующие вопросы: соперничество Франции с Габсбургами и его проявления в ближневосточной политике двух государств; ирано-турецкие отношения и стремление Ирана использовать османо-габсбургские войны в Европе для утверждения своего владычества в странах Закавказья; обострение международной обстановки на Ближнем Востоке в связи с вторжением Португалии в бассейн Индийского океана; турецко-португальское торговое соперничество. Выявлены неизвестные факты из внешнеполитической истории Грузии.

V. TCHOTCHIEV



LES RELATIONS INTERNATIONALES DU LEVANT A LA CLARTE DE LA
CORRESPONDANCE DIPLOMATIQUE FRANÇAISE DE LA PREMIERE
MOITIE DU XVI^{-me} SIECLE

R é s u m é

Le travail comprend un aperçu des documents diplomatiques français de la première moitié du XVI-me siècle, édités par E. Charrière. On considère les questions suivantes: la rivalité entre la France et Habsbourg en Europe et au bassin de la Méditerranée et sa manifestation dans leurs politiques levantine; les relations irano-ottomannes; l'aspiration de l'Iran d'employer les guerres de la Turquie contre l'Autriche en l'Europe este pour l'affirmation de sa domination dans les pays transcauciens; l'aggravation de la situation politique du Levant à cause de l'invasion du Portugal au bassin de l'Océan indien; la guerre de commerce de la Turquie avec ce dernier; on y met en évidence les faits inconnus des sources françaises sur l'histoire de la Géorgie.

შავი ზღვა ქართული წყაროების მიხედვით

მანანა ბაბაშვილი

საუკუნეთა განმავლობაში შავი ზღვის სახელები იცვლებოდა იმისდა მიხედვით, თუ როგორი იყო პოლიტიკური სიტუაცია შავი ზღვის მიმდებარე ქვეყნებში. და რა ურთიერთობა ჰქონდათ ამ ქვეყნებს საერთოდ შავი ზღვის აუზთან.

ანტიკურ, ელინისტურ და რომაულ პერიოდებში შავ ზღვას, როგორც ცნობილია, ეწოდებოდა „პონტოს ეგქსინოსი“ და „პონტო“.

„პონტო“ შავი ზღვის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და ძველი სახელწოდებაა, მაგრამ ის გვიანაც იხმარებოდა. VIII—XI საუკუნეებში შავ ზღვაზე ბიზანტიელთა ბატონობის პერიოდში ეს სახელი კვლავ ძალაშია [1]. პონტო ფართოდ იყო გავრცელებული აღმოსავლურ სამყაროშიც. არაბი და სპარსელი მწერლები (ალ-ბატანი, იბნ რუსტე, კუდამა იბნ ჯაფარი, ალ-მასუდი...) აღნიშნული ტერმინით ხშირად მოიხსენიებენ შავ ზღვას თავიანთ თხზულებებში.

„პონტო“ დამოწმებულია ქართულ წყაროებშიც. თუ არ ვცდებით, „პონტო“ პირველად გვხვდება იოვანე საბანისძის ავოგრაფიულ ნაწარმოებში („მარტვლობაჲ ჰაბოასი“). დასახელებულ თხზულებაში ნათქვამია: „ქუყყანაჲ იგი სავსეჲ ქრისტეს სარწმუნოებითა არვინ ურწმუნოთაგანი მკვლად იპოვების საზღვართა მათდა. რამეთუ საზღვარ მათდა არს ზღუაჲ იგი პონტოასაჲ, სამკვდრებელი ყოველადვე ქრისტიანეთაჲ, მოსაზღვრადმდე ქალღიაჲსა, ტრაპეზუნტიჲ მუნ არს, საყოფელი იგი. აფსარეასაჲ და ნაფსაჲ ნავთ-სადგური“ ([2], გვ. 62).

პონტო გვხვდება XI—XIII საუკუნეების ქართულ წყაროებშიც (ლეონტი მროველი ([3], გვ. 4); ისტორიანი და აზმანი ([4], გვ. 15, 34, 78, 92). აღსანიშნავია, რომ შავი ზღვის აღმნიშვნელი ეს უძველესი ტერმინი კვლავ ცოცხალი ჩანს XVIII საუკუნეშიც, სახელდობრ ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებაში ([5], გვ. 40, 632, 659...).

საფიქრებელია, რომ „პონტო“ ქართულ სინამდვილეში VIII საუკუნემდე გაცილებით ადრე იყო შემოსული და ადრევე იცნობდნენ შავი ზღვის ამ სახელწოდებას. ამის თქმის შესაძლებლობას იძლევა საქართველოს ურთიერთობა ბერძნულ-ელინისტურ და რომაულ სამყაროსთან როგორც ჩვენს ერამდე, ისე ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნეებში.

ქართულ წყაროებში მოიპოვება შავი ზღვის ისეთი სახელწოდებაც, რომელიც სხვაგან არსად არაა ფიქსირებული, ესაა „სპერის ზღვა“. „სპერის ზღვა“ გვხვდება ლეონტი მროველთან: „დასავლით ვიდრე ზღუადმდე სპერისა“ ([3], გვ. 9. იხ. აგრეთვე გვ. 8, 19). ჯუანშერთან: „დაიპყრა მირდატ, ძემან ვახტანგისმან, ფარავნითგან და ტასისკართგან, ვიდრე ზღუადმდე სპერისა“ ([3], გვ. 205) და ვახუშტისთან: „ბექეს ეპყრა ტაშისკარს ზეით სპერის ზღუადმდე“ ([5], გვ. 245, იხ. აგრეთვე გვ. 40, 48, 49, 50...).

სპერის ზღვა შავი ზღვის აშკარად ქართული სახელწოდებაა, ნაწარმოები იგი სამხრეთ დასავლეთ საქართველოში მდებარე ერთ-ერთი ცნობილი ადგილია სახელწოდებიდან. ივ. ჭავჭავაძის ამის გამო აღნიშნავდა: „...სპერის ზღვა იგივე პონტოს ზღვაა იმ განსხვავებით, რომ უკანასკნელი ბერძნული სახელი იყო, ხოლო პირველი ამ ზღვის ძველი ქართული სახელია. ეს სახელი იმიტომ დაერქმეოდა შავ ზღვას, რომ მის აღმოსავლეთ-სამხრეთის კიდეებზე სპერის ანუ ისპირი იღო“ ([7], გვ. 21).

აკად. ნ. ბერძენიშვილი შემდეგნაირად ხსნიდა ამ სახელწოდებას: „სპერის ზღვა“, ქართულად, ქართველებისათვის... გამოდის სპერები (სასპერები...) იყო ხალხი (არაქართი) ზღვის პირას“ ([8], გვ. 238).

აღსანიშნავია, რომ ამ სახელწოდებას რაღაცნაირად ეხმაურება ერთ აღმოსავლურ წყაროში დამოწმებული „ქართველთა ზღვა“ — „ბაპრ ალ-ჯურზი“ ([9], გვ. 67). მხედველობაში გვაქვს X საუკუნეში შედგენილი ანონიმი ავტორის „ჰოდუდ ალ-ალამი“ („ქვეყნიერების საზღვრები“).

ამრიგად, როგორც ირკვევა, შავ ზღვას „ქართველთა ზღვას“ უწოდებდნენ არა მარტო ქართველი, არამედ უცხოელი მწერლებიც, მაგრამ ზოგადად ლიტერატურაში, მათ შორის ქართულ მწერლობაში ფართოდ იყო გავრცელებული „პონტო“.

შუა საუკუნეების წყაროებში (დასავლურში, აღმოსავლურში), დასახელებულია შავი ზღვის სხვა სახელწოდებანიც. „პონტო“ (აღმოსავლური — „Bundus“), „ბაპრ ალ-ხაზარ“ („ხაზართა ზღვა“), „ბაპრ არ რუმ“ („ბიზანტიის ზღვა“) [10], „ბაპრ-ი კირიმ“ („ყირიმის ზღვა“), „ბაპრ ალ ტრაბუზუნდა“ („ტრაპიზონის ზღვა“), „ბაპრ ალ-ბურგარ“ („ბურღართა ზღვა“), „ბაპრ არ რუს“ („რუსთა ზღვა“) და ბოლოს „შავი ზღვა“. (თურქული „Kara Deniz“, ლათ. „Mare nigrum“ ბერძ. „Mavri thalassa“ [11]).

ჩვენ ერთხელ უკვე მივაქციეთ ყურადღება იმას თუ როდის მკვიდრდება ამ ზღვის ახალი სახელწოდება — შავი ზღვა ([11], გვ. 68).

როგორც ცნობილია, XI საუკუნიდან შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებზე ვრცელდებოდა თურქული ელემენტი. ასეთსავე პროცესს ადგილი ჰქონდა ჩრდილოეთიდანაც. სწორედ ასეთ ვითარებაში იცვლება ძველი პონტოს სახელწოდება ახალი თურქული სახელწოდებით.

თურქ-სელჩუკთა და მონღოლთა დაპყრობების ერთ-ერთი შედეგი იყო შავი ზღვის მიმდებარე ქვეყნების ისლამიზაცია. ამ მოვლენების შესახებ აკად. ვ. ვ. ბარტოლდი წერდა: „Область Черного моря знала только тюркский, не арабско-персидский ислам“ ([13], გვ. 659).

XIII საუკუნესა და XIV საუკუნის მეორე ნახევარში შავი ზღვის ძველი სახელწოდება „პონტო“ სამუდამოდ განდევნა მისმა ახალმა სახელწოდებამ — „შავმა ზღვამ“.

„შავი ზღვა“ — „Kara Deniz“ თურქებმა დაუპირისპირეს „ხმელთაშუა“ და „მარმარილოს“ ზღვებს („აკ დენიზ“ — „თეთრი ზღვა“). როგორც მკვლევარები ფიქრობენ შავი ზღვის ეს სახელწოდება ოსმალთა ბატონობამდე გაჩნდა და თურქულ-თათრული წარმოშობისაა.

შავი და მარმარილოს ზღვის აღსანიშნავად იხმარებოდა აგრეთვე არაბულ-სპარსული შედგენილი ტერმინები: „ბაპრ-ე სიაპ“ („შავი ზღვა“) და „ბაპრ-ე სეფიდ“ („თეთრი ზღვა“). ამ შემთხვევაშიც „ბაპრ-ე სიაპ“ ისევე უპირისპირდება მარმარილოს ზღვის აღმნიშვნელ ტერმინს „ბაპრ-ე სეფიდ“-ს („თეთრი ზღვა“), როგორც „კარა დენიზ“ („შავი ზღვა“) „აკ დენიზს“ („თეთრი ზღვა“), რომელიც ხმელთა-

შუა და მარმარილოს ზღვის აღსანიშნავად იხმარებოდა, მაგრამ არაბულ-სპარსულ „ბაჰრე-სიჰთან“ შედარებით გაცილებით გავრცელებული იყო თურქული სახელწოდება „კარა დენიზ“. შავი ზღვის თურქული წარმოშობის სახელწოდება, თო გავრცელება არავითარ ეჭვს არ იწვევს. მაგრამ არსებობს სხვა მოსაზრებებიც. მაგალითად, შავი ზღვის ისტორიის მკვლევარს გ. ბრატიაუს დასაშვებად მიაჩნია შავი ზღვის ახალი სახელწოდების კავშირი ძველსპარსულ „akhsaena“-სთან, რაც ნიშნავს „შავს“, „მუქს“ ([11], გვ. 45).

ამგვარად, შავი ზღვის ახალი სახელწოდების გაჩენა და დამკვიდრება თურქთა გაბატონებასთანაა დაკავშირებული. 1453 წ. კონსტანტინოპოლისა და 1475 წ. ყირიმის ნახევარკუნძულის თურქთა მიერ დაპყრობამ შავი ზღვა „თურქეთის ტბად“ გადააქცია ([13], გვ. 227—228); ([14], გვ. 582). შეიძლება გვეფიქრა, რომ სწორედ ამან გაუჟაფა გზა თურქული წარმოშობის ტერმინის საყოველთაოდ გავრცელებას. მაგრამ შავი ზღვა დამოწმებულია უკვე XIII—XIV საუკუნეების ლათინურ და იტალიურ დოკუმენტებში, ბერძნ. „Mavri thalassa“ 1265 წ. ბიზანტიასა და ვენეციას შორის დადებულ ხელშეკრულებაში; ლათ. „Mare nigrum“ 1338 წლის დოკუმენტებში ([12], გვ. 665). საერთოდ კი ევროპულ ენებში შავი ზღვის ახალი სახელწოდება თურქულის მეშვეობითაა შემოსული („კარა დენიზი“).

საინტერესოა თუ როგორ აისახა შავი ზღვის ახალი სახელწოდება, რომელიც ასე ფართოდ გავრცელდა აღმოსავლეთშიც და დასავლეთშიც, ქართულ წყაროებში.

სამწუხაროდ, ძნელი გამოსარკვევია, თუ როდის და რომელ ქართულ წყაროშია დამოწმებული პირველად შავი ზღვის ეს ახალი სახელწოდება. ალბათ, ქართული წყაროების სიმცირით აიხსნება, რომ ჩვენ XIII—XIV საუკუნეებისათვის არსად არ გვხვდება შავი ზღვის ასე ფართოდ გავრცელებული სახელი ([15], გვ. 95).

ამასთან დაკავშირებით აუცილებლივ აღსანიშნავია, რომ XIII—XIV საუკუნის ცნობილმა მოვლენებმა (მონღოლები, თემურ-ლენგი...) გამოიწვიეს ქართული წყაროების განადგურება, ახალი კი იშვიათად იქმნებოდა და, საზოგადოდ, როგორც ცნობილია, XV—XVI საუკუნეების ქართული ისტორიოგრაფია დაქვეითების გზაზე იყო შემდგარი.


ალბათ, ამით უნდა აეხსნათ, რომ შავი ზღვის ახალი სახელწოდება დამოწმებულია შედარებით ნაგვიანვე ქართულ წყაროებში [16].

ამას გვაფიქრებინებს, მაგალითად, ტერმინ „შავი ზღვის გადამწერთა მიერ ლეონტი მროველის თხზულებასთან დაკავშირება.

ჩვენთვის უცნობია ლეონტი მროველის თხზულების ვარიანტული სხვაობის თუ მინაწერის დრო და ავტორის ვინაობა. ამ მინაწერში ნათქვამია: „ზღუა პონტოსი, რომელსა აწ შავ ზღუად სახელ სდებენ“ ([3], გვ. 4). ცხადია, „შავი ზღვა“ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დავეუკავშიროთ ლეონტი მროველის ცხოვრებასა და მოღვაწეობის დროს—XI საუკუნეს. როგორც უკვე ვთქვით, „შავი ზღვა“ XIII—XIV საუკუნეების სახელწოდებაა. ამდენადვე გამოსარკვევია, თუ რომელ საუკუნეს უკავშირდება ზემოთ დამოწმებული მინაწერი.

ყოველ შემთხვევაში, „შავი ზღვა“ XVIII საუკუნემდე არც ერთ ქართულ წყაროში არ იხმარება. შავი ზღვის ახალი სახელი პირველად სულხან-საბა ორბელიანის წიგნში—„მოგზაურობა ევროპაში“—უნდა გვქონდეს დასახელებული. სულხან-საბა მოგვითხრობს: „და ხვანთქრისაგან ბრძანებული იყო არა წამოსვლა შავთა მათ ზღუათა, იტალიელთა და დასავლეთის კაცთა“ ([17], გვ. 150).

„შავი ზღვა“ გვხვდება ვახუშტის თხზულებაშიც „აღწერა სამეფოსა საქართ-



ველოსა“. ([5], გვ. 42, 50, 51, 784...) და მის მიერ რუსულიდან თარგმნილ მსოფლიო გეოგრაფიაში ([18], გვ. 185—187, 189).

მაგრამ ვახუშტის „აღწერაში“ შავი ზღვის ახალი ტერმინის გვერდით ჯერ კიდევ იხმარება მისი ძველი სახელწოდება როგორც ცალ-ცალკე, ისე ერთდროულად, ხშირად ერთმანეთის გვერდით. ასე, მაგალითად, „ხოლო არს სიგრძე ქუეყანისა ამის 3^ე ეჯი, ხოლო განი სპერას ზღუსაჲენ 5^ე ეჯი, შუა ადგილი ლ^ბ ეჯი, ხოლო ბოლოთ კერძი ლ^ე ეჯი, და მდებარებს კასპიისა და პონტოს ზღუას შორის ([5], გვ. 40).

ვახუშტისთან, ერთგან, ერთ აბზაცში ერთდროულად შავი ზღვის სამივე სახელიც კია დამოწმებული: „რომელი განვლის არაზიდამ პონტოს ზღუადმდე, და გამოძინარენი მდინარენი ერთვიან მტკუარსა, და შავ ზღუასა, ჩრდილოთ მთა კავკასი და მთა ლადოსი ვიდრე ზღუამდე სპერისა“... ([5], გვ. 48).

ვახუშტის მიერ ერთდროულად შავი ზღვის როგორც ძველი, ისე ახალი სახელწოდებების ხმარება გვიჩვენებს, რომ შავი ზღვის ახალი სახელი ჯერ კიდევ არ იყო ბოლომდე დამკვიდრებული და გაბატონებული ქართულ მწერლობასა და ისტორიოგრაფიაში. ამას უნდა გვიდასტურებდეს ვახუშტი ბაგრატიონის ერთ-ერთი გამოთქმა: „დასავლით შავი ზღუა ანუ პონტოსი“ ([5], გვ. 49). მან იცის, რომ პონტოს, ლეონტი მროველის თხზულების მინაწერის სიტყვები რომ მოვიშველიოთ, „აწ შავ ზღვად სახელს სდებენ“ ([3], გვ. 4).

„შავი ზღვა“ როგორც სრულიად გარკვეული შინაარსის შემცველი ტერმინი, ქართულ სინამდვილეში, ჩვენი აზრით, საბოლოოდ მკვიდრდება მხოლოდ XIX საუკუნეში, როცა შავ ზღვაზე შესუსტდა ოსმალთა ბატონობა, ხოლო გარე სამყაროსთან უკვე მკვიდროდ დაკავშირებულმა ამ ზღვამ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ეკონომიკურ ცხოვრებასა და ჯრთიერთობაში.

ამრიგად, ქართული წყაროების მიხედვით შავი ზღვის შესწავლა, სხვა აღმოსავლურ და ევროპულ მასალებთან ერთად შესაძლებლობას იძლევა გავითვალისწინოთ აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის ისტორია უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე.

აღმოსავლეთის ისტორიის კათედრა

შენიშვნები და ლიტერატურა

1. უძველეს რუსულ მატაიანეშიც შავ ზღვას „Понетъское“ ეწოდება. Повесть временных лет. 1, გვ. 33; იმავე მატაიანეში მას „რუსთა ზღვაც“ ეწოდებოდა: „Еще море словет русское“.
2. იოვანე საბანისძე, მარტკლობაჲ ჰაბოასი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, შედგენილი ს. ყუბანეიშვილის მიერ, თბ., 1946, 1.
3. ლეონტი მროველი, ქართლის ცხოვრება, ტექსტა დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. 1, თბ., 1955.
4. ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959.
5. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973.
6. სწავლულ კაცთა კომისიის „ისტორიანთა და აზმანთა“ ტექსტისათვის წამოძვარებულ გიორგი III-ის მოკლე დანახიათებაში, რომლის უმეტესი ნაწილი ამოღებულია ლაშა გიორგის დროინდელი მატაიანედან, გვხვდება შემდეგი საყურადღებო ადგილი: „აღმოსავლით გურგანი ზღვით ვიდრე ზღუადმდე სპერისა“, ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 3, შენ. 2.
7. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, თბ., 1965.
8. ნ. ბერძენიშვილი—საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, თბ., 1975.
9. Hudud al-Alam; translated and explained by V. Minorsky, London. 1937.
9. შრომები. ტ. 186.

10. რუმის ზღვა უბირატესად ხმელთაშუა ზღვის ეწოდებოდა.
11. ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. В. М. Бейлис, Сведения о Черном море в сочинениях арабских географов IX—X вв., сб. Ближний и Средний Восток, М., 1969. G. I. Bratianu, La Mer Noir, Societas Academica Dacoromana, Acta Historica, t., IX, Rome-Munich, 1969.
- მ. გაბაშვილი, დასავლეთ საქართველოს ქალაქები XI—XII საუკუნეებში, მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, თბ., 1973, № 4.
12. მ. გაბაშვილი, დასახ. ნაშრომი.
13. В. В. Бартольд, Ислам на Черном море, Соч., т. 6 М., 1966.
14. G. B. Depping, Histoire du Commerce du Levant entre l'Europe et du Levant depuis les Croisades, Paris, 1832, II.
15. A. H. Gybyer, The Ottoman Turks and the Routes of Oriental Trade, The English Historic Review, vol., XXX-no. CXX, 1915.
16. რუსულ მწერლობაში შავი ზღვის ეს სახელწოდება XI—XV საუკუნეებში უნდა იყოს დამკვიდრებული. М.Н. Сперанский, Из старинной новгородской литературы XV века, Л., 1934.
17. სულხან-საბა ორბელიანი, მოგზაურობა ევროპაში. ს. იორდანიშვილის რედაქციით, წინასიტყვაობით, შენიშვნებით და ლექსიკონით. ტფ., 1940.
18. ბატონიშვილი ვახუშტი, მსოფლიო გეოგრაფია, აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ხელნაწერი А 717.

М. В. ГАБАШВИЛИ

ЧЕРНОЕ МОРЕ ПО ГРУЗИНСКИМ ИСТОЧНИКАМ

Резюме

Исторически наименования Черного моря менялись (Понто́с, Бахр ал-Хазар, Бахр ар-Рум, Бахр-и Ки́рим, Бахр ал-Трапезунд, Бахр ал-Джурз, Бахр ар-Бургар, Бахр ар Рус и, наконец, Черное море (турецк. Кара Deniz, лат. Mare nigrum, греч. Μαύρι θαλάσσα). Это обусловлено изменениями в политической ситуации причерноморских стран и связями этих стран с черноморским бассейном.

В грузинских источниках засвидетельствовано также наименование Черного моря, не зафиксированное в иноязычных сочинениях—„Сперис зღვა“ („Сперийское море“).

Термин „Черное море“ впервые засвидетельствован в грузинских источниках XVIII века, у Судхана-Саба Орбелиани и Вахушти Багратиони.

Таким образом, наряду с данными восточных и западных источников, грузинские материалы представляют значительные данные для изучения восточного Причерноморья с древнейших времен до XIX века.

M. GABASHVILI

THE BLACK SEA IN GEORGIAN SOURCES

Summary

The designation of the Black Sea varied historically (*Pontos, Bahr al-Kazar, Bahr ar-Rum, Bahr-i Kirim, Bahr al Trapizund, Bahr al-Djurz, Bahr ar-Burgar, Bahr ar-Rus*, and finally, the Black Sea (Turkish *Kara Deniz*, Latin *Mare nigrum*, and Greek *Μαύρι θαλάσσα*). The variations

were due to changes in the political situation of the countries adjoining the Black Sea and their interrelations.

Georgian sources have preserved the designation *Speris zghva* ('The Speri Sea')—a name absent in other language sources.

As a term Black Sea (*Shavi zghva*) occurs in Georgian sources for the first time in the 18th century—in Sul Khan-Saba Orbeliani and Vakhushti Bagrationi.

Thus, Georgian materials—taken in conjunction with the evidence of Oriental and Western sources—are of considerable importance to research into the eastern littoral of the Black sea from ancient times to the 19th century.

XVIII საუკუნის სომხური ქრონიკის ცნობები საქართველოს შესახებ

კარლო კუცია

ჩვენთვის საინტერესო XVIII საუკუნის პირველი მესამედის სომხური „ქრონიკის“ ავტორად მიჩნეულია მარტიროს დი არაქელი, თუმცა თხზულების იმ ერთადერთ ხელნაწერში, რომელიც ინახება სომხეთის ხელნაწერთა ინსტიტუტში, „მატენადარანში“, 1978 ნომრით, მარტიროსი არაა დასახელებული, როგორც „ქრონიკის“ ავტორი. ძველის პირველმა გამოცემებმა (1941 წ.) ([1], გვ. 95—100) ა. შ. აბრამიანმა ხელნაწერის გადაშვრი მარტიროს დი არაქელი მიიჩნია თხზულების ავტორად. იგივე აზრი გამოთქვა შემდეგში ვ. აკოფიანმა, რომელმაც 1956 წელს „ქრონიკა“ გამოსცა მარტიროს დი არაქელის ავტორობით ([2], გვ. 427—434).

მარტიროსის შესახებ ძალიან ცოტა რამაა ცნობილი. ის მწირი ბიოგრაფიული ცნობებიც, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია, მიმოხეულია სხვადასხვა სახის თხზულებების კრებულში, რომელიც პირადად გადაუწერია მარტიროსს. ამ ცნობებიდან ვგებულობთ, რომ იგი ბევრს მოგზაურობდა, რომლის დროსაც მონახულა აღმოსავლეთისა და ევროპის ზოგიერთი ქვეყანა. მაგ., 1709 წ. მარტიროსი იყო შირაზში, 1722 წელს ბენდერ-აბასში და ბენდერ-სურათში, 1723 წელს ლივორნოში და ა. შ. ამ მოგზაურობათა დროს იგი აწარმოებდა დღიურებს, რომლებიც, როგორც ჩანს, შემდეგში საფუძვლად დაედო მის ორ ქრონიკას [3].

მიუხედავად თავისი სიმცირისა (იგი შეიცავს მატენადარანის ხელნაწერის მხოლოდ 6 გვერდს), მარტიროს დი არაქელის „ქრონიკის“ ქრონოლოგიური ჩარჩო საკმაოდ ფართოა, იგი იწყება თემურ-ლენგის 1397 წლის ლაშქრობით ამიერკავკასიაში და სეფიანთა დინასტიის წარმოშობის აღწერით და სრულდება 1729 წლის თამაზყული-ხანის (მომავალი ნადირ-შაჰის) დაპყრობების მოკლე აღწერით [4]. ამრიგად, თხზულებაში ასახულია თითქმის ორსაუკუნუნახევრის მანძილზე მომხდარი უმნიშვნელოვანესი მოვლენები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ირანსა და მის მეზობელ ქვეყნებში: სეფიანთა დინასტიის გაბატონება ირანში და სეფიანი შაჰების მოღვაწეობის ძირითადი მომენტები, ავღანური ტომების აჯანყება, სეფიანთა დინასტიის მოსპობა და ავღანელების ირანში გაბატონება, რუსეთისა და თურქეთის ჩარევა ირანის საქმეებში XVIII ს-ის 20-იან წლებში და სხვ.

თავისთავად ცხადია, რომ მარტიროს დი არაქელი თავისი „ქრონიკის“ ანუ „უამთაღმწერლობის“ (*Ժամանակագիրութիւն*) შედგენისას სარგებლობდა წინარე ხანის ისტორიული თხზულებებით და მხოლოდ XVIII ს-ის დამდეგიდან იძენს მისი ნაწარმოები პირველწყაროს ხასიათს. სწორედ ეს ნაწილი იწვევს განსაკუთრებულ ინტერესს, როგორც ავტორის პირადი დაკვირვების ნაყოფი.

მარტიროსის ქრონიკაში აისახა XVI—XVIII საუკუნეების საქართველოს ისტორიის მოვლენებიც. თუ პირველი ორი ცნობა (შაჰ თამაზ I 1541 წლის

1953 წლის
28 იანვარი

ლაშქრობა საქართველოში და 1613 წელს შაჰ აბას I მიერ აღმ. საქართველოს
აოხრება) მხოლოდ მოვლენის თარიღის დასახელებით იფარგლება, სამაგიეროდ
სომეხი ისტორიკოსი მოკლედ, მაგრამ საკმაოდ შინაარსიანად აღწერს ქართლის
მეფის გიორგი XI (გიორგი-ხანის) მოღვაწეობას ირანსა და ავღანისტანში და ვახ-
ტანგ VI-ისა და მამამადყული-ხანის ბრძოლას ქართლისათვის.

მარტიროსი ამ უკანასკნელი ორი ისტორიული მოვლენის უშუალო თან-
მედროვეა და ამიტომ იგი ძირითადად სწორად გადმოგვცემს ისტორიულ ფაქტებს,
თუმცა მის მონათხრობში ზოგიერთი ლაფსუ სიც შეინიშნება, რომელზედაც სათა-
ნადოდა გამახვილებული ყურადღება ჩვენს კომენტარში.

„ქრონიკის“ ცნობების სანდოობას ზრდის ისიც, რომ ზოგიერთი მათგანი
დადასტურებას პოულობს ქართულ და სომხურ საისტორიო ნაწარმოებებში: სეხ-
ნია ჩხეიძის, ესაი ჰასან ჯალალიანცისა და ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებებში.

ყოველივე ამან განაპირობა მარტიროსს დი არაქელის თხზულების ქართული
მასალის თარგმნა და გამოქვეყნება. მარტიროსს ყველა თარიღი მოაქვს სომხური
წელთაღრიცხვით. ქართული თარგმანის წაკითხვის გასაიოლებლად ფრჩხილებში
მოგვაქვს სომხური წლის თანამედროვე კალენდრის შესატყვისი წელი.

საქართველოს შესახებ ცნობების ქართული თარგმანი შესრულებულია მარ-
ტიროსს დი არაქელის „ქრონიკის“ 1956 წლის ვ. აკოფიანის გამოცემიდან.

აღმოსავლეთის ისტორიის კათედრა

ლიტერატურა

- 1. *Գ ի տ ա կ ა ն ն յ ու լ թ ხ ր ի ժ ո ղ ի վ ա ժ ու ն* I, *ԿրԼ* ან, 1941.
- 2. *Մ ան ր ժ ամ ան ակ ա գ ռ ի լ թ յ ու ն ն ր* XIII—XVIII դդ., *ნ. II, կազմხց 4 Ա* *ակ ი ո ղ յ ան, ԿրԼ* ან, 1956.
- 3. მარტიროსს დი არაქელის მეორე „ქრონიკაც“ გამოქვეყნებულია ვ. აკოფიანის მიერ გამო-
ცემულ მცირე ქრონიკების მეორე ტომში (*Մ ան ր ժ ամ ան ակ ա գ ռ ի լ թ յ ու ն ն ր* *ნ. II*, გვ. 442—
445). მასში არაა ცნობები საქართველოს შესახებ.
- 4. თემურ-ლენგის ლაშქრობის წელი სწორად არაა მითითებული. უნდა იყოს 1386 წელი (ვ. აკო-
ფიანის შენიშვნა, გვ. 435).

ქართული თარგმანი

შაჰ თამაზი, შაჰ ისმაილის [1] ძე, ტახტზე ავიდა 975 (1526) წელს, [2]
ხოლო 990 (1541) წელს წავიდა და დაიპყრო ერევანი, განჯა, შემახა; გაილაშქრა
აგრეთვე ქართველთა ქვეყანაზე და ძლიერ ააოხრა იგი [3].

* * *

1062 (1613) წელს (შაჰ აბას I) გაილაშქრა ქართველთა ქვეყანაზე, მრავალი
ტყვე ხელთ იგდო, წაასხა და დაასახლა სპარსეთში [4].

* * *

შაჰ სულთან-ჰუსეინი [5], შაჰ სულეიმანის [6] ძე, ტახტზე ავიდა 1143 (1694)
წლის 27 ივლისს, დღესა პარასკევსა აზარიას წლით 79, 9 ყამარს ქალაქ ისფაჰან-
ში. მის დროს ხშირად იმართებოდა ომი ხორასანში, იქამდე, რომ ტომები, რომ-
ლებსაც ბელუჯებს და ავღანელებს უწოდებდნენ, თავს ესხმოდნენ და არბევდნენ
ქალაქებს ქირმანს და ქაშანს და აგრეთვე სხვა მრავალ ადგილს და ნადავლის მო-
საპოვებლად ისფაჰანსაც კი აღწევდნენ [7]. ასეთ გამოუყვალ მდგომარეობაში რომ

აღმოჩნდნენ (სპარსელებმა) მოუხმეს ქართველთა მეფეს, რომელსაც სახელიდ გიორგი-ხანი ერქვა [8]. იგი წავიდა ქირმანში 1145 (1696) წელს და შეებრძოლა ბელუჯებს, დაამარცხა ისინი. მახვილით ამოწყვიტა ყველანი, გადაარჩინა მათი გაქცევით უშველეს თავს [9]. გიორგი-ხანი იმ ადგილას რვა წელი იმყოფებოდა [10]. ამის შემდეგ იგი გაგზავნეს ყანდაპარში, სადაც მან დიდი ვაჟკაცობა და გამირობა გამოიჩინა და შეუბრძა ბელუჯებთან და ავღანელებთან [11]. (გიორგი-ხანმა) ოთხი წელიწადი დაჰყო ყანდაპარს. შემდეგ ვინმე სახელიდ მირვეისმა, ტომით ავღანელმა (12), რომელიც ჯერ იუზბაში [13] იყო, ხოლო შემდეგ სპარსელთაგან სულთნობა მიიღო, ერთ ღამეს თავის თანამებრძოლებთან ერთად ფარულად ააჯანყა ხალხი, თვითონ კი გიორგი-ხანის მახლობლად იდგა ოთხი ათას კაცთან ერთად და თავს მის მეგობრად და ერთგულად აცხადებდა. სომხური წელთაღრიცხვის 1168 (1719) წლის [14] აპრილის თვეში, მან ღამით უჩუმრად მოკლა გიორგი-ხანი და ყანდაპარის ციხე ხელში ჩაიგდო, რადგანაც გიორგის ჯარი იმ დროს ბელუჯებს ეომებოდა და ყანდაპარში არ იყო. ამის შემდეგ ორჯერ გაგზავნეს სპარსელებმა ლაშქარი ყანდაპარის წინააღმდეგ, მაგრამ იგი დამარცხდა და უკან დაბრუნდა. ხოლო შემდეგ მოვიდა ავღანელთა სხვა ტომი, დაიპყრო ქალაქი ჰერათი [15] და მოაოხრა ხორასნის მთელი ქვეყანა. შევიწროებული სპარსელთა ხელმწიფე წავიდა ქალაქ ყაზვინში [16] და თეირანში [17] და სამი წელი იმყოფებოდა (ამ ქალაქებში), რომ იქნებ რამე მოეფიქრებინა (და დაებრუნებინა) ჰერათი და ყანდაპარი, მაგრამ ვერაფერი ვერ მოახერხა.

* * *

იმვე წელს [18] ადგნენ ოსმალონი და დიდი მზადების შემდეგ (შეესივნენ) სპარსელთა ქვეყნის ყველა მხარეს [19]. მაგრამ იმავე წელს რუსები წამოვიდნენ თავისი ლაშქრით და დაიპყრეს ლეკთა ქვეყანა, თარხუსა და ანდრიუს ციხეები. იმ ადგილას დიდად დაზარალდა ორივე მხარე. იქიდან რუსთა ლაშქარი გაემართა დარუბანდის [26] ციხისაკენ, ე. ი. რკინის კარისკენ, რომელშიც სპარსელები იდგნენ. მათ თავისი ნებით ჩააბარეს რუსებს ციხე და ქალაქი [21]. (რუსებმა) აიღეს აგრეთვე ბაქო და მისი მეზობელი ოლქები [22]. იმავე წელს დაიძრა რუსთა ლაშქარი და უბრძოლველად შევიდა გილანის ქვეყანაში, რეშთში, ლაჰიჯანში, გესკერსა და გილანის სხვა ქალაქებში [23], რადგანაც ნიზოვადიდან მოკიდებული ასტრახადამდე, ისევე როგორც მაზანდარანის ქალაქები და კასპიის ზღვის მახლობლად მდებარე ყველა (სხვა) ქალაქი, უბრძოლველად დაუთმეს (მათ სპარსელებმა). რუსები შევიდნენ (სხენებულ ადგილებში), გამაგრდნენ და მშვიდობიანად მართავდნენ (იმ ქალაქებს) [24].

მომდევნო წელს, რომელიც 1172 (1723) წელი იყო, ვახტანგმა, ადრე ხსენებული გიორგი ხანის ძმამ [25] და მფლობელმა თბილისისა და ქართველთა ქვეყნისა, შეჰყარა ლაშქარი თავისი ქვეყნის დასაცავად, რადგან ელოდა ოსმალოთა ჯარის (მოსვლას), რომელიც ყარსში იდგა. იმავე დროს ვინმე მაჰმადყული-ხანმა, თამარ-ხანის ნაბიჯვარძმა [26], ერეკლე კახელის შვილიშვილმა, საქართველოს მფლობელმა, რომელიც დანიშნული იყო უფლისწულ თამაზის [27] მცერ, ადგა და ერეგნისა და სხვა ახლომანლო ქალაქების ლაშქრით და აგრეთვე იმავე კახეთის ქართველების დახმარებით ომი გაუმართა ვახტანგს. მაგრამ საწადელს ვერ მიადწია [28] (მაშინ) წავიდა მთაში მოზინადრე ლეკებთან, მისცა დიდძალი ფული, თან წამოიყვანა მათი ლაშქარი, მოულოდნელად თავს დაესხა ვახტანგის ჯარს და აოტა იგი. (მაჰმადყული-ხანი) შევიდა თბილისში, ხელთ იგდო დავლა და (ქალაქის მოსახლეობის) მთელი სარჩო-საბადებელი ლეკებს დაუთმო [29].

ხოლო თვითონ დაეუფლა და დაჯდა ქალაქში [30]. როგორც კი შეიტყვეს ეს ოსმალებმა, რომელნიც ყარსში იდგნენ, მაშინვე ხუთი ფაშა თბილისისკენ დაიძრა. მაჰმადყული-ხანმა აიღო ციხის გასაღები, წინ გამოეგება მათ და (იგი) ოსმალით გადისცა. მოვიდნენ ოსმალონი, ჩადგნენ ციხეში და დაეუფლნენ ქალაქს.

კ ო მ ე ნ ტ ა რ ი

1. შაჰ ისმაილ I (1502—1524), სეფიანთა დინასტიის (1502—1722) დამაარსებელი.
2. შაჰ თამაზ I, შაჰ ისმაილის ძე და მემკვიდრე, სინამდვილეში სეფიანთა ტახტზე ავიდა 1524 წელს და იმეფა 1576 წლამდე.
3. სომეხი ისტორიკოსი ასახელებს შაჰ თამაზის მხოლოდ ერთ, 1541 წლის ლაშქრობას საქართველოში. ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ შაჰ თამაზმა ოთხჯერ დალაშქრა საქართველო (1540/1, 1546/7, 1551 და 1553/4 წწ.). ამ ლაშქრობების შესახებ ცნობები დაცულია XVII საუკუნის სპარსელი ისტორიკოსების ჰასან რუმელუს თხზულებაში „აჰსან-ათთაფარის“—„საუკეთესო ისტორიათა შორის“ (იხ. ჰასან რუმელუს ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლით გამოსცა ვლადიმერ თოფურბექმე, შენიშვნებში დაურთო რევაზ კინაძემ, თბილისი, 1966, გვ. 22—34) და ისქანდერ მუნშის საისტორიო ნაწარმოებში „თარხი-ე აღამ არაჟ-ე აბასი“—„ქვეყნის დამამშენებელი აბასის ისტორია“ (იხ. ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლითურთ გამოსცა ვლადიმერ თოფურბექმე, თბილისი, 1969, გვ. 15—21).
4. სომეხი ისტორიკოსი ასახელებს შაჰ აბას I (1587—1629) მხოლოდ ერთ ლაშქრობას საქართველოში. მაგრამ ცნობილია, რომ ირანის შაჰმა ორჯერ (1614 და 1616 წწ.) დალაშქრა კახეთი და ქართლი, დაარბია საქართველოს ეს ნაწილები და ირანში მრავალი ათასი ქართველი ტყვე გადასახლა. ისქანდერ მუნშისა და არაქელ დავრიყეცის გადმოცემით, შაჰ აბას I-მა კახეთიდან წაყვანილი ტყვეები ჩრდ. ირანში, მაზანდარანის ოლქში, კონკრეტულად კი ფარაბაბადში დაასახლა (იხ. ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 83—94; არაქელ დავრიყეცის ცნობები საქართველოს შესახებ, თარგმანი, შესავალი და კომენტარები კარლო კუციასი, თბილისი, 1974, გვ. 16—40), აღსანიშნავია, რომ XVII ს-ის სომეხი ისტორიკოსი არაქელ დავრიყეცი 1614 და 1616 წლების შაჰ აბასის ლაშქრობებს აერთიანებს და ერთ ისტორიულ ფაქტად თვლის, რაც არ შეეფერება ისტორიულ სინამდვილეს.
5. შაჰ სულთან-ჰუსეინი (1694—1722)
6. შაჰ სულეიმანი ანუ სხვანაირად შაჰ სეფი II (1666—1694).
7. XVIII ს-ის პირველ მეოთხედში სეფიანთა სახელმწიფოში მიმდინარე სახალხო გამოსვლების შესახებ ცნობები დაცულია მეხდი-ხანის, კრუსინსკის, ა. ვოლინსკის, სეხნია ჩხეიძის, ვახუშტი ბაგრატიონისა და XVIII ს-ის სხვა ავტორთა თხზულებებში. საინტერესო მასალა შემონახული ავღანელებისა და ბელუჯების ამბოხების შესახებ XVIII საუკუნის სომეხი ისტორიკოსის ესაი ჰასან ჯალალიანცის თხზულებაში (იხ. „ავღანთა ქვეყნის მოკლე ისტორია“, ტექსტი გამოსცემად მოამზადა, თარგმანა და კომენტარები დაურთო კარლო კუციამ, თბილისი, 1971, გვ. 20—22).
8. გიორგი-ხანი—ქართლის მეფე გიორგი XI (1676—1688; 1703—1709).
9. გიორგი მეფის ქირმანის მმართველად დანიშვნისა და ბელუჯებისა და ავღანელთა დამორჩილების შესახებ ცნობას გვიწვდის ვახუშტი ბაგრატიონი. ქართველი ისტორიკოსი წერს: „ხოლო რაჟამს აღდგნენ ბულუქს-ზარანი და ავღანნი, ესენი მეგობრობით არბევდნენ ქირმანი თუზდამდე და რავედნეზის წარავლინა ყენმან (შაჰ სულთან-ჰუსეინმა—კ. კ.) სპანი და სარდალნი, მარადის იგინი მძლე ექმნებოდიან. ამისათვის აიძულებდა ყენი გიორგი მეფესა, რათა განაგოს საქმე ესე და მიანიჭოს კულად ქართლი, და არა ინებებდა მეფე. არამედ ქართველნი, რომელნიც იყვნენ მის თანა ევედრებოდნენ ყოფად ამისა. ამისათვის ინება მეფემან, მისცეს ქირმანი და ნიჭი დიდი...“ „ხოლო მეფემან გიორგი დაამუჯნა ყოველნი ურჩნი, რამეთუ ხოსროშა და შადაღ, მპყრობელი ბულუქსიანი, მოვიდნენ წინაშე მისსა შიშით შეძრწუნებულნი და თაყვანისმცემელნი. შემდგომად კულად ინდოთ მესაზღვრენი ავღანნი და ბულუქი მოვიდნენ მორბევედ ხორანსისა. ამით ზედა წარავლინა მეფემან სპანი ქართველ-ყოზილბაშნი. ამათ განვლეს უდაბნო სასტიკი, ეწვივნენ და იქმნა ბრძოლა ძლიერი. არამედ სუფემან მეფისამან სძლო და მოსრნეს სრულიად განურჩებლად და მოვიდნენ წინაშე მეფისა გამარჯვებულნი“ (ბატონოშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, სიმონ ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბილისი, 1973, გვ. 476, 478).

10. თუ მარტიროს დი არაქელის ცნობა მართალია, რომ გიორგი XI 1696 წელს დიხმანა ქირმანის მმართველად და რვა წლის მანძილზე განაგებდა ამ ოლქს, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ იგი 1704 წლამდე იჯდა ქირმანში, ხოლო შემდეგ ყანდაპარის ბეგლარბეგობა ებოძა.

11. გიორგი XI მოახერხა ერთ-ერთი უძლიერესი ავღანური ტომის აბდალიბეგის დიქუნი ნიების დასუსტება. ამ ტომის უდიდესი ნაწილი გაწყვეტილ იქნა, ხოლო ცოცხლად დარჩენილების რამდენიმე ათასი ოჯახი გადაასახლეს პერათსა და სპარსეთში, ქირმანის ოლქში (И. М. Рейснер, Развитие феодализма и образования государства у афганцев, М., 1954, გვ. 309).

12. მირ ვეისი—ავღანური ტომის ჰილზაების ბელადი.

13. იუზბაში—თ. **يوزباشي**—ასისტავი. სინამდვილეში მირ-ვეისი ქალაქ ყანდაპარის ქალანთარი (ქალაქის უხუცესი) იყო, იმავე დროს იგი უმდიდრეს ვაჭრად ითვლებოდა.

14. სინამდვილეში ჰილზაების აჯანყება მირ-ვეისის მეთაურობით ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ და გიორგი XI მკვლელობა მოხდა არა 1719, არამედ 1709 წელს. მირ-ვეისი ფაქტიურად ავღანეთის დამოუკიდებელ მმართველად იქცა. ჰილზაების აჯანყების მხარი დაუჭირეს სხვა ავღანურმა ტომებმაც (И. М. Рейснер, Развитие феодализма..., გვ. 309—310).

15. ჰერათი—ირანის აღმოსავლური პროვინციის, ხორასნის ცენტრალური ქალაქი.

16. ყაზვინი—ირანის მნიშვნელოვანი სავაჭრო-სახელოსნო და კულტურული ცენტრი. 1598 წლამდე ყაზვინი წარმოადგენდა სეფიანთა სახელმწიფოს სატახტო ქალაქს.

17. თეირანი—XVI—XVIII საუკუნეებში ირანის მცირე ქალაქი.

18. იგულისხმება 1722 წელი.

19. სინამდვილეში თურქეთის ლაშქარი სეფიანთა სახელმწიფოს საზღვრებში შეიჭრა 1723 წელს. თურქებმა დაიკავეს აღმ. სომხეთი და აღმ. საქართველო, აგრეთვე ირანის ქალაქი ქერმანშაჰი.

20. დარუბანდი—სპ. **دربند**—სიტყვისიტყვით ნიშნავს „დაკეტილ კარს“. დარუბანდის ზუსტი მნიშვნელობა დამოწმებულია ვახუშტი ბატონაშვილის თხზულებაში. მისი სიტყვით, დარუბანდი ნიშნავს „დასმა კარს“ ანუ დახშულ კარს (აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 51).

21. 1722 წლის 23 აგვისტოს რუსეთის ჯარმა უბრძოლველად აიღო დარუბანდი. ქალაქს აიბი იმაყული-ხანი მიეგება პეტრე I-ს და მორჩილების ნიშნად გადასცა დარუბანდის ოქროს გასაღები (В. П. Лыцов, Персидский поход Петра I, 1722—1723, Москва, 1951, გვ. 301).

22. რუსეთის ჯარმა ბაქო 1723 წელს აიღო.

23. გილანი—პროვინცია ჩრდილოეთ ირანში.

24. 1723 წლის რუსეთ-ირანის ხელშეკრულებით, შაჰ თამაზ II ავღანელ დამპყრობთა წინააღმდეგ დახმარებისათვის რუსეთს სხვა ადგილებთან ერთად სამუდამოდ უთმობდა ირანის ჩრდილო პროვინციებს—მაზანდარანს და ასტრბადს. მაგრამ რუსეთის ჯარს არ დაუკავებია ირანის ეს პროვინციები (История Ирана с древнейших времен до конца XVIII века, Л., გვ. 314, 315).

25. ვახტანგ VI (1703—1724) იყო ვახტანგ V შაჰნავაზის ძის ლევანის ძე. ამდენად ვახტანგ VI იყო გიორგი XI-ის არა ძმა, როგორც ეს სომეხ ისტორიკოსს ჰგონია, არამედ მისი ძმისშვილი.

26. მაჰმადყული-ხანი—ერეკლე I ნახარალიხანის ძე კონსტანტინე. სომეხი ისტორიკოსის ცნობა მაჰმადყული-ხანის თამარაზის (თეიმურაზის) ნაბიჯებობის შესახებ ისტორიულ სინამდვილეს არ შეესაბამება. სინამდვილეში იგი იყო თეიმურაზ I შვილთაშვილი (თეიმურაზი-დავით-ერეკლე-კონსტანტინე (მაჰმადყული-ხანი).

27. იგულისხმება უკანასკნელი სეფიანი შაჰი, შაჰ სულთან ჰუსეინის ძე შაჰ თამაზ II (1722—1732), მისი ხელისუფლება სეფიანთა სახელმწიფოს მხოლოდ მცირე ნაწილზე ვრცელდებოდა, სახელდობრ გილანზე, მაზანდარანზე და სამხრეთ აზერბაიჯანზე.

28. მაჰმადყული ხანსა და ვახტანგ VI-ს შორის პირველი ბრძოლა მოხდა 1722 წლის დეკემბრის პირველ ათდღეულში (ესაი ჰასან ჯალალიანცი, გვ. 36).

29. ესაი ჰასან ჯალალიანციის ცნობით, მაჰმადყული-ხანმა შემდეგი სიტყვებით მიმართა „ლეკებს და კავკასიის ყველა მთიელს“: „თუ მომეზობრით და მომეშველებით და თქვენი დახმარებითა და შეწყვენით ავიღებთ ქალაქ თბილისს, რაც მასში მოიპოვება—ოქროთა და ვერცხლით ნაქსოვ ძვირფას ფარჩას, სელისა და შალს ქსოვილებს, სპილენძისა და რკინის (ნივთებს), თვალმარგალიტს და ამასთან ერთად აგრეთვე თქვენს მიერ დატყვევებულ ხალხს თქვენზე გიწყალობებთ. გარდა ამისა, თქვენი ლაშქრის ყოველ მეთაურს სამ-სამ თუმანს გადავუხდი, ოღონდ კი დავიკმაყოფილო ჩემი დიდი შურისძიების სურვილი“ (აღვანთა ქვეყნის მოკლე ისტორია, გვ. 37).

პ. ბუტკოვის გადმოცემით, მაჰმადყული-ხანმა ლეკებს აღუთქვა, რომ თბილისის ადების შემთხვევაში, ქალაქს სამი დღის განმავლობაში მთ სათარეზოდ დაუთმობდა და გაძარცვული საქო-

ნელი მათი გასამრჯელო იქნებოდა „ლექები და სხვა დაღისტნელები“ სიხარულით დათანხმდნენ (П. Г. Бутков, Материалы для новой истории Кавказа с 1728 по 1863 гсд, СПб, 1865, გვ. 51)

30. ლექების მიერ 1723 წელს თბილისის აღება და აოხრება აღწერილი აქვთ სეხნია ჩხვიძეს (ცხოვრება მეფეთა 1469—1800-მდე, თბილისი, 1913, გვ. 36), ესაი ჰასან ჯალალიანცს (ავღანეთა ქვეყნის მოკლე ისტორია, გვ. 38) და ვახუშტი ბაგრატიონს (აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 503—504).

К. К. КУЦИЯ

АРМЯНСКАЯ ХРОНИКА XVIII в. О ГРУЗИИ

Резюме

В статье дан перевод и комментарий сведений о Грузии, содержащихся в армянской хронике первой трети XVIII в., приписываемой Мартиросу ди Аракелу. Особый интерес вызывают сведения о деятельности картлийского царя Георгия XI в Иране и Афганистане, а также о борьбе Махмадкули-хана с Вахтангом VI за картлийский престол.

K. KOUTSIA

CHRONIQUE ARMENIENNE DU XVIII SIECLE SUR LA GEORGIE

Résumé

La présent article contient une traduction et des commentaires scientifiques des renseignements sur la Géorgie, qui ont été conservés dans une chronique arménienne, dattant du premier tiers du XVIII^e siècle et qu'on attribue à Martiros di Arakel. Les données sur l'activité politique du roi de Kartli Guiorgui XI en Perse et Avghanistane, ainsi que la lutte de Mahmudkouli-kan contre Vahtang VI pour le trône royal de Kartli présentent un intérêt particulier.

ირან-რუსეთის მეორე ომი (1826—1828) და ამიერკავკასია

ლუიზა შენგელია

ამიერკავკასია უძველესი დროიდან იპყრობდა მეზობელი სახელმწიფოების ყურადღებას. XVI ს. იდან მოყოლებული იგი ირან-თურქეთის გაუთავებელი ომების ასპარეზად იქცა. როგორც კი ირანი და თურქეთი ამიერკავკასიაში აგრძელებდნენ თავიანთ ბატონობას, აფერხებდნენ აქ ამიერკავკასიის ხალხთა ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებას. მათი დამარბეველი ომები, ძარცვა და ძალადობა იწვევდა ამიერკავკასიის ხალხთა ფიზიკურ განადგურებას.

XVII—XVIII საუკუნიდან მოყოლებული ამიერკავკასიის ხალხთა ფართო მასები რუსეთზე დიდ იმედს ამყარებდნენ, რუსეთის მეშვეობით ირან-თურქეთის მრავალსაუკუნოვანი ბატონობის გადაგდებაზე ოცნებობდნენ. რუსეთთან შეერთების მოძრაობა ღვივდებოდა ამიერკავკასიის არა მარტო ქრისტიანულ, არამედ მაჰმადიანურ მოსახლეობაშიც.

XIX ს-ის დასაწყისში რუსეთში სამრეწველო წარმოების განვითარებამ დღის წესრიგში დააყენა სამრეწველო პროდუქციის ნედლეულისა და გასაღების ბაზრის საკითხი. ამიტომ იყო, რომ ახალი მიწების მითვისება რუსეთის წინაშე პირველხარისხოვან ამოცანად დადგა. ამიერკავკასია რუსეთს პირველ რიგში აინტერესებდა როგორც სტრატეგიული ბაზა აღმოსავლეთში მაგრამ რუსების წინსვლას ამიერკავკასიაში ბუნებრივია წინ აღუდგნენ თურქეთი და ირანი, რომლებიც არაფრით არ დაუშვებდნენ იქ რუსების გაბატონებას. ამასთან ირან-თურქეთის ზურგს უკან იდგნენ ინგლისი და საფრანგეთი, რომლებსაც ეწინააღმდეგებოდნენ რუსების წინააღმდეგ.

ინგლისის დიპლომატია ცდილობდა ირანის გადაქცევას თავის იარაღად და სამხედრო-სტრატეგიულ პლაცდარმად ამიერკავკასიისა და შუა აზიაში შემდგომი აგრესიისათვის. ინგლისი ასევე ცდილობდა არ დაეშვა რუსეთის გავლენის დამყარება ირანში, რომელიც ასე ახლოს იყო მის ინდოეთის სამფლობელოებთან. ერთდროულად ინგლისს არ სურდა ინდოეთის მეზობლად ირანის ძლიერი სახელმწიფო ჰყოლოდა.

ინგლისი დაინტერესებული იყო ირან-რუსეთის ომის გაჩაღებით, რათა ამ გზით დაესუსტებინა, როგორც ირანი, ისე რუსეთი, რომ ირანი დაექვემდებარებინა ინგლისის მატერიალური დახმარებისადმი. ხოლო რუსეთისათვის ჩაენშობა აღმოსავლეთში თავისი გავლენის გაფართოების მიზანი. ირანის საქმეებში თავის ჩარევას ინგლისელები ამართლებდნენ მოგონილი რუსეთის აგრესიის საშიშროებით ინდოეთში. ინგლისელებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ირან-რუსეთის ომის გაჩაღებაში.

გულისთანის ზავის დადების შემდეგ (1813 წ.), როდესაც ირანმა დაკარგა ამიერკავკასიის სახანოთა დიდი ნაწილი, ირანის მმართველ წრეებს ერთი წუთითაც არ შეუწყვეტიათ ფიქრი დაკარგული ტერიტორიების დასაბრუნებლად. ირანის მმართველი წრეების რევანშისტული მიზნები ინგლისელთა ფართო მხარდაჭერას პოულობდა. რუსეთის მთავრობის ყველა ცდა ირანთან საღაო საკითხები მშვიდობით გადაეჭრა, უშედეგოდ მთავრდებოდა. არც 1817 წლის ერმოლოვის მისიას ირანში, არც 1823 წლის თბილისის მოლაპარაკებას და არც 1826 წლის მენშუკოვის ელჩობას ირანში შედეგი არ მოჰყოლია. ფათალი შაჰი, მისი ახლობლები, უმიღლესი სამღვდლოება რუსეთთან ომისათვის ემზადებოდნენ. ირანელი ფეოდალები ახალ ომს უყურებდნენ, როგორც გამდიდრების წყაროს. შიიტური სამღვდლოება ფართო აგიტაციას ეწეოდა რუსეთის წინააღმდეგ საღვთო ომის მოსამზადებლად. ქვეყნის ჩრდილოეთ რაიონებში ლაშქარი იკრებებოდა, იქმნებოდა იარაღის საწყობები. ამასთან ირანელები ფართო აგიტაციას ეწეოდნენ რუსების მიერ უკვე დაკავებულ რაიონებში, რათა ომის დასაწყისშივე რუსების ზურგში აჯანყებანი მოეწყოთ.

ამრიგად, ირან-რუსეთის ომის ძირითადი მიზეზი, რაც პოლიტიკური და კონომიკური ფაქტორებით იყო ნაკარნახევი, ამიერკავკასიის რაიონების დაუფლება იყო.

თავის მხრივ რუსეთის მთავრობაც არ იყო გულისთანის ზავის პირობებით კმაყოფილი. იგი ამიერკავკასიაში უფრო სამხრეთით წინ წაწევაზე ოცნებობდა. მაგრამ 1826 წლისათვის რუსეთი მზად იყო ირანთან ყველა წინააღმდეგობა მხოლოდ მშვიდობის გზით გადაეჭრა. საქმე იმაში მდგომარეობდა, რომ ევროპაში ვითარება გართულებული იყო, აზიაში ომი თურქეთთან ყოველ წუთს იყო მოსალოდნელი და როდესაც ამიერკავკასიაშიც რუსეთის პოზიციები ჯერ კიდევ არ იყო განმტკიცებული, ცხადია, ირანთან ომი ასეთ პირობებში რუსეთის გეგმებს ეწინააღმდეგებოდა. წინააღმდეგ ირანელ ისტორიკოსთა მტკიცებისა 1826—1828 წლების ირან-რუსეთის ომის ინიციატორები იყვნენ შაჰი და მისი ახლობლები, რომლებსაც ინგლისი უჭერდა მხარს.

პლატონ ზუბოვი წერდა, რომ „თუმცა გულისთანის ზავმა ზღვარი დაუღო ორ ქვეყანას შორის ომს, ეს ზავი მხოლოდ დროებითი შესვენება იყო სპარსეთისათვის, რომელიც საჭიროებდა ძალთა მობილიზაციას და წესრიგში მოყვანას. ამას უჩვენებს ის, რომ ზავის დადების შემდეგ მალე დაიწყო უსიამოვნებანი“ ([1], გვ. 29—30).

ნიკოლოზ I გაუბრუნდა შუა აღმოსავლეთში საქმის გართულებას. მას აშინებდა კავკასიის მდგომარეობა და იგი წერდა კავკასიის მთავარმმართველს ერმოლოვს: „ახლა, როდესაც მთის ყველა ხალხები ამკარად ჩვენს წინააღმდეგ არიან ამხედრებული, როცა საქმეები ევროპაში და განსაკუთრებით თურქეთთან თავისი მნიშვნელობით ყურადღებით ზედამხედველობას იმსახურებენ, არაგონიერული იქნებოდა სპარსელებთან განხეთქილებასზე ფიქრი ან ურთიერთ უთანხმოების გაძლიერება“ ([2], გვ. 593).

ნიკოლოზ I არ ენდობოდა ერმოლოვს. მას დეკაბრისტებთან კავშირში ედებოდა ბრალი, რადგან იგი ახლოს იყო 14 დეკემბრის აჯანყებაში მონაწილეთა უმრავლესობასთან.

1826 წლის გაზაფხულზე იმპერატორმა ერმოლოვი ფაქტიურად ჩამოაშორა დიპლომატიურ სფეროს, როდესაც თეირანში სრულუფლებიან ელჩად თავისი ფავორიტი თავადი ალექსანდრე სერგეის ძე მენშიკოვი გაგზავნა. მენშიკოვის დაევალა რაღაც უნდა დასჯდომოდა დაემყარებინა მშვიდობა შაჰთან, თუნდაც ტერი-

ტორიული დათმობის გზით. მას ბოლო უნდა მოეღო სასაზღვრო კონფლიქტებში-
სათვის, რომელსაც შაჰი და ერევნის სარდარი ჰქმნიდნენ საზღვარზე, რათა ომის
საბაბი გამოეწვიათ.

ამავე დროს ფართო მუშაობა გაშალეს ირანში გაქცეულმა ქართველმა თა-
ვადებმა და აზერბაიჯანელმა ხანებმა, რომლებიც რუსების წინააღმდეგ ფეოდალურ-
მონარქიული „ნაციონალიზმის“ პოზიციებიდან გამოდიოდნენ. ისინი არწმუნებდნენ
ირანის მთავრობას, თითქოს ამიერკავკასიის მთელი მოსახლეობა მზადაა ერთსუ-
ლოვნად აღსდგეს რუსების წინააღმდეგ, როგორც კი გაიგებენ პირველ გასროლას
არაქსის სან პიროზე. ინგლისის დიპლომატია ზემოქმედების სხვა მეთოდებს
მიმართავდა. იგი პირდაპირ აშინებდა შაჰის მთავრობას ფინანსური და ეკონომიკუ-
რი სანქციით, თუ ის არ გაწყვეტდა კავშირს რუსეთთან. ასეთ ვითარებაში მენ-
შიკოვის მისია არ იყო ადვილი.

თავრიზში აბას მირზა ცივად შეხვდა მენშიკოვს. აბას მირზა უცხადებდა
მენშიკოვს, რომ თითქოს მასზე არაფერი არ არის დამოკიდებული, ის მხოლოდ
შაჰის ნების შემსრულებელია. ხოლო სინამდვილეში ალი აქბარ ბინას ცნობით
იგი ამ დროს ჯარს უგზავნიდა ფართულ ფირმანს სალაშქროდ მომზადების თაობა-
ზე და აგროვებდა მოლების ხელმოწერას, რომელიც შაჰს მოუწოდებდა დაეწყო
საღეთო ომი რუსების წინააღმდეგ ([3], გვ. 192).

მენშიკოვი მალე მიხვდა, რომ თავრიზში იგი ვერაფერს ვერ მიადგებდა და
დაქინებით მოითხოვდა შაჰთან შეხვედრას. ბოლოს 1826 წლის 10 ივლისს მენში-
კოვი სულთანზე შევიდა. სამი დღის შემდეგ შაჰმა აუდიენციის უფლება მისცა
([4], გვ. 96). პირველ აუდიენციაზე ირანის ტერიტორიული პრეტენზიები არ
განხილულა. არც მეორე შეხვედრამ გამოიღო შედეგი, რადგან ამ დროს მოყთა-
დერის სიტყვებით „ირანი შეპყრობილი იყო ომის პანიკური მოლოდინით“ ([5],
გვ. 295) და შაჰმა საერთოდ უარი თქვა ზოლაპარაკების გაგრძელებაზე. მენშიკო-
ვი ელჩიდან ტყვედ იქცა, მისთვის ცხადი გახდა, რომ ირანთან ომი გარდაუვალია,
მაგრამ მაინც იმედოვნებდა გაგვიანებულობა მოლაპარაკება ზამთრამდე, რათა დრო
მოეგო რუსების კორპუსის გასაძლიერებლად ([6], გვ. 348). მაგრამ ეს ვითარება
ირანის ინტერესებს უფრო შეეფერებოდა. ისინი დაინტერესებული იყვნენ მენში-
კოვის ყოფნით ირანში, რათა დაესწროთ რუსებისათვის საზღვარზე ჯარების თავ-
მოყრა. მენშიკოვმა სასწაულით შეძლო თავი დაედგია ირანელთა ტყვეობისაგან.
ომმა მას გზაზე მოუსწრო.

1826 წლის 16 ივლისს ირანის მრავალრიცხოვანი არმია მოულოდნელად
შემოიჭრა რუსეთის საზღვარზე და დაიწყო ახალი ირან-რუსეთის ომი, რომელიც
ირან-რუსეთის მეორე ომის სახელითაა ცნობილი.

ომის დაწყების წინ ირანს მნიშვნელოვანი სამხედრო ძალა გააჩნდა. ირანე-
ლი ისტორიკოსის ჯამილ ყუზანლუს ცნობით ფათალი შაჰმა მოახდინა ირანის
ჯარის რეორგანიზაცია და შექმნა ექვსი ახალი ჯგუფი. ირანელთა სამხედრო ძალა
ამ დროს 79000 კაცს აღწევდა. ჯარის საერთო მეთაურობა ფათალი შაჰმა აკის-
რა, მაგრამ ბრძოლის ველზე გამოჩენა საჭიროდ არ ცნო და სარდლობა აბას
მირზას ჩააბარა ([7], გვ. 95).

თავის დროზე ერმოლოვის მიმართ წამოიჭრა ბრალდება, რომ მან ვერ
უზრუნველყო მტრის მოგერიება, რომ ის უმოქმედოდ იყო მტრის ურიცხვი ჯა-
რით შეშინებული, მაშინ როდესაც მის განაკარგულებაში 40 ათასამდე ჯარისკაცი
ითვლებოდა ამიერკავკასიაში ([8], გვ. 114). „მაგრამ თუ კარგად ჩავიხედავთ მა-
შინდელ სიტუაციაში, — წერს პოტო, — მაშინ არა მარტო უნდა დავითვალოთ ამიერ-
კავკასიაში მყოფი ჯარის ოდენობა, არამედ უნდა გავიგოთ, თუ რამდენად უნარია-

ნი იყვნენ ისინი გამოსულიყვნენ სპარსელთა წინააღმდეგ“ ([8], გვ. 114—115). მართლაც ამიერკავკასიის მთელ ტერიტორიაზე დანაწევრებული იყო 30 ქვე-
თი ბატალიონი, 6 დრაგუნთა ესკადრონი, 9 კახაკთა პოლკი, 90-მდე სველე-
ზარბაზანი ([8], გვ. 115). მაგრამ ეს თავისთავად მნიშვნელოვანი ძალები სპარს-
სელთა წინააღმდეგ მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილით თუ შეძლებდნენ ჩაბმას.
ერმოლოვს არ შეეძლო მის განკარგულებაში მყოფი ძალების სპარსელთა წინა-
აღმდეგ გაერთიანება. მას არ შეეძლო გამოეყენა რაზმები არც დას. საქართვე-
ლოდან, არც აღმოსავლეთ და სამხრეთ პროვინციებიდან. ყველა ისინი არსებითად
გარნიზონებს წარმოადგენენ და ერთმანეთისაგან დაშორებული იყვნენ არა მარტო
მანძილით, არამედ ძნელი გზებითაც და მათი დანიშნულება იყო მოსახლეობის
მორჩილებაში ყოლა. ომის მოლოდინში კი ერმოლოვს წინასწარ არ შეეძლო ამ
რაზმების გაერთიანება. ეს ნიშნავდა ბედის ანაბარა მიეტოვებინა და აჯანყების
არენად ექცია ის ადგილები, რომლებიც მათ ეკავათ. ერმოლოვის განკარგულება-
ში იყო მხოლოდ ის ძალები, რომელიც საქართველოში სარეზერვოდ იდგა. ამი-
ტომ იყო, რომ იგი იმპერატორისაგან დაუინებით მოითხოვდა ამიერკავკასიის
კორპუსის გაძლიერებას, დამხმარე ძალებს [8 (გვ. 118—120)].

რუსების მდგომარეობა საგანგაშო იყო. სპარსელთა პროვოკაციების შედე-
გად რიგ ოლქებში მღელვარება მიმდინარეობდა. დაძაბული ვითარება იყო თურ-
ქეთის საზღვარზეც. რუსეთის ჯარებს შორის ტერიტორიული სიმორის გამო კავ-
შირი არ იყო, სურსათის მარაგი და იარაღის ოდენობაც მცირე იყო. ბევრი ციხეც
შეუჭეთებელი ([8], გვ. 35).

როგორც აღვნიშნეთ, ომი ირანელებმა ოფიციალური გამოცხადების გარეშე
დაიწყეს და მოულოდნელად გადმოვიდნენ შეტევაზე მირაქის პოსტთან. მირაქის
სასაზღვრო რაზმი, რომელიც 650 კაცს ითვლიდა, სასწრაფოდ მოემზადა საომრად
თავად სავარსამიდის მეთაურობით. სავარსამიძე მრავალრიცხოვანი მტრის წინაშე
იძულებული იყო მოეხსნა ბანაკი და უკან დაეხია. მტერმა როცა ნახა რუსები
უკან იხევდნენ და მთელი ნადავლი ხელიდან ეცლებოდათ, მოახერხეს რუსებისა-
თვის გზა გადაეღობათ ვიწრო ხეობაში, სადაც ხელჩართული ბრძოლა გაჩაღდა.
რუსების ავანგარდმა ხიშტით შეაჯავა სპარსელები და უკან დასახვევი გზა გაიხსნა.
([8]. გვ. 36—37).

აბას მირზას თავრიზში ეახლნენ რუსების მოწინააღმდეგე პირები: ალექსანდ-
რე ბატონიშვილი, მუსტოფეი ხან შირაზელი და მუჰამედ ჰუსეინ ხან შექელი, რომ-
ლებიც აბას მირზასთან მოლაპარაკების შემდეგ სამშობლოში გაემგზავრნენ, რომ
სპარსელების შემოსვლასთან ერთად ადგილობრივი მცხოვრებლები რუსების წინა-
აღმდეგ აეჯანყებინათ ([4], გვ. 97).

აბას მირზას გადაწყვეტილი ჰქონდა ხოდაფერინის ხიდზე გადასვლა მანამ
სანამ გენერალი მადათოვი ყარაბაზში მობრუნდებოდა, დაეწრო მისთვის და
სწრაფად დაუფლებოდა შუშის ციხეს. წინასწარ ყარაბაზის ანტირუსულად გან-
წყობილი მოსახლეობა აბას მირზას სპარსელთა ჯარის გამოჩენისთანავე ციხის
ჩაბარებას ჰპირდებოდა.

აბას მირზას ლაშქარი ჯერ არაქსზე არ იყო გადასული, რომ დაიწყო საომა-
რი ოპერაციები კასპიის ზღვის სანაპიროზეც. თალეშის რაისს მირ ჰასან ხანს
გადაწყვეტილი ჰქონდა ბოლო მოეღო რუსების ბატონობისათვის და დაიწყო
აჯანყება რუსების წინააღმდეგ. თალეშელთა დასახმარებლად მოვიდა მოჰამედ ხან
ყაჯარი სარბაზთა ჯგუფითა და 4 ზარბაზნით ბრძოლა თალეშში რუსების მარც-
ხით დამთავრდა. მთელი თალეში ირანელთა ხელში გადავიდა. მათვე ხელთ იგდეს
რუსების 6 ზარბაზანი და უამრავი იარაღი ([3], გვ. 201—202). მრავალი რუსი

ჯარისკაცი ტყვედ ჩაივარდა, რომელთა ნაწილის მოკვებითი თავებით შაჰის ბრძანებით არღებლის აღმოსავლეთით მინარეთი ააგეს. მრავალი ტყვე თეირანში წაიყვანეს ([4], გვ. 97ა).

რუსების მდგომარეობა ფაშაქსა და შურეგალში სულ უფრო უარესდებოდა. სპარსელთა მრავალრიცხოვანი არმიის შეჩერება რუსების მცირერიცხოვანი რაზმების შესაძლებლობას აღემატებოდა. პირველი დაეცა ბალიჩაის პოსტი ([8], გვ. 52).

აბას მირზა ივლისის შუა რიცხვებში გადავიდა არაქსზე და სწრაფად დაიძრა ყარაბახისაკენ. აქ აბას მირზა თავისი მომხრე ჯგუფების ფართო მხარდაჭერას ვარაუდობდა, რაც დიდი ხნიდან მზადდებოდა მაჰმადიანური სამღვდლოების მიერ. ამასთან ფართოდ იყო გაშლილი მოსყიდვა და დაპირებანი. აბას მირზა არც მოტყუებულა. საზღვარზე მას მიეგება თათარ დიდებულთა ჯგუფი ჰაჯი ალა-ლარ ბეგის მეთაურობით. აბას მირზა მის სახლში შეჩერდა და იქვე გაიმართა დიდი ზეიმი სპარსელთა შემოჭრასთან დაკავშირებით ([8], გვ. 67).

აბას მირზა პირდაპირ შუშისაკენ დაიძრა. შუშის ციხე არ იყო მზად მოსალოდნელი ომისათვის. არ იყო საკმაო სურსათი და იარაღი. ერმოლოვი ასლან-ღუზთან აპირებდა ციხის აგებას და შუშას ნაკლებ ყურადღებას აქცევდა. ამ დროს ყარაბახში იდგა მხოლოდ 42-ე ვეერთა პოლკი პოლკოვნიკ რეუტის მეთაურობით. რეუტის ვანკარჯულებამი იყო მხოლოდ 6 ასეული და 250 კაზაკი. მან ძლივს მოასწრო შუშის ციხეში შესვლა, რომ სპარსელებმა ალყა შემოარტყეს. რეუტი დიდი სიძნელების წინაშე აღმოჩნდა. მას სასწრაფოდ უნდა შეეკეთებინა ციხე და თავისი მცირერიცხოვანი რაზმით და 4 ზარბაზნით დაეცვა იგი, რომლის წრე 7 კმ-ს აღემატებოდა. ბოლოს, ✱ გააჩნდა რა სურსათის მარაგი, არც იცოდა ალყა სანამდე გასტანდა. თბილისიდან ცნობების მიღებაც შეწყდა. მაგრამ ზუბოვის სიტყვებით „პოლკოვნიკ რეუტის მამაცობამ და გამბედაობამ უკუაგდო ყველა სიძნელე და ამ ომის ისტორიაში ეპოქა შექმნა ([1], გვ. 38). გარნიზონს მოუხდა მეტად საშიშ მტერთან—შიმშილთან და წყურვილთან ბრძოლა. აბას მირზამ იცოდა ეს და გადამწყვეტ შტურმზე არ გადადიოდა. იმედოვნებდა რომ ციხე თავისთავად ჩაბარდებოდა. აბას მირზამ ორჯერ მისცა რეუტს წინადადება, რომ ციხე ჩაებარებინა, მაგრამ რეუტი უარზე იყო. მან 47 დღე დააკავა სპარსელთა მრავალრიცხოვანი ლაშქარი ციხის ირგვლივ და ამით საშუალება მისცა კავკასიის კორპუსს თავი მოეყარა და მოეწერიებელიყო.

აბას მირზამ დიდი სტრატეგიული შეცდომა დაუშვა. იგი თვენახევარი იდგა შუშასთან უმოქმედოდ და ამით რუსებს საშუალება მისცა ძალები მოეკრიბათ და მომზადებულიყვნენ მის წინააღმდეგ. აბას მირზა მხოლოდ მაშინ მიხვდა თავის შეცდომას, როდესაც რუსების რაზმმა მადათოვის მეთაურობით შამქორთან შეაჩერა სპარსელთა წინსვლა და განჯა დაიკავა. მაგრამ უკვე გვიანდა იყო.

როდესაც სპარსელთა ლაშქარი ყარაბახში შეიჭრა, განჯაში დაიწყო საერთო არეულობა, მისი მოსახლეობის უმრავლესობა რუსების წინააღმდეგ აჯანყდა. 27 ივლისს საღამოს შეიარაღებული თათრები განჯის ციხეში შეიჭრნენ, ყარაულებმა მათ გზა გადაუღობეს, გაიმართა ხელჩართული ბრძოლა, ჯარისკაცები ამოხოცეს, რუს მოხელეებს, რომლებმაც ვერ მოასწრეს გაქცევა, ეძებდნენ და ხოცავდნენ. მას შემდეგ რაც აბას მირზას რაზმებიც მოვიდნენ, რუსების ახალი ძალები სრულიად განადგურეს. სპარსელებმა რუსების დიდი ნაწილი ტყვედ ჩაიგდეს. მათ ხელში აღმოჩნდა დიდძალი ნადავლიც. ([4], გვ. 98).

ჯავად ხანი კვლავ შექმნილი განჯის სახანოს ხანად გამოაცხადეს. მას განჯის

მთელი მოსახლეობა მუხლმოყრილი ეგებებოდა. ოღურალუ ხანმა რუსების მოკვეთილი თავები და ტყვეები ფათალი შაჰს ფეშქაშად გაუგზავნა (19), გვ. 238).

განჯის დაცემამ გაათამაშა მეზობელი თათართა დისტანციები. რუსების წინააღმდეგ შამშადილში დაიწყო აჯანყება, მალე მას მიბაძეს ყაზახშიც, მაგრამ რუსებმა შეაჩერეს მათი მღელვარება. როგორც დავინახეთ ამიერკავკასიის ვრცელი ტერიტორია თურქეთის საზღვრიდან ყარაბახის შორეულ საზღვრამდე რუსების წინააღმდეგ არეულობამ და აჯანყებამ მოიცვა ([10], გვ. 30) სპარსელებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს და ძლევამოსილად წაიწიეს ყარაბახის, შურეგალისა და ფამბაქის ფრონტზე. ბრძოლების შემდეგ ორივე მხარე ისვენებდა, ჯარს აწესრიგებდა და ახალი ბრძოლებისთვის ემზადებოდა.

აბას მირზას შეყოვნებამ შუშის აღებისას, როგორც ზემოთ აღინიშნა, ეროლოგს საშუალება მისცა თბილისთან თავი მოეყარა ჯარისათვის სპარსელთა მიერ დაკავებული ადგილებიდან. ეროლოგმა მადათოვი დანიშნა მეწინავე რაზმის მეთაურად, გააძლიერა იგი კავკასიის ხაზიდან მიღებული ახალი ძალებით და ნება დართო დაეწყო შეტევა განჯის მიმართულებით.

ყუზანლუს ცნობით, შამქორის საზღვართან იდგა მადათოვის ლაშქარი, რომელიც 37 ათასი ჯარისკაცისა, ათასი მხედრისა და 40 ზარბაზნისგან შედგებოდა ([7], გვ. 870).

პირველ სექტემბერს რუსებმა მთელ ფრონტზე დაიწყეს შეტევა. შამქორთან ახლოს, ყარაიაზის ველის სამხრეთით მადათოვი შეხვდა სპარსელთა რაზმს ამირ ხანის მეთაურობით. მიუხედავად ამირ ხანის მამაცური ბრძოლისა, მისი რაზმი რუსებმა მიმოფანტეს და უკუაქციეს. მადათოვმა გაქცეულებს რაზმი დაადევნა, რომელსაც ამირ ხანი უკანასკნელ სისხლის წვეთამდე უწევდა წინააღმდეგობას. კაზაკებმა ამირ ხანი ხმლით აკლწეს. აბას მირზას ერთი საუკეთესო სარდალი ბრძოლის ველზე დაეცა ([4], გვ. 228). როცა სპარსელებმა თავისი სარდალი მოკლული ნახეს სასწრაფოდ უკუიქცნენ ([4], გვ. 98). რუსებმა ასევე წარმატებით შეუტეეს სპარსელთა მეორე ჯგუფს მოჰამედ მირზას მეთაურობით ყარაიაზის ველზე. მოჰამედ მირზა იძულებული გახდა განჯაში დაეხია. მან დიდი ზარალი ნახა. ბრძოლის ველზე დატოვა ერთი ზარბაზანი და მთელი საჭურველი ([7, გვ. 871]). მოჰამედ მირზამ თავისი დარბეული ლაშქრის ნარჩენით განჯაში ვერ შეძლო შეჩერება. მან განჯის ციხის მცველად ნაზარ ალი ხან მარანდი დატოვა მცირე რაზმით და სასწრაფოდ გაეცალა იქაურობას. იგი მარადის მიმართულებით იხვედა უკან. მთელი მათი იარაღი, სამხედრო საჭურველი და ალაფი რუსების ხელში აღმოჩნდა ([7], გვ. 872). რუსები ისე ძლევამოსილად მიიწვედნენ წინ, რომ ნაზარ ალი ხანს შეეშინდა, დატოვა განჯის ციხე და გაიქცა. შემდეგში იგი ამისათვის აბას მირზას ბრძანებით სიკვდილით დასაჯეს ([3], გვ. 207).

ირანელი ისტორიკოსი ალი აქბარ ბინა იძულებულია აღიაროს, რომ „ირანელთა ლაშქარი ამიერკავკასიაში წინსვლისას დაკავებულ ადგილებში მკვლელობასა და ძარცვა-გლეჯას მიმართავდა, რამაც მათ შიშობით მოსახლეობის საყოველთაო ზიზღი გამოიწვია. ზოგ რაიონში რუსების წასვლას ნანობდნენ კიდევ და ამან ირანელთა მდგომარეობა მკვეთრად გააუარესა და აბას მირზას დიდი ზიანი მიაყენა ([3], გვ. 206).

შამქორის ბრძოლის შედეგები მეტად მნიშვნელოვანი იყო. აჯანყებული მაჰმადიანური პროვინციების იმედები კვამლივით გაქრა. მათ ნახეს, რომ რუსების პირველივე შეტევა, მიუხედავად იმისა, რომ სპარსელები ბევრად მეტნი იყვნენ, რუსების დიდი გამარჯვებით დამთავრდა. ეს ამბავი ელვასავით გავრცელდა არაქსამდე და ყარაბახის მოსახლეობა ეჭვმა მოიცვა. მათმა უმრავლესობამ, რომ გამო-

ესყიდა თავიანთი მოქმედება, ერმოლოვთან დეპუტაცია გააგზავნა. ისინი თავიანთ საქციელს იხანებდნენ და მომავალში ერთგულებას ჰპირდებოდნენ ([10], გვ. 35).

ნიკოლოზ I არ ენდობოდა ერმოლოვს და მას ადანაშაულებდა რუსების პირველ წარუმატებლობებში. იმპერატორმა კავკასიაში გამოგზავნა თავისი ფაგორიტი გენერალი პასკევიჩი, რომელიც ჯერ სპარსეთის წინააღმდეგ მებრძოლი ძალების მეთაურად დანიშნა მალათოვის ადგილას. კავკასიის მთავარი შტაბის მეთაურად გენერალი დიბიჩი დანიშნა ერთდროულად კავკასიაში გამოგზავნეს ახალი ძლიერი შეესება.

პასკევიჩი ჩაუდგა სათავეში რუსების ახალ შეესებულ ძალებს. მან განჯასთან სპარსელებს სასტიკი დარტყმა მიაყენა. სპარსელები ისეთი სისწრაფით გარბოდნენ, რომ რუსები ვერ ეწეოდნენ. რუსებმა დიდძალი ნადავლი იგდეს ხელთ: 4 დროშა, უამრავი სურსათი, იარაღი, საჭურველი, დაატყვევეს ორი მეთაური, 7 ოფიცერი, 1100 რიგითი ჯარისკაცი. დაჭრილი და მოკლული იყო 2000-მდე, რუსების მხრიდან მოკლული იყო პოლკოვნიკი გრეკოვი, ორი ოფიცერი, 45 რიგითი ჯარისკაცი. დაიჭრა პოლკოვნიკი სიმონიჩი, 8 ოფიცერი, 240 ჯარისკაცი ([10], გვ. 58). განჯის ანუ ელიზავეტპოლის გამარჯვებამ პასკევიჩს დიდი სახელი მოუხვეჭა. ნიკოლოზ I იგი უხვად დაასაჩუქრა.

განჯასთან დამარცხებული აბას მირზა მხოლოდ არაქსს გაღმა ასლანდუზში შეჩერდა, ამ მარცხმა მისი ჯარის სულიერი მდგომარეობა შეარყია. ჯარისკაცთა უმრავლესობა, რომლებმაც ბრძოლის ველზე დატოვეს თავიანთი იარაღი და აღჭურვილობა, თავიანთ სახლებში დაბრუნდნენ ([3], გვ. 208). ნოემბერში აბას მირზა მიხვდა, რომ ბრძოლებისათვის შესაფერი დრო არ იყო და თავრიზში მიბრუნდა. რუსებმაც გადაწყვიტეს ზამთარი აყულანის ველზე არაქსთან ახლოს გაეტარებინათ და გაზაფხულისათვის უკეთ მომზადებულიყვნენ.

ამრიგად, 1826 წლის შემოდგომაზე ყარაბახის მთელი ტერიტორია სპარსელებისაგან განთავისუფლებულ იქნა.

1827 წლის 29 მარტს გენ-ადიუტანტი პასკევიჩი ერმოლოვის ადგილას დანიშნეს. პასკევიჩის მთელი ყურადღება ერევნის წინააღმდეგ იყო მიმართული. მისი გეგმა ითვალისწინებდა აღმ. სომხეთისა და ჩრდილოეთ აზერბაიჯანის შემოერთების შემდეგ პირდაპირ თავრიზზე ლაშქრობას. ყუხანლუ წერდა, რომ პასკევიჩი დიდ ყურადღებას აქცევდა შურგალის ფრონტს. მას აქ ხელთ უნდა ეგდო ციხეები ერევანი, ნახჭევანი და სარდარაბადი, რამდენადაც ამ ციხეებს უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდათ და მათი დაპყრობის გარეშე არაქსისკენ წინსვლა შეუძლებელი იყო ([7], გვ. 907).

რუსეთის არმიის ერთ-ერთ სარდალს ბენკენდორფს დაევალა ეჩმიადინის მონასტრის დაკავება. 7 აპრილს ბენკენდორფის ლაშქარი თოვლიანი მთიდან მოულოდნელად დაეშვა ფამბაქის ველზე. რუსების უეცარმა გამოჩენამ პანიკა გამოიწვია მაჰმადიანურ მოსახლეობაში. ზეიმობდა მხოლოდ სომეხთა მცირე ნაწილი, რომლებსაც სპარსელთა განდევნის იმედი მიეცა. რუსებს უერთდებოდა ადგილობრივი მოსახლეობისაგან შექმნილი რაზმები, ფართოდ იშლებოდა პარტიზანული ბრძოლის ცეცხლი ([8], გვ. 294). 13 აპრილს რუსებმა დაიკავეს ეჩმიადინის მონასტერი. აქ ბენკენდორფმა დატოვა გარნიზონი პოლკოვნიკ ვოლჟინსკის მეთაურობით და თვითონ თავისი ძალებით გენერალ დიბიჩის დასახმარებლად გაემართა სარდარაბადისაკენ. მაგრამ ამ ბრძოლაში რუსებმა წარმატებას ვერ მიღწიეს. ბენკენდორფი ეჩმიადინში დაბრუნდა და აქ დაელოდა ახალი ძალების მიღებას ([10], გვ. 95). პარალელურად ერევნის წინააღმდეგ ბრძოლა რუსებმა წარმატებით დაიწყეს, მაგრამ პასკევიჩმა იცოდა, რომ საალყო არტილერიის გარეშე

იგი ციხეს ვერ აიღებდა, ამ არტილერიას კი იგი მხოლოდ ავეისტოს შუა რიცხვებში ელოდა. ამიტომ მან გადაწყვიტა მანამდე აეღო სარდარაბაღის ციხე, რომელიც თავისი მდებარეობით არაქსზე დაითავადა ერევნისა და ნახჭევნის საზღვრებს შორის. თუ იგი არაქსზე გამაგრდებოდა და დაიკავებდა ნახჭევნის სახანოს, ამით ერევანს მოუხსობდა შესაძლებლობას მიეღო რაიმე დახმარება და გაიადვილებდა მის აღებას.

რუსებმა წარმატებით განახორციელეს შეტევა აბას-აბაღის ციხის მიმართულებით, მათ დამარცხეს აბას მირზას ლაშქარი და 1827 წლის 7 ივლისს აიღეს აბას-აბაღის ციხე ([3], გვ. 107). პასკევიჩმა ციხეში გარნიზონი ჩააყენა და თვითონ უკან დაიხია.

სექტემბრის შუა რიცხვებში რუსებმა ასევე წარმატებით აიღეს სარდარაბაღის ციხე ([7], გვ. 918). სექტემბრის დასასრულისათვის პასკევიჩმა თავის ძალებს თავი მოუყარა მდ. ზანგაზე, ერევნიდან ორ კმ-ზე და შეუღდა სააღყო სამზადისს. რუსებს დიდ დახმარებას უწყევდნენ ადგილობრივი სომხები, რომლებიც აღფრთოვანებით ხედებოდნენ რუსების ყოველ წარმატებას. მთელი სახანოდან მოდიოდნენ ისინი და მონაწილეობას იღებდნენ სააღყო სამუშაოებში. ეს ხდებოდა ერევნის ხანის ჰუსეინ ყულის თვალწინ. ჰუსეინ ყული ხანი თვითონ ცდილობდა ციხის გარნიზონის შევსებას ადგილობრივი სომხების ხარჯზე. ერევნის ხანი დახმარებას ელოდა აბას მირზასაგან, მაგრამ იგი არ ჩანდა. ალი აქბარ ბინა განმარტავს მიზეზებს, თუ რატომ ვერ მიიღო ერევნის ხანმა ეს დახმარება. „აბას მირზას ფული სჭირდებოდა—წერს იგი—მას არ შეეძლო მარტო თავის ზურგზე გადაეტანა ომის მთელი ხარჯები. აბას მირზამ არაერთხელ ითხოვა დახმარება შაჰისაგან, მაგრამ შაჰს არ სურდა ხელი ეხლო თავისი განძისათვის, იგი ფაქტიურად განუდგა საქმეებს და თერანში გაბრუნდა. აბას მირზას შემოსავალი კი მხოლოდ აზერბაიჯანის ოლქიდან მიღებული გადასახადებით განისაზღვრებოდა. თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ ირან-რუსეთის პირველი ომის დროს ეს რაიონი გავერანდა და ამასთან დასამუშავებლად ვარჯისი მიწების დიდი ნაწილი რუსების ხელში გადავიდა, ცხადი ხდება თუ როგორი სავალალო იყო აბას მირზას ხაზინის მდგომარეობა. აბას მირზა იძულებული გახდა თავისი ლაშქრის დიდი ნაწილი დაეთხოვა, რის შედეგად თავრიზის გარნიზონი დაასუსტა და აზერბაიჯანის დედაქალაქი დაცვის გარეშე დატოვა ([3], გვ. 221).

ერევნის ციხის აღებაში დიდი როლი შეასრულა ადგილობრივმა მოსახლეობამ, რომელიც მასობრივად გადადიოდა რუსების მხარეზე და ქმნიდა პარტიზანულ რაზმებს. აღმოსავლეთ სომხეთის განთავისუფლებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ქართველთა და სომეხთა რაზმებმა, რომლებიც პასკევიჩის ბრძანებით ჯერ კიდევ 1827 წლის მაისში ჩამოყალიბდნენ ([11], გვ. 158). ერევნის დაცვის მეთაურის ჰასან ხანის ყოველი ცდა რუსების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაება ერევნის 18-ათასიანი მოსახლეობა, უშედეგო იყო. სექტემბრის დასასრულს რუსებმა ერევნის ირგვლივ საკმაო ძალებს მოუყარეს თავი და 9 ოქტომბერს დაიწყეს ციხის შტურმი ([7], გვ. 918). მალე ერევნის ციხე რუსების ხელში აღმოჩნდა. ერევნის განთავისუფლებაში გარკვეული წვლილი შეიტანა ქართველ ცხენოსანთა მილიციამ. ქართველმა გლეხებმაც სომეხებთან ერთად თავიანთ ზურგზე გადაიტანეს ომის მთელი სიმძიმე.


თუმცა მდგომარეობაში მყოფმა აბას მირზამ უკანასკნელად სცადა ნახჭევნის დაუფლება, მაგრამ იგი კვლავ არაქსს გაღმა უკუადგეს. მან თავისი დემორალიზებული ლაშქარი ხოში წაიყვანა. ამით ისარგებლეს რუსებმა და მალე ზემოთ აიღეს თავრიზი. თავრიზის დაცვამ ირანის დამოუკიდებლობა საფრთხეში ჩააგდო.

რუსეთი თეირანს ემუქრებოდა. თავრიზის დაცემასთან ერთად მთელს ქვეყანაში დაიწყო ადგილობრივი ურჩი ტომთა ბელადების აჯანყებანი და ქვეყანა საფრთხეში აღმოჩნდა. აუცილებელი იყო სასწრაფოდ ზომების მიღება, რომ შეეძლებოდა რუსების წინსვლა. შაჰის მთავრობამ ზავი მოითხოვა. გადაწყდა აბას მირზა და პასკევიჩი საზავო მოლაპარაკებლად ერთმანეთს შეხვედროდნენ სოფელ დეჰყარხანში (ახლანდელი აზერშაჰრი) ([3], გვ. 224).

მოლაპარაკება დეჰყარხანში დაიწყო 1827 წლის 6 ნოემბერს. ირანის ზურგს უკან იღვწენ ინგლისელი რეზიდენტები, რომლებიც მის გაჭიანურებას ცდილობდნენ. ირანი ზავის პირობების შემსუბუქებას მოითხოვდა და ხელის მოწერას აჭიანურებდა. ზავის პირობები გულისხმობდა რუსეთისათვის ერევნის, ნახჭევანის სახანოებისა და ორდუბადის ოლქის შეერთებას და 15 ქორთუი კონტრიბუციის გადახდას. ტერიტორიის საკითხი სასწრაფოდ გადაწყდა, კონტრიბუციისა კი გაჭიანურდა. აბას მირზა მოითხოვდა შეემციკრებინა კონტრიბუციის ოდენობა და მისი გადახდის ვადა გაედიდებინა. გადახდის ვადის გახანგრძლივება კი რუსეთს არ აწყობდა. რუსეთს აინტერესებდა როგორმე ჩქარა მიეღო ეს თანხა და წავიდა დათმობაზე. კონტრიბუციის ოდენობა ათ ქორთურამდე შეამცირეს, გადახდის პირობებიც შეარბილეს. სჩანდა რომ დეჰყარხანის კონფერენცია წარმატებით უნდა დამთავრებულყო, რომ უცებ ვითარება შეიცვალა. მოვიდა შაჰის წარმომადგენელი და განაცხადა, რომ შაჰი მანამ არ მოაწერს ხელს შეთანხმებას, სანამ რუსები არ განთავისუფლებენ აზერბაიჯანსო ([12], გვ. 170). ირანის შაჰის გადაწყვეტილება მხოლოდ ინგლისელთა ჩარევის შედეგი იყო, რომლებსაც მოლაპარაკების გაჭიანურება აინტერესებდათ, რამდენადაც შეიძლებოდა ვითარება შეცვლილიყო: თურქეთ-რუსეთის ურთიერთობა დამძული ხდებოდა და პორტა რუსების წინააღმდეგ დახმარებას ჰპირდებოდა. თგივე მდგომარეობა რუსეთის სარდალს აიძულებდა ზავის დადება დაეჩქარებინა.

ირან-რუსეთის მოლაპარაკებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა დიდი რუსი მწერალი და დიპლომატი ალექსანდრე გრიბოედოვი, რომლის რჩევით მხოლოდ იარაღი თუ აიძულებდა შაჰს დაედო შეთანხმება რუსეთთან. პასკევიჩმაც არ დააყოვნა და ბრძანა მოლაპარაკების შეწყვეტა. ასე ჩაიშალა დეჰყარხანის კონფერენცია. რუსეთის არმია თეირანის მიმართულებით დაიძრა. მათ იანერის ბოლომდე დაიკავეს ურმია, მარანდა, ხოი და მიანი ([3], გვ. 225). ახლა კი შეეშინდათ შაჰსა და ინგლისელებსაც, რადგან რუსები პირდაპირ თეირანს დაემუქრნენ და სასწრაფოდ შესთავაზეს ზავის დადება. პასკევიჩის წინადადებით შეხვედრის ადგილად დაინიშნა სოფელი თურქმანჩაი, რომელიც მიაწინდნენ 33 კმ-ით არის დაშორებული. 1828 წლის 10 თებერვალს ვინმე მოჰამედ მეშვედის სახლში ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რაზედაც ალი აქბარ ბინა წერს: „ამ პატარა სახლში XIX ს-ის I ნახევარში გადაწყდა ირანის ბედი. რადგან თურქმანჩაის ხელშეკრულების დადების შემდეგ ყველა ხელშეკრულება, რომელსაც ირანი სხვა ქვეყნებთან ღებდა ამ ხელშეკრულების პუნქტებს უნდა დაყრდნობოდა“ ([3], გვ. 227).

თურქმანჩაის შეთანხმების როლი ირანის ისტორიაში გაცილებით მნიშვნელოვანი იყო ვიდრე მასზე ფიქრობდნენ ხელისმომწერი სპარსელები. ხელის მოწერისას ისინი ძირითადად კონტრიბუციის ოდენობის შემცირებაზე დაობდნენ და თითქმის არ დაინტერესებულან მათ მიერ დადებული შეთანხმების სავაჭრო-პოლიტიკური შედეგებით. სინამდვილეში თურქმანჩაის შეთანხმება გაცილებით უფრო ღრმა და სერიოზული აღმოჩნდა. ის თითქმის საუკუნე რჩებოდა ირან-რუსეთის ურთიერთობის კოდექსად და უდიდეს როლს თამაშობდა ირანის დიპლო-



მატიურ და პოლიტიკურ ისტორიაში. თავისი შინაარსით ამ შეთანხმებამ გააოცა დიპლომატები ([13], გვ. 92).

თურქმანჩაის ზავით რუსეთს შეეერთდა აღმ. სომხეთი და ჩრდ. აზერბაიჯანი. მან მოსპო ირანელთა ძალაუფლება ამიერკავკასიაზე და განამტკიცა ცარიზმის სამხედრო-სტრატეგიული პოზიციები იმპერიის სამხრეთში თურქეთთან ომის წინ ([12], გვ. 218).

თურქმანჩაის ზავმა შეცვალა პოლიტიკური და სტრატეგიული ვითარება აღმოსავლეთში. მან გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა ყაჯართა რევანშისტულ გეგმებს. თურქმანჩაის ზავით დამთავრდა მრავალსაუკუნოვანი განმათავისუფლებელი ომები, რომლებსაც ეწეოდნენ ამიერკავკასიის ხალხები ირანელ დამპყრობთა წინააღმდეგ.

ირან-რუსეთის მეორე ომი ორივე მხარისათვის თავისი ხასიათით იყო დაპყრობითი, უსამართლო ომი, რამდენადაც მისი მიმდინარეობისას წყდებოდა საკითხი დარჩებოდა თუ არა ამიერკავკასია ირანის ბატონობის ქვეშ თუ გადაიქცეოდა იგი რუს მემამულეთა და ვაჭართა კოლონიად. მაგრამ წინააღმდეგ მეფის რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკისა ამ ომს მაინც ჰქონდა პროგრესული მნიშვნელობა. ამიერკავკასიის ხალხთა უმრავლესობა განთავისუფლდა ირანელი დამპყრობლების საუკუნოვანი უღლისაგან და აქ შეიქმნა პირობები ამიერკავკასიის ხალხების პროგრესული განვითარებისათვის.

აღმოსავლეთის ისტორიის კათედრა

ლიტერატურა

1. Зубов П. П., Картина последней войны России с Персией 1826—1828, СПб, 1834.
2. А К А К, т. у.
3. علی اکبر بی‌نا، تاریخ سیاسی و دیپلوماسی ایران، جلد ۱، تهران، ۱۳۳۱.
4. محمد تقی سپهر، ناسخ التواریخ، تهران، ۱۲۷۳—۱۲۷۲.
5. مقتدر غلام حسین، تاریخ نظامی ایران، تهران، ۱۳۱۷.
6. А К А К, т. VI, ч. II.
7. قوزانلو جمیل، تاریخ نظامی ایران، تهران، ۱۳۱۵.
8. Потто В., Персидская война 1826—1828 гг. СПб, 1898.
9. ناصر نجمی، ایران در میان طوفان، تهران، ۱۹۵۷.
10. Зубов П. П., Персидская война в царствование императора Николая I, СПб, 1837.
11. Фадеев А. В., Россия и восточный кризис 20-х годов XIX века, Москва, 1958.
12. Балаян Б. П., Международные отношения Ирана в 1813—1828 гг. Ереван, 1967.
13. Шильдер И. К., Император Николай I, его жизнь и царствование, т. II. СПб, 1903.

Л. Н. ШЕНГЕЛИЯ

ВТОРАЯ РУССКО-ИРАНСКАЯ ВОЙНА (1826—1828) И ЗАКАВКАЗЬЕ

Резюме

После заключения Гулистанского мира (1813) Иран потерял большую часть закавказских ханств. Правящие круги Ирана не могли примириться с потерей этих территорий и готовились к новой войне. Условия мира

не удовлетворяли и правительство России, но оно готово было урегулировать пограничные споры мирным путем.

Иран внезапно начал войну против России и имел большие успехи. В сентябре 1826 г., мобилизовав свои военные силы, Россия начала наступательные бои и в 1828 г. русско-иранская война завершилась блестящей победой русского оружия.

По Туркманчайскому мирному договору (1828 г.) к России отошли Восточная Армения и Северный Азербайджан. После ликвидации иранского владычества в Закавказье значительно укрепились позиции царизма.

Вторая русско-иранская война по своему характеру была захватнической войной для обеих стран, т. к. решался вопрос—останется ли Закавказье под игом иранской власти или же превратится в колонию России. Однако, несмотря на колониальную политику царизма, война имела прогрессивное значение для Закавказья: большинство его народов сбросило многовековое иго иранских завоевателей.

L. SHENGELIA

THE SECOND IRANO-RUSSIAN WAR (1826—1828) AND THE TRANSCAUCASUS

Summary

By the treaty of Gulistan (1813) Iran ceded most of her Transcaucasian khanates. However, the ruling circles of Iran could not reconcile themselves to the loss of these territories and they began preparations for a fresh war. Neither was the Russian government satisfied with the outcome. Yet at the time it was prepared to settle all controversial issues peacefully.

Launching a surprise attack, the Iranians gained considerable successes. However, the Russians soon rallied their forces and launching a counter offensive scored a brilliant victory.

By the treaty of Turkmanchai eastern Armenia and northern Azerbaijan were incorporated into Russia, ending Iranian rule over the Transcaucasus. Thus, the positions of Tsarism were strengthened in the area.

The second Irano-Russian war was, as to its nature, a war for conquest—an unjust war. It was to decide whether the Transcaucasus was to remain under Iranian domination or to become a Russian colony. However, notwithstanding the colonial policy of Tsarism, that war still had a progressive significance—the majority of Transcaucasian peoples were liberated from the centuries-old yoke of the Iranian invaders.

დავთარხანის ნაზირის სახელო სეფიანთა ირანში

ნუბჰარ სურბულაძე

ჩვენი მიზანია სეფიანთა სახელმწიფოს საფინანსო უწყების მოხელეთა უფლება-მოვალეობების შესწავლა. ხსენებულ უწყებას სათავეში ედგა მუსტოფე ალ-მამალექი. ამ უწყების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოხელე იყო „დავთარხანეს“ ნაზირი.

„თაზქირათ ალ-მულუქი“ [1] მუსტოფე ალ-მამალექის დაქვემდებარებულ მოხელეთა შორის ასახელებს ნაზირს. წყაროს იმ ნაწილში, რომელშიც მუსტოფე ალ-მამალექის საქმიანობა აღწერილი, ნათქვამია: „ნაზირი [2], დარულე-ჟე დავთარი, საპბე-ე თაუჯიჰ-ი, ზაბეტე ნავისი, ავარაჯე ნავისიები და სხვ. არიან ზემოხსენებულის (ე. ი. მუსტოფე ალ-მამალექის) დაქვემდებარებულეზი (جزو) ([3], გვ. 17)● აშკარაა, რომ აქ მოხსენებულ ნაზირში იგულისხმება დავთარხანის ნაზირი [4], რადგან ამავე წყაროს IV თავში, სადაც იგივე თანმიმდევრობით (როგორც ეს ზემომოყვანილ ციტატაშია) არის ჩამოთვლილი მუსტოფე ალ-მამალექის დაქვემდებარებული მოხელეები, პირველად ლაპარაკია სწორედ „დავთარხანეს“ ნაზირის შესახებ. ამ მოხელის კავშირს მუსტოფე ალ-მამალექთან ადასტურებენ სხვა სპარსული და ევროპული წყაროები (მოჰამედ თაჰერი, შარდენი, კემპფერი).

შარდენი ამ მოხელეს ნაზირს (nazir) უწოდებს ([5], გვ. 341), „თაზქირათ ალ-მულუქიში“ მოცემულია მისი სრული სახელწოდება: „ნაზირ-ე დავთარხანე-ჟე ჰომაიუნ-ე ალი“ نظر دفتر خانة همايون اعلى „უმაღლესი სამეფო დავთარხანის ნაზირი“ ([3], გვ. 42).

სეფიანთა სახელმწიფოში ტერმინი „ნაზირი“, ისევე როგორც „ვაზირი“, იხმარებოდა სამოქალაქო მოხელეთა აღსანიშნავად, რომელთაც გარკვეული საფინანსო-სამეურნეო ფუნქციები ჰქონდათ.

როგორც ნაზირები, ასევე ვაზირები სახელმწიფო მოღვაწეობის ერთსა და იმავე დარგს (საფინანსო-სამეურნეოს) ეკუთვნოდნენ და ამავე დროს ეს ორი ტერმინი (ნაზირი, ვაზირი) ამ დარგის უმაღლესი სამოხელეო რანგის აღმნიშვნელი იყო. რამდენადაც ეს ორივე მოხელე თავ-თავიანთ უწყებებში საფინანსო-სამეურნეო საქმეებს ხელმძღვანელობდნენ, მათ ექვემდებარებოდნენ ამ უწყებებში მომსახურე სხვა სამოქალაქო მოხელენი.

ამრიგად, როგორც საქმიანობით, ასევე სამოხელეო რანგით სეფიანთა სახელმწიფოს ხსენებული მოხელენი (ნაზირი, ვაზირი) ერთმანეთის მსგავსნი არიან. თუმცა შეინიშნება სხვაობაც ამ მოხელეთა სამოღვაწეო ადგილის მიხედვით, რაც

იმაში მდგომარეობს, რომ ვაზირები სახელმწიფო მოხელეებს წარმოადგენენ და ძირითადად „დივან ალ-მამალიქის“ უწყებას ეკუთვნიან. დიდვაზირი (ეთემად-ად-დოჟლე), როგორც აღვნიშნეთ, უმაღლესი დივანის სათავეში მდგომი მოხელეა; მაჯლის-ნავისი, რომელიც მეორე ვაზირად იწოდება, ასევე სახელმწიფო მოხელეთა რიცხვს მიეკუთვნება ([3], გვ. 21—22), მაშინ, როდესაც ნაზირები შაჰის „საკუთარი“ მოხელეებია და ამდენად ხასეს უწყებას ემსახურებიან („ნაზირ-ე ბიუთათ“ შაჰის კერძო სამეურნეო დაწესებულების ხელმძღვანელია, „ნაზირ-ე დავაბიც“ შაჰის სასაბაღე პირუტყვის ზედამხედველია და ამდენად ხასეს უწყებას ეკუთვნის).

ამ მხრივ, გამონაკლის წარმოადგენდნენ ხასეს კუთვნილ უწყებებში დანიშნული საფინანსო-სამეურნეო მოხელენი, რომლებიც ვაზირებად იწოდებოდნენ. ასეთი იყო, მაგალითად, „ვაზირ-ე ბიუთათ“. ეს მოხელე „ნაზირ-ე ბიუთათის“ უწყებას ემსახურებოდა და ამდენად „ხასეს სარქარს“ ეკუთვნოდა [6]; მაგრამ, აქ უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებული ვაზირი ამ უწყებაში დიდვაზირის წარმომადგენელი იყო. სწორედ მისი საშუალებით უწყვედა კონტროლს დიდვაზირი „ნაზირ-ე ბიუთათ“-ის საქმიანობას. ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ „ვაზირ-ე ბიუთათ“ შაჰის სამეურნეო დაწესებულებათა მმართველ უწყებაში მსახურობდა, იგი „დივან ალ-მამალიქის“ უწყების მოხელედაც შეიძლება ჩაითვალოს, რამდენადაც აქ იგი დიდვაზირის მიერ იყო დანიშნული. აქედან გამომდინარე, ის ფაქტი, რომ ეს მოხელე ვაზირად იწოდება, არ ეწინააღმდეგება ჩვენს მიერ ზემოაღნიშნულ მოსაზრებებს იმის შესახებ, რომ ვაზირი, სახელმწიფო მოხელეა და იგი დივანი ალ-მამალიქის უწყებას ეკუთვნის.

იგივე შეიძლება ითქვას დავთარხანეს ნაზირის შესახებ. ხსენებული მოხელე, როგორც ჩანს, „დივან ალ-მამალიქის“ უწყებას ეკუთვნოდა (ამაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ იგი მოხსენებულია ამ უწყების საფინანსო საქმეთა ხელმძღვანელის — მუსტოჟუფი ალ-მამალიქისადმი დაქვემდებარებულთა შორის. ამავე დროს მისადმი დაქვემდებარებული მდივნებიც „დივან ალ-მამალიქის“ უწყებას ეკუთვნიან); მაგრამ შარდენის ერთი ცნობის მიხედვით ეს მოხელე შაჰის მეორე იყო დანიშნული დიდვაზირთან (ე. ი. „დივან ალ-მამალიქის“ უწყებაში) და ზედამხედველობდა ამ მოხელის საქმიანობას ([5], გვ. 341); ამრიგად, ნაზირი „დივანი ალ-მამალიქის“ უწყებაში გარედან შეყვანილი მოხელეა. ფაქტიურად კი შაჰის „საკუთარ“ მოხელეს წარმოადგენს, რაც ასევე შეესაბამება ჩვენს მოსაზრებას.

ამრიგად, ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ სეფიანთა სახელმწიფოში ვაზირები „დივან ალ-მამალიქის“ უწყების მოხელეები არიან (ანუ სახელმწიფო მოხელეები) და თუ ზოგიერთი მოხელე, რომელიც ვაზირის სახელს ატარებს, „ხასეს“ უწყებაშია დასაქმებული, იგი „დივან ალ-მამალიქის“ უწყებიდან უნდა იყოს აქ შეყვანილი კონტროლის მიზნით (მაგ. „ვაზირ-ე ბიუთათ“).

ასევე ჩვენთვის ხელმისაწვდომ სპარსულ წყაროებში მოხსენიებული ნაზირები, როგორც წესი, შაჰის „საკუთარი“ მოხელეებია და ამდენად ხასეს უწყებას ეკუთვნიან და თუ დავთარხანეს ნაზირი „დივან ალ-მამალიქის“ უწყებას ეკუთვნის, ისიც აქ გარედან უნდა იყოს შეყვანილი („ხასეს“ უწყებიდან) ზედამხედველობის მიზნით და სხვა ფუნქციებთან ერთად მაკონტროლებელი ფუნქციაც უნდა გააჩნდეს, რაზეც ჩვენ ქვემოთ გვექნება საუბარი.

ასეთი ურთიერთ მეთვალყურეობა სხვადასხვა უწყებებს შორის, დამახასიათებელია სეფიანთა სახელმწიფოს მმართველობის სისტემისათვის. როგორც ცნობილია უმაღლესი დივანიდან ცენტრალური ხელისუფლების უწყებებში, აგრეთვე

ირანის პროვინციებში ინიშნებოდნენ განსაკუთრებული მოხელეები, რომლებსაც სამეთვალყურეო ფუნქციები ქონდათ. ასეთი მოხელეები იყვნენ აღმოსავლეთ საქართველოშიც, რომელიც სეფიანთა ირანის პროვინციად ითვლებოდა (გვ. 381—412); ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს სეფიანთა სახელმწიფოს ორი უმნიშვნელოვანესი უწყების („დივან ალ-მამალეის“ და „ხასეს“) ურთიერთკონტროლთან. როგორც წყაროებიდან ჩანს, ეს უწყებები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მოქმედებდნენ, რაც ჩვენი აზრით, განაპირობებდა კიდევ მათ შორის ურთიერთკონტროლის აუცილებლობას.

„დავთარხანეს ნაზირის“ უფლება-მოვალეობათა შესასწავლად ძირითად წყაროს წარმოადგენს „თაზქირათ ალ-მულუქი“, რასაც შეიძლება დავამატოთ ევროპულ ავტორთა თხზულებანიც.

ხსენებული ნაზირი სათავეში ედგა სამეფო კანცელარიას (دفتر خانۀ همايون). ამ დაწესებულებაში უნდა გაეგლო სახელმწიფოს ყველა დოკუმენტს (მოხელეთა სამსახურზე დანიშვნის, მათი ჯამაგირის და ა. შ.). დავთარხანეს ნაზირის ძირითად ფუნქციას შეადგენდა ის, რომ მას უნდა შეემოწმებინა ყველა ეს დოკუმენტი და შემდეგ დაერტყა მასზე თავისი ბეჭედი ([3], გვ. 36). ამრიგად, იმისათვის, რომ ძალაში შესულიყო, ყველა ამ დოკუმენტს დიდვაზირისა და ზოგიერთი სხვა მოხელის ბეჭედთან ერთად, უნდა ჰქონოდა დავთარხანეს ნაზირის ბეჭედიც.

თავის უწყებაში მას ემორჩილებოდა 9 მწერალი, რომელთა საშუალებით ასრულებდა იგი ზემოხსენებულ ფუნქციას. „თაზქირათ ალ-მულუქიში“ მოთხრობილია მათი საქმიანობის შესახებ. 8 მწერალი რეგისტრაციას უკეთებდა დავთარხანეში შემოსულ დოკუმენტებს, ხოლო მეცხრე, რომელიც, როგორც ჩანს, მათი უფროსი იყო, ამოწმებდა ამ დოკუმენტებს და მათზე არტყამდა დამტკიცების ნიშანს. ([3], გვ. 36). ამის შემდეგ ხსენებული დოკუმენტები გადაეცემოდა დავთარხანეს ნაზირს საბოლოო დამტკიცებისათვის.

ამრიგად, დავთარხანეს ნაზირის ხელში უნდა გაეგლო სახელმწიფოს ზემოჩამოთვლილ ყველა დოკუმენტს. იგი მათ ამოწმებდა ზემოხსენებულ მწერალთა დახმარებით და შემდეგ ბეჭდავდა თავისი ბეჭდით.

შედარებით უფრო რთულია ნაზირის მეორე ფუნქციის დადგენა, რომელიც არანაკლებ მნიშვნელოვანია. სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ წყაროებში მოცემული მასალა ერთგვარ წინააღმდეგობას შეიცავს. კერძოდ, შარდენის ცნობით ხსენებული ნაზირი ინიშნებოდა შაჰის მიერ და კონტროლს უწევდა დიდვაზირის საქმიანობას. შარდენი მას დიდვაზირის კონტროლიორსა (contrôleur) და ზედამხედველს (surveillant) უწოდებს ([5] გვ. 341). პროფ. ვ. მინორსკის აზრით, შარდენის ეს ცნობა არ დასტურდება „თაზქირათ ალ-მულუქის“ მონაცემებით ([8], გვ. 115). ვ. მინორსკი აგრეთვე, აღნიშნავს: „საოცარია ის ფაქტი, რომ ნაზირი... მოხსენიებულია მუსტაოფი ალ-მამალეის ქვეშევრდომთა შორის“ ([8], გვ. 141).

ნაზირი რომ მუსტაოფი ალ-მამალეის დაქვემდებარებული მოხელეა, ეს „თაზქირათ ალ-მულუქიდანაც“ ჩანს და მას შარდენიც ეთანხმება ([5], გვ. 439), მაგრამ „თაზქირათ ალ-მულუქიში“ მართლაც არაფერია ნათქვამი ამ მოხელის ზემოხსენებულ საკონტროლო ფუნქციებზე და შარდენის ეს ცნობა დამტკიცებას საჭიროებს. ამ მხრივ საინტერესოა მოჰამედ თაჰერის თხზულებაში მოცემული მასალა. თხზულების იმ ნაწილში, სადაც სეფიანთა ირანის სახელმწიფო მოხელეებია ჩამოთვლილი, ავტორი ერთის-მხრივ ეთანხმება შარდენისა და „თაზქირათ

ალ-მულჰეის“ ცნობას იმის შესახებ, რომ ხსენებული ნაზირი მუსტოჰედი ალ-მამალეჰს ექვემდებარება (19, გვ. 338). მოჰამედ თავერს ნაზირი მოხსენებული ჰყავს მუსტოჰედი ალ-მამალეჰის შემდეგ (ეს ორი მოხელე ცენტრალურად განმარტებული). რაც მთავარია, მოჰამედ თავერი ნაწილობრივ აღსატურებს შარდენის შემომოყვანილ ცნობას ნაზირის საკონტროლო ფუნქციების შესახებ. კერძოდ, იგი აღნიშნავს, რომ „ამ (ნაზირის) თანამდებობის მფლობელი მუსტოჰეების კონტროლიორია (مفتش) (19, გვ. 338). მეორეს მხრივ, მოჰამედ თავერი მთლიანად არ ეთანხმება შარდენს: ამ ავტორის მიხედვით ნაზირი კონტროლს უწყევს არა დიდვაზირს, როგორც ეს შარდენს აქვს აღნიშნული, არამედ მუსტოჰედი ალ-მამალეჰს [10].

მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ დიდვაზირიც და მუსტოჰედი ალ-მამალიეჰიც „დივან ალ-მამალეჰის“ უწყების უმაღლესი მოხელეებია („მუსტოჰედი ალ-მამალეჰი“, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დიდვაზირის მოადგილეა „დივან ალ-მამალეჰის“ უწყების საფინანსო-საქმეებში), რომლებიც ერთად განაგებენ ამ უწყების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას, მაშინ მოიხსნება მოცემული წინააღმდეგობა და ამ ორი წყაროს ცნობის საფუძველზე შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომელიც საერთოა ორივე ავტორისათვის, რომ ნაზირი „დივან ალ-მამალეჰის“ უწყების საქმიანობას უწყვედა კონტროლს, რაც არ ეწინააღმდეგება არც შარდენის და არც მოჰამედ თავერის თხზულებებში მოცემულ ცნობებს. ამ შემთხვევაში, არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა იმას, თუ კერძოდ „დივან ალ-მამალეჰის“ უწყების რომელ მოხელეს უწყვედა ხსენებული ნაზირი კონტროლს, რადგან უწყებაზე საერთო ზედამხედველობა კი არ გამოორიცხავს, არამედ შეიცავს ამ უწყების ორი უმაღლესი მოხელის (დიდვაზირის და მუსტოჰედი ალ-მამალეჰის) კონტროლს. ამრიგად, შეიძლება დაეასკვნათ, რომ სამეფო კანცელარიის ნაზირი დივან ალ-მამალეჰის უწყების მოხელეა, მაგრამ აქ იგი დანიშნულია შაჰის მიერ, ე. ი. შაჰის „საკუთარი“ მოხელეა. დავთარხანეს საქმეთა მართვასთან ერთად მას საკონტროლო ფუნქციებიც აქვს, რასაც ეთანხმება, აგრეთვე ჩვენს მიერ შემომოყვანილი მოსაზრება სეფიანთა სახელმწიფოს მოხელეთა ორი ჯგუფის—ნაზირებისა და ვაზირების მოღვაწეობის თავისებურებათა შესახებ.

ამრიგად, შეიძლება დაეასკვნათ, რომ ხსენებული ნაზირი კონტროლს უწყვედა „დივან ალ-მამალეჰის“ უწყებას, თუმცა წყაროებიდან არ ჩანს, თუ რა სახე ჰქონდა ამ კონტროლს. ამ საკითხს შეიძლება ნათელი მოჰქინოს „თაზქირათ ალ-მულჰეჰში“ მოცემულმა ცნობებმა ნაზირის საქმიანობის შესახებ. როგორც აღვნიშნეთ, სეფიანთა სახელმწიფოს ყველა დოკუმენტს რეგისტრაცია უკეთდებოდა სამეფო დავთარხანეში, რომლის სათავეშიც ხსენებული ნაზირი იდგა. ამდენად, ნაზირის ხელში უნდა გაეგლო დიდვაზირისა და მუსტოჰედი ალ-მამალეჰის (ე. ი. „დივან ალ-მამალეჰის“ უწყებაში) გამოცემულ სახელმწიფო დოკუმენტებს და მათთან ერთად ნაზირსაც უნდა დაერტყა თავისი ბეჭედი, რათა ხსენებული დოკუმენტები ძალაში შესულიყო. ეს კი, რა თქმა უნდა, საშუალებას აძლევდა ნაზირს კონტროლი გაეწია ამ მოხელეთა (ე. ი. „დივან ალ-მამალეჰის“ უწყების) საქმიანობისათვის. ნაზირის ზედამხედველობას „დივან ალ-მამალეჰის“ უწყებაში, სწორედ ასეთი სახე ჰქონდა, თუმცა არ არის გამოორიცხული სხვა სახის კონტროლიც, რაზედაც წყაროები არაფერს გვეუბნება.

ამ საკითხთან დაკავშირებით, საჭიროდ მიგვაჩნია შევეხოთ დავთარხანეს ნაზირის წოდებას. „თაზქირათ ალ-მულჰეჰის“ მიხედვით, ეს მოხელე ატარებდა „მოყარაბ ალ-ჰაზრათ“-ის („مقرب الحضرت“-ისი „უდიდებულესობის დაახლოებული“) ტიტულს ([3], გვ. 36), რომელიც სეფიანთა სახელმწიფოს ერთ-ერთი

უმალესი სამოხელეო ტიტული იყო და მას ატარებდნენ შაჰთან დაახლოებული მოხელეები. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ხსენებული წყაროს მიხედვით, მუსულმანი ტოუფი ალ-მამალექის დაქვემდებარებულ „დივან ალ-მამალექის“ მოხელეთაგან, მხოლოდ დავთარხანეს ნაზირი ატარებდა „მუყარაბ ალ-ჰაზრათის“ ტიტულს, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს მის განსაკუთრებულ მდგომარეობაზე „დივან ალ-მამალექის“ უწყებაში.

„თახქირათ ალ-მულუქის“ ეპილოგში მოცემულია დავთარხანეს ნაზირის სარგო [3], (გვ. 56—57), რაც შეადგენდა 225 თუმანსა და 6800 დინარს. რაფაელ დიუმანის მიხედვით იგი იღებდა 200 თუმანს ([8], გვ. 154), რაც უახლოვდება „თახქირათ ალ-მულუქში“ მოცემულ თანხას.

ნაზირს ეკუთვნოდა აგრეთვე ფულის გარკვეული რაოდენობა სახელმწიფოს სხვადასხვა თანხებიდან, რომელიც ჩამოთვლილია „თახქირათ ალ-მულუქში“. ჩვენ აქ მოგვყავს წყაროს ამ ნაწილის თარგმანი: „ძველი წესების მიხედვით [იგი იღებდა]:

იჯარებიდან (از اجرات) თუმანში (از تومانی) — 14 დინარს და 3,5 დანგს (دانگ).

ამირების კუთვნილი თანხებიდან — 2 დინარს;

თიულებიდან — 4 დინარს და 4 დანგს;

ამირებისა და არამოსამსახურე პირების جمعيتك ملازم ناسند. საჩუქრებიდან (از انعام), აგრეთვე სოიურღალებიდან, ჯამაგირებიდან (مواجب) და სხვ. — 14 დინარს.

ბოლო დროს რაყამის თანახმად (حسب الرقم) დადგინდა [რომ ნაზირი იღებდა]: ყოველ თუმანში:

მულმივი ჯამაგირებიდან — 50 დინარს.

„ჰამესალეს“ და „იქსალეს“ თანხებიდან — 20 დინარს.

როგორც აქედან ჩანს, დავთარხანეს ნაზირს საკმაოდ დიდი შემოსავალი ჰქონდა. სარგოს რაოდენობის მიხედვით, იგი შედიოდა სეფიანთა სახელმწიფოს მოხელეთა მეორე კატეგორიაში, რომლებიც იღებდნენ 100—500 თუმანს ([8], გვ. 1537). უნდა აღინიშნოს, რომ ნაზირს ყველაზე მაღალი ხელფასი ჰქონდა მუსტოფი ალ-მამალექის დაქვემდებარებულ მოხელეთა შორის“.

როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, სამეფო კანცელარიის ნაზირს ორი ძირითადი ფუნქცია ჰქონდა:

1. ხსენებული მოხელე სათავეში ედგა სამეფო კანცელარიის და განაგებდა ამ დაწესებულების საქმიანობას. კერძოდ, მას უნდა შეემოწმებინა და დაემტკიცებინა კანცელარიაში შემოსული ყველა სახის დოკუმენტი. ამ ფუნქციას იგი ასრულებდა მისდამი დაქვემდებარებული კანცელარიის 9 მწერლის დახმარებით.

2. სამეფო კანცელარიის ნაზირს საკონტროლო ფუნქციაც ჰქონდა. როგორც ჩანს, ხსენებული ნაზირი შაჰის მიერ ინიშნებოდა დივანის უწყებაში და ზედამხედველობას უწევდა ამ უწყების და მისი უმაღლესი მოხელეების (დიდვაზირის და მუსტოფი ალ-მამალექის) საქმიანობას, ამდენად იგი შაჰის „საკუთარ“ მოხელედაც შეიძლება ჩაითვალოს.

ამ ფუნქციის შესრულებაში მას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ დივანის უწყების ვაზირისა და მუსტოფუფი ალ-მამალექის მიერ გამოცემულ ყველა დოკუმენტს მის ხელში უნდა გაეგლო, რაც მას საშუალებას აძლევდა კონტროლს ქვეშეპყლოდა დივანის უწყება და მის მოხელეთა საქმიანობა.

აღმოსავლეთის ისტორიის
კათედრა

შენიშვნები და ლიტერატურა

1. „თაჯირათ ალ-მულუქი“ — სეფიანთა პერიოდის იურიდიული ხასიათის ძეგლი, რომელშიც მოცემულია სეფიანთა სახელმწიფოს მმართველობის აპარატის აღწერა.
2. ნაზირი სპარსულად ნიშნავს ზედამხედველს. იხ. Персидско-русский словарь. М. А. Гаффаров, Москва, 1974, გვ. 850.
3. تذكرة الملوك، بكوشش محمد دبیر سیاقی، تهران، ۱۹۵۲
4. როგორც ცნობილია, სეფიანთა სახელმწიფოში რამდენიმე ნაზირი იყო: „ნაზირ-ე ბიუთათ“, „ნაზირ-ე დავაბ“.
5. Voyages du chevalier Chardin [en Perse, et autres lieux de l'Orient, Ed. par L. Langles, t. V. Paris, 1811.
6. „ვაზირ-ე ბიუთათის“ შესახებ იხ. „თაჯირათ ალ-მულუქი“, გვ. 34—35.
7. ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება, თბ., 1958.
8. Tadhkirat al-muluk, a manuel of Safavid administration, Persian text in Facsimile, with translation and commentary by U. Minor sky, London, 1943.
9. عباسنامه یا شرح زندگان ۲۲ ساله شاه عباس ثانی (۱۰۵۲—۱۰۷۳) تالیف محمد طاهر وحید قرینی (۱۱۱۰—۱۰۱۵) به تصحیح و نسیه آقای ابراهیم دهگان، اراک اسفند (1951) ۱۳۲۹
10. მოყვანილ ციტატაში მოხსენიებულ მუსტოფუფი ალ-მამალექი უნდა იგულისხმებოდეს, რადგან ტექსტის წინა ნაწილი სწორედ მუსტოფუფი ალ-მამალექს ეხება.

Н. И. СУРГУЛАДЗЕ

НАЗИР ГОСУДАРСТВЕННОЙ КАНЦЕЛЯРИИ («ДАВТАРХАНЕ») В СЕФЕВИДСКОМ ИРАНЕ

Резюме

В финансовом ведомстве Сефевидского государства, которым руководили Великий визирь и Мустоуфи ал-Мамалек, одним из важнейших чиновников являлся назир государственной канцелярии.

Вышеупомянутый назир стоял во главе государственной канцелярии и руководил делами этого учреждения. В частности, он проверял и утверждал все документы, которые поступали в государственную канцелярию. Эту функцию он выполнял с помощью 9 писарей, которые непосредственно подчинялись назиру.

Назир государственной канцелярии имел и контрольные функции. Этот чиновник назначался шахом в ведомстве „Диван ал-Мамалек“ и контролировал дела этого ведомства и его руководителей (Великого визиря, Мустоуфи ал-Мамалека).



Summary

The financial department of the Safavid state was headed by the Grand Vazir and Mustauf al Mamalek. One of the most important officials of this department was the Nazir of Dafter Khane.

The above-mentioned Nazir headed the state Daftar khane and handled the affairs of that office, in particular he checked up and confirmed all the state documents received at the Dafter Khane. He performed this function with the help of 9 scribes who were directly subordinated to him.

The Nazir of the state Daftar Khane had controlling functions as well. That official was appointed in the divan al-Mamalek's department by the Shah to supervise the affairs of this office and its employees.

ქიზიჯა და გიგლოზრაში

გურჯიზადე, თბილისის დაპყრობის წიგნი

თურქულ წყაროებს ერთ-ერთი უმთავრესი ადგილი უკავიათ იმ უცხოურ წყაროებს შორის, რომლებშიც უხვი ცნობები მოიპოვება საქართველოს შესახებ. მაგრამ სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე შესწავლილია მხოლოდ მათი გარკვეული ნაწილი, ხოლო ზოგიერთი წყარო გამოვლენილიც კი არ არის.

ყველაზე უხვი ცნობები საქართველოზე XVI–XVIII სს. ოსმალურ საისტორიო მწერლობაში გვხვდება. მათი ერთი ნაწილი გაბნეულია აღნიშნული საუკუნეების უმთავრესი თხზულებებში, რომლებშიც აღწერილია ოსმალეთის სახელმწიფოს საზინაო და საგარეო ისტორიის გარკვეული პერიოდები. ამას გარდა, ოსმალეთში დაიწერა საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის მოკლე პერიოდების ამსახველი ქრონიკები და ისტორიები. ასეთი წყაროები ჯერჯერობით რამდენიმეა ცნობილი. შეიძლება მივუთითოთ „ნუსხეთ-ნამეზე“, რომელშიც აღწერილია ოსმალეთი 1578 წლის ლაშქრობა საქართველოსა და შირვანში. ასეთივე რეცენზიაში განხილული XVIII საუკუნის ოსმალური წყარო ქართლის დაპყრობის შესახებ.

თურქულ ენაზე დაწერილი გურჯიზადეს ისტორია დღემდე გამოცემული არ ყოფილა. ხელნაწერების სახით არსებული ამ წყაროს ორი ნუსხიდან ერთი დაცულია სტამბოლში, მეორე ბრიტანეთის მუზეუმში. მათი ფოტოპირების შესწავლა-შედარების საფუძველზე ცისანა აბულაძემ დაასკვნა, რომ სტამბოლური ნუსხა გადაწერილია ბრიტანულიდან, რომელიც პირველად ტექსტად უნდა მივიჩნიოთ.

ხელნაწერებზე გაწეული შრომის შედეგად აბულაძემ დაადგინა გურჯიზადეს „თბილისის დაპყრობის წიგნი“ მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტი და მისი პირველი პუბლიკაცია განახორციელა. მანვე თურქულ ტექსტთან ერთად გამოაქვეყნა წყაროს ქართული თარგმანი შენიშვნებით*.

„თბილისის დაპყრობის წიგნი“ ავტორი გურჯიზადე (ქართველიშვილი) გამაჰმადიანებული ქართველია, რომელიც მისი ისტორიული თხზულების შინაარსისა და ფორმის მიხედვით ოსმალური ისტორიოგრაფიის ტიპიურ წარმომადგენლად წარმოგვიდგება: წერს მაღალფარდოვანი ენით, რომელიც შეგნებულად აქვს დამძიმებული არაბული და, განსაკუთრებით, სპარსული ლექსიკით. მაგრამ „თბილისის დაპყრობის წიგნი“ ლიტერატურული გაფორმების სპარსული მანერა ავტორს ხელს არ უშლის მოურიდებელი იყოს ოსმალეთის ანტიირანული ზრახვების გადმოცემისას. სპარსული ლიტერატურისა და ენის ცოდნის გამოჩენა ოსმალეთში ითვლებოდა საისტორიო თხზულებების ავტორების განსწავლულობისა და

* გურჯიზადე, თბილისის დაპყრობის წიგნი, თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შეავლითა და შენიშვნებით გამოსცა ცისანა აბულაძემ, „მეცნიერება“, თბილისი, 1975.

წიგნიერების ატესტაციად, რაც არ ნიშნავდა მათს პოლიტიკურ სპარსოფილობას. თურქული ტერმინოლოგიის სპარსულით შეცვლას, მაშინაც კი როდესაც უმეტეს შემთხვევაში ჰქონდა არაგიტარირება (მაგ. „ყიზილბაშის“ „სურხ-ე სარ“-ით), გურჯიზა-დღე მიმართავს ისეთივე გულმოდგინებით, როგორც წინარე ხანის ცნობილი ოსმალთა ჟამთააღმწერლები.

გურჯიზადღე ოსმალთა ლაშქრობასა და გაბატონებას საქართველოში აღწერს როგორც ამბების უშუალო მომსწრე. ეს გარემოება ზრდის წყაროს ღირებულებას, თუმცა ცხადია მისი ტენდენციურობაც, რამდენადაც ავტორი მოვლენებს სულთნის კარის თვალთახედვით უდგება. გურჯიზადღეს ისტორიაში აღწერილია ე. წ. მეორე „ოსმალობის“ (1723—1735 წწ.) დასაწყისი ქართლში—1723-1724 წლების ამბები. თუმცა ავტორის მიერ მოთხრობილი მოვლენების მნიშვნელოვანი ნაწილი ქართულ, სომხურსა და სხვა წყაროებშიცაა გაშუქებული; მაგრამ „თბილისის დაპყრობის წიგნი“ მათგან განსხვავებულ ცნობებსაც შეიცავს. გურჯიზადღეს ისტორია, გარდა იმისა, რომ აფართოებს ამ საკითხთან დაკავშირებულ ფაქტობრივ მხარეს, არანაკლებ საინტერესოა ავტორის პოლიტიკური მსოფლმხედველობის გამოც. ვიდრე ამბების თხრობას შეუდგებოდეს, გურჯიზადღე ოსმალეთის მმართველი წრეების თვალთახედვით ცდილობს ქართლის დაპყრობის საერთაშორისო—უფლებრივი საფუძვლების გამონახვას. ირკვევა, რომ 1722 წელს ავღანთა შესვლის შედეგად ირანის სახელმწიფოს დაშლისთანავე ოსმალეთში შესდგომიან აღმოსავლეთ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის („თავრიზის, თბილისის, ერევნისა და სხვა ციხეები“) დაპყრობაზე ზრუნვას. რადგან გარკვეულ პერიოდებში ეს ქვეყნები ოსმალეთს ეკავა, სულთნის კარზე „სურვილი გამოთქვეს, რომ ხსენებული ციხეები კვლავ ღვთივდაცულ ქვეყანას—ოსმალეთს შეერთებოდა“*. როგორც ვხედავთ, ოსმალეთმა სეფიანთა სახელმწიფოს ლიკვიდაციას დაუკავშირა ამიერკავკასიაში თავისი „უფლებების“ აღდგენის ცდა. გურჯიზადღეს უწყება საფუძველს აცლის თანამედროვე თურქულ-ირანული ისტორიოგრაფიის მტკიცებას, რომ ოსმალეთის შეჭრა სეფიანთა დინასტიის ყოფილ სამფლობელოებში 1723 წელს, თითქოს, განეპირობებინოს მხოლოდ პეტრე ბირველის ლაშქრობას კასპიის ზღვის სანაპიროებზე. დამახასიათებელია, რომ თურქული წყაროს ავტორი, რომელიც ამ მოვლენების თანამედროვეა, არ ფიქრობს სულთნის კარის გადაწყვეტილების დაკავშირებას რუსეთის ამ ლაშქრობასთან. ოსმალეთი, რომელიც XVI—XVII საუკუნეებში ომების მეშვეობით ცდილობდა ამიერკავკასიიდან ირანის განდევნას, მით უმეტეს არ აპირებდა ბედნიერი შემთხვევის ხელიდან გაშვებას ახლა, „როცა ირანი უმეთვალყუროდ დარჩა, როგორც ვარდის წალკოტი უმებლოდ“**. სტამბოლში სთვლიდნენ, რომ ამიერკავკასიაში ერთ-ერთ მუსლიმურ სახელმწიფოს უნდა ებატონა (იმის მიხედვით, თუ როგორი იყო მათი ძალების თანაფარდობა). 1723 წელს ოსმალეთი ამიერკავკასიაში „უფლებამოსილი“ შემოდიოდა სეფიანთა სახელმწიფოს გადაწყვეტის შედეგად წარმოქმნილი „თავისუფალი ვაკუუმის“ შესავსებად. ოსმალეთის ზრახვები ამიერკავკასიის მიმართ მკვეთრად უპირისპირდება აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური ერთეულების ინტერესებს, რომლებსაც სეფიანთა სახელმწიფოს მოსაბოზა დამოუკიდებელი განვითარების გზას უზნსნიდა. სულთნის კარის რენევატი მეხოტბე საქართველოს უყურებს როგორც ოსმალეთისათვის განკუთვნილ მსხვერპლს („თბილისი ოსმალეთზე დანიშნული, კოხტაჲ მორ-

* გურჯიზადღე, გვ. 17.

** იქვე.

თული პატარძალია“, „დიდებულად გაშლილი სუფრა“)*. ამასთან ოსმალეთის აგრესიული ზრახვები გურჯიზადეს აყენებს რელიგიური შეუწყნარებლობის პრეციდენტზე ურჯულო ქართველებისა და შიიტი ირანელების მიმართ. ისტორიკოს XVI—XVII საუკუნეების ავტორები, გურჯიზადეც სარწმუნოებრივი ფანატიზმის ფიქტიურ გარსში ახვევს ირან-ოსმალეთის ბრძოლას ამიერკავკასიის მიწა-წყლის დასაპყრობად.

გურჯიზადეს „თბილისის დაპყრობის წიგნი“ მთლიანად აღმოსავლეთ საქართველოს ეხება. ირან ოსმალეთის სადავო ტერიტორიას ამიერკავკასიაში XVI—XVIII საუკუნეებში წარმოადგენდა აღმოსავლეთ საქართველო (აზერბაიჯანთან და აღმოსავლეთ სომხეთთან ერთად. დასავლეთ საქართველოზე ირანი პრეტენზიას არ აცხადებდა და სულთნის სამფლობელოდ აღიარებდა. 1555 წლის ზავით დადასტურებული ეს პირობა შაჰების მიერ არასოდეს არ ყოფილა გადასინჯული ირან-ოსმალეთის ურთიერთობაში. რაც შეეხება აღმოსავლეთ საქართველოს, რომელიც შაჰებს თავიანთ სამფლობელოდ მიაჩნდათ, სულთნების მხრივ ირანის „უფლების“ ცნობას ამ ქვეყანაზე ისინი მხოლოდ ოსმალეთზე გამარჯვების შედეგად აღწევდნენ. მაგრამ ირანზე გამარჯვების შემთხვევაში სულთნები მას საკუთარი „უფლებით“ სცვლიდნენ. ორი სახელმწიფოს ბრძოლა აღმოსავლეთ საქართველოში ბატონობისათვის დამთავრდა ირანის განდევნით სამცხე-საათაბაგოდან. 1639 წლის საზავო ხელშეკრულებით ირანის „უფლება“ აღმოსავლეთ საქართველოზე ქართლით და კახეთით შემოიფარგლა. 1639—1722 წწ. ოსმალეთს ზავი არ დაურღვევია. მაგრამ 1722 წელს ახლო აღმოსავლეთში შექმნილმა ვითარებამ მას მისცა ოდინდელი გეგმების განხორციელების საბაზი. ასე დაიწყო აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობის კიდევ ერთი ცდა, რის აღწერასაც შეიცავს გურჯიზადეს თხზულება.

„თბილისის დაპყრობის წიგნი“ სათანადოდ აისახა ის სიძნელებები, რასაც აწყდება ოსმალეთი ქართლში შემოსვლის შემდეგ. ოსმალეთის სარდლობას უჭირდა ადგილობრივ ფეოდალებთან საერთო ენის გამონახვა. სულთნის მოხელეების ესა თუ ის შეთანხმება ქართლის ფეოდალთა ცალკეულ ჯგუფებთან ზოგჯერ უკმაყოფილებას იწვევდა სტამბოლში. „ისლამის ქვეყნების შემადგენლობაში“ ქართლის მოქცევის გეგმა გარკვეულ გამოწვევებსაც გულისხმობდა. დამპყრობლები ქართველი ფეოდალებისათვის პრივილეგიების დატოვებით ვარაუდობდნენ თავიანთი ბატონობისათვის სოციალური საფუძვლის მომზადებას. ბრძოლაში დამარცხებული თავადები და აზნაურები რომ გადაებირებინათ, ოსმალეები არ თაკილობდნენ მათთვის „სამო საჩუქრების ბოძებას“. ამ პერიოდში ქართლში არ არსებობდა სხვადასხვა სოციალური ჯგუფების ერთიანი და ორგანიზებული ანტიოსმალური ფრონტი. მაგრამ 1723—1724 წწ. უკვე ჩნდება წინააღმდეგობის ლოკალური კერები, რომელთა არსებობა მოსვენებას უკარგავდა ოკუპანტებს. ოსმალეთის სარდლობის ერთ-ერთი უმთავრესი საზრუნავი თბილისის საგანგებოდ გამაგრება გახდა, რადგან ყოველი მხრიდან აჯანყებები იყო მოსალოდნელი. გურჯიზადეს სიტყვით, „დანებების კეთილი სურნელი არც ქალაქიდან მოდიოდა და არც ქალაქის კედლებს მიღმა იყო გადაწყვეტილი“...** და რომ „ქართლის მართვა-გამგეობა რთული და ძნელი საქმე იყო“***. არასუსტრევი პოლიტიკური ატმოსფერო გურჯიზადეს აიძულებს ნეგატიურ ფერებში წარმოადგინოს დამსდურნი, რომლებიც შეადგენენ „საზიზღარ უსჯულოთა ხროვას“, „მოჩვენებით მორჩილებას“ ავლენენ

* გურჯიზადე, გვ. 17.

** იქვე, გვ. 20.

*** იქვე, გვ. 22.

და სხვ. გურჯიზადეს თხზულებაში უპირატესად დამხვედურთა აქტიური წინააღმდეგობის ფორმებია ასახული. მკითხველის ყურადღებას უთუოდ მიიქცევს ოსმალეთის ადმინისტრაციის განსხვავებული პოლიტიკა ქართლის სხვადასხვა სოციალურ ფენებისადმი. თუ თავდა-აზნაურებს დამორჩილების შემთხვევაში ოსმალები „სიმშვიდეს, ოჯახისა და ცოლშვილის დაცვას და მამულის მფლობელობის დამტკიცებას“ აღუთქვამდნენ, სამაგიეროდ ომისა და ბრძოლის შემძლე მოსახლეობას „ყველას შურისძიების მახვილის ქვეშ ატარებდნენ. მათ ცოლშვილს ატყვევებდნენ, სახლ-კარს და მამულს ცეცხლს უკიდებდნენ“*. გუჯარელთა შეიარაღებული აჯანყების აღწერისას ავტორი შენიშნავს, რომ ამ მხარის „მოსახლეობა ქართველ მეფეთა დროსაც გამოირჩეოდა თავისი ურჩობით**“.

უცხო დამპყრობლის გაბატონებამ გამოიწვია ქართველი გლეხობის ექსპლუატაციის გაძლიერება, გაამწვავა კლასობრივი ბრძოლა. თურქული წყაროდან ჩანს, რომ სხვადასხვა სოციალური ფენებიდან ოსმალთა წინააღმდეგ ყველაზე თანმიმდევრული მებრძოლი გლეხობა იყო, რომელიც განმათავისუფლებელ მოძრაობაში ანტიფეოდალურ მისწრაფებებსაც აქსოვდა.

მიიმე საგადასახადო სისტემის შემოღებასთან ერთად ოსმალები ხალხს ძარცვავდნენ სამხედრო რეპრესიების დროსაც. გორის მხარეში ჩატარებული ერთი რეიდის აღწერისას გურჯიზადე აღნიშნავს, რომ ოსმალები „ალაფითა და ნადავლით კისრამდე აივსნენ. თავიანთ სიცოცხლეში ძაღლის ლეკვის პატრონი რომ არ ყოფილან, ქართველ ტყვეთა მთელ ჯარს ეღირსნენ, ნადავლით დაიტვიტონენ და გამდიდრებულნი გაბრუნდნენ უკან“***. ძარცვისა და ტყვეების პოლიტიკით ოსმალეთი კვლავ რჩებოდა რეაქციულ საგარეო ფაქტორად, რომელიც საფრთხეს უქმნიდა ქართველი ხალხის ფიზიკურ არსებობას და იწვევდა ქვეყნის სამეურნეო დაქვეითებას. მაგრამ მეზობელი ქვეყნის ძარცვა—ოსმალო ფეოდალთა გამდიდრების ეს ტრადიციული წყარო—თბილისის დაპყრობის წიგნის“ ავტორს კლასობრივ ასპექტში აქვს წარმოდგენილი. გურჯიზადე ზემოთ დამოწმებულ და სხვა ანალოგიურ ამბების გადმოცემისას უფრო იმ ფაქტს უსვამს ხაზს, რომ ქვეყნის ძარცვამ სიკეთე მოუტანა იმათ, ვინც აქამდე „ლეკვის პატრონიც“ კი არ ყოფილა. ოსმალეთის ლაშქრის მონაწილე რიგით მუსლიმთა მასას ავტორი გამოჰყოფს აზერბაიჯანელ შიიტებზე ოსმალთა გამარჯვების ეპიზოდის თხრობაშიც: „ცხოვრებაში ჯოხის პატრონიც რომ არ ყოფილან, მოოჭვილსა და მოკაზმულ იარაღს ეღირსნენო“, ამბობს გურჯიზადე****. გაბატონებული კლასის ინტერესების გამომხატველი გურჯიზადე თითქოს სუნიტი მოლაშქრეების გასაგონად ამბობს, რომ ისინი ურჯულო ქართველებისა და შიიტი აზერბაიჯანელების ძარცვის გზით მოპოვებული კეთილდღეობის გამო საღმრთო ომების ორგანიზატორს—ოსმალეთის სახელმწიფოს უნდა უმადლოდნენ. განხილული ადგილი მოწმობს, თუ როგორ ცდილობს ავტორი ოსმალეთის ფეოდალთა კლასის საგარეო პოლიტიკის გამართლებას საკუთარ ხალხზე „მზრუნველობის“ სახაბით.

გურჯიზადე ეხება აგრეთვე ოსმალეთ-ლეკების ურთიერთობას. ოსმალეთის გაბატონებამ აღმოსავლეთ საქართველოში შეცვალა მისი ტრადიციული დამოკიდებულება ლეკების მიმართ, რომლებიც ახლაც წილს იღებენ ამ ქვეყნის ძარცვაში. მაგრამ უმცროსი პარტნიორის აქტივობას ოსმალეთი უკვე საკუთარი ინტერე-

* გურჯიზადე, გვ. 31.

** იქვე, გვ. 26.

*** იქვე, გვ. 27.

**** იქვე, გვ. 36.

სების შეზღავანულ სთვლის. დაღესტნელთა რბევა-თარეში აღმოსავლეთ საქართველოში ოსმალეთს მამინ სკირდებოდა, როცა ამ ქვეყანას ირანის სამფლობელოდ ცნობდა. ამიტომ 1723—1724 წწ. სულთნის ადმინისტრაცია თბილისის ცილათების გამგებლის უფლებით ერეკება ქართლიდან აქ შემოჭრილ ლეკთა რაზმებს. ასეთ ვითარებაში წინარე ხანის ოსმალურ წყაროებში ისლამის ყაზიებთან გათანაბრებული მთიელი აბრაგები გურჯიზადესათვის „დიდი და პატარა, ყველა ავაზაკი და ბოროტმზრახველია“*. ავტორის ნეგატიური დამოკიდებულება ლეკების მიმართ ოსმალეთის ახალი კავკასიური პოლიტიკის ზიგზაგებს შეესაბამებოდა.

სარეცენზიო წიგნი საყურადღებო წყაროა, ე. წ. მეორე „ოსმალბის“ დასაწყისი სტადიის შესასწავლად, როდესაც ქართველ ხალხს არ შეეძლო ირან-ოსმალეთის წინააღმდეგობებით სარგებლობა და თურქ დამპყრობლებს საკუთარი ძალებით ებრძოდა. იმავე დროს მასში საინტერესო ცნობები გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოს და ზოგიერთი მეზობელი ქვეყნის ისტორიული გეოგრაფიის შესასწავლად.

თურქულ წყაროზე მუშაობას სპეციალისტებს გაუადვილებს ც. აბულაძის მიერ მისთვის დართული შენიშვნები. მათში ჩვენ მხოლოდ ერთი უზუსტობა შევამჩნიეთ. ოსმალეთის რეგულარული ჯარის, იანიჩრების შექმნის დროდ მითითებულია ორხანის მმართველობის ხანა. ეს არის 1324—1359 წწ. მაგრამ შენიშვნაში იანიჩრების ნაწილის შექმნა 1300 წლითაა დათარიღებული**.

ვიტალი ჩოჩიევი

კ. კუცია. აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქალაქები XVI—XVIII სს. „მეცნიერება“, 1976

აღმოსავლეთ ამიერკავკასიის (ჩრდ. აზერბაიჯანის, აღმ. სომხეთის) ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების შესწავლას საბჭოთა ისტორიოგრაფიაში უკანასკნელ წლებში გარკვეული ყურადღება მიექცა. გამოქვეყნდა მთელი რიგი ნაშრომები, რომლებშიც გაშუქებული იყო ზემოხსენებული ქვეყნების ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების ზოგიერთი მხარე, მაგრამ საკვლევი მაინც საკმაოდ დაარჩენილი; ამიტომაცაა, რომ კარლო კუციამ ხელი მოჰკიდა აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების ყოველმხრივ შესწავლას.

აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქალაქები, როგორც ცნობილია, მჭიდროდ იყო დაკავშირებული საქართველოს ქალაქებთან, კერძოდ კი თბილისთან; ამიტომაც, თავისთავად ცხადია, ზემოაღნიშნული საკითხის შესწავლა საინტერესოა საქართველოს ისტორიის თვალსაზრისითაც.

სავსებით მართებულად მიგვაჩნია ის გარემოებაც, რომ აღნიშნული საკითხის შესწავლას ხელი მოჰკიდა ირანისტმა ისტორიკოსმა. როგორც ცნობილია, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქვეყნები (ჩრდ. აზერბაიჯანი, აღმ. სომხეთი) XVI—XVII სს-ში ირანის სახანოები იყო, აქედან გამომდინარე, ბუნებრივია საქმე გვაქვს მთელ რიგ შემთხვევებში ირანის ქალაქების და საქალაქო ცხოვრებისათვის დამახასიათებელ ანალოგიურ მოვლენებთან.

* გურჯიზადე, გვ. 41.

** იქვე, გვ. 61.

ქ. კუცია წლების განმავლობაში სწავლობდა სეფიანთა ირანის ქალაქებსა და საქალაქო ცხოვრებას, მან საინტერესო გამოკვლევები გამოაქვეყნა ამ საკვლევის ირგვლივ, ახლა კი სეფიანთა სახელმწიფოს შემადგენლობაში მყოფი ამ მხრის ცხოვრებასთან დაკავშირებით ამიერკავკასიის ქალაქების და საქალაქო ცხოვრების შესახებ მონოგრაფია გამოიტანა მკითხველთა სამსჯავროზე.

წინამდებარე წიგნი შედგება წინასიტყვაობისა და ხუთი თავისაგან. თავი I—ქალაქის მოსახლეობის ოდენობა და სოციალურ-ეკონომიური შემადგენლობა, II—საქალაქო წყობილება, III—ქალ. ქ. ეკონომიკა (ხელოსნობა, ვაჭრობა), IV—საქალაქო ორგანიზაციები (ამჟარი, ქარხანა, სავაჭრო კომპანიები), V—საქალაქო გადასახადები და ვალდებულებები (გადასახადები და ვალდებულებები, ხალხის აღწერა, გადასახადების გაწერა-აქრეფა). წიგნს თან ახლავს შემოკლებების ნუსხა.

სარეცენზიო წიგნით ავტორი ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ მსგავსად ირანისა, XVI ს-ის აღმ. ამიერკავკასიაშიც ირან-ოსმალეთის ხანგრძლივი ომების გამო, არ არსებობდა პირობები საქალაქო ცხოვრების განვითარებისათვის.

ქ. კუცია, მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს პირდაპირი ცნობები აღმ. ამიერკავკასიის ქალაქების მოსახლეობის შესახებ, მაინც ახერხებს სხვადასხვა წყაროთა ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დაახლოებით მაინც, დაადგინოს ზემოხსენებული მხარეების უმთავრესი ქალაქების მოსახლეობის რაოდენობა. ავტორის დაკვირვებით აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქალაქები როგორც მოსახლეობის რაოდენობის, ასევე ეკონომიკის მხრივ აშკარად დაბლა დგანან ირანისა და ოსმალეთის ქალაქებზე.

ქ. კუცია ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ ირან-ოსმალეთის ომების დროს აღმ. ამიერკავკასიის ქალაქების მცხოვრებთა რიცხვი იკლებს, ხოლო მშვიდობიანობის პერიოდში კვლავ მატულობს. აღმ. ამიერკავკასიის ეკონომიკის დასაწყისს ხელს უწყობდა აგრეთვე ხალხთა აყრა-ვადასახლების და ქალაქების გაუკაცრიელების პოლიტიკა ირანის შაჰებისა. აღმ. ამიერკავკასიიდან ირანში ვაჭარხელოსნების გადასახლება მიზნად ისახავდა ირანის ქალაქების ეკონომიკის აღმავლობას, ამისდა კვალად კი სუსტდებოდნენ ამიერკავკასიის ქალაქები. ქალაქების მოსახლეობის შემცირებას ხელს უწყობდა ეპიდემიებიც.

აღმ. ამიერკავკასიის ქალაქების ეთნიკური შედგენილობის დასასიათების შემდეგ მოცემულია ავტორისეული დასკვნა: „აღმ. ამიერკავკასიის ქალაქებში გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ სხვადასხვა ხალხებისა და რელიგიების წარმომადგენლები, რომლებიც ჩაბმულნი იყვნენ ქალაქის ხელოსნურ წარმოებაში, ვაჭრობასა და სოფლის მეურნეობაში. მიუხედავად ნაციონალური და სარწმუნოებრივი წინააღმდეგობისა, რომელიც ზოგჯერ საკმაოდ მწვავე ფორმებს იღებდა, სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფები ძირითადად მაინც მშვიდობიანად თანაარსებობდნენ ერთი ქალაქის ფარგლებში. მათი მშვიდობიანი თანაარსებობა იყო ერთ-ერთი მთავარი საწინდარი საქალაქო ცხოვრების განვითარება-დაწინაურებისა“ (გვ. 15, 16).

ავტორი ახასიათებს აღმ. ამიერკავკასიის ქალაქების სოციალურ სტრუქტურას და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით ქალაქის მოსახლეობაში გამოყოფს შემდეგ ძირითად ფენებს: საერო და სასულიერო ფეოდალებს, ვაჭარხელოსნებს და მიწათმოქმედებს. აქედან მსხვილი საერო და სასულიერო ფეოდალები დიდვაჭარ-ხოვებთან ერთად შეადგენდნენ ქალაქის მოსახლეობის გაბატონებულ ფენას, ე. წ. ქალაქის არისტოკრატის, რომელიც ექსპლოატაციას უწევდა ქალაქის რაიათებს და მდიდრდებოდა მის ხარჯზე. თავის მხრივ, რაიათების ფენაში შედიოდნენ ქალაქის უშუალო მწარმოებლები—ხელოსნები, მიწათმოქმედნი, გლეხები, აგრეთვე საშუალო და წვრილი ვაჭრები, რომელთა ინტერესები მკვეთრად

უპირისპირდებოდა როგორც ფეოდალთა კლასის, ისე ქალაქის არისტოკრატიის ინტერესებს.

მეორე თავში ავტორი ყურადღებას აქცევს იმ ვარემოებას, რომ არმ. მნიშვნელოვანების ქალაქებში თვით XVII ს-შიც კი, საქალაქო ცხოვრების აღმავლობის ხანაში, არ შექმნილა საქალაქო თვითმმართველობა. უფრო მეტიც: ასეთი თვითმმართველობის შექმნის საკითხი არც დასმულა დღის წესრიგში. ამის მიზეზი ისიც არის, რომ ბეგლარბეგები, ხანები, სულთნები თავიანთ სამმართველო ოლქებში არა მარტო სამხედრო, არამედ უმაღლესი სამოქალაქო ხელისუფალნიც იყვნენ, რომელთაც ექვემდებარებოდა საქალაქო ცხოვრების ყველა მხარე და ქალაქის ადმინისტრაციული აპარატიც.

ავტორის აზრით, აღმ. ამიერკავკასიის ქალაქების სამოხელეო აპარატი (ქალანთარი, ტარულა, მუჰთასიბი, შეხ ულ-ისლამი, მირაბი, ქედხოლა...) მსგავსია სეფიანთა ირანის ქალაქების სამოხელეო აპარატისა. ეს საგვებით გასაგები მიზეზების გამო მოხდა: როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, აღმ. ამიერკავკასიის ქვეყნები XVI—XVIII სს-ში სეფიანთა ირანის სახანოებს წარმოდგენდნენ, მაგრამ მათ შორის ავტორი სხვაობასაც ხედავს: ირანის ქალაქებისაგან განსხვავებით აღმ. სომხეთისა და ჩრდ. აზერბაიჯანის ქალაქების სათავეში იდგა ქალაქის თავი, ქალანთარი, რომელიც მთელ რიგ შემთხვევებში ირანის ქალაქების ტარულების ფუნქციებსაც ასრულებდა, „იმავე დროს ქალანთარი ითვლებოდა პროვინციის გამგებლის მოადგილედ სამხედრო სფეროშიც. მას ევალებოდა ქალაქის გარნიზონის მეთაურობა, როდესაც ხანი რაიმე მიზეზით ქალაქში არ იმყოფებოდა“.

კ. კუციას დაკვირვებით, აღმ. ამიერკავკასიის გამგებელი ბეგლარბეგები, ხანები და სულთნები ამავე დროს მსხვილი ქალაქების უმაღლესი მოხელე-ხელისუფალნიც იყვნენ, რაც იწვევდა ირანის ქალაქების ტარულების ფუნქციებთან შედარებით ადგილობრივი ტარულას ფუნქციების დამცრობას.

მესამე თავში ავტორი დიდ ყურადღებას აქცევს ჩრდ. აზერბაიჯანის და აღმ. სომხეთის ქალაქებში წარმოდგენილი ხელოსნობის ყველა დარგს (ფეიქრობა, მენალიჩეობა, ლითონის დამუშავება, ოქრომჭედლობა, ტყავის დამუშავება, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავება და სხვ.), საგარეო და საშინაო ვაჭრობას, სავაჭრო-სატრანზიტო გზებს და სხვ.

ავტორს ხაზგასმითა აქვს აღნიშნული, რომ განსაკუთრებით იზრდება აღმ. ამიერკავკასიის გზების სატრანზიტო მნიშვნელობა XVI ს-ის II ნახევრიდან ვოლგა-ასტრახანის გზის რუსეთის მიერ ათვისებასთან დაკავშირებით. ვოლგა-ასტრახანის სავაჭრო სატრანზიტო გზით დაინტერესებული იყო ირანიც, რომელსაც უნდოდა, თურქეთის ტერიტორიაზე გაუფლელად ევაჭრა ევროპასთან. თურქეთი კი პირიქით, ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რათა ვოლგა-კასპის სავაჭრო-სატრანზიტო გზაზე ხელი დაედო და გადაეჭრა იგი.

ვოლგა-კასპის სავაჭრო-სატრანზიტო გზის მნიშვნელობის ზრდასთან დაკავშირებით იზრდება ჩრდ. აზერბაიჯანის ქალაქების (ბაქო, შემახა, განჯა...) მნიშვნელობა, როგორც დამაკავშირებელი რგოლისა რუსეთ-ირანის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის საქმეში. ნაშრომში დაწვრილებითაა დახასიათებული ის საქონელი, რომელიც აღმ. ამიერკავკასიის ქალაქებიდან გააქვთ მეზობელ თუ შორეულ ქვეყნებში (მათ შორის საქართველოშიც) და შემოაქვთ იქიდან.

მეოთხე თავში ავტორი ვრცლად ახასიათებს საქალაქო ორგანიზაციებს, კერძოდ ამქარს. იგი არ გამოირიცხავს ირანის ქალაქების ამქარის გავლენას აღმ. ამიერკავკასიის ქალაქებში ამქარული ორგანიზაციების წარმოშობაზე, მაგრამ უარყოფს მათ ხელოვნურ გადმონერგვას. საგვებით სამართლიანად წერს ავტორი, რომ „ხელოსან-ვაჭართა პროფესიული ორგანიზაციების ჩასახვა-განვითარება მოხ-

და ადგილობრივ ნიადაგზე. ეს მოვლენა უკავშირდება საქალაქო ცხოვრების გან-
ვითარება-აღმავლობას და სოციალური ურთიერთობის გამწვანებას ამიერკავკასიის
ქვეყნებში“ (გვ. 131).

კ. კუცია იხილავს პროფესიული ორგანიზაციების წარმოშობისა და მათი
არსებობის საკითხს წინა საუკუნეების ირანსა და აღმ. ამიერკავკასიაში. ნაშრომ-
ში დახასიათებულია ამქრის ორგანიზაცია, ოსტატის, შეგირდის ინსტიტუტი, მათი
უფლება-მოვალეობანი, დახასიათებულია მათ შორის წინააღმდეგობა. ავტორის
დაკვირვებით ამ ქალაქების ამქრებისათვის უცხოა „ხალფეს“—„ქარგლის“ ინსტი-
ტუტი. ერთგვარ გამონაკლისს შეადგენენ ერევანი და ახალციხე. XVII ს-ის ერე-
ვანში დამოწმებულია ქარგლის ინსტიტუტი (ხალფა, ქარგა). ქარგლის კატეგორია
გავრცელებულია XIX ს-ის II ნახევრის ახალციხეში. სარეცენზიო წიგნის
ავტორის აზრით, ამიერკავკასიის ამ ორ ქალაქში ქარგლის ინსტიტუტი თურქული
ამქრული ორგანიზაციების გავლენის შედეგად გამოჩნდა.

კ. კუცია ახასიათებს ამქრულ ორგანიზაციებს, ხაზს უსვამს იმ გარემოებას,
რომ ამ ქალაქებში არ არსებობდა ამქრული ორგანიზაციების ავტონომიზმი. ამქა-
რი დამოუკიდებლად განაგებდა მხოლოდ ზოგიერთ შინასამქრო საქმეს (მაგ.,
საწარმოო პროცესს, ხამი მასალის განაწილებას, შეგირდების სწავლებას, მცირე
დანაშაულის გარჩევას და სხვ.). იგი ვრცლად ჩერდება ირანში ქარხანის ინსტი-
ტუტის ისტორიაზე და შემდეგ აცხადებს: „XVI—XVIII საუკუნეების ირანსა და
მის მეზობელ ქვეყნებში არსებული ქარხანები, რომლებშიც უმთავრესად იური-
დიულად თავისუფალი ხელოსნები იყვნენ გაერთიანებულნი, წინარე ხანის მსხვი-
ლი სახელმწიფო სახელოსნოების მეკვიდრეს წარმოადგენს“ (გვ. 174). მისი აზ-
რით, ქარხანეში მომუშავე ხელოსნების მდგომარეობა უახლოვდება დაქირავებული
მუშის მდგომარეობას. ქარხანეებში იყო შრომის დიფერენციაცია. ამავე თავში ავ-
ტორი ჩერდება მსხვილ საბითუმო-სავაჭრო კომპანიებზე და მათი მეთაურის მელიქ-
ათ-თუჯარას უფლება-მოვალეობაზე.

მეხუთე თავში დახასიათებულია საქალაქო გადასახადები და ვალდებულება-
ნი, ხალხის აღწერა და გადასახადების აკრეფა. კ. კუცია XVI—XVIII სს. ჩრდ.
აზერბაიჯანისა და აღმ. სომხეთის ქალაქების ხელოსან-ვაჭრობებზე და მიწათმოქმედე-
ბაზე დაწესებულ სპეციფიკურ საქალაქო და ზოგად სახელმწიფო გადასახადებში
გამოჰყოფს რამდენიმე ჯგუფს: სავაჭრო სახელოსნო, ცენტრალური ხელისუფლები-
სა და ქალაქის ადგილობრივ მოხელე-ხელისუფალთა სასარგებლოდ დადგენილი,
სულადი, სოფლის მეურნეობაზე დაწესებული, ექსტრაორდინარული გადასახადები
და სხვ. ავტორი ახასიათებს ბონიჩეს და მიიჩნევს მას ხელოსნობაზე დადებულ
გადასახადად. კ. კუცია წყაროების ცნობების ანალიზის საფუძველზე იკვლევს თუ
რა წესით ხდებოდა გადასახადების გაწერა-აკრეფა, რა შემთხვევაში თავისუფლ-
დებოდა ქალაქი გადასახადებიდან. ავტორის აზრით, „ქალაქის სრული გათარხნება
მეტად იშვიათი მოვლენა იყო. მთელი XVI—XVIII საუკუნეების მანძილზე ჩრდ.
აზერბაიჯანში მხოლოდ ერთხელ მიიღო ქალაქმა მუაფი, ე. ი. გადასახადებისაგან
განთავისუფლება (დარუბანდის გათარხნება 1607 წ.). ანალოგიურ მოვლენას სა-
ერთოდ არ ჰქონია ადგილი აღებული ხანის აღმ. სომხეთში. აქ სახელმწიფო გა-
დასახადებიდან ზოგიერთ შემთხვევაში თავისუფლდებოდა მხოლოდ სომხური სა-
მღვდლოცობა. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ ღონისძიებებს
არ მოუხდენიათ რამდენადმე მნიშვნელოვანი გავლენა საერთოდ საქალაქო ცხოვ-
რების ეკონომიკურ მდგომარეობაზე, მისი ხელოსნობისა და ვაჭრობის აღმავლობა-
განვითარებაზე“ (გვ. 203).

ასეთია კ. კუციას სარეცენზიო წიგნში განხილული საკითხები. წინამდებარე წიგნის უდავო ღირსებად მიგვაჩნია მდიდარი წყაროთმცოდნეობითი ბაზა, ეფუძნება იყენებს წყაროებსა და ლიტერატურას ქართულ, რუსულ, სპარსულ, სომხურ და ევროპულ ენებზე. მისი მსჯელობა ნათელია, დასკვნები დამაჯერებელი.

სარეცენზიო წიგნის მიმართ გვაქვს რამდენიმე შენიშვნა.

1. 63-ე გვერდზე ავტორი წერს: „მართალია, ჩვენამდე არ მოუღწევია ცნობებს ბაქოს მეხალიჩეობის შესახებ, მაგრამ საფიქრებელია, რომ ხელოსნობის ეს დარგი წარმოდგენილი იყო ამ ქალაქშიც, ამის ერთ-ერთი დამადასტურებელი საბუთი უნდა იყოს ევროპულ მოგზაურთა ცნობებში, რომლის თანახმადაც ბაქოში შეძლებულ მცხოვრებთა ბინები მორთული იყო ძვირფასი ხალიჩებით. როგორც ჩანს, ამ ხალიჩების ნაწილი ადგილობრივი ხელოსნების მიერ იყო დამზადებული. აღსანიშნავია ისიც, რომ XVIII ს-ში და XIX ს-ის დამდეგს მთელ აფშერონის ნახევარკუნძულზე გავრცელებული იყო ხალიჩების წარმოება“.

ვფიქრობთ, ბაქოში ხალიჩების წარმოების დასადასტურებლად ავტორის არგუმენტაცია საკმაო არაა. საესებო შესაძლებელია (და ასეც იქნებოდა!), რომ ბაქოს შეძლებულ ოჯახებში იმპორტული (სპარსული, თურქული...) ძვირფასი ხალიჩები იყო. ამის დამადასტურებლად გამოგვადგება ის ფაქტი, რომ XVII—XVIII სს-ში ქართული ფეოდალური არისტოკრატის ოჯახებში ხშირად იყო ძვირფასი ხალიჩები, მაგრამ ისინი ადგილობრივი წარმოებისა კი არ იყო, არამედ ან თურქული ან სპარსული.


II. ასევე მეტ არგუმენტებს მოითხოვს ავტორის მსჯელობა ბაქოში ოქრომჭედლობის არსებობის შესახებ. ავტორი წერს: „ოქრომჭედლობა განვითარებული ჩანს ქ. ბაქოშიც. წყაროებში ხშირად ასახელებენ ძვირფას სამკაულებს, რომელსაც ატარებენ ქალაქში მოსახლე ფეოდალები და დიდვაჭრები და მათი ოჯახის წევრები. საფიქრებელია, ამ სამკაულების გარკვეული ნაწილი ადგილობრივი ოქრომჭედლების ნახელავია“.

ბაქოს საიუველირო წარმოების დასასაბუთებლად ავტორის შემოთხრობით მოტანილი არგუმენტი, ვფიქრობთ, მყარი არ არის. მართო ის ფაქტი, რომ ბაქოს ფეოდალური არისტოკრატია და დიდვაჭრები (ისევე, როგორც მათი ოჯახის წევრები) ძვირფას სამკაულს ატარებენ, არ გამოდგება ბაქოში საიუველირო წარმოების დასასაბუთებლად. ფეოდალური არისტოკრატია და დიდვაჭრები ძირითადად უფრო მაღალხარისხოვან უცხოურ ნივთებს ეტანებოდა. ადგილობრივი წარმოების საქონელი კი თავისი ხარისხით ჩამორჩებოდა უცხოურს (სპარსულს, თურქულს, ევროპულს...). ამას არც სარეცენზიო წიგნის ავტორი უარყოფს!

სამწუხაროა, რომ, ალბათ, ავტორისაგან დამოუკიდებელი ძიებების გამო, წინამდებარე წიგნს არ ახლავს წყაროებისა და ლიტერატურის მიმოხილვა და საძიებელი (ეს უკანასკნელი დაინტერესებულ მკითხველს გაუადვილებდა წიგნით სარგებლობას).

ჩვენი შენიშვნები ოდნავადაც არ ამცირებს სარეცენზიო წიგნის ღირსებას. კარლო კუციას წინამდებარე ნაშრომი ქართული ურბანისტიკის კარგი შენაძენია.

შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში
(ცნობები საქართველოს შესახებ), შარდენიდან თარგმანა,
ბამოკვლევა და კომენტარები დაურთო მზია
გვალთაბლიშვილმა, თბილისი, 1975



საქართველოს ისტორიის წერილობით წყაროებს შორის არამცირედი და საპატიო ადგილი უჭირავს უცხოურ (აღმოსავლურ, სომხურ, რომაულ, ბერძნულ-ბიზანტიურ, რუსულ, ევროპულ...) წყაროებს, რომელნიც ძალზე საინტერესო ცნობებს შეიცავენ საქართველოს ისტორიის შესახებ. ამ წყაროებმა კარგა ხანია რაც მიიქცია მკვლევართა ყურადღება, მაგრამ მათი თარგმანა და ინტენსიური შესწავლა განსაკუთრებით გაცხოველდა მას შემდეგ, რაც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან ჩამოყალიბდა საქართველოს შესახებ არსებული უცხოური წყაროების შემსწავლელი კომისია, რომელსაც დღიდან დაარსებისა გარდაცვალებამდე (1973 წლის სექტემბერი) სათავეში ედგა აკადემიკოსი გიორგი წერეთელი.

ამ კომისიამ საქართველოს ისტორიის არაერთი რომაული, ბერძნულ-ბიზანტიური, სომხური, სპარსული, თურქული, არაბული და რუსული წყარო გამოისცა სათანადო შესავლითა და გამოკვლევითურთ. ამჟამად ჩვენს წინა XVII საუკუნის ფრანგი ნეოციანტიისა და მოგზაურის ეან შარდენის ცნობები საქართველოს შესახებ, რომელიც ფრანგულიდან თარგმანა, გამოკვლევითა და კომენტარებით გამოისცა მზია გვალთაბლიშვილმა.

შარდენის მოგზაურობამ კარგა ხანია რაც მიიპყრო მკვლევართა ყურადღება, როგორც მდიდარი ფაქტოლოგიური მასალის შემცველმა თხზულებამ ირანისა და საქართველოს ისტორიისათვის. დიდი რუსი აღმოსავლეთმცოდნე აკად. ვ. ბარტოლდი და პროფ. ვ. მინორსკი მაღალ შეფასებას აძლევდნენ შარდენის ნაშრომს, როგორც ძვირფას წყაროს ირანის ისტორიისათვის. არანაკლებია შარდენის თხზულების საქართველოს შესახებ ცნობების მნიშვნელობაც. შარდენის ცნობების შეპირისპირებით სხვა წყაროთა მონაცემებთან შესაძლებელი ხდება საქართველოს ისტორიის არაერთი ფაქტის დაზუსტება.

ეან შარდენი (დაიბადა 1643 წლის 26 ნოემბერს პარიზში, გარდაიცვალა 1713 წლის 26 იანვარს ლონდონში) 1672 წლის სექტემბერში ჩამოვიდა საქართველოში და 1673 წლის 28 თებერვალს გაემგზავრა თბილისიდან ირანისაკენ.

აშკარაა, რომ აღმოსავლეთში შარდენის მოგზაურობის უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა ნიადაგის მოშინჯვა ევროპის ქვეყნებსა და ირანს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის გაფართოების საქმეში, რაშიც საქართველოს გზა და ხიდის მნიშვნელობა ჰქონდა.

შარდენმა მოიარა სამეგრელო, იმერეთი, აღმოსავლეთი საქართველო და თავის თვლით ნანახის მიხედვით საკმაოდ დაწვრილებით აგვიწერა ქართველი ხალხის იმდროინდელი ზნე-ჩვეულებები და ყოფა. ფრანგი მოგზაური, საქართველოზე საუბრისას, გარდა თავისი თვლით ნანახისა, იყენებს ძველ ბერძენ და რომაელ ისტორიკოსთა ნაშრომებს (როგორც თხზულებიდან ჩანს, მას საქართველოს შესახებ ცნობების შეკრება ჯერ კიდევ ევროპაში დაუწყია).

შარდენს თავის თხზულებაში შეუტანია საქართველოში (სამეგრელოში) მოღვაწე იტალიელი მისიონერის ძამპის (რომელიც თეათინელთა ორდენის ბერების პრეფექტი იყო) თხზულება. წინამდებარე გამოცემაში ეს თხზულება შეტანილია. როგორც გამომცემელი წერს „ძამპის თხზულება შარდენს დაუშთავრებელი სახით მიუღია. მასვე უთარგმნია იგი იტალიურიდან ფრანგულად. ამ თხზულების შარდენ-

ნისეული პუბლიკაცია მით უფრო ძვირფასია, რამდენადაც მისი იტალიური დედანი არ არის შენახული“ (გვ. 16).

შარდენი ფრიად დაკვირვებული მოგზაურია. მართალია, ზოგჯერ მის ცნობებს გულუბრყვილობის ელფერი ატყვია, მაგრამ, მეტწილად ეს ცნობები სანდოა და საინტერესო. მაგ., საყურადღებოა შარდენის დაკვირვება იმის შესახებ, რომ საქართველოს დაშლილობის ერთ-ერთი მიზეზი შინაფეოდალური ბრძოლა და საერისთავების არსებობა იყო.

საინტერესოა შარდენის ცნობა იმის შესახებაც, რომ, როდესაც შაჰ აბას I-მა ლუარსაბ ქართლის მეფე მოტყუებით იგდო ხელთ და ირანში წაიყვანა, ლუარსაბის ერთგულ ქართველ დიდებულებს მოსკოვის მეფისათვის უთხოვიათ, რათა მას შაჰ აბას I-თან ეშუამდგომლა და ლუარსაბი გადაერჩინა. ცბიერმა შაჰმა წინასწარ შეიტყო ქართველ დიდებულთა ამ მცდელობის შესახებ და სანამ ელჩები მოვიდოდნენ, ლუარსაბი მოაკვლევინა.

დაახლოებით ამგვარი ცნობა არის ფარსადან გორგიჯანიძის „საისტორიო თხზულებაშიც“*.

ცნობა რუსთ ხელმწიფის დახმარებით ლუარსაბის გადასარჩენად ქართველთა მცდელობის შესახებ საფუძველს არ უნდა იყოს მოკლებული.

შარდენის თხზულებაში სხვა მრავალი საინტერესო ცნობაა XVII საუკუნის საქართველოს შესახებ (მარტო თბილისის აღწერა რად ღირს?!). ყველა ამ ცნობის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

შარდენის თხზულების ცნობები საქართველოს შესახებ შემოკლებული სახით კარგა ხნის წინ ქართულად თარგმნა ცნობილმა ბელეტრისტმა ვასილ ბარნოვმა (თარგმანი პირველად დაიბეჭდა ვაზეთ „ივერიაში“ 1885 წელს, შემდეგ კი ცალკე წიგნად გამოიცა 1935 წელს).

მზია მაგლობლიშვილმა სრულიად თარგმნა საქართველოს შესახებ ცნობები და ამით ქართველ მკითხველს მიაწოდა შესანიშნავი წყარო. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თარგმანს თან ახლავს მეცნიერულად გამართული გამოკვლევა და კომენტარები. წინამდებარე წიგნის გამომცემელმა უდავოდ დიდი შრომატევადი სამუშაო ჩაატარა და საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობაში ბაზა გაამდიდრა.

წინამდებარე გამოცემის მიმართ გვაქვს რამდენიმე შენიშვნა:

1. ჩვენი აზრით, კარგი იქნებოდა გამომცემელს მოეცა საქართველოსა და ქართველების შესახებ იმ ცნობების თარგმანიც, რომელიც შარდენის თხზულების დანარჩენ ტომებში არის გაბნეული. მაგ., შაჰ აბასის კარზე მოღვაწე ქართველების შესახებ, შაჰის ჰარამხანაში მყოფ ქართველ ქალებზე, ქართველი ქალების სილამაზეზე და სხვ. ეს ადგილები, ვფიქრობთ, მთარგმნელს დამატების სახით უნდა დაერთო ძირითადი ნაწილისათვის.

2. გამომცემელი თავის გამოკვლევაში ხშირად წერს სპარსეთს. უმჯობესი იქნებოდა ირანი.

3. გვ. 33. გამომცემელი წერს: „როგორც ცნობილია, XVII საუკუნის 20-იან წლებში კახეთში შაჰ აბასის ორგზისმა შემოსევამ ეს მხარე იმდენად გააჩანაგა, რომ ქვეყანა დიდხანს წელში ვეღარ გაიმართა“.

შაჰ აბას I კახეთს სამჯერ შემოესია 1613, 1616 და 1617 წლებში. იხ. ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსული ტექსტი ქართული

* ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, საისტორიო მოამბე, II, თბილისი, 1925, გვ. 230, 231.

თარგმანითა და შესავლითურთ გამოსცა ვლადიმერ ფუტურაძემ, თბილისი, 1969, გვ. 89, 102—111.

4. მთარგმნელი წერს: „1518 წელს ისმაილის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ მასთან გამოცხადებულან ქართველი მეფე-მთავრები, მოკრძობის აღუთქვამთ და ხარკი უქსრიათ“ (გვ. 58).

საქართველოში შაჰ ისმაილ I-ის ლაშქრობა 1518 წელს XVII—XVIII სს-ის სპარსული წყაროებით არ დასტურდება. ამ წყაროებში (ხონდემირი, შერეფ-ხან ბიბლისი, ზეინალ აბდინ ალი...) მოხსენებულია შაჰ ისმაილ I-ის სარდლის დივსულთანის ლაშქრობა საქართველოში ჰიჯრის 927 წელს, რაც ჩვენი წელთაღრიცხვის 1520/1521 წწ. უდრის (ეს წელი უახლოვდება ვახუშტის ქრონიკის თარიღსაც—1522 წ.). ამის შესახებ იხ. დ. კაციტაძე, ირან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (შაჰ ისმაილ I საქართველოში ლაშქრობის საკითხისათვის), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 108, 1964, გვ. 392.

5. გვ. 377—გამომცემელი წერს: „კავადი—სასანიდების დინასტიის სპარსეთის მეფე“. გაუმართავი თქმაა. უნდა იყოს: ირანის მეფე სასანელთა დინასტიიდან.

6. გვ. 397. მზია მგალობლიშვილი წერს: „როსტომი ირანში აღიზარდა: იყო ისფაჰანის ყულარაღასი და ტარულა“. როსტომი იყო ისფაჰანის ტარულა და ყულარაღასი (ყულის ჯარის სარდალი).

7. ჩვენი აზრით, თბილისში ჩვენი საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისამდე არსებული და შაჰ ისმაილის მეჩეთის სახელით ცნობილი მეჩეთი ისმაილ I-ის დროს მის მიერ არ უნდა იყოს აგებული. ამ მეჩეთის აგება მოგვიანო ხანას განეკუთვნება, კერძოდ კი XVII სს-ის 40—50-იან წლებს, როდესაც ქართლში გამაჰმადიანებული როსტომ ქართლის ვალი მეფობს (ამის შესახებ იხ. დ. კაციტაძე ირან საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 396.)

ჩვენი შენიშვნები ოდნავადაც არ ამცირებენ სარეცენზიო წიგნის დიდ ღირსებას. ამ წიგნის გამოცემით უდავოდ კარგი საქმე გაკეთდა.

დავით კაციტაძე

სასარგებლო ნაშრომი

ირანი უძველესი და უმდიდრესი კულტურის ქვეყანაა, მაგრამ პირველი საყოველთაო აღწერის მონაცემთა მიხედვით 1956 წელს ირანში მოსახლეობის 85% წერა-კითხვის უცოდინარი იყო.

უქანასკნელ ხანებში ირანის ეკონომიკაში მომხდარმა ძვრებმა ერთგვარი გავლენა მოახდინა ქვეყნის სახალხო განათლების განვითარებაზე. უწიგნურობის წინააღმდეგ ბრძოლას გვემაზომიერი ხასიათი მიეცა. ასეთი მნიშვნელოვანი ღონისძიების ცხოვრებაში გატარებისას დიდი როლი დაეკისრა ამ მიზნით შექმნილ ე. წ. „განათლების კორპუსს“; გაფართოვდა დაწყებითი და საშუალო სკოლების ქსელი, მეტი ყურადღება დაეთმო სპეციალური პროფტექნიკური განათლების შემდგომ განვითარებას, დაარსდა უმაღლესი საინჟინრო-ტექნიკური ინსტიტუტები, ფაკულტეტები და ა. შ. მიუხედავად ამისა, ირანის სახალხო განათლება ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს ქვეყნის მზარდ მოთხოვნილებებს.

ასეთ ვითარებაში საესეებით კანონდამიერიის ინტერესი, რომელსაც ირანელი ხელისუფლები სწავლა-განათლების საკითხების მიმართ იჩენენ. ამ მიმართულებით ბევრი რამ არის გასაკეთებელი. არსებული ლიტერატურა ვერ აკმაყოფილებს საჭიროებას ლაღ გზად მოთხოვნებისა და ინტერესის ისეთი ნაშრომებისადმი, რომლებშიც გაშუქებულია სახალხო განათლებისა და პედაგოგიური აზრის განვითარების პრობლემები.

ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს თეირანის გამომცემლობა „ბამადის“ მიერ 1970 წ. გამოქვეყნებული სამად ბეჰრანის წიგნი „ირანის განათლების საკითხების კვლევა“*. აღნიშნული წიგნი უკვე ხუთჯერ დაისტამბა, რაც ირანის პირობებისათვის მეტად იშვიათ მოვლენას წარმოადგენს.

თანამედროვე ირანელი მწერალი სამად ბეჰრანი (გარდაიცვალა 1969 წ., დაიბრჩო მდ. არაქსში) მოთხრობებისა და ზღაპრების რამდენიმე კრებულის ავტორია. თავრიზის პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა მასწავლებლად ირანის აზერბაიჯანის სოფლებში და მისი წიგნი „ირანის განათლების საკითხების კვლევა“ დაწერილია პირადი შთაბეჭდილებებისა და დაკვირვებების საფუძველზე.

ირანის საშუალო სკოლებში ხანგრძლივმა პედაგოგიურმა მუშაობამ ავტორს შესაძლებლობა მისცა კრიტიკულად განეხილა აღზრდისა და განათლების სისტემა ირანში. იგი წერს, რომ ირანის სკოლებში ელემენტარული პირობებიც კი არ არის შექმნილი სასწავლო პროცესის ნორმალურად ჩატარებისათვის. სასკოლო შენობების სიმცირისა და სიფიწროვის გამო თითოეულ საკლასო ოთახში 60 და ზოგჯერ მეტი მოსწავლე ზის (გვ. 7), სკოლებში არ არის სასკოლო ინვენტარი და ხშირად სასმელი წყალიც კი (გვ. 19). ბეჰრანი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ ასეთ პირობებში მომუშავე ირანელ მასწავლებლებს სახელმძღვანელოდ უსახელებენ ამერიკელი ავტორების განათლების საკითხებზე დაწერილი წიგნების სპარსულ თარგმანებს. ირანელმა მასწავლებელმა, რომელთანაც ხშირად შუა გაკვეთილზე შიმშილისაგან გული მისდით საშინელ სიცივეში შორეული სოფლებიდან მოსულ ფეხშიშველა მოსწავლეებს (გვ. IV), უნდა იხელმძღვანელოს იმ ავტორების რჩევა-დარიგებებით, რომლებიც მოითხოვენ საკლასო ოთახებში ფანჯრის მენებად რძისფერი ნეილონის ჩასმას (გვ. 8), ბავშვების სიმაღლისა და წონის პერიოდულ შემოწმებას, კვების სათანადო რეჟიმის დაცვას, რომ მოსწავლეებმა შესაბამისი წონა და ფიგურა შეინარჩუნონ და ა. შ. ერთი სიტყვით, ავტორი ცხადყოფს, რომ ასეთი წიგნების თარგმნაზე თანხების გაღება უსარგებლოა (გვ. 3). ეს წიგნები მხოლოდ ცხოვრების ამერიკული წესისათვის არის გათვალისწინებული და სრულიად უფარგისია ირანის განათლების მუშაკთათვის (გვ. 3). ირანში განათლებისა და აღზრდის საკითხები დღემდე არ არის ჯეროვნად შესწავლილი. ამ მიმართულებით საჭიროა მუშაობის ისე წარმართვა, რომ მხედველობიდან არ გამოგვრჩეს ირანელი ბავშვების ფსიქოლოგია. საჭიროა ყველა, დედაქალაქისა თუ სოფლის სკოლების, მოსწავლეების შესწავლა (გვ. 13).

ქვეთავში, რომლის სათაურიცაა „რატომ გეყავს ასე ცოტა კარგი პედაგოგები?“ ბეჰრანი აღნიშნავს, რომ ქვეყნის განვითარება დიდად არის დამოკიდებული განათლების საერთო მდგომარეობასა და, კერძოდ, პედაგოგთა კვალიფიცირებული კადრების რაოდენობაზე. ირანში კი კარგი მასწავლებელი იშვიათია,

• صمد بهرنگی، کند و کاه در مسائل تربیتی ایران سازمان انتشارات بامداد، چاپ پنجم، تهران، ۱۳۴۹

რაც მრავალი მიზეზით აიხსნება. ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ ირანში მასწავლებლის პროფესია პოპულარობით არ სარგებლობს და თავისი ნებით იშვიათად თუ ვინმე აირჩევს პედაგოგის სპეციალობას. ირანელ მასწავლებელთა უმრავლესობა მოწოდებით არ არის პედაგოგი. მას არც აინტერესებს მასწავლებლობა და არც სათანადო ნიჭი გააჩნია საამისოდ, ამიტომ გაკვეთილს გულგრილად ატარებს. თანამედროვე მასწავლებელი დიდად არ განსხვავდება ახუნდისაგან, რომელიც ძველ ირანულ სკოლებში მასწავლებლობდა ორმოცი-ორმოცდაათი წლის წინათ (გვ. 26); ავტობიოგრაფიულად, სრულიად გაუზარებლად გადასცემს მოსწავლეს წლების მანძილზე გაზეპირებულ ერთსა და იმავე მასალას, რომელიც მას ოდესღაც შეუესწავლია. ასეთი მასწავლებელი არ ფიქრობს სწავლების მეთოდებზე, არ კითხულობს პედაგოგიკურ ლიტერატურას; ბეჰრანგისებურად ხატოვნად რომ ვთქვათ, ის მანქანის რადიატორს ჰგავს (გვ. 25).

ირანის მასწავლებელთა მატერიალური მდგომარეობაც ვერ არის სახარბიელო. მათ ხშირად ექვსი თვისა და ზოგჯერ მთელი წლის განმავლობაში ხელფასაც არ აძლევენ. განსაკუთრებით ეს ითქმის სოფლიდან ჩამოსული პედაგოგების შესახებ (გვ. 24). როგორც წიგნის ავტორი აღნიშნავს, აზერბაიჯანელ მასწავლებლებს მიაჩნიათ, რომ ცენტრში სამუშაოდ გადასვლისათვის საკმარისია ცოტა იმუშაო და ინტრიგანის სახელი გაითქვა. ხელმძღვანელობას ცენტრში გადაჰყავს ასეთი მასწავლებლები უშუალო ხელმძღვანელობის ადგილად განსორციელების მიზნით.

გამოცდილი მასწავლებლების სიმცირე გამოწვეულია, უპირველეს ყოვლისა, იმ გარემოებით, რომ განათლების მესვეურები სათანადო სიმაღლეზე არ დგანან (გვ. 33).

წიგნში სპეციალური თავი აქვს მიძღვნილი ირანის სახალხო განათლების ინსპექციის, რომლის ინსპექტორების შესახებ წიგნის ავტორი საკმაოდ დაბალი აზრისაა. ინსპექტორთა უმრავლესობა დიპლომირებულია, მაგრამ საოცრად უფცი. ბეჰრანგი იმოწმებს აღმაშფოთებელ ფაქტებს, რომლებიც ადასტურებენ განათლების მუშაკთა გონებაშეზღუდულობასა და უმეცრებას. კერძოდ, წიგნში დასახელებულია ერთი ინსპექტორი, რომელმაც მოსწავლეებს აუკრძალა გამოჩენილი თანამედროვე ირანელი მწერლის სადევ ჰედაიათის წიგნების კითხვა. ბეჰრანგის შეკითხვაზე, იცნობს თუ არა ის ჰედაიათის შემოქმედებას, ინსპექტორმა უპასუხა: „არა, პირადად არ წააკითხავს, მაგრამ მსმენია, რომ მის წიგნებს მკითხველებისათვის დიდი ზიანი მოაქვს“. მისი ბრძანებით სადევ ჰედაიათის ყველა ნაწარმოები ჩაეკეტეს კარადაში წარწერით: „სასიკვდილოა!“.

სახალხო განათლების ირანელი ინსპექტორების მუშაობის მეთოდების განხილვისას ბეჰრანგი აღნიშნავს, რომ მათ ნაკლებად აინტერესებთ სასწავლო პროცესის მიღწევა-ნაკლოვანებანი, მოსწავლეთა და მასწავლებელთა ურთიერთდამოკიდებულება. მუშაობის შემოწმება ძალიან მარტივად ხდება: ინსპექტორი ტელეფონით ურკავს სკოლის დირექტორს ან მასწავლებელს, საუბრის შედეგები ინსპექტორის წიგნში შეაქვს და შემდეგ ადგენს ანგარიშს (გვ. 43).

თუ სახალხო განათლების სამმართველოს უფროსზე საჩივარი დაიწერა, შემთხვევის ადგილზე ინსპექტორი მიემგზავრება, დაბინავდება შესამოწმებელი უფროსის სახლში, სადაც დგება შემდგომი მოქმედების გეგმა. როგორც წესი, გულმოდგინე მასწავლებლები საყვედურს იღებენ, ზოგი მათგანი კი შედარებით მოშორებულ რაიონში გადაჰყავთ სამუშაოდ. ამის შემდეგ შემდგომი ორგანოებიდან მოდის ცირკულარი, რომელშიც ნათქვამია, რომ მასწავლებელს ევალება მოსწავლეთა სწავლება და არა ადმინისტრაციულ საქმეებში ჩარევა. სახალხო გა-

ნათლების ადგილობრივი განყოფილება თვითონ, სხვების ჩაურევლად, გაართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობას და ა. შ. (გვ. 46).

წიგნში საუბარია იმის შესახებაც, როგორი მანვნი ზეგავლენა აქვს სახელმწიფოს ფსიქოლოგიაზე გავლენას. ძალიან საყურადღებოა აგრეთვე ბეჰრანგის აზრი ამერიკის შეერთებული შტატების განათლების სისტემაზეც. იგი თვლის, რომ არ შეიძლება მისაბამ მაგალითად ჩაითვალოს ქვეყანა, სადაც, მიუხედავად ჰუმანური, კვალიფიციური პედაგოგების სიჭარბისა, რომლებიც განათლების სისტემაში ნერგავენ აღზრდის უახლეს მეთოდებს და მაღალ იდეებს ქადაგებენ, მაინც არსებობს რასობრივი დისკრიმინაცია.

სამად ბეჰრანგის წიგნში სხვა საკითხებთან ერთად საგანგებოდ არის განხილული სპარსულ ენაზე არსებული სახელმძღვანელოები.

სასკოლო სახელმძღვანელოები, ავტორის აზრით, მოწყვეტილია რეალურ ცხოვრებას. ყველა სახელმძღვანელოში. რომლებიც შედგენილია დედაქალაქის მოსწავლეებისათვის, ლაპარაკია კაბარებზე, დანსინგებზე, სინერამაზე, ესპანურ ცეკვებზე, რაც სრულიად უცხო და გაუგებარია სოფლელი ბავშვისათვის. ამიტომ თეირანის სკოლებისათვის დაწერილი სახელმძღვანელოები სრულიად უფარგისია სოფლის სკოლებისათვის ირანის პროვინციების ადგილობრივი პირობების გათვალისწინებლობის გამო.

ავტორს მიაჩნია, რომ მრავალრიცხოვანი პანეგირიკებისა და შუა საუკუნეების ავტორთა შეგონებების შემცირების ხარჯზე სპარსულ ქრესტომათიებში უნდა შეიტანონ ხალხური სიმღერები, ანდაზები და ადგილობრივი ფოლკლორის სხვა ნიმუშები, რომლებიც უფრო გასაგებია და ახლობელი მკითხველისათვის, კერძოდ, მოზარდი თაობისათვის (გვ. 77).

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია წიგნის ის ნაწილი, სადაც საუბარია სპარსული ენის სწავლებაზე ირანის იმ პროვინციებში, სადაც არასპარსულენოვანი მოსახლეობა ცხოვრობს.

ირანის სკოლებში სწავლება მხოლოდ და მხოლოდ სპარსულ ენაზე მიმდინარეობს, თუმცა ირანის მოსახლეობის ნახევარზე მეტი არასპარსულია და ამ ნაწილისათვის სპარსული მშობლიური ენა არ არის. ეს გარემოება გარკვეულ სიძნელეებს ქმნის. მაგალითად, აზერბაიჯანის სოფლის სკოლებში მოსწავლეებს სწავლა უჭირთ, ვინაიდან ოჯახებში ისინი მშობლიურ ენაზე ლაპარაკობენ და ათი წლის ასაკში, რა თქმა უნდა, არ ესმით კლასიკური სპარსული ლექსი, რადგანაც წარმოდგენა არა აქვთ ძველი აღმოსავლეთის გამგებელთა წეს-ჩვეულებებსა და რიტუალებზე და არც მშობლებს ძალუძთ რამე დახმარება გაუწიონ მათ.

საოცრებით წიგნში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა სწავლა-განათლების მდგომარეობის აღწერას ირანულ სოფლებში. ავტორი მსჯელობს ირანის სოფლის სპეციფიკაზე, სოფლის მცხოვრებთა ადამ-წესებზე, რომელთა ცოდნა, მისი ღრმა რწმენით აუცილებელია მასწავლებლისათვის, თუ მას სასურველი შედეგის მიღწევა აინტერესებს.

წიგნის ამ თავის დასკვნით ნაწილში ავტორი განსაკუთრებით ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ სოფლად წერა-კითხვის უტოლდინრობის ლიკვიდაციისათვის საჭიროა სოფლის ჩამორჩენილი ეკონომიკის დონის ამაღლება (გვ. 109).

წიგნის ბოლო თავში, რომლის სათაურია „მიკროსკოპით“, გამოუქვეყნებულია ირანის განათლების მესვეურების, მომავალი თაობის ბედის გამგებლების, საქმიანობა. ავტორის აზრით, განათლების მუშაკებს ირანში არავითარი სარგებლობა არ მოაქვთ, ისინი „საზოგადოებრივი ორგანიზმის ატროფირებულ ნაწილებს“ წარ-

მოადგენენ (გვ. 116) და ვერ აღზარდიან მომავალ თაობას, რომელიც კვლავდაკვალ
უნდა მისდევდეს რაკეტების მშენებლებსა და კოსმოსის დამპყრობლებს.

სარეცენზიო წიგნში განათლების საკითხები განხილულია ირანის აზრობანი
ნის მაგალითზე, მაგრამ ავტორის პირადი დაკვირვებები და გამოთქმული აზრები
ნათელ წარმოდგენას იძლევიან აგრეთვე ირანის სასკოლო განათლების სისტემაზე
საერთოდ.

წიგნში წარმოდგენილი ზოგი დებულება ეყრდნობა მოძველებულ მონაცემებს,
მაგრამ მაინც ის დასკვნები, რომლებიც ეხება ირანში განათლების ჩამორჩენილო-
ბის ეკონომიკურ მიზეზებსა და სწავლებაში ოკეანესგაღმელთა მეთოდების პირდა-
პირი გადმოღების მავნებლობას, ძალიან საყურადღებო და მნიშვნელოვანია.

უნდა აღინიშნოს, რომ ავტორის მიერ წამოჭრილი საკითხი ეროვნული პე-
დაგოგიური კადრების მომზადების შესახებ ღღესაც უდიდეს და უმძაფრეს პრობ-
ლემად რჩება ირანში.

სამად ბეჰრანგიმ ამ წიგნის გამოცემით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტ-
თანამედროვე ირანის სახალხო განათლების ისტორიის შესწავლის საქმეში.

თენგიზ კეშელავა

PERSONALIA

პროფესორი ლავით კობიძე


(დაბადების 70 წლისთავის გამო)

თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის ირანული ფილოლოგიის კათედრის გამგეს, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს პროფესორ ლავით ივანეს ძე კობიძეს დაბადების 70 წლისთავი შეუსრულდა. მისი ცხოვრების ეს ღირსშესანიშნავი თარიღი დამშვენებულია ფრიად ნაყოფიერი მეცნიერული ღვაწლით, პედაგოგიური ამაგითა და აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობით.

ლავით ივანეს ძე კობიძე დაიბადა 1906 წელს. სოფ. შუა ამალღებაში (ჩოხატაურის რაიონი), ღარიბი გლეხის ოჯახში. 1934 წელს დაამთავრა თბილისი უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი; სწავლობდა უნივერსიტეტის ასპირანტურაში, საკა დიდატო დისერტაცია დაიცვა 1938 წელს, ხოლო სადოქტორო — 1946 წ. 1948 წელს არჩეულ იქნა თბილისის უნივერსიტეტის პროფესორად. იგი სამამულო ომის მონაწილეა.

ლავით კობიძე თბილისის უნივერსიტეტში მოღვაწე იმ მაწინავე პროფესორის წარმომადგენელია, რომელიც ღირსეულად იცავს მშობლიური უნივერსიტეტის მაღალ პრესტიჟს; იგი თავისი მეცნიერული კვლევა-ძიების შედეგებით მსოფლიო ორიენტალისტიკის ყურადღებას იქცევს.

პროფესორ დ. კობიძის მრავალფეროვან სამეცნიერო მოღვაწეობაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სპარსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის კვლევას, რასაც იგი შეუწელებელი სიყვარულითა და ინტენსიურობით ეწევა ორმოც წელზე მეტი ხნის განმავლობაში. აკად. ნ. მარისა და პროფ. იუსტ. აბულაძის შემდეგ დ. კობიძემ ათეულობით საუკეთესო გამოკვლევა მიუძღვნა ამ პრობლემას. მეცნიერი მთავარ ყურადღებას უთმობს თარგმანების საკითხებს, ან იგ. ჯავახიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, რა არის სპარსულიდან ქართულად თარგმნილ ძეგლებში შეგნებულად შეტანილი და რა მიზეზებით არის გამოწვეული თარგმანის დედანთან დაშორება. მაგრამ დ. კობიძე არ იფარგლება მხოლოდ ლიტერატურული ძიებით; ის დიდ ყურადღებას უთმობს ლექსიკის საკითხებსაც და ამით მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ენობრივი ურთიერთობის კვლევის საქმეშიც. ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობის შესწავლის დარგში განსაკუთრებით აღსანიშნავია პროფ. დ. კობიძის სამი წიგნი: „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების სპარსული წყაროები“ (1959), „ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი“ (1969) და „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიები“, ტ. III (1974). ამ უკანასკნელისათვის ავტორს თბილისის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ 1976 წ. ივ. ჯავახიშვილის სახელობის პრემია მიანიჭა. უნდა აღი იშნოს, რომ ფირდოუსის „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების კვლევით დ. კობიძემ ახალი



ფურცელი გადაშალა ამ მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლის შესწავლისა და მისი ორიგინალის კრიტიკული ტექსტის დადგენისათვის. სწორედ ამ გარემოებებში თითებდა ცნობილი ირანისტი პროფ. ა. ა. სტარციკოვი, რომელიც რეცენზიაში ერთ-ერთ ზემოდასახელებულ წიგნზე წერდა: „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების სპარსული წყაროები“ შედეგია ხანგრძლივი და გულმოდგინე მუშაობისა. იგი დაწერილია სიყვარულით და იგრძნობა ავტორის დიდი ერთდიცია. პროფ. დ. კობიძის ნაშრომი ძვირფასი განძია „შაჰ-ნამეს“ შესწავლის საქმეში და ახლა, როდესაც სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ისეთი ხელნაწერებს, როგორიცაა: ბრიტანეთის მუზეუმისა (675/1276-77 წწ.), ლენინგრადის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკისა (733/1333) და აგრეთვე 1218—1227 წლებში აღ ფათჰ იბნ-ალი აღ-ბუნდარი აღ-ისფაჰანის მიერ შესრულებული არაბული თარგმანის საფუძველზე გამოცემულ ამზადებს ფირდოუსის უკვდავი ქმნილების კრიტიკულ ტექსტს, საჭიროა მოხმობილ იქნეს ქართული ვერსიებიც, რადგან ისინი შეიცავენ ფრიად ფასეულ მასალას „შაჰ-ნამეს“ ნამდვილი ტექსტის დასადგენად. ეჭვი არაა, რეცენზირებული წიგნი ამ როლს კიდევ უფრო წარმატებით შეასრულებს, თუკი იგი თარგმნილი იქნება რუსულ ენაზე“ (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების „მოამბე“, 3, 1961, გვ. 354. რეცენზია დაბეჭდილია რუსულ ენაზე).

მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია და ნაყოფიერი პროფ. დ. კობიძის კვლევა საკუთრივ სპარსული ლიტერატურის ისტორიის შესწავლის საქმეში. ცნობილია, რომ სპარსულ სიტყვაკაზმულ მწერლობას, განსაკუთრებით მის კლასიკურ პერიოდს (X—XV სს.), არა ერთი და ორი მსოფლიო სახელის მეცნიერი სწავლობდა (პ. ეთე, თ. ნოელდეკე, ე. ბრაუნი, ა. კრიმსკი, ე. ბერტელსი, ი. რიპკა, ს. ნაფისი და სხვ.). ახლა საერთაშორისო ირანისტიკის ასპარეზზე უკვე აღინიშნება სახელი პროფ. დ. კობიძისაც, რომელმაც სპარსული ლიტერატურის ისტორიის საკითხების კვლევა, სხვა ცნობილ საბჭოთა მეცნიერებთან ერთად, თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობის მაღალ დონეზე აიყვანა. მისი არაერთი და ორი ღებულება და ნაშრომია ახლა ირანისტიკაში აღიარებული და დამკვიდრებული. ასე, მაგალითად, შესანიშნავი ფილოლოგიური ძიების შედეგად დ. კობიძე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ფირდოუსი რუდაქის მძლავრ გავლენას განიცდის, რისი კვალიც დასტურდება „შაჰ-ნამეში“. ეს მივნება დღეს სპარსულ ლიტერატურათმცოდნეობაში ურყევ ღებულებად და დამკვიდრებული. ხუთ საუკუნეზე მეტია, რაც სპარსულ-ტაჯიკური ლიტერატურის დიდი წარმომადგენლის აბდ ორ-რაჰმან ჯამის მემკვიდრეობას იკვლევენ. არსებობს მის თხზულებათა ევროპული და აღმოსავლური გამოცემები, მაგრამ არავის შეუნიშნავს, რომ ჯამის პოემათა ტექსტები აღრეულია—ერთი ნაწილი მეორეშია გაერთიანებული და სხვ. დ. კობიძემ ტექსტების ფილოლოგიური ანალიზის შედეგად გამოთქვა და დაასაბუთა აღნიშნული ვითარება, რაც უყოყმანოდ გაიზიარეს ირანელმა მეცნიერებმაც. პროფ. დ. კობიძეს ეკუთვნის საუკეთესო გამოკვლევა ფირდოუსის წინა პერიოდის სპარსულ ლიტერატურაზე და რომელი ერთი შეიძლება იქნეს დასახელებული. აკად. აღ. ბარამიძის სამართლიანი თქმით, დ. კობიძე პირველია ჩვენს მეცნიერთა შორის, რომელიც სპეციალურად იკვლევს სპარსული პროზოდისა და პოეტიკის საკითხებს. აღსანიშნავია ისიც, რომ მან სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა ირანში მცხოვრებ, წარმოშობით ქართველ პოეტებს, რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი შეუტანიათ სპარსული პოეზიის განვითარებაში.

სპარსული ლიტერატურის შესწავლისათვის გაწეული ორმოცი წლის ძიებანი

პროფ. დ. კობიძემ სამეცნიერო წიგნებსა და დაინტერესებულ საზოგადოებას წაუ-
უდგინა სქელტანიანი წიგნით: „სპარსული ლიტერატურის ისტორია“ (1975), რი-
მელმაც დაინტერესებულ პირთ მოლოდინი გაუმართლა და დადებითი შედეგები
დაიმსახურა.


ირანელი მეცნიერი შაფა თავის ნაშრომში „ირანმცოდნეობის სამყარო“
(„ჯაჰანე ირანშენასი“) დაწვრილებით განიხილავს დ. კობიძის ზოგიერთ ნაშრომს
და მას ირანისტების ქართული სკოლის მამამთავრად თვლის, ხოლო ირანულმა
ჟურნალმა „ახბარმა“ საგანგებო სარედაქციო წერილი უძღვნა დ. კობიძის შემო-
დასახელებულ წიგნს — „ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი“
და აღნიშნა ის სიახლენი, რომლებიც ამ ნაშრომს შეაქვეს საკუთრივ სპარსული
მწერლობის შესწავლის საქმეშიც. დ. კობიძის რამდენიმე ნაშრომი თარგმნილი და
დაბეჭდილია ინგლისურ, ფრანგულ და სპარსულ ენებზე. გამოჩენილი ორიენტა-
ლისტი, მსოფლიო სახელის ჩეხი ირანისტი აკად. იან რიპკა დ. კობიძის შესახებ
წერდა: „დაე ჩვენი მადლობა და კეთილი სურველები მიაცილებდეს მის შრომასა
და მოღვაწეობას“-ო („ორიენტალისტიშე ლიტერატურცაიტუნგ“, 1975, № 1—2,
გვ. 70).

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია პროფ. დ. კობიძის ღვაწლი სტუდენ-
ტობისა და მეცნიერთა ახალი თაობების აღზრდის საქმეში. გაძნელებდა დავასახე-
ლთ ქართველი ირანისტი, რომლის მეცნიერი ხელმძღვანელი, კონსულტანტი,
ან ოპონენტი იგი არ ყოფილიყო. მისი არა ერთი და ორი მოწაფე (პროფ.
ა. გვანარია, პროფ. მ. თოდუა, დოც თ. კეშელავა, ფილოლოგიურ მეცნიერებათა
დოქტორები—ვ. კოტეტიშვილი, მ. მამაცაშვილი და სხვ.) დღეს აღიარებული
ირანისტები არიან როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში, მათ იცნობენ და აფასებენ ირანში
მოღვაწე სპეციალისტები. დ. კობიძის მეცნიერული ზრუნვით დავალებულია ასევე
მოსკოვსა თუ ლენინგრადში, ბაქოსა თუ ტაშკენტში, ერევანსა თუ ღუშანბეში
მოღვაწე არა ერთი და ორი ირანისტი.

პროფ. დ. კობიძის მიერ შედგენილი ორტომიანი „სპარსული ქრესტომათია“
(I გამოცემა 1963 წ. II—1967-ს) ცნობილი სპეციალისტების მიერ (აკად. ი.
რიპკა, პროფ. ი. პეისიკოვი, პროფ. ა. როზენფელდი და სხვ.) სამართლიანადაა
მიჩნეული საუკეთესოდ ყველა იმ ქრესტომათიას შორის, რომელიც კი მანამდე
გამოცემული XIX საუკუნის დამდეგიდან მოყოლებული. კლასიკური და თანამედ-
როვე სპარსულის შესასწავლად ამ წიგნებით სარგებლობენ არა მარტო თბილისის,
არამედ მოსკოვის, ლენინგრადის, ბაქოს, ტაშკენტისა და უცხოეთის არა ერთსა
და ორ უნივერსიტეტში. ხსენებული ქრესტომათიისათვის თბილისის უნივერსიტე-
ტის სამეცნიერო საბჭომ ავტორს 1968 წელს პირველი ხარისხის პრემია მიანიჭა.

პროფ. დ. კობიძეს არასოდეს შემოუფარგლავს თავისი მოღვაწეობა მხოლოდ
სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობით. იგი ყოველთვის აქტიური მონაწილეა
უნივერსიტეტის მრავალმხრივი ცხოვრებისა და საქმიანობის. დაარსებიდანვე
(1959 წ.) დღემდე ის უცვლელი რედაქტორია თბილისის უნივერსიტეტის „შრო-
მების“ აღმოსავლეთმცოდნეობის სერიისა, რომელმაც ძალიან დიდი როლი შეას-
რულა ქართული ორიენტალისტიკის განვითარების საქმეში. წლების განმავლობაში
დ. კობიძე იყო აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანი. მკამადაც წვერია
რამდენიმე სამეცნიერო საბჭოსი. იგი თავმჯდომარეა საზღვარგარეთის ქვეყნებთან
მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების
აღმოსავლეთმცოდნეობის სექციისა.

ახალგაზრდობიდანვე ფართო იყო დავით კობიძის საზოგადოებრივი და ლი-
ტერატურული ინტერესები. მას ეკუთვნის შესანიშნავი პოეტური თარგმანი დიდი



სპარსელი დიდაქტიკოსის საადი შირაზელის (XIII ს.) პოემა „ბუსთანისა“, მანვე ასევე წარმატებით თარგმნა ხსენებული ავტორის საქვეყნოდ აღიარებული მეორე თხზულება „გოლესთანის“, რომელსაც სპარსული ლიტერატურით დაინტერესებული მკითხველი მოუთმენლად ელის. აღარას ვამბობთ იმ საუცხოო თარგმანებზე, რომლებიც ასე უპრეტენზიოდ უხვადაა მიმოხნეული როგორც საილუსტრაციო მასალა ზემოხსენებულ „სპარსული ლიტერატურის ისტორიაში“.

გულთბილად მიიღო ქართველმა მკითხველმა პროფ. დ. კობიძის მოგონებათა წიგნი—„როცა ახალი ცხოვრება იწყებოდა“ (1971 წ., მეორე გამოცემა 1977 წ.), რომელშიც ავტორი ჩვენს ახალგაზრდობას უზიარებს თავის მოგონებებსა და შთაბეჭდილებებს განახლებულ საქართველოში 20—30 იანი წლების ლიტერატურული ცხოვრების შესახებ. იქნებ ინტერესს მოკლებული არ იყოს იმის თქმაც, რომ ცნობილი ქართველი მეცნიერის პროფესორ იუსტინე აბულაძის ღირსეულმა მოწაფემ, ქართული ირანისტიკის დიდმა ამაგდარმა პროფ. დ. კობიძემ თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობა პოეზიით დაიწყო.

ვუსურვებთ მას ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს და ახალი შრომების გამოქვეყნებას აღმოსავლეთის ხალხთა დიდი და ძველი კულტურის კიდევ უფრო ღრმად შესწავლისათვის, ქართული ირანისტიკის შემდგომი წინსვლისა და განვითარებისათვის.

პროფესორი კ. ფაღვა

შინაბრნი

აღმოსავლური ფილოლოგია

ს. ჯიქია, ერთი ფონეტიკური კანონზომიერებისათვის ქართულში	5
ნ. ანთიძე, რიტმის საკითხი აღ-ურამებს ტრაქტატში	13
ნ. კილაძე, გონება (عقل) და მიდმოგონება (ذهن) იბნ რუმდთან და პეტრიწთან	19
მ. ქუთელია, ჯებრან ხალილ ჯებრანის მსოფლმხედველობის ზოგიერთი საკითხისათვის	23
ლ. თუშიშვილი, „შაჰ-ნამეს“ არაბული ლექსიკიდან	33
თ. კეშელავა, თანამედროვე ირანის ლიტერატურული ცხოვრება	37
მ. კვაჭაძე, „ლეილ-მაჯნუნის“ სიუჟეტის საფუძვლების შესახებ	53
მ. მიქაშაიძე, ნიზამი არუზის ცნობები რუდაქის შესახებ	62
მ. წიკლაური, სუათ დერვიშის რომანი „ემინე“	70
ი. შილაკაძე, ქართული და სომხური ენების ბგერითი სისტემები (წინასწარი დასკვნები შეპირისპირებითი ანალიზისა)	77
ნ. ფურცელაძე, სიმბოლო მუალლაკაშში	99

აღმოსავლეთის ისტორია

ვ. ჩოჩიევი, მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ურთიერთობანი XVI საუკუნის პირველი ნახევრის ფრანგული დიპლომატიური კორესპონდენციის მიხედვით	116
მ. ვაბაშვილი, შავი ზღვა ქართული წყაროების მიხედვით	126
კ. კუცია, XVIII საუკუნის სომხური ქრონიკის ცნობები საქართველოს შესახებ	132
ლ. შენგელია, ირან-რუსეთის მეორე ომი (1826—1828) ზა ამიერკავკასია	138
ნ. სურგულაძე, დავთარხანეს ნაზირის სახელო სეფიანთა ირანში	149

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ვ. ჩოჩიევი, გურჯიზადე, თბილისის დაპყრობის წიგნი	156
დ. კაციტაძე, კ. კუცია, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქალაქები XVI—XVIII სს., „მეცნიერება“, 1976	160
დ. კაციტაძე, შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ), ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბილისი, 1975	165
თ. კეშელავა, სასარგებლო ნაშრომი	167

Personalia

კ. ფალავა, პროფესორი დავით კობიძე	172
---	-----

СОДЕРЖАНИЕ

Восточная филология

С. С. Джикиа, Об одной фонетической закономерности в грузинском	12
Н. Т. Антидзе, Вопрос о ритме в трактате ал-Урмави	17
Н. В. Киладзе, Разум и рассудительность (გონება — (ذهن; მიღმოგონება — (عقل) у Ибн Рушда и Петрици	22
М. В. Кутелиа, К вопросу о мировоззрении Джебрана Халиля Джебрана	31
Л. Н. Тушишвили, Из арабской лексики «Шах-Наме»	36
Т. Г. Кешелава, Литературная жизнь современного Ирана	50
М. И. Квачадзе, Об основах сюжета «Лейли и Маджнун»	61
М. Ш. Микашавидзе, Сведения Низами Арузи о Рудаки	68
М. А. Циклаури, Роман Суад Дервиш «Эмине»	76
И. И. Шилакадзе, Звуковые системы грузинского и армянского языков	94
Н. Пурцеладзе, Символ в Му'Аллакате	114

История Востока

В. Г. Чочиев, Международные отношения Ближнего Востока в свете французской дипломатической корреспонденции первой половины XVI века	124
М. В. Габашвили, Черное море по грузинским источникам	130
К. К. Куция, Армянская хроника XVIII в. о Грузии	137
Л. Н. Шенгелия, Вторая русско-иранская война (1826—1828) и Закавказье	147
Н. И. Сургуладзе, Назир государственной канцелярии («давтархане») в Сефевидском Иране	154

Критика и библиография

В. Г. Чочиев, გურჯიანდე, თბილისის დაპყრობის წიგნი	156
Д. В. Кацитадзе, კ. კუციის, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქალაქები XVI—XVIII სს. „მეცნიერება“, 1976.	160
Д. В. Кацитадзе, შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ), ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბილისი, 1975	165
Т. Г. Кешелава, Полезное исследование	167

Personalia

К. К. Пагава, Д. И. Кобидзе	172
---------------------------------------	-----

CONTENTS

Oriental Philology

S. Jikia, On a Certain Phonetic Regularity in Georgian	12
N. Antidze, The Problem of Rhythm in the Treatise of al-Urmawi	18
N. Kiladze, Concerning the Terms (ذهن — გონება and (عقل) — მიდმოგონება in Ibn Rushd and Ioane Petritsi	22
M. Kutelia, Some Aspects of Djubran Khalil Djubran's Outlook	52
L. Tushishvili, Concerning the Arabic Vocabulary of „Shāh-nāma“	36
T. Keshelava, The Literary Life of Modern Iran	51
M. Kvachadze, Concerning the Bases of the Plot of Leili and Majnun	61
M. Mikashvili, Nizami Arydi's Evidence on Rudaki	69
M. Ziklauri, Der Roman „Emine“ Suat Derwisch	76
I. SchilakaSze, Lautsysteme des Georgischen und Armenischen	96
N. Purtseladze, Symbol in Mu'allaqat	115

The History of the East

V. Tchotchiev, Les relations internationales nu Levant à la clarté de la correspondance diplomatiqu française de la première moitié du XVI-me siècle	125
M. Gabashvili, The Black Sea in Georgian Sources	130
K. Koutzia, Chronique arménienne du KVIII ^e siècle sur la Géorgie	137
L. Shengelia, The Second Irano-Russian War (1826—1828) and the Trans- caucasus	148
N. Surguladze, Nazir of „Daftar Khane“ in the Safavid State	155

Reviews

V. Chochiev, გურჯიზადე. თბილისის დაპყრობის წიგნი	156
D. Katsitadze, კ. კუცია, აღმოსავლეთ ამერკავკასიის ქალაქები XVI—XVIII სს, „მეცნიერება“, 1976	160
D. Katsitadze, შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სსხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ), ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენ- ტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბილისი, 1975	165
T. Keshelava, A Useful Study	167

Personalia

K. Paghava, D. Kobidze	172
----------------------------------	-----

გამომცემლობის რედაქტორები: ნ. იორამაშვილი
ნ. სოლოდი

ტექნორედაქტორი ი. ხუციშვილი

კორექტორი ნ. ქანთარია

გადაეცა წარმოებას 21.10.77

სელმოწერილია დასაბეჭდად 9.06.78

ქალაქის ფორმატი 70×108¹/₁₆

პირ. ნაბეჭდი თაბახი 15,75

სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 13,2

შეკვეთა 1667 უე 06688 ტირაჟი 300


ფასი 1 მან. 32 კაპ.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14.

Издательство Тбилисского университета,
Тбилиси 380028, пр. И. Чавчавадзе, 14.

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა,
თბილისი 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1

Типография Тбилисского университета,
Тбилиси 380028, пр. И. Чавчавадзе, 1.



448
78
30/viii

86-78

78-448

